# ტარტაროზი

წლიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

კვირა. 29 აპრილი 1928 წ. № 150





გაუმარჯოს პირველ მაისს
ჩვენს აისს
და მტრების დაისს..
გვწამს, რომ გაისს
ის აძახებს ჩვენს მტრებს „ვაი"-ს

# არ ესიამოვნათ



მოდიან, ჩვენსკენ მოდიან
ამდგარა ხალხი შავიო,
ღმერთო, გვიშველე მოწყალევ
ამ ბრბოსგან დაგვიცავიო.

## „სამაისო მზადება“

### ინგლისში.

პირველ მაისის სამზადისს
დროზე შეუდგა ხიქსია;
პირდაპირია, არ უყვარს
რაღაც ნიშნები „იქსია“...

—:—

პალატას თავი ანება
და გასცა მკაცრი ბრძანება:
„პოლიცია მედგრად, მკვირცხლად
მაგრად გადადგი ფეხია;
არ შეუშინდე არავის
და თავზე დასცი მეხია!
ორვინ დაინდო, გახსოვდეს,
ყველას გაამვრე ტყავია;
განსაკუთრებით „წითლები“
საშიშარი და ავია...

—:—

სისხლის მორევი ადინე
შიგ გააცურე ნავია,
ფეხი მოსტეხე „მათ“ ყველას
და გაუჩეხე თავია...

### გერმანიაში.

კეიდელმაც ბანი მისცა:
ნუ გეშინია, ძამიაო
შემთანხმებლებიც ჩვენია
ჯოჯოხეთს გიდის ქრთამია...
მედგრად იყავი, ყოჩაღად,
არ გაიტეხო გულია;
თუ რამეს შეჭამ შენია,
თუ არა დაკარგულია...
წითლების ბუდე ხომ მოვსპე,
გაუნიავე კავშირი;
აქ გავაძვირე შაქარი,
და თქვენში თეთრი ნახშირი...
მათრახის ცემა და ტყვეპა
ჩვენშიაც არის, აწ ხშირი.

### საფრანგეთში.

აქ ბრიანიც ალილინდა
ნუ დაიჯერებთ, თუ გინდა,
(მე მისი ნახვა იცოდეთ,
დიდი ხანია რომ მინდა).

—:—

კომპარტიის გამარჯვებამ
სულ დაუბნია დავთარი,
მაგრამ გულს მაინც არ იტეხს
ხელში უჭირავს მას თარი...

—:—

(დიდი, დიდი იბოგინოს
მან წელიწადი-ორიო
მეტის უფლებას არ მისცემს
მას დეპუტატი დორიო...
პირველ მაისის „ჩატარება“
მიანდო მან სარროს,
უნდა მოძებნოს წითლები,
თვალი დაითხაროს....

—:—

### პოლონეთში.

ხვალ, პირველ მაისს,
დამქაშებო, იყავით მგლები;
ყველამ გალესეთ, ააპრიალეთ
თქვენ თქვენი ხმლები,
ამას ვთხოვ ყველას
და ვევედრები.

—:—

ასე გოდებდა პილსუდსკი
სეიმში „გამარჯვებული“
მხარს უმშვენებდა მას თვისი.
მთელი ჯალათთა კრებული.

—:—

ასე წარმოებს „მათ შორის“
პირველ მაისის მზადება,
ენახავ და მოგწერ, ძმობილნო,
ეს საქმე რით დამთავრდება...

გრი.

## „საქმის კაცი“




— დილა მშვიდობის ბ-ნო გამგე!

— დღეს არ მცალია; ხვალ შემოიტანეთ განცხადება.

# ჩახუნდარიძე თავმჯდომარე

ჩახუნდარიძემ საარჩევნო კრება სიტყვით შეაჯერა, მომხრეები შეკრიბა და თემაღმასკომის დავმჯდომარედ აირჩიეს.

— ერთი წლის შემდეგ ნახავთ მთელი თემი, სამოთხეს დავამზგავსო!—ტრაბახით წარმოსთქვა მან და ბობოლა მსურნაგაძეს ეწვია, რომელმაც არჩევნების დღეს მის პატივსაცემად გემრიელი სადილი გაშალა.

სადილს—სადილები მოჰყვა, ქელეხს—ქელეხები, ნათვლაში ხომ ყველგან ჩახუნდარიძე თამადობდა... საქმე კი უკან რჩებოდა.

ვის ღა ახსოვდა ნაკაზი, დავალება: გზებისა და სკოლების შეკეთება, ტყის გაშენება და სხვა. თვით აღმასკომის ბინაში როგორც გარეთ ისე სწვიმდა და მდივანი უამინდობაში მაგიდის ქვეშ სწერდა საჩქარო ქაღალდებს.

წელიწადი რომ მიიწურა და არჩევნები მოახლოვდა —ჩახუნდარიძეს მაშინ მოაგონდა, რომ ამომრჩევლებს ანგარიში უნდა ჩააბაროს. მას თავი ჭკვიან, გამჭრიახ კაცად მიაჩნდა და მაშინვე დატრიალდა.

ერთ ღამეს მან მოიწვია თავის თანაშემწე, მდივანი, სხვა თანამშრომლები და გამოუცხადა:

— ხვალ დილიდანვე უნდა შეუდგეთ ნაკაზის შესრულებას; დაიქირავეთ ათიოდე მუშა წერაქვით და ბარებით, ჩვენც ყველანი გავწევთ სოფლის განაპირა—ფერდოზე ტყის გასაშენებლად.

— ამ შუა ზამთარში ხეების დარგვა ვის გაუგონია?! —გაკვირვებით შეეკითხა მდივანი.

— მაშ განა არ იცი, რომ თბილ ქვეყნებში სწორედ ამ დროს რგავენ ხეებს? საქართველოც თბილ ქვეყნად ითვლება!

მდივანმა თავის უფროსს სიტყვა აღარ შეუბრუნა. თუმცა მან აშკარა სისულელე სთქვა.

მეორე დღეს დილით ადრე ჩახუნდარიძე და თემაღმასკომის მთელი თანამშრომლები ფიცხელ მუშაობაში იყვნენ,—სოფლის განაპირას თოვლით დაფარულ ფერდოზე ორმოებს სთხრიდენ ხეების დასარგავად. სამი დღეღამის განუწყვეტლივ მუშაობის შემდეგ საქმე დაამთავრეს, ნახევარი დესეტინა ტყე დარგეს და გარეშემო ეკლის ღობეც შემოავლეს.

— მუშაობა დარტყმითი წესით უნდა სწარმოებდეს ყოველთვის, მაშ! — მედიდურად ბობოქრობდა ჩახუნდარიძე, თუმცა კარგად იცოდა, რომ იანვარში,—შუა ზამთარში დარგული ხეები არ იხარებდენ.

თან გულში ამბობდა:—ნაკაზი ხომ შევასრულე, მე ხომ ჩემი ვალი მოვიხადე და ხმას ვეღარავინ გამცემსო.

—:—

სკოლის შენობის შესაკეთებლად მას თუმცა ფული არ გააჩნდა, მაგრამ მაშინვე გასცა განკარგულება მუშების დასაქირავებლად.

— დღესვე მოხადონ ჰერი, მოხსნან დამპალი აივანი და კიბეები, მუშაობა ყოველთვის დარტყმითი წესით უნდა სწარმოებდეს!

მისი განკარგულება მეორე დღესვე შესრულდა. სკოლას ჰერი მოხადეს, კიბეები და აივანიც მოხსნეს, თუმცა უფულობის გამო ყველაფერი ისე დანგრეული დარჩა.

— რა ვქნა, მე ხომ ჩემი ვეცადე, რაც შემეძლო გავაკეთე, ფული თუ არ არის—რა ჩემი ბრალია!—თავს იმართლებდა ჩახუნდარიძე.

ბებერი მასწავლებელი, რომელიც სკოლის მეორე სართულში სცხოვრობდა, უკიბობის გამო ჯამბაზივით თოკით ადიოდ-ჩამოდიოდა თავის ბინაში. მეცადინეობა შესწყდა...

—:—

ასეთივე ბედი ეწვია საექიმო პუნქტის და ქოხსამკითხველოს შენობებს. ჩახუნდარიძე კი დიდი საქმიანი კაცივით თემის ბოლოდან თავში დაჭროდა და გაჰკიოდა:

— მუშები იქ გაგზავნეთ! ქოხ-სამკითხველოს დამპალი იატაკი აჰყარეთ! საექიმო პუნქტის დამტვრეული კარები ჩამოიღეთ! მუშაობა დარტყმითი წესით უნდა სწარმოებდეს!

თუ ვინმე შეეკითხებოდა:—რა ამბავია კაცო, ამდენს რომ ანგრევთ, რატომ ერთ რამეს მაინც არ დაამთავრებთო, ის მკვახედ უპასუხებდა:

— შენ რევოლიუციას ვერ იცნობ გეტყობა! ყველაფერი ჯერ ძველი უნდა დაინგრეს, შემდეგ ახალი ისე უნდა აშენდეს!

თემში რომ მართლა ყველაფერი დაინგრა, ხალხი შეწუხდა და საბჭომ ანგარიში მოსთხოვა ჩახუნდარიძეს.

— როგორ, მე? ნაკაზი მთლიანად შევასრულე! ყველა სამუშაო დაწყებულია, რა ვუყოთ, რომ ამ წელიწადს ვერ მოვასწარი, შემდეგი წლისთვის მაინც ყველაფერს დავასრულებ!

— როგორ, შემდეგი წლისთვის კიდევ აპირობ თავმჯდომარეობას?—ვეღარ მოითმინა საბჭოს ერთმა წევრმა,—ვერ მოგართვით, ვერა!

— მეორეთ მაშინ აგირჩევთ, როდესაც შენი დარგული ხეები იხარებენ!—მიაძახა მეორე გლეხმა.

ჩახუნდარიძეს დასცხა, დავთრები აერია. უნდოდა კიდევ რამე ეთქვა, მაგრამ ხალხმა აღარ აცალა.

— ძირს, არ გვინდაა... ნაცარქექია, ცრუპენტელა, მკვეხარა ქოთანი...

ჩახუნდარიძეს პანღური ამოჰკრეს და უმოქმედობისთვის გამსახლშიც მიაბრძანეს. ამბობენ: იქიდან რომ გამოვა—ახლა „აგრონომათ“ უნდა დაინიშნოო.

ნიჩბური.

# მუდმივი იუბილიარი

ერთი ჩემი კარგი ნაცნობი ამ დღეებში იუბილეს იხდის და მთხოვა დახმარება.

ჩემი როლი პატარაა: საზეიმო სხდომაზე უნდა წარმოვსთქვა სიტყვა.

რაკი მასალები ერთობ საინტერესოა, ამიტომ არ მინდა ეს ისტორიული საბუთი დაუკარგო შთამომავლობას.

მასალა წარმოადგენს კერძო წერილს ჩემს მიმართ.

აი ის წერილიც:

ძვირფასო კვაჭი!

მართალია, დიდი ხანი არ არის იმის შემდეგ, რაც 25 წლის იუბილე გადავიხადე, მაგრამ რა ჩემი ბრალია თუ დრო რევოლიუციონურ პერიოდში ჩქარა გადის, ჩემი დამსახურება დღითი-დღე იმატებს და 30 წლის კარზე მომადგა. ჩემი მოღვაწეობის 30 წლის თავს მოვესწარი და ისე როგორ გავუშვა ეს ხელსაყრელი მომენტი, რომ ცოტა ხელი არ მოვითბო, ერთი ეტონი არ დავიკერო მარჯვენა მკერდზე (მარცხენა უკვე დაკავებულია). ამიტომ გადავწყვიტე დღესასწაულის გამართვა. ეს მით უფრო გავბედე, რომ მთავრობის ხალხი კარგათ მიყურებს და რამეს მაინც მაჩუქებენ.

შენ როგორც ჩემს საუკეთესო მეგობარს (მეც ქე ვარ პატარა კვაჭი) იმისთვის მოგმართე, რომ უნდა დამეხმარო. ჩემ სალამოზე უნდა მაჩუქო—არ შეგეშინდეს, ფულს არ გთხოვ—უნდა მაჩუქო შენი რიხიანი ხმა და პატარა სიტყვა მითხრა, მოულოდნელათ, ექსტრათ. ვიცი გრძელი სიტყვის თქმა გიყვარს და ამიტომ გიგზავნი ზოგიერთ მასალებს ჩემი მრავალფეროვანი ცხოვრებიდან.

დავიბადე მე გურიის დედა ქალაქში. რასაკვირველია ეს დიდი შეცდომა იყო. მე საქართველოს დედა ქალაქში უნდა დავბადებულიყავი. ამ გარემოებამ დიდი გავლენა მოახდინა ჩემს კარიერაზე. თბილისს გული მოუვიდა, რომ ჩემისთანა ნიჭიერი კაცი სადღაც პროვინციაში დაიბადა და იმ დღიდან დაწყებული თბილისში აღარ მიშვებენ. ხანდახან ჩავძვრებოდი განაპირა უბნებში, სადმე კლუბში წავიმუშავებდი და გავრბოდი. რას იზამ ფულის და სცენის სიყვარული მტერთანაც კი მიგიყვანს.

მე დავიბადე 1878 წელს, ე. ი. რ. ს. დ. მ. პ. პირველ ყრილობაზე 20 წლით ადრე. ამას მნიშვნელობა აქვს, რადგან პლეხანოვთან კარგ განწყობილებაში ვიყავი და ლენინსაც ვიცნობდი (რასაკვირველია სურათით). მაგრამ ჩემს პარტიულ მოღვაწეობაზედ ნუ შეჩერდებით, რადგან პარტია, რომელსაც ჩემი ახალგაზრდობა შევწირე, აღარ არსებობს, კომუნისტურ პარტიაში კი ტეხნიკური მიზეზების გამო არ მიმიღეს.

ხელოვნებას რაც შეეხება უნდა მოგახსენოთ, რომ მე პიონერი ვარ. თბილისის ავჭალის თეატრში ვმუშაობდი 10 წელს და—არ დაგავიწყდეს — უფასოთ, რადგან მაშინ სტატისტებს ჯამაგირს არ აძლევდენ (რა დრო იყო!). როდესაც 1905 წლის რევოლიუცია დამარცხდა, თბილისის საოპერო თეატრში დამნიშნეს; (ეხლა არ მახსოვს რათ). ყოველ შემთხვევაში მაშინ გავითქვი კარგ მომღერალის სახელი. ჩემი სურათები მოთავსებული იყო ლონდონის და მოსკოვის ჟურნალებში წარწერით: „დამსახურებული საოპერო მსახიობი“. მოსკოვის ჟურნალს მე გავუგზავნე ჩემი სურათი, ლონდონმა საიდან გაიგო, რომ მე ვანო სარაჯიშვილზე უკეთესათ ვმღერი „გენაცვალეს“, არ ვიცი.

უნდა მოგახსენო, რომ ფეხით მაქვს შემოვლილი შავშეთი, ერუშეთი, ჯავახეთი, მესხეთი, ოკრიბა, სიმონეთი და ყვირილა, სადაც ყოველ წელს ვაწარმოებდით სეზონს. ხოლო ბორჯომ-ბაკურიანი და ბახმაროზე ლაპარაკი ზედმეტია, — ყოველ მოაგარაკეს სული შეწუხებული ჰქონდა ჩემი „გიმნაზისტით“.

არ შემიძლია გვერდი აუხვიო იმ გარემოებას, რომ მე აღმოვაჩინე და გავზარდე ქართული სცენის მესვეურნი: კოტე მესხი, ვალერიან გუნია, ლადო მესხიშვილი, არადელი—იმნაელი, კოტე მარჯანიშვილი, ალიოშა წუწუნავა, და სხვა მრავალნი. ამ ხანს ამის შესახებ არაფერი მითქვამს, რადგან არ მინდოდა თავის გამოჩენა. აქ თავი ყველას მოვაძულე სცდილობენ ჩემს მოშორებას. მაგრამ ვერ მივართვი ბადრიჯანი. პირში ყველა მიცინის და ზურგს უკან რაც უნდა ის სთქვან. აქედან მანამ არ წავალ, სანამ 50 წლის იუბილეს არ გადვიხდი, აქ მე ძველადაც მიცნობდენ. აქ მუშაობდა ცხრაას ხუთში, სოსო სტალინი. მაშინ თეატრში იჭედებოდა ყველაფერი რაც ოქტომბრის რევოლიუციისთვის იყო საჭირო. ორჯერ [illegible] ვიყავი.

დასასრულ მინდა აღვნიშნო ჩემი წარმოებაც. მე შევადგინე წიგნი, რომელიც 15-ჯერ გამოვეცი. წიგნებს უფასოთ ვარიგებდი, რადგან არავინ ყიდულობდა

ასეთია ჩემი პოლიტიკურ-ეკონომიურ-ხელოვნური და სოციალური მოღვაწეობა. ვფიქრობ, სიტყვისთვის მასალები გაქვს.

აბა შენ იცი როგორ დასჭექ.

ვახშამი ჩემზეა

რადგან იუბილეს დღეს აქ არ ვიქნები, ჩემს მაგიერ სიტყვის თქმას ვანდობ ტარტაროზს*)

კვაჭი.

---

მე თავის მხრივ სიტყვის თქმას ვანდობ ვარდენ ღვანკითელს,

ტარტაროზი.

---

## ერთგული მსახური



ჩემბერლენი. (მაკდონალდს):—გილოცავთ თქვენს დღესასწაულს — პირველ მაისს.

მაკდონალდი: — ვეცდები გავამართლო თქვენი იმედი და ჩემზე თქვენი შეხედულება!

# საკითხის მოგვარება



დარაჯი:—ვერა ხედავთ,რომ ბინის შესახებ უკვე შეწყდა განცხადების მიღება?!!
— რატომ?
— იმიტომ, რომ ზაფხული იწყება და უბინოთაც იოლათ წახვალთ.

# გამომგონებელი

— „ამხანაგო გაცნობებთ, რომ ჩვენდამი რწმუნებულ საამქროს ერთ-ერთ დაზგის ერთ-ერთმა მუშამ გამოიგონა ერთ-ერთი სტანოკი, რომელიც რომ კარგი გამოგონებაა. გთხოვთ გასცეთ განკარგულება, როგორ მოვექცეთ ხსენებულ გამომგონებელს.

საამქრო უფროსი ივანე დურგლაძე".

ამ განცხადებას შემდეგი მიმართვა მოჰყვა:

— „გაახლებთ რა ამხანაგო საამქროს უფროს დურგლაძის განცხადებას ჩვენი ქარხნის გამოგონების შესახებ, გთხოვთ გვაცნობოთ, რა ნაბიჯები გადავდგათ ხსენებულ მუშის მიმართ.

ქარხნის დირექტორი სვეციაშვილი".

მიმართვამ შემდეგი მიმართვა გამოიწვია:

— „ამხანაგო გაახლებთ რა ქარხნის დირექტორის მიმართვას და ივანე დურგლაძის განცხადებას გთხოვთ გვაუწყოთ, თუ რა ზომები უნდა მივიღოთ ამ გამოგონების სფეროში".

ტრესტის საქმეთა მმართველი მელნაძე.

ამ მიმართვამაც ჰპოვა გამოხმაურება:

— „გიგზავნით რა ამხანაგო ერთად ატნაშენიას და დანართებს ჩვენი მუშის გამოგონების შესახებ, გთხოვთ გვაუწყოთ, რა პრაქტიკული ღონისძიებები უნდა გავატაროთ ხსენებულ გამომგონებელ მუშის მიმართ.

ტრესტის მმართველი ხვლიკაძე".

გამოხმაურებასაც თავისი შედეგი მოსდევს:

— „მივიღეთ რა თქვენი ოტნოშენია თავისი სოოტნეშენიებით, ხთხოვთ გვაუწყოთ, რაში მდგომარეობს ხსენებულ მუშის გამოგონება.

ბიუროს მმართველი ყუყმანიშვილი".

აქედან მთელი ქაღალდები ისევ ტრესტის მმართველს დაუბრუნდა, რომელმაც თავისი დაუმატა და ყველა ქარხნის გამგეს გადაუგზავნა.

არც ქარხნის გამგე აღმოჩნდა სავსებით ფინთი. მიღებულ მასალებს ორიოდე ოქმი დაურთო და ყველა ერთად კავშირს გადაუგზავნა.

კავშირმა იფიქრა, იფიქრა და ბოლოს საქმაოდ მოზრდილი შეკითხვა გაუგზავნა ტრესტს და ქარხნის გამ

გეს. მთელი მასალების ასლები გადაიღო და დაურიგა როგორც ტრესტს, ისე ქარხნის ადმინისტრაციას და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს.

ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ქარხნის გამგის მაგიდაზე მოიყარა თავი მთელმა მიწერ-მოწერამ, რაც საკმაოდ დიდი წონის ქაღალდებისაგან შესდგებოდა.

ქარხნის გამგე როცა ქაღალდების გარჩევაში იყო გართული, ამ დროს მას რევიზია მიადგა. რევიზიამ, ცხადია ქაღალდების სიმრავლეს მიაქცია ყურადღება და გამგეს საყვედური გამოუცხადა ვოლოკიტის შემოღების გამო.

მთელი ამ მიწერ-მოწერის განმავლობაში ერთი წელი გავიდა. ამასობაში გამომგონებელი მუშა იცდიდა და ხშირად ჯილდოს ელოდებოდა.

ქარხნის გამგე, რომელმაც შენიშვნა მიიღო, თმებს იგლეჯდა.

— ნეტავი ნატაშა არ ყოფილიყო მაინც!—ამბობდა იგი მემანქანე ქალის შესახებ.— მან გაიგონა, როგორ გამოუცხადეს საყვედური... აწი რაღა ფასი მაქვს მის თვალში, როგორღა უნდა ვთხოვო ხელი?!

გამგე გამწარებით ეძებდა თავის უსიამოვნების მიზეზს და ბოლოს იპოვა კიდეც.

— ჰო რასაკვირველია, რომ ის დაზგა არ გამოეგონებია ეს მიწერ-მოწერაც არ ატყდებოდა და მეც საყვედური არ მომხვდებოდა. ის არის ჩემი უბედურების მიზეზი...

გამგე გამომგონებელ დაზგაძის შესახებ ლაპარაკობდა. დაზგაძეში ჰპოვა მან ვოლოკიტის სათავე და თავის უბედურების მიზეზი.

დაზგაძემ ბოლოს უშველებელი შეკვრა ამანათი მიიღო.

— ალბათ ჩემი გამოგონების საჩუქარია... ნეტა რა ნივთია ისეთი... გახარებით ამბობდა დაზგაძე და სახლში მიიქროდა.

— ცოლი ქალო, მივიღე! ვეღირსეთ ბოლოს და ბოლოს!— მიაძახა მან ცოლს.

მოვიდა ცოლი, მოცვივდენ ბავშვები, შეგროვდენ მეზობლებიც, რომლებიც შურის თვალით უყურებდენ გამომგონებელ დაზგაძეს, რადგანაც ხედავდენ, რომ მან რაღაც არაჩვეულებრივი ნივთი მიიღო საჩუქრად.

ყველამ ხმა გაკმინდა. მხოლოდ დაზგაძეს და მის ცოლს უბრწყინავდა თვალები.

დაზგაძემ სიხარულისაგან ათრთოლებული ხელით შემოხსნა ამანათს ბაწარი და აახადა ლუქი.

— ნეტა რა საჩუქარია!... ფიქრობდენ გაბოროტებული მეზობლები.

დაზგაძემ ლუქი აახადა ამანათს, გარედან შემოხვეული ქაღალდები შემოახია და... გამოიღო პაკეტი.

უკაცრავად, პაკეტი ერთი კი არა—რამოდენიმე. პაკეტი პაკეტზე იყო მიკრული და სათუთი ხელით იყო შეხვეული.

პაკეტები გაიხსნა.

თვითეულ მათგანში იყო სხვადასხვა დაინტერესებულ დაწესებულებების, საქმეთა მმართველების, გამგეების და თვით ქარხნის გამგის მიწერ-მოწერა გამომგონებლის გამოგონების შესახებ.

ერთ ყველაზე პატარა პაკეტში თვით გამგის წერილი იყო გამომგონებლის მიმართ:

„როგორც ხედავთ, ეს მიწერ-მოწერა და ვოლოკიტა თქვენმა გამოგონებამ გამოიწვია. ამიტომ პასუხიც თქვენ უნდა აგოთ და არა მე, როგორც ეს მოხდა. აქედან თქვენ თითონ ხედავთ, თუ რამდენათ შეუწყო ხელი თქვენმა გამოგონებამ ბიუროკრატიზმისა და ვოლოკიტის გავრცელებას სათანადო დაინტერესებულ დაწესებულებებში“... დაახლოვებით ასე სწერდა ქარხნის გამგე.

ალლარ-ალლარსან.

მე მიყვარს ცხელ ზაფხულში ქალები და ბალები..,
მე მაზარია ჩვენი ხალაროს გახალები.



## „მაგათ ქინაზე“?

კირილე უმადურაძე ჩემს მახლობლათ ცხოვრობს მესამე ბინაში.

უწინ იგი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მუშაობდა; მენშევიკურ ფრთას ეკუთვნოდა.

ეხლა როგორც თვითონ ამბობს, უპარტიო მენშევიკია.

— ეს რას ნიშნავს, კირილე?. „უპარტიო მენშევიკი“ როგორ შეიძლება?!.

— ძალიან კარგად. მენშევიკი ვიყავი, ვარ და ვიქნები, — მაგრამ, ვინაიდან პარტიაში არ ვმუშაობ, პარტიის გარეშე ვდგევარ, — ამიტომ უპარტიო მქვია.

ამ დროს მოისმა ზარების რეკა.

— კოლია, ჯოხი და ქუდი მომიტანე; ეკლესიაზე მივდივარ! — გასძახა სახლში თავის ვაჟს, რომელმაც მალე შეასრულა მამის განკარგულება

— კირილე, სადაური მორწმუნე შენა ხარ, რომ ყოველ კვირა-უქმე დღეს ლოცვა-წირვაზე დადიხარ?

— რა იცი, რომ მორწმუნე არა ვარ! —ნიშნის მოგებით შემეკითხა იგი.

— როგორ თუ რა ვიცი! მართალია, ჩვენ ცოტა ხანია რაც ერთმანეთს შევხვდით, მაგრამ უწინ გიცნობდი, როცა სოციალისტი იყავი; მახსოვს შენი უარყოფითი შეხედულება სამღვდელოებაზე; არ გრწამდა

ღმერთი და ეკლესია... ეხლა ხომ, კომუნისტი არა ხარ, მაგრამ, როგორც შენ ამბობ, უპარტიო მენშევიკი ხომ ხარ, — და განა მენშევიკს უნდა სწამდეს სამღვდელოება, ღმერთი და ეკლესია?

— დიახ!

— რატომ?

— მაგათ ჯინაზე.

— ხა-ხა-ხა-ხა!—უნებლიე სიცილი წამსკდა.

— გაიცინე, გაიცინე... დიახ, მაგათ ჯინზე ყოველთვის დავდივარ ეკლესიაში და ვისმენ წირვა-ლოცვას. არ მწამდა სარწმუნოება, მაგრამ მაგათ ჯინაზე ახლა ვიწამე. სანთელსაც ვუნთებ ხატებს, პირჯვარსაც ვიწერ, ზიარებასაც ვიღებ... ყველაფერ ამას მაგათ ჯინაზე ჩავდივარ.

მეც გზა იქით მქონდა და ორივე ერთად წავედით.

—:—

რუსთაველის გამზირზე ყულაბებით შემოგვეგებენ უპატრონო ბავშვთა სასარგებლოთ ფულის შემკრეფი ბავშვები.

რაკი მე წინადღინდელი ნიშანი გულზე მეკიდა, ჩემთან აღარ მოვიდენ და გაქაჩეს კირილე.

— ყოველდღე შეწირვა არ გამიგონია!—შეუტია ბავშვებს კირილემ.

— თქვენ ხომ ჯერ არ შეგიწირავთ? აბა სადა გაქვთ ნიშანი? —- არ ეშვებოდენ ბავშვები.

— გიცხონდათ სული, ყოველთვის მაგას ვატარებ გულზე წმინდა გიორგის ოფიცრის ჯვარივით... დამეკარგე სადღაც!—იტყუა კირილემ და ბავშვები მოიგერია.

— არ უნდა დაგეკარგათ! ხომ იცოდით, რომ სამ დღეს გაგრძელდებოდა ფულების შეკრეფა! — ვუთხარი კირილეს.

— მართლა გგონია რომ დავკარგე?

— აბა რატომ არ შესწირეთ ეხლა?

— მაგათ ჯინაზე! (სიტყვა „მაგათ“-ში ყოველთვის იგულისხმება კომუნისტები).

— კი მაგრამ ტყუილი ხომ არ ეკადრება შენისთანა სოციალისტ კაცს! ეს ხომ არ არის კარგი საქციელი!

— მაგათ ჯინაზე ტყუილს კი არა, ყველაფერ სიავეს ვიტყვი და ჩავიდენ.

— სინდისი სად არის!

— მაგათ ჯინაზე არც სინდისი მინდა, და არც ნამუსი.

ამ ლაპარაკში რომ ვართ, ცოლი შეხვდა და რაღაც საყიდლისათვის ფული გამოართვა.

— კერძოსთან იყიდე! — მიაძახა ცოლს კირილემ.

— კერძოსთან ორი მანეთი ღირს; კოოპერატივში კი ექვს აბაზ ნახევრად იყიდება!—უპასუხა ცოლმა.

— მიეცი ორი მანეთი, მხოლოდ კერძოსთან იყიდე!—და შემობრუნებულ ცოლს ფული დაუმატა.

— რატომ კოოპერატივში არ ყიდოს და კერძოსთან კი?—შევეკითხე კირილეს.

— მაგათ ჯინაზე არ მინდა მაგათმა იხეირონ.

— კი მაგრამ ამით, ხომ შენ ჯიბეს აკლდება!?

— მაგათ ჯინაზე, დეე დამაკლდეს. სხვა რამეს მივიკლებ, არ ვიყიდი, და ასე გამოვალ იოლად.

— რატომ ასე გეჯავრება კომუნისტები? რას ერჩი ამ ხალხს! ყველაფერს აკეთებენ. ჯერ მარტო ზაჰესი რად ღირს. აბა, ზაჰესსაც გამოუცხადე პროტესტი.

—დიახაც გამოუცხადე. მე ჩემს ბინაში არ გავიყვან ზაჰესის სინათლეს.

— რატომ?

—მაგათ ჯინაზე. მისი სინათლის სხივები ისარივით დამესობიან გულზე და სიცოცხლეს გამიმწარებენ. მაგ კი არა, ტრამვაის ხშირად მთელი საათობით ვუცდი, რომ „მოსკოვის ვაგონში“ არ ჩავჯდე.

—რატომ?.

—მაგათ ჯინაზე. „მოსკოვის ვაგონი“ მაგათი გაკეთებულია.

— შენ თუ მასე გაჰყევი, აბა ახლო ხანში ტრამვაიში ჩაჯდომას სულ გაანებებ თავს, რადგან ყველა ვაგონები მაგათი გაკეთებული იქნება; მაშინ რას იზამ?

—ფეხით ვივლი!

—რატომ?

— მაგათ ჯინაზე.

— მართალს ამბობენ კომუნისტები თქვენზე, რომ თქვენ სოციალისტები არა ხართ.

—ვიყავით, მაგრამ ეხლა აღარ ვართ.

—რატომ?

—მაგათ ჯინაზე.

—კი მაგრამ, სოციალისტს ბურჟუაზიის ლაქიობა შეჰფერის, თუ მუშათა კლასის ინტერესების დაცვა?

— ლაქიობა!

—რატომ?

— მაგათ ჯინაზე.

ეკლესიას გავუსწორდით.

—მე აქ მივდივარ—მითხრა კირილემ.

მე გამეღიმა და დაცინვით უთხარი: —„მაგათ ჯინაზე“ იწამეთ ღმერთი არა?

— მაგათ ჯინაზე ღმერთს კი არა, ეშმაკსა და ბოროტებას ვსცემ თაყვანს. ხომ გაგიგონია ბებელის თუ მარქსის სიტყვები: „მიზნის მისაღწევათ ეშმაკის ბებიასაც თაყვანს ვსცემო“. დიახ, ეს ასეა მარქსი და ენგელსი ჩვენი ბელადები იყვნენ!—და კირილე შევიდა ეკლესიის გალავანში, სადაც ეზოში იჯდენ: მღვდელ-დიაკვანი, რამდენიმე კირილეს კოლლეგები და დედაბრები.

ჰინჰარი.



— სალამი და გამარჯვება!

— დღეს ფული არ იქნება; ვერაფერს ვერ მოგცემ

# კონკურსის შედეგი

## „სიძე“-ს გაგრძელებაზე

კონკურსში მონაწილეობა მიიღო 273 კაცმა. ჟიურიმ პირველი ჯილდოს ღირსად ვერავინ ვერ სცნო.

**მეორე ჯილდო,** 30 მანეთი მიეცა **ანტონ ნიკოსძე პაიჭაძეს,** კომკავშირელი, ბათომის ნავთსადგურის მუშა.

**მესამე ჯილდო,** 20 მანეთი მიეცა **შოთა პარმენისძე კახიძეს,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

I.

ფრთხილად დაეშვენ ისინი კიბეზე და რამოდენიმე წუთის შემდეგ, წყნარ მუსაიფში გართულნი, ქვაფენილზე იდგნენ და სასიძოც რიხიანად უხსნიდა სიდედრ-სიმამრს ტრამვაის მნიშვნელობას.

— მაგას ჰქვია ქალაქურად „ტრამვაი“. სოფლურად რომ გადავთარგმნოთ „უკამბეჩო ურემი“.

— ტრამვაი რაზა ქვია, ნეტავი? — გაუბედავად იკითხა მაკრინემ.

იმისთვის, რომ—ქალაქში დიდი მოძრაობაა, როგორც ხედავთ, და ტრამვაიც ხშირად ეჯახება ურემს, ვირს და ტაჭკას; დაჯახების დროს იმის პირველ ყოვლისა ხმაური „ტტრრრააამ“... შიგ მჯდომნი კი შეკივლებენ:—„ვაი! ვაი!“... ერთად გამოდის—„ტრრამვაი“.

— არ ვარგებულა არასფრად!—ჩაიბურტყუნა მათემ და უნდობლად გახედა ტრამვაის რონოდას, რომელიც სწრაფად მიჰქროდა.

— ისე კარგი იქნება წქნელის ორღობეს, რომ გოუყვეთებდენ. ირბინოს შუაზე დაუღლულ ტახიეთ, სანამ არ მოწყინდება!...

მართალს ბრძანებ, ჩემო სიმამრო! ქალაქად ეს ვერასფერი მოსახმარია; სამაგიეროთ სოფლად, სადაც გზებზე ლობეებია, კი, კარგი იქნება საფქვავის წასაღებად. მე ასი ათასი მანეთი მაქვს გადადებული მაგ საქმისათვის. იქ დასოჯახებელს ვერასფერს ნახავს, რადგანაც გაშლილი ადგილებია და ყანაში სადილის წასაღებადაც კარგი იქნება!—კიდევ უნდოდა ყათლანს რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს მის ახლოს გაისმა ჩახლეჩილი ხმა:

— ყათლთან! კუჭის ძმავ! პირის ზიარებავ!—დუქნის ყელზე შემოჯვია ვიღაცა ბყლაყუდა, რომელსაც დახეული, მოკლე შარვალი ეცვა და გამურული წვივები უშნოდ ბზინავდნენ ზაჰესის სინათლეზე.

ყათლანი დაიბნა; არ იცოდა რა ექნა. შეზარხოშებული მეგობარი კი არ ეხსნებოდა და ხვევნა - კოცნით უმტკიცებდა თავის სიყვარულს.

— ბიჭო ყათლან! მოიგონე ის დრო, როდესაც ერთ პორცია ხაშს ზიარად ვსჭამდით. ახლა გადიდკაცდი თუ? რაღაც ბითური რეგისტრატორი ხარ, მეტი ხომ არასფერი?!—სიდედრ - სიმამრი გაკვირვებული შესცქეროდნენ სიძეს და თანაც გულში ფიქრობდნენ, თუ რა წოდებაა „ბითური“, თუმცა სოფლად ეს არც ისე სახარბიელო სახელია.

— „ბიჭო! მილიცრელი მოდის!—ნელი ხმით გადაჩურჩულა ყათლანმა მეგობარს, რომ მოეშორებინა თავიდან.

— „მოდის და მოვიდეს; ჯანიც კი გავარდნია!—ხმა მაღლა წამოიძახა მან და თან საჩქაროდ დაუმატა: მე ეხლავე წავალ, თუ ძმა ხარ, ყათლან ერთი მანეთი მასესხე!.

ყათლანმა უკმეხად შეხედა მეგობარს და თან უკანასკნელი მანეთიანი გაუწოდა.

— ეხლა კი მშვიდობით!—ღრეჭით უთხრა ამხანაგმა და სწრაფად გაშორდა იქაურობას.

— თფუ! შეგირცხვეს ნამუსი ვიღაც ოხერი ხარ!—გაჯავრებით წამოიძახა ყათლანმა, როდესაც „ვიღაც ოხერი“ კარგა მოშორებით იმყოფებოდა. ყველაფერი ღვინის ბრალია. ვინაა?... მიცნობს თუ ვიცნობ? დათვრებიან; გეილოშებიან...

— ბიჭოს! თვითონ რა პატიოსანი ბრძანდება!—გაისმა დამცინავი ხმა და მათ წინ გამოიჭიმა ზრგე ვინმე.

ყათლანი შეჰკრთა.

მის წინ გამგე იდგა და გაკვირვებით ათვალიერებდა სიდედრ - სიმამრს და მობუზულ სონიას.

— რა ჰქენი! შეასრულე სამუშაო, რომ გქონდა თუ არა? — იკითხა გამგემ.

— შევასრულე!—ძლივს წაილუღლუღა ყათლანმა.

— ძალიან კი შეასრულებდი მე შენ გეტყვი... ქუჩა-ქუჩა დაყიალობ და მთვრალებს აგინებ. შენ არ იყავი სიმთვრალის გულისთვის ბარე სამჯერ უნდა დამეთხოვე სამსახურიდგან, ესეც ჩემ გულკეთილობას უნდა დაუმადლო, რომ ეხლა სამსახურში გდიხარ!—გამგეს გაჯავრება ეტყობოდა, რადგანაც თვითონაც დიდ პატივს სცემდა „ღვინის მარნებს“.

ყათლანი უაზროდ დასჩერებოდა უხმო ქვაფენილს და კრინტს არ სძრავდა.

— ერთი პაპიროსი მიყიდე!—მწყრალად წარმოსთქვა გამგემ და ხურდა ფული გაუწოდა. ყათლანმა მორიდებით გამოართვა ფული და პაპიროსის საყიდლათ გაეშურა. გამგე უკმეხად შებრუნდ-შემობრუნდა და დაცინვით გახედა გაწითლებულ მათეს, რომელსაც გული მოსდიოდა სიძის მაგიერ.



• გამოჩნდა ყათლანი, ის დარცხვენილი მიუახლოვდა გამგეს....

— რა უყავი? მოიტანე?—შეეკითხა გამგე.

— უკაცრავად, თქვენს ფულს. სამი კაპეიკი აკლდა.

— მერე ვერ დაუმატე, შე უშნოვ!.

— ხურდა არ მქონდა, წაიჩურჩულა ყათლანმა და ოდნავ შეწითლდა.

— ხა-ხა-ხა-ხა! ხურდა არ გქონდა! მე შენ გითხრა, ათ-ჩერვონციანები გაქვს ჩაკეცილი, რაღაცა ორასიც მანეთს ღებულობ თვეში, ისიც შენს წინანდელ ცოლს მიაქვს ნახევარი! ცივად წამოისროლა გამგემ და სამ კაპეიკიანი გაუწოდა...

— დედა? ბიჭო? რა მესმის ეგი?! რავა შეერცხვი კაცი. ამდენ ხალხში! რავა მომეჭრა თავი!?—წამოიძახა გაბრაზებულმა მათემ და შეხედა ყათლანს, რომელიც სწრაფად მობრუნდა და პაპიროსის-საყიდლად გასწია.

— შევრცხვი კაცი და აგია ამ დუნია-მელექეთში! წამოით ქალო შინ!—მიაძახა მათემ მაკრინეს და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

— რას უცდი გოგო? წამოეთრიე!—შეუბღვირა მათემ ქალიშვილს და უნდოდა რაღაც კიდევ ეთქვა, მაგრამ თვალი მოჰკრა სონიას გამობერილ მუცელს, და მხოლოდ ეხლა იგრძნო, რომ მისი ქალიშვილი ძალიან მაგრად იყო „დაბმული“ და მისი სახლში წაყვანა არც ისე ადვილი საქმე იქნებოდა.

მესამე სართულზე, სადაც როიალი უკრავდა, სიცილ-ხარხარი გაისმა...

— მე მცინიან, მე მცინიან!—წამოიძახა მათემ და ხელები თავში წაიშინა, ასე ეგონა, რომ სონიას წამობერილ მუცელს ყველა უცქეროდა.

ქუჩებში კი დარბოდნენ გაზეთის გამყიდველები და ხმა მაღლა ყვიროდნენ:

— იყიდეთ „ტარტაროზი“... დამთავრდა „სიძე“-ს კონკურსი.

ყადლაშნი კი ხელში პაპიროსით მიიჩქაროდა გამგისკენ, რომელსაც ეყიდა „ტარტაროზი“ და ყათოან ქაქანიძის ამბავს კითხულობდა.

ა. პაიჭაძე.



ვ. კახიძე

ნ

აივნიდან კიბეზე ჩამოვიდენ.

ყალთანი უცბად შეჩერდა, შუბლზე თითი მიიდვა და ცოტა ხნის შემდეგ სიდედრ - სიმამრს მიმართა:

— ბოდიშს ვიხდი თქვენთან. ეხლა გამახსენდა, სხდომა მაქვს მოწვეული და უნდა დავრჩე თუ საწყენათ არ დაგრჩებათ.

— შენ შემოგევლოს მაკრინე, რას ბრძანებ, აპა! შენ იცი სონიჩკა როგორ გაართობ ჩვენ სტუმრებს!..

— მე ნახევარ საათში გეახლებით, არ მოიწყინოთ,— აპა! შენ იცი სონიჩკა, როგორ გაართობ ჩვენ სტუმრებს!..

— კი ჩემო ყადლასიკო, კი! რაც შეიძლია ვასიამოვნებ! — წადი ჩემო სიძე! ქალალდები დოუნომრავი არ დაგრჩეს და საქმე არ წაგიხდეს!—მზრუნველობით უთხრა მათემ.

ყათლანი ისევ უკან გაბრუნდა.

ყველაფერი ეს იმიტომ მოიმიზეზა, რომ ტრამვაის ფული არ ჰქონდა და ხიფათს ერიდა.

—0—

— ცუდ დროს წამოდით. ჩემო სიმამრო! როგორც კი თქვენ წამოდით, მაშინვე მეორე ავტომობილი მომაყენა შოფერმა, მარა რაღა დროს! იცოცხლეთ, იმ მამაძაღლს დღე დავაყენე, გზაში სულ პატიებას მთხოვდა კისერ-მოღრეცილი და უსათუოდ უნდა დავითხოვო სამსახურიდან. დაიხარეთ, ავტომობილიდან რომ ჩამოვხტი, როგორ მელრიჭებოდა?

— არა შვილო! ანტონობილიდან რომ ჩამოხტი, არ დაგვინახავს, გარედ არ გამოგვეიხედია, ისე ხმა კი გავიგონეთ ანტონობილის, ალბათ ის იყო! —უპასუხა მაკრინემ.

— ჰოო! ის-იყო, ის! მაგრამ მაგას თავი დაანებოთ. ჩემო სიმამრო—მიმართა მათეს—საჩუქარი მოგიტანე და, აქედია, არ დამიწუნებ!.

— რავა დაგიწუნევუ! რას ბრძანეფ, შვილო!

— რა საჩუქარი, რატომ გაისარჯე, ჩემო ყათლან!

— არა, მე კი არ გავრჯილვარ; მაგაზე ნუ წუხდებით. თქვენ რომ წამოდით იმ წუთში, დარაჯმა კაბინეტში სხდომაზე შემომიტანა „პასილკა“ ჩემბერლენისაგან გამოგზავნილი!—თქვა ეს და გაზეთის ქაღალდში გახვეული. ინგლისურ ყაიდაზე გაკეთებული ჩიბუხი ამოიღო ჯიბიდან.



— ვანაა ეს ჩემბერანი, შენი ქირიმე?

— ვინაა, ბატონო, და ძველი თავადიშვილი!..

— დეილოცოს უფალო შენი სახელი, რომ ძველ თავადიშვილებში ქონია ჩემ სიძეს საქმე!—სთქვა მათემ კმაყოფილებით და პირჯვარი გადაისახა.

— მერე, ჩემო ყათლან, რატომ გიფეშკაშა? ალბათ შენგანაც ეძახსოვრება რამე?

— ჩემგან არაფერი ახსოვს, მაგრამ მელაქუცება; უნდა ჩემი გული მოიგოს.

— რაიო, ვითამ, რატომ გელაქუცება? რა მოხელეა, ან სად ცხოვრობს ეი თავადიშვილი?

— სად და გადაღმა ინგლისში. დაბრძანდით და მოგახსენოთ, რაკი ასე დაგაინტერესათ. ჩემბერლენი ინგლისის აპეკუნია. მოგეხსენებათ ალბათ, რომ ჩვენსა და ინგლისს შუა შავმა კატამ გაიარა ჩემბერლენს უნდა, რომ ეს კატა თეთრათ მოგვაჩვენოს და ძმური კავშირი იქონიოს ჩვენთან, მაგრამ არ მოგიკვდესთ ჩემი თავი, მე მაგ ჩემს დღეში არ ვქნა. ჩვენი ქვეყნის კავშირი ინგლისთან ჩემზეა დამოკიდებული, მაგრამ არ მინდა დავუკავშირდე. რადგანაც ამ აშენებულ ქვეყანას კვანტის გამოკვრას დაუპირებს. აი რაშია საქმე, ჩემო სიმამრო;

— ჰოო! ახლა კი მივხვდი. მაგის ოინებს!—უპასუხა თავის ქნევით მათემ და ჩიბუხი გაიბოლა.

ასე ბაქი-ბუქობდა ყათლანი, როდესაც ოთახში სონია შემოვიდა, ამ გარემოებამ კი ყათლანს სატრაბახოთ დალაგებული აზრები ჩაუშალა და გაჩუმდა.

—0—

მეოთხე დღეს, სიდედრ-სიმამრი ყათლანმა რუსთაველის თეატრში დაპატიჟა, მაგრამ მაკრინე და მათე დიდი წინააღმდეგი იყვენ თეატრში წასვლის.

— კაი ბატონო! რავა გეკადრებათ მაგ! როგორ არ წამობრძანდებით ახმეტელოვმა დიდი სასოებით მთხოვა: „თქვენმა სიდედრ-სიმამრმა დამავალოს და ჩემი—„რღვევა“ ნახოსო.

— არა, ჩემო სიძე! მადლობა მოახსენე ჩემ მაგივრათ და ბოდიშიც მომხადე დღეს უსათუოდ უნდა წავიდეთ, თუ არა სახლი ყირამალა გადაბრუნებული დაგვხდება; მაინც გული მაქვს სუსტი და მაგ რღვევის ყურებას ვერ ავიტან!...

— რაკი მასეა, ვერ შევაწუხებთ!—უთხრა სასიმამროს და გულში კი იცინოდა:—სადა მაქვს გახვრეტილი კაპიკი. თეატრში წასვლა კი არა, წელიწადი ისე გავა, რომ კინოშიაც ვერ წავალ ერთხელ!.

— ქალო! მოემზადე; აწი ქვა წასვლის დრო — მე მზათ ვარ! ოლონ ტიკჭორა და ხურჯინი დღესაც ბევრი ვეძიე და ვერ ვნახე.

— დარჩენილიყავით, ბატონო, დღეს! რა მოხდებოდა?

— არა, შვილო, მალე გინახულებთ მაინც, გეცოდინებათ ალბათ ოჯახის ამბავი უუფროსოთ რაფერ აირევა დაირევა. ამისთანეებში თქვენც იქნებით გამოცდილი.

— ვერ ნახე ის ძაღლებისაგან დასაგლეჯი? იმე! დაიკარგა აბა? რაღა უთხრა სტეფანეს! ჩემი მაინც ყოფილიყო ი ტიკჭორა და ხურჯინი!—სწუხდა მათე.

ბევრი ეძიეს ხურჯინი და ტიკჭორა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს სიძემ იცრუა და წინა დღით მოსულ მათხოვარს დააბრალა მათი დაკარგვა.

ნამდვილათ კი სიძემ ოთხმანეთათ მიჰყიდა ისინი ნაცნობ ვაჭარს ორი დღის წინ. ასე, რომ არ მოქცეულიყო რა უნდა ექნა? სადილი ხომ უნდოდა სტუმრებს! ჩამოტანილი სანოვაგე კი უკვე გამოლეული იყო. ამ სამწუხარო შემთხვევით ჩამოვარდნილი სიჩუმე დაარღვია კარებზე კაკუნმა:

— მობრძანდით!—იყო ყათლანის პასუხი და გაიღო კარები. გამოჩნდა მისი ამხანაგი ეპიფანე, იმავე დაწესებულებაში მოსამსახურე, სადაც თვითონ მსახურობს. სტუმარი თავაზიანათ მიესალმა ყველას. დაჯდა და ცოტა ხანს იბაასა მათე-მაკრინესთან. მხოლოდ მაშინ მიბრუნდა ყათლანისაკენ, როცა მგზავრები აივანზე გავიდნენ დაკარგულ ხურჯინ-ტიკჭორას საძებნელათ.

— ყათლან! ცუდი ამბავი უნდა გითხრა, მაგრამ იმედია მაგრათ შეხვდები და მოიქცევი ისე, როგორც საჭიროა! დაიწყო ჩურჩულით ამხანაგმა.

— რავა, კაცო, რაშია საქმე! რა ვქენი ამისთანა!

— რა ქენი და აგერ გეტყვი: შენ რომ გამგესთვის გითხოვია ბევრი სამუშაო მაქვს და სალამოს უნდა მოვიდეო, გამგეს ნება დაურთავს; შენ კი ნაცვლათ მუშაობისა, აგიწეწ-დაგიწეწია ყველაფერი, ქაღალდები დაკარგულა კაბინეტში, ჩიბუხი ქონია უჯრაში ალარც ის დახვედრია და რა ვიცი, თურმე რას არ გაბრალებს, ამის გამო მოუხსნიხარ სამსახურიდან და, მგონი პასუხისგებაშიაც გაძლევს.

— ნუ მასხრობ, თუ ძმახარ! მართალი ეგონება ჩემ სიდედრ-სიმამრს.

ეპიფანემ სიდედრ-სიმამრის ხსენებაზე, მიიხედა უკან და კარებთან სულგანაბული მოხუცებულები დაინახა.

— კი არ ვმასხრობ, ასეა, ძმაო, შენი საქმე. მე ეს ახლა გავიგე, თედორე გამგეობის წევრი რომ არის შემხვდა გზაში და იმან მითხრა: სხდომიდან მოდიოდა. გავიგე თუ არა, შენსკენ გამოვქანე და წინდაწინ გაგაგებიე თუ დაფაცურდები, შეიძლება დაგაბრუნოს.

— რავა, შენი ჭირიმე, ჩემ სიძეს ვინმე უფროსი გამგე ყავს თუ?

— დიახ, ბატონო!

— ეს მითხარი, რეგისტრატორზე უფროსია გამგე?

— დიახ, გახლავს!

— ჰაუ! დაილუპულვარ კაცი, არ გრცხვენია—მომატყუე ბიჭო? თმაში ხელწავლებული ესაყვედურებოდა მათე სიძეს.

სწორედ ამ დროს გაისმოდა კარებზე კაკუნი, კაკუნს არავინ აქცევდა ყურადღებას. ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა საქულამ თვითონ შეაღო კარები.

— რა გინდა შე ოჯახ დაქცეულო? მიახალა ყათლანმა საქულას.

— ოჯახ დაქცეულიცა ხარ და სიყმე ამოგდებულიც! რა მინდა და, შენ რომ ტიკჭორა მამყიდე, გახეული გამოდგა, ხურჯინი დაჩირჩილული; პაკალუსტა. მავტყუვდი, რადგან ზემო ეტაჟში ცოტა აწეული ვიყავი, ამისათვის პრაშენიას გაძლევ, ჩემი დენგი უკან დამიბრუნე, თორემ სათენიკს ვფიცავ, შენ ზურგზე პიონერსკი ბარაბანს დაუკრავ!—დაიღრიალა ლიპიანმა საქულამ და ხურჯინი და ტიკჭორა კარებთან დაყარა.

ყათლანი ნერწყვ-გამშრალი, გაქვავებულივით იდგა ერთ ადგილს და ხმას ველარ იღებდა.

— ეი, შენ! ყათლანმა მოგყიდა მაგენი?

— დიახ! კნიაზ-ჯან, მაგ ბემურაზმა, მაგანა!

— უი! დამიბრმავდეს თვალები, ჩემი სიძე ყოფილა ქურდი. და „რაზბონიკი“! უი, შენ მაკრინეს, რა ესმის ეს? რატომ არ დავყრუვდები! უი! უი! უი!

— ვაი რავა კილამ დამელუპა ოჯახი, კიდო კაი, რომ ამ მამაძაღლმა ვერ მოასწრო ჩემი გოგოს გაფუჭება!

— ტფი! ტფუიი! შენისთანა სიძეს, მიწა გოუსკდეს, ქვესკნელმა ჩეიტანოს!—ყვიროდა მაკრინე.

— დეიხურე გოგო შლაპკა! წამოეთრიე და დიეგდე სოფელში, ჩვენო ამომგდებო! რატომ არ დეინგრა ის დღე, რაცხა დღეს ჩვენ აქეთ გაქნევიეთ პირი!

— წამეეთრიეთქვა, შე კახპა!—დასჭყივლა მაკრინემ.—წამო გოგო! წამეეთრიე, ქენი, ბოშო, პირი სოფლისაკენ, თუ არა, წაგაგდებიე კისერი ესაა!!!....

—მამააააა! მე ვერ წამოვააააალ!—ზლუქუნებდა სონია. სონიას ენანებოდა ყათლანის დატოვება, მაგრამ გაანჩხლებულ მშობლებთან ვერა გააწყო რა და ძუნძულით მიმავალთ წუწუნით გაყვა უკან.

ოთახში კი ლაზათიანი ტყაპა-ტყუპი გაისმოდა.

შ. კახიძე.



წყლის საკითხი სიღნაღის მაზრის სოფლებში




ასეთი უნდა იყოს სამ-ჩერვონციანი ბამფ ლანგველის პროექტის მიხედვით.

## შარადა

„ხელისხელ საგოგმანები
ჩემი პირველი შარადა,
უნდა მივართვა „ტარტაროზს“
გასართობ - გასახადარა!

დავპირდი—რადა გზა არის
სიტყვის გატეხა ძნელია;
ჩემი შარადაც არ არის
საძნელო ასახსნელია.

პირველი სიტყვის მოძებნა
არ არის გასაჭირია,
ამა სიტყვისა რაობა
და აზრი არცა მცირეა.

მისი დამცველი პირნათლად
მართლაც, რომ დიდი გმირია,
ბევრი დაარღვევს, როდესაც
ადგება გასაჭირია.

აღარ ჩაავდებს არაფრად
რომ გაუფუჭდა პირია,
ამა სიტყვისგან ჩვენ მხოლოდ
სამი ანბანი გვჭირია.

მეორე სიტყვა სრულიად
ადვილი მოსაგონია,
მისი სახელი ამ ქვეყნად
რომელს არ გაუგონია.

მასზე სთესავენ პურს, სიმინდს,
მშრომელნი, ცეცხლში წრთობილი,
ყველაზე უფრო ჩვენს მხარეს
არის მეილანი — ცნობილი.

ეს სიტყვა მთელად გვჭირია
ვძებნოთ მესამეც კვალდა,
მეორესაც რომ ვიპოვით
მაშინ გამოვა შარადა.

მესამე სიტყვაც გვესტუმრა,
ვალად შარადის წესისა,
არს ჩვენი მშობელთაგანი
მხოლოდ მამრობით სქესისა.
პირველი ორი ანბანი
ცალად გადავდოთ ჩვენთვისა.

მეოთხე სიტყვა იქნება
სახელი ადამიანის,
პირველი სამი ანბანით
არის შარადა მთლიანი.

რა გამოვიდა, ბიჭოს, ახ,
სიტყვა ცეცხლებრივ გრძნეული,
დღესასწაული მშრომელთა
ყველაში გამორჩეული.

„შეერთდით პროლეტარებო“
ამ დღეს გაისმის ყველგანა,
და ირაზმება ბრძოლისთვის
მთელი მუშების ქვეყანა.

მსოფლიო ბურჟუაზიას
რომ დასჭკრან რკინის ლახტით.
გაანადგურონ, აღგაონ
მათი მონობის ტახტით!

ისარი.

## ილიტეს დედალი

### ქუთაისი საფიჩხია!

(კონსტანტინე კოკელიძის სახლის ბალკონი. თვით კონსტანტინე ფანჯრიდან გადაყურებს მის მამულს. მისი ცოლი იხმობს მეზობლის ქალებს: თებრონეს, ეფროსინეს, ელენას, ფაცუნას და ოლინკას. ოჯახის დედა-ქალს ილიტეს გამოაქვს ღვთიშობლის ხატი).

ქალები (ერთხმათ): —რათ გინდა, ქალო ეს ხატი? ბეჩა, ქმარი კომუნისტი არის შენი, და ეს არის? (იცინიან).

ილიტე: — თქვენი საქმე არ არის ეს; მე ჩემი გულის ტკივილი მაწუხებს, და ახლავე გეიგებთ საქმეს.

ქალები: — ბეჩა, ილიტე, გვითხარი რა ამბავია, თვარა ჩვენ შიშით აღარ ვართ.

ილიტე: (ხატს კალთაში ჩაისვენებს): — ქალებო, მე რომ თეთრი დედალი მყავდა, ახლა მოიწყო კვერცხი და ის დედალი მომპარეს.

ქალები: (სიტყვას აწყვეტინებს): —ილიტე, ჩვენ რა შავში ვართ შენ თუ კვერცხის მდებელი დედალი დაკარგე!? ჩვენ გამოვედით თქვენი დედლის ქურდები!?

ილიტე: — ქალებო, თქვენ რომ გულისობთ, რას გულისობთ?! თქვენ თუ არ მოგიპარავთ, ამ ღვთისშობლის ხატზე უნდა დაიფიცოთ ყველამ.

ქალები: — ილიტე, სახლში მაინც შევიდეთ, გარეთ სირცხვილი არის ვინმე შეგვხედავს, და იქ დავიფიცებთ, მარა ამ ხატს რომ ძალა არა აქვს, თქვანმა ქმარმა ვერ აგიხსნათ?

ილიტე: — რა გინდა, ქალებო სახლში! რომ გამახსენდება ჩემი კვერცხის მდებელი დედლის კაკანი, სიცოცხლეს ვკარგავ. დედლები სხვაც კი მყავს, მარა იმ დედალივით არც ერთი არ მიყვარს. იყო ფერათ თეთრი, უნიშნო და კვერცხის მდებელი; მარა მის კვერცხს ბატის კვერცხში ვერ გამოიცნობ. ახლა აგერ მაქვს ღვთიშობლის ხატი (კოცნის). დეილოცა ამის სახელი, მე ამით ვცხოვრობ და თუ გამოვტეხე, ვინმე შიშით, ხომ კარგი, თვარა და რა ვქნა!

**ქალები:** — ჰეჩა, ილიტე, ჩვენ დავიფიცებთ, მაგრამ სირცხვილი თქვენი, რომ ჩვენ დედლის ქურდები გამოგვიყვანე.

**ილიტე:** — თქვენ არ გაბრალით მარტო, მეზობლის ქალებს ყველას უნდა მივალებიო ფიცი იმ დედლის შესახებ.

**ქალები:** — დაგეაფიცე რალას უყურებ; ზოგს სადილი გვაქვს გასაკეთებელი, ზოგს ბავში გეიტირის და სხვა; მარა თქვენი ქმარის გვცხვენია აქანე.

**ილიტე:** — არა უშავს, ჩემი ქმარი უფრო გამწარებული არის იმ დედლის დაკარგვით.

**ქალები:** — მივიღოთ ფიცი, ისთე არ ჯერავს და რა ვქნათ, მარა ჩვენმა ქმრებმა რომ გაიგონ ჩვენ რომ ხატებზე დაგვაფიცეთ, რაღა ვქნათ?

**ილიტე.** — არა უშავს, დავიწყოთ.

**ქალები:** — დავიწყოთ ბარემ.

**ილიტე:** — აბა რაც ვსთქვა მე, ის თქვენც გაიმეორეთ და ხელი მოჰკიდეთ ხატს.. (ილიტე იწყებს:)

თუ ჩვენ რაიმე ეიცოდეთ.

**ქალები:** — თუ ჩვენ რაიმე ვიცოდეთ.

**ილიტე:** — ილიტეს თეთრი დედლის შესახებ.

**ქალები:** — ილიტეს თეთრი დედლის შესახებ.

**ილიტე:** — რომელიც დიდ კვერცხს დებდა.

**ქალები:** — რომელიც დიდ კვერცხს დებდა.

**ილიტე:** — ვინ მოიპარა და სად გაქრა.

**ქალები:** — ვინ მოიპარა და სად გაქრა.

**ილიტე:** — ამ ღვთიშობლის ძალმადლმა.

**ქალები:** — ამ ღვთიშობლის ძალმადლმა.

**ილიტე:** — გამოგვაჩხას თეთრი ბუმბული.

**ქალები:** — გამოგვაჩხას თეთრი ბუმბული...

**ილიტე:** — ახლა სათითაოდ აკოცეთ ხატს და თავისუფალი იქნებით.

(ქალები კოცნიან ხატს და ემზადებიან წამოსასვლელად).

ეაი, ჩემო დედალო!

როცა გინდოდა ჩემი პატივის ცემის გადახდა იმ დროს მომპარეს შენი თავი. მარა შენს სიარულს ეზოში, მე არასოდეს არ დავივიწყებ; რომ გამოხვიდოდი ბრძენ პატარძალივით და ყოველ დილით ბატის კვერცხის ოდენა კვერცხს დამიდებდი.

**ქალები:** — შექალო, რა იყო ეს დედალი, რომ თქვენ ასთე გულდამწვარი ხართ?

**ილიტე:** — არავის გამოგიცდიათ თეთრი დედლის დაკარგვა და მისთვის ლაპარაკობთ.

**ქალები:** — მშვიდობით, ილიტე! (მიდიან).

**ილიტე:** — ღვთიშობლის ხატო, ოხ, შენ გამოაჩხი ჩემი თეთრი დედლის ბუმბული, ვინც მე, ის მომპარა! (დგება ზევით და მიასვენებს ხატს შკაფში).

**საფირჩხიელი.**

# წერილი მამას

**საყვარელო მამა!**

პირველათ მოგიკითხავ და გისურვებ კარგად ყოფნას პირზე კოცნით. მომიკითხე მაქეთ ჩვენი მეზობლები ხელის ჩამორთმევით.

სხვა მე რაცაც იქნა მეღირსა მელიციონის ალაგი. დღეს მივიღე აბმუნდიროვკა და პოსტი. ჩემი დახეული ტანისამოსი და დაჩინჩული ბაშლაყი დვორნიკს ვაჩუქე. რომელიც ჩემ თანაშემწეთაა დანიშნული და მე მყარაულობს დიდი ტუკით ხელში, რომ აბიდა არავინ მაჭამოს.

ლივერი მკიდია ჩემ სიგრძე. (დედას ვუტირეფ ჩვენს მტრებს, გულზე დავხეთქავ!) მართალია ლივერი არ ვარდება, მარტო შესაშინებლათ მაქვს და შიგ ხალოსტოი პატრონები მიწყვია შესახედავად, მარა მაინც ვინც დეინახავს, გაუსკდება გული. გულზე ბარე ორი მენდალი მკიდია; რაცაც მიმიღენ სამსახურში მაშინვე მომცენ. ერთი სიტყვით პრაპორჩიკიეით ვარ გამოწყობილი.

ქუჩაში ყველაზე უმფროსი მე ვარ. რაც მედროგეები, მეფაიტონეები, მეტარკეები და ავტომობილები, ყველას მე ვაძლევ პარიადკას. სითაც მინდა იქით შევაბრუნეფ. კონკას ერთი ხელის დაქნევით ვაჩერეფ. ხმა რომ არ ჩამიწყდეს ყვირილით და დაძახებით, წინ მაშინა მიდგას, სემაფორი, ქვია; რავაც კი მოატრუალეც საქართველო. რავაც კი მოატრუალეფ, იმინუჩი გაჩერდება სუყოლიფერი.

პაპიროზის მოწევაც რომ ვინმეს უნდოდეს იგიც კი მე მეკითხება. უჩემოთ ვერაფერს გააგდებს კაცი ქუჩაში, იქვე დავშტრაფავ. ჩხუბი თუ შეიქნა სადმე, მაშინათვე მე დამიძახებენ. მოჩხუბრების სუდია მე ვარ; ადგილზე ვასამართლებ ყველას. ერთი სიტყვით ყველაფერის უმფროსი მე ვარ: რასაკვირველია, დამჭირავი, დამშტრაფავი, სუდია და რა ვიცი კიდევ რა...

დიდი პატივისცემაც მაქვს სამაგიეროთ მიკიტნები სულ უესტს მიკეთებენ და როგორც კი შევალ სამიკიტნოში, პატიეისცემა არ მაკლია. რომ უფრო მეტი შეხედულება მექნეს და ყველას უფრო შევეშინდეს, ულაშები მოუშვი და გარევისკიპაჭე, გალიცინის ეგავარ, ერთი სიტყვით რომ შემხედო!

მეკურტნე ქურთები რომ დამინახავენ, შიშისაგან აღარ არიან და აქეთ იქით გარბიან.

მართალია ხანდისხან ქე მიმბრეგვაეენ ქუჩაში აეარები, მარა რომ დოუფშუტუნებ ჩემს შუშტოკს ყველა, ყველა გარბის და მე გამარჯვებული გამოვდივარ. ერთი სიტყვით რაღა ბევრი გავაგრძელო, დიდი კაცი ვარ. ცოტა სიმონის კი მეშინია, მარა ნიჩავო! იგიც კაი კაცია; თუ დაძინებული არ გენახა პოსტზე, ისე არაფერს გვეტყვის გლახას, ასე მევეწყვე მაშინემო.

მართალია ხანდახან ქუჩაში ფაიტონის დიშლა მომხვდება ზურგში, მარა სამაგიეროთ იზვოშიკს რომ დევიჭირავ, კომისარიატამდე მისივე ფაიტონით მივბრიხინდები და ტკივილი გამივლის გზაში.

სხვა მოიკითხე მარუსია ხელის ჩამორთმევით და უთხარი, რომ ახლა მაინც არ წამომყვები, ახლა კიდო დამიწუნებ - თქვა?.. მარა აწი მგონია მაგან შემეხვეწოს აქით! მეტი რა მოგწერო. მალე კარტიჩქასაც გამოგიგზავნი ჩემსას და დამერწმუნე, ვერც კი იცნობ შენს შვილს კოწიას!

შენი შვილი კოწო ბრიგაძე.

**ბალაჯან.**

# მარან-ჯუგუნაყათი

(სენაკის მაზრა).

ტარტაროზ, მინდა მოგწერო
ამბავი დასაჯერია;
ბევრი გვყავს გასაროზგავი
და ბევრიც დასასჯელია.

კოოპერატივის ნოქრადა
გვყავდა მიხაკო ქებული;
საქმესა აწარმოებდა,
„შრომობდა თავდადებული“.

მაგრამ ეის შერჩა ბოლომდე
ცხოვრება მეტად ტკბილია?!
მოეიდა რევიზია და
მას გაუსინჯა კბილია.

გაჰკრეს, გამოჰკრეს „ჩოთქზედა“,
შრომა არ დაუშურიათ;
აღმოჩნდა მიხოსაგანა
ფულები გაფლანგულია.

მიხომ იკადრა მიმალვა,—
მაგრამ „გასკანჩეს“ ჩქარაო,
ჰკითხეს:—მიხოჯან ფულები
ნეტაე სად გაიპარაო?

მიხო აბლაელდა. საწყალი,
ცრემლი მოადგა თვალსაო;
ამბობს: — ნუ მიმცემთ ციხეში,
და გადაეიხდი ვალსაო.

„მუცელმა ამიყოლია
და შემიყვარდა ფულიო,
თუმცალა მოზრდილი თანხა
დამირჩა გაფლანგულიო“,

და შეიბრალეს მიხოი,
აღმოჩნდენ ნათლი-მამები,
ციხეში წაბრძანების წილ
დააყაჰვიეს „ფარები“,

ასე გადარჩა მიხაკო
„კომპერატივის“ ნოქარი,
თუმცა მას ეკადრებოდა
პასუხისგება სხვაგვარი.

**მარნელი.**

# ჭკუის სწავლება

გლეხი მარხვას ვერ გასტეხდა
—საიქიოს წავწყდებით,
მარხვაში რომ ხორცი ვჭამო,
სამოთხის გზას ავცდებით.
თვით კი გოჭებს მიირთმევდა
დიდ ხუთშაბათს არქიელი,
მოუსწორებლით, გეტყოდა რომ—
სწყალობს მიქელ - გაბრიელი:
— შვილო, როცა გოჭის ნაჭერს
ვილებ ხოლმე ცოდვილ პირში,—
მყის ლოცვით შეიცვლება.
ღმერთი მწყალობს გასაჭირში.
თქვენც ილოცეთ გულმოდგინეთ,
მეტანია ჰქენით ხშირი,
რომ ძემ ხვთისამ კვლავ აკურთხოს
ეს ცოდვილი ჩემი პირი.—

—:—

როცა მშრომელს გასაჭირი
ადგებოდა ხოლმე კარზე,—
სასოებით უთითებდა
მღვდელი იმას ხატზე, ჯვარზე,—
და ეტყოდა:—შვილო ჩემო.
ღმერთს შესთხოვე, შეჰღაღადე;
ილოცე და ღვთის წყალობას
მოთმინებით დაუცადე.
გიჭირს რამე.. დღეს სოფლის გზირს
მისცე უნდა „დრამის ფული"...
ღმერთი მოგცემს, შვილო ჩემო,
არ გაგიტყდეს მასზე გული.

—:—

ერთხელ, ერთ გლეხს კარს მიადგა
ფვასში და სთხოვა ვალი,
იმ წელიწადს მეტის-მეტად
ცუდი იყო მოსავალი
გლეხს არ ჰქონდა არა მარტო
სარჩო რამ ვალის ხვედრი.—
ცოლშვილისთვის სარჩო პურიც
სხვისთვის ჰქონდა შესავედრი.
მღვდელს მოუყვა თავის დარდი,
მას აუწყა თავის სევდა.
(მღვდელი იწვა ქადრის ქვეშ და
არხეინად თუთუნს სწევდა).

—:—

— ჰე მამაო,—უთხრა გლეხმა.—
ლამის არის მაღრჩობს ვალი:
ცოლშვილისთვის სარჩო არ მაქვს,
შავათ მოსჩანს მომავალი.
რა ვქნა, როგორ გავისარჯო,
მომეც რჩევა, მითხარ რამე;
იქნებ ფულიც მომაშველო,
ფიქრმა მომკლა დღე და ღამე.

—:—

— შვილო,—მღვდელმა უპასუხა,—
მოევლება საქმეს ყველას:
წა საყდარში და ილოცე,
ღმერთი მოგცემს დარდში შველას.

—:—

წამოვიდა წამსვე გლეხი,
მიაკითხა დილით საყდარს;
საღამომდის მუხლზე დგომამ
დაამსგავსა ავად გამხდარს.
მეორე დღეს კვლავ მოვიდა,
ლოცვა იწყო კვლავ მხურვალე;
ღაღადებდა: — ღმერთო, ღმერთო.
დამეხმარე, მიშველე...
მესამე დღეს, მეოთხესაც.
დილით ადრე მიდის გლეხი,
და მთელი დღე მუხლებზე დგას,
არ გამართა ერთხელაც ფეხი.
მეხუთე დღეს რომ მივიდა,—
გაუჯავრდა დიაკვანი:
—შენ, ყაზახო! საქმე არ გაქვს,
რომ გაცვითე მუხლით ქვანი?!
თუ გგონია, მეც შენსავით
უსაქმო ვარ, უდარდელი!
საყდარს მუდამ მაღებინებ,
გროშის არ ხარ გადამხდელი.

—:—

— რა ვქნა,—გლეხმა უპასუხა,—
ასე მირჩევს ჩვენი მღვდელი:
ღმერთს სთხოვეო დახმარება,
თუ გსურს აგცდეს განსაცდელი;
მოთმინებით ილოცეო...
მეც ვლოცულობ, ვსთხოვ და ველი,
იქნებ ღმერთმა მომცეს რამე,
მომაცილოს დარდი მწველი.

—:—

ჩაიცინა დიაკვანმა,
(გლეხს არ უთხრა არაფერი);
თავისთვის კი გაიფიქრა,
— რა ბევრი ჰყავს უფალს მტერი.
გლეხს თუ რამე არ უხერხე,
აღარ მომცემს მოსვენებას,
გლეხმა ღმერთი შეაწუხოს,
როგორ მივსცემ ამის ნებას.
ღამით, როცა სახლისაკენ
გზას გაუდგა ჩვენი გლეხი,—
დიაკონმა მოათრია
კალათი და ხერხ-სატეხი.
საყდრის ჭერში გამობურღა
მან პატარა რგვალი ხვრელი,
ხვრელში თოკი გაუყარა
მაგარი და თანაც გრძელი
თოკი ღვირეს გადმოავლო,
საკურთხეველს გაიტანა,
გამოაბა კალათს ბოლო
და ჭერის ქვეშ აიტანა...
როცა დილით მეორე დღეს
კვლავ მოადგა გლეხი საყდარს,
გაუკვირდა: ხედავს იგი
ღიათ საყდრის ყველა სამ კარს.
შედის, დიდი მოკრძალებით
დაეცემა მუხლზე ხატთან,
ფიქრობს:..ალბათ თუ მივიდა
ჩემი ლოცვა მაცხოვართან.
საღამომდე ერთგულ ლოცვით
გადაასკდა ოფლის ღვარი
საღამოს კი, რომ მიბნელდა,
ზეცით ესმა ხმა მქუხარი:

—:—

— ვლაპარაკობ ანგელოზი
ღვთისგან შენთან მოგზავნილი,
ღმერთთან უნდა წამოხვიდე
კაცი სათნო და კეთილი;
[illegible] გასცა ბრძანება და
საიქიოს გადასახლდა:
ჰა, კალათი, შიგ ჩაჯექი
და აგიყვან ცოცხლად მაღლა.
და კალათი ჩამოუშვა
[illegible] გლეხის წინა.
აცახცახდა ჩვენი გლეხი,
ტანში შიშმა გაურბინა.
კალათა:—ცოდვილს რომ მიმათრევს,
ისიც ცოცხალს, მაღლა ცაზე,—
თუ სიკეთე გინდა მიყო,
დამეხმარე აქ, მიწაზე...
ხმა მოესმა კვლავ „ზეციდან",
— ჩაჯექ, ჩაჯექ, ნუ ხარ ურჩი.
ღმერთს მადლობა შესწირე, რომ
ქვეყნის ცოდვას გადაურჩი.
რაღა ექნა, აცახცახდა
საცოდავი გლეხი შიშით,
მაგრამ ჩაჯდა კალათაში
თავში ცემით, ვაი-ვიშით.
ჩაჯდა გლეხი და კალათიც
[illegible] ნელა-ნელა,
(გლეხს გონია ღმერთთან მიდის
თოკს ვერ ხედავს, რადგან ბნელა).
როცა „წმინდა" ის კალათი,
საყდრის ჭერზე მიებჯინა.—
მოსწყდა თოკი და კალათმაც
ძირს ბრაგვანი მოადინა.

—:—

ძლივს - ძლივობით ადგა გლეხი,
ცისკენ მუშტი მოიღერა,
შეურაცხყო ყველა წმინდანს,
და ქრისტე - ღმერთს შეუყვირა:
ხომ გითხარი, თქვე პირშავო,
რომ მე [illegible] არ ვიყავი,
თქვენ რომ რამე შეგძლებიათ,
ისე შერცხვეს თქვენი თავი.

ხოზიკა.

# წერილი „ტარტაროზს"

(ზუგდიდიდან)

ერთი ჩამოდი ზუგდიდში,
და მოიხადე ეს ვალი,
თან წამოიღე იცოდე
შენი სამწვერი ჩანგალი.
მოგზაურობა მერწმუნე
არ დაგიჯდება ძვირია.
შენი ჩამოსვლა ჩანგალით
მოუთმენელად გვჭირია.
ზუგდიდის იქით ვერ წახვალ
სოფლების სანახავადა,
სურვილი გამგზავრებისა
ცრუვდება თავისთავადა.
ეს გზა კი მნახველს ჰგონია
მდინარის კალაპოტია.
ორმოებია საშიში
ზედ ნავით მიდი-მოდიან.
თუ ჯვარში გინდა წახვიდე,
ეს წესრიგიდან მოხსენი,
იგი გზაც შეპყრობილია,
რომ მოგახსენეთ იმ სენით.
როდის ჩამოხვალ არ ვიცი,
წარმოვიდგინო ეს განა?!
გაჩვენო აბასთუმანის,
სპირტის სახელი ქარხანა!..
ქარხანა ნახვის ღირსია
ამას არ უნდა ხომ ფიცი,
მაგრამ, რომელ გზით წავიდეთ,
მართალი გითხრათ არ ვიცი.
გზები არ ვარგა ამ მხარეს,
სოფლებში გავლა ძნელია,
ალმასკომი აქ რას ფიქრობს,
ჩემთვის ეს აუხსნელია.
ამიტომ ძმაო, ტარტაროზ,
გთხოვ გასცე მკაცრი ბრძანება,—
მყის გააკეთონ ეს გზები
ნუ არის დაგვიანება!.

პარდონ.

# ჩვენი ფოსტა

წითელ ხიშტს. (საჩხერე). აქ ბევრი კარგი სარითმო სიტყვებია, რომლებიდანაც ხეირიანი ლექსის დაწერა შეიძლებოდა; მაგ. აი ასე:

ჩვენი კოოპერატივი,
გააცურეს ვით ტივი,
ან კიდევ:
გაიცანით ირაკლი
და სიმონი კუჭია.
სახაზინო ფულებით
გამოიძღეს კუჭია.
არ დატოვეს ფულები
კასაში თუ დახლშია.
მაგრამ ეხლა კი სხედან...
ორივე გამსახლშია.

საიმედო ალაგას ყოფილან და აღარ არის საჭირო ტარტაროზის ჩამოსვლა.

ვლ. ტევრელს, (ზესტაფონი). თქვენს წერილს „პურ-მარილობა“-ს მარილი აკლია. მართლაც ცუდი კოოპერატივი ყოფილა თქვენი კოოპერატივი, რომ მასზე სწერთ და წერილისათვის მარილი ვერ გაიმეტა.

შალვა შუშიაშვილს. ასე იწყება თქვენი „მერონგური“, (ალბათ თქვენაც გახსოვს):

დამყარდა სოციალიზმი,
გათენდა სულ სხვა დილაო,
შემოანათა ბნელ მხარეს,
ოდელა—დელა—დელაო.

ტყუილი იმედი გაქვთ სოციალიზმის; ასეთი ლექსი არც მაშინ არ დაიბეჭდება.

ესკესაშვილს. (ბათომი). ეს არ არის სატარტაროზო მასალა. ასეთ მოვლენებზე არ იწერება იუმორისტული წერილი. მოგვაწოდეთ სხვა რამე.

ვანათელს. (ჭიათურა). აბა რას ეტყვით, თუკი:

ძაღლთა ომში და ბრძოლაში
ყოჩაღი გვყავს სანიტარი.
ყველაფერით ებრძვის ძაღლებს
პირია თუ დანის ტარი.
ვერას გახდა, დაქანცულმა
ჩამოჰკიდა კედელს ხამლი,
მაგრამ მაინც კონკურსებში
გულს დაჰკიდეს მას მედალი.
ძაღლები კი საყასბოში
სჭამენ, ჰყეფენ გამაძღარი...
სანიტარო, საბრძოლველად
ჩემბერლენსა სთხოვე ჯარი...

ტყუილი იმედი გაქვთ ჩემბერლენისა. ნუ თუ არ იცით, რომ „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს“!

„ბლაგუშს“. ტარტაროზს აქებთ, რომ:

ზოგისთვის კი ხარ ტკბილია,
როგორც „მომპასე“ შაქარი;
ზოგისთვის შენ ხარ მწარეა,
როგორც წითელი „პიმპილა“(!)

ამ უკანასკნელ ჯგუფს მიგაკუთვნა თქვენ ტარტაროზმა.

ფსევდონიმი კი მართლაც შესაფერისი გამოგინახავთ.

პატარა გურულს. მასალები უფრო დაამუშავეთ და დასწერეთ გარკვეული ხელით. სტრიქონების ერთმანეთზე დაშორებით. ამ მიზეზის გამო არ წავიდა თქვენი უწინდელი წერილები.

წრუმწუპს. თქვენს „მარცხს“ მარცხი შეემთხვა: როცა თქვენ „თავი სცენაზე გგონებიათ და დედაბრისათვის მოგიხვევიათ ხელები“, იგი (თქვენი წერილი) გოდორში გადავარდნილა.

„რომანისტს“. ტარტაროზკოობა არ შეგიძლიათ. სინჯეთ რომანის წერა; ეგებ იმაში გამოდგეთ.

უკუდო ეშმაკს. (ამაშუკეთი). აბა მოიგონეთ ერთი ადგილი თქვენს ლექსიდან:

კოოპერატივში შემძვრალა,
ძველათ ყოფილა ვაჭარი.
საქმისთვის თავს არ იწუხებს,
თუ ღვინო ექნა მაჭარი.

რა დროს მაჭარია ეხლა?.. მაგრამ რითმას თვეების შეცვლაც კი შეუძლია!

ცხრათვალას. (ხუნჯულორი, კულაშის თემი). ოძლებ ბანძავაძეების შესახებ გვწერთ, რომ:

ისინი ერთმანეთს ეჩხუბებიან, რითაც აკლებული ჰყავთ მთელი მეზობლობა. დილით რომელი მათგანიც მოასწრებს ადრე ადგომას, გაიხდის წელს ქვევით ტანზე, აჩვენებს შიშველი ტანის უკანა ნაწილს, რომელზედაც ხელს იცემს და ასეთი სიტყვებით აბრაზებს მეორე ოძალს: — ხომ ხედავ შენი დარდისაგან აი ეს გამისუქდაო...

და გთხოვთ ამ სურათის დახატვას... არა გვგონია, რომ ჩვენი მკითხველები ყველა თქვენსავით „ესტეტი“ იყოს, რომ თქვენსავით დასტკბეს ამ სანახაობით!

„პატიოსან მოქალაქეს“. ასე იწყებთ წერილს:

როცა წავიკითხე „მოწოდება ყველა პატიოსან მოქალაქეებისადმი უპატრონო ბავშთა ხამდლიურის“ შესახებ, მე ძალიან დავღონდი, რომ ფული არ მქონდა მომეხადა ჩემი ვალიც მე შემრცხვა...

თქვენ რატომ უნდა შეგრცხვეს?! ალბათ ვერ გაერკვიეთ მოწოდებაში; იგი თქვენ არ შეგეხებათ და თქვენდამი არ არის მიმართული: ასე რომ შეგიძლიათ სინდისი დაიმშვიდოთ.

„პრეტენდენტს“. ჰონორარის თხოულობთ სტრიქონზე ათ მაურს ამ ლექსის დაბეჭდვაში:

და მე გავიგე, რომ ქვეყანაზე
ყველა მოკვდება ადრე თუ გვიან,—
მაგრამ დარჩება სამარადისოთ
ჩემი ლექსები და ჩემი მუზა...

ჩვენ კი ამ ოთხი სტრიქონის დაუბეჭდავისათვის თქვენგან ვითხოულობთ ოთხ მანეთს — (სტრიქონზე მანეთს).

წიგნობარს. შეცდომაში გინდათ შეგვიყვანოთ:

დამიბეჭდეთ თქვენ ეს ლექსი,
და თუ კი მწამს მამა ღმერთი
გამოვიწერ ჟურნალ-გაზეთს,
მოუმატეთ ტირაჟს ერთი...

მაგრამ ვერ მოგვატყუილებთ; თქვენ ანკესზე არ წამოვეგებით:

„ოლიმპიელს“. ვერც ჩვენ ვერაფერი გავიგეთ თქვენს ლექსში:

ისე დიდი ვარ და ბუმბერაზი;
რომ ვერ გამიგო ჩემ საუკუნემ,
მიტომ მესე საუკუნეხა
ბრაზით კარებზე დაუკაკუნე.

ფრთხილათ იყავით! ეგებ ისეთი პანღური ამოგკრას მასპინძელმა (მესე საუკუნემ) უდროო დროს კარებზე დაკაკუნებისათვის, რომ ჩვენს საუკუნეში კი არა, პირველ საუკუნის წყვდიადში გადაგისროლოს.

ცეცხლოვანს. (საჯევახო). რატომ გიკვირთ?:

სამკითხველოში შევედი, —
რას ხედავს ჩემი თვალები?;
სიყვარულს აკრიტიკებენ
გამგე და ვიღაც ქალები!
სიყვარული სულ სხვა არის.
არ სიძვისა დასადარი
ის ყოველთვის საჭიროა
დარი იყოს თუ ავდარი.
სრული ჭეშმარიტებაა!

# რატომ ხდება ეს ასე?

ამ ბოლო ხანებში ტრამვაიზე გახშირებულ კატასტროფების მიზეზი, როგორც ტარტაროზმა გამოიკვლია, ყოფილა შემდეგი:

ის მოქალაქეები, რომლებიც არ იწერენ გაზ. „მუშა“-სა და მის დამატება ჟურ. „ტარტაროზს“, ძრიან მოწყენილები, მათი აზრი და გონება მიჯაჭვულია უიმედობისა და სასოწარკვეთილების ცივ სივრცეში სადღაც კლდეზე, — და ამიტომ ისინი ქუჩაში ყურადღებას ვერ აქცევენ მოძრაობას.

აი ეს კაცი, რომელიც ტრამვაიმ გაიტანა, არ იწერდა და არ კითხულობდა „ტარტაროზს“... ამიტომ იგი უიმედო ფიქრებს შეეპყრო და ამ ფიქრებში ვერ შეემჩნია ტრამვაის რონოდა. საწყალი... მას რომ გამოეწერა და ეკითხა ჩვენი ჟურნალი, ეს უბედურება თავზე არ დაატყდებოდა.



ჩვენი გულწრფელი რჩევაა: რათა თავიდან აიცილოთ ამ უბედურ კაცის ხვედრი, გამოიწერეთ და იკითხეთ „ტარტაროზი“.


## მაისისათვის ხელისმოწერა უკვე დაწყებულია

გაზ. „მუშა“ და ჟურ. „ტარტაროზი“ თვეში ორივე ღირს ოთხი აბაზი. (80 კაპ.),

თბილისში ხელისმოწერა მიიღება მთავარ კანტორაში: ჯორჯიაშვილის ქ. № 6,

პროვინციებში: მთავარ კანტორის განყოფილებებში და რწმუნებულებთან.


## სიზმრების ახსნა (საჯევახოსათვის)

ბ. ჟღენტი ნახო სიზმარში, ცუდია: ვისმესთან ჩხუბი მოგივა, ან სადმე წასვლას თუ აპირებ, ბილეთის აღებას ვერ მოესწრები, (რადგანაც სალაროს გასაღები ბიჭტორს აქვს და ის კი საქეიფოთ თამარასთან წავიდოდა).

სამკითხველოს გამგე ნახო სიზმარში—იმ კვირაში გაზეთს ვერ წაიკითხავ (რადგანაც ერთი დღე თუ სადმე საქმეზე გაგზავნეს, ერთ კვირას დეზერტირობს).

ა. ნიკოლაიშვილი ნახო სიზმარში—ქეიფს ელოდე.

გ. გეგიძე ნახო სიზმარში —თუ დაზღვეული ხარ, აფთიაქიდან წამალს ვერ მიიღებ. (თუ არა, ხომ გაგაძრობ ტყავი!).

ვ. მსხილაძე ნახო სიზმარში—საჯევახოს ეპოს დეფიციტი მოელის.

ი. კიწმარიშვილი ნახო სიზმარში—კარგია; უკვდავი იქნება შენი სახელი ისტორიაში, (რადგან მისი აღმასკომის თავმჯდომარეთ ყოფნის დროს რაც გააკეთა ყველაფერს მისი სახელი დააწერა).

„პირცეცხლი“.

# კულაკის ნატვრა



ნეტავი მეღირსებოდეს
მოხიბვლა ერთხელ შენიო,
აკვანში ჩაგორებულსა
გასვა ნუნუას წვენიო.
რომ ჩემი საქმე აქეთო
მოვიგო შენი გულიო,
ჩემს მხარეს გადმოგიბირო
„გლეხი ვარ დაჩაგრულიო".

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 18

კვირა. 6 მაისი 1928 წ. № 51 წლიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი



მღვდელი-კულაკ-ჩარჩ-ბიუროკრატი
ჰა, ესენია ჩემი „მუზები".
თავის ბაცილებს ყველგან სთესავენ,
როგორც მკბენართა მავნე ბუზები.

მაგრამ არც ერთი ამათთაგანი
ვერ გაექცევა ჩემს კალმის წვერსა;
ზოგი მათგანი თავს ახლის კედელს
ზოგი დაიგლეჯს ულვაშ-წვერსა.

# შეტევა




## პოეზია და პროზა, როგორც ასეთი

(დისკუსია ჩემ თავთან)

დღევანდელი ეპოქა ხასიათდება საქციელით და მოქმედებით. ფაქტი—ფაქტოლოგია.

— არა, ჩვენში კრიტიკა არ არსებობს. მაშასადამე, სწერე რაც გინდა, სულ ერთია მაინც არავინ დააფასებს. მე კი არ ვამტკიცებ ამას... ამტკიცებს ნიკო მიწიშვილი. ისევ ეს. უკრიტიკობამ გამოიწვია გრძელი პოემების გამრავლება.

— მაშინ რატომ სწერს, შენ ჩემო თავო ძვირფასო, ისევე მიწიშვილი:

„ვერ მოვიცალე, სულ არა მაქვს დრო მოსვენების;
რა ქნა მთავრობამ გამიჩინა ისეთი საქმე.
კრიტიკოსებო, აბა სად ხართ, გვითხარით რამე“.

მართლაც (უკვე ჩავფიქრდი) ვისა სცალია ახლა საწერათ, ან საკითხავათ, ან კრიტიკოსათვის?

რას ამბობენ თვით პოეტები?

ს. შანშიაშვილი სწერს:

„მუდამ ეპოქის ცხრაველი ჯუბოებს
მეც მეკუთვნით გადავიქეცი.
ახ, ღმერთო ჩემო, ამდენი ხანი
რატომ ჯობეთში არ გავიქეცი“.

პროლეტ პოეზიის კალამი მარტო პროზას აქვთებს და სწერს „ფულიან ზარათს“. ეს ალბათ მუზამ შთააგონა მას, როდესაც გონორარს მოელოდა.

პაოლო იაშვილი მართალია პროზისათვის არ იკლავს თავს, მაგრამ ლექსის წერა რომ ლამაზათ იცის ამას ელენე დარიანიც ამოწმებს. იცით რას სწერს იგი ერთ ლექსში?

„რაღაც სითბოა გამჯდარი ტანში
და სიხარული ამიტანს რაღაც“.

ამ ლექსის შინაარსს ყველა გაიგებს. აქ ლაპარაკია მიძღვნილი ლექსით გამოწვეულ კმაყოფილებაზე და... მაგრამ, აი ტ. ტაბიძის სტრიქონებიც:

„მაშ გამარჯობა ტკბილო სიცოცხლევ,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი“.

პესიმიზმის ამ პოეტს არაფერი სცხია, მაგრამ ოპტიმიზმიც კაი საქმეა, მაშინ, როცა მოლარეები ბუზების სათვალავად არიან განწყობილნი.

„წრეულს ვყიდულობ შუშას ფუთობით
და მყოფნის სითბო ერთი მანეთის“.

ეს სტრიქონები ვ. გაფრინდაშვილისაა და მოდი ეხლა (ვლელდები მგონი) ილაპარაკე კაცმა პროდუქციაზე.

სადა ხართ დანარჩენები? დაგვავიწყდა კორინას თავგადასავალი. შე კაცო კოწია, ჭვე უნდა დაგეწერა—ჭა ამდენი ხანი ერთი ორიოდე ლექსი.

ცეცხლაძევ, რა გაქვს სასაყვედურო? ჰაერს ხომ ჰყლაპავ? იცოდე სადაცაა მოეწონები ხალხს.

ბოლოს ფუტურიზმზე: „ტეხნიურება და მეცნიკა“ ხარჯთაღრიცხვების პარაგრაფებით ჩამომხჩვალ ფურცელსა ჰგავს, ვინაიდან ზოზმანი და ზოზიალი კაშკაშა კულტურის, რომელსაც ლიკვიდაცია ელის ცამდიარებით მოლოშილ თავსაფრების კიდურებისაგან. ქალებმა ენერგიული ჩუმარდობის მიზეზით კომარდობა დაიწყეს და გამოიწვიეს კოსმეტიური მეცნიკის ყანჩაურობა და კურდღლობაცია ევროპიული სავნების განივთების ცოცვით. ცოცვა გასაგებია ისტიზარისთვისაც: ცოცავენ ნივთები, ლექსები, მატარებლები, პერსპექტიული გეგმები და ბუხჰალტერია.

პოეტი უნდა იდგეს სარივით და თვალყურს ადევნებდეს საბუთების სისწორეს. მთავარია ორდერი და შემოსავლის ნომერი, რომლითაც დაფარულია ბევრი მელოტი თავი. ჩვენ ბრძოლაში ვიწვევთ ექსპლოატაციაში გატარებულ ხარჯს და ტარიფებს. იყოს მარად უჩინარი ყაზბეგი და იალბუზი, რომელთაც ამორიდებათ ჩიტის ფრთას, ჩვენი ლექსები, ფელამუში და მწვანილის ყროლაბუნობა“ (ფუტურისტული ნაწარმოებიდან).

დ—ო.



პოეტი: — ტიალ მინდორზე ვერაფერს ვხედავ...
მაღლა კი მოჩანს ჯვრის მონასტერი"...
ტარტაროზი: — ნუ თუ ვერ ხედავ ცხვირის წინ ზაჰესს?
შენ ვილაცა ხარ ყოფილხარ შტერი.

# „პ ო ე ტ ი“

უდიდესი პოეტი ვარ,
გამომგზავნა ქვეყნად ცამა,
რა უყოთ რომ ჩემი წიგნი
არ გამოსცა სახელგამმა!

—:—

მართალია, ამ ბოლო დროს
მილალატა გონიერამა,—
მაგრამ არაფერი მიჭირს,
თუ კარგად მყავს ჩემი მამა.

—:—

სულ ყველაფერს ადვილად ვძლევ:
ლექსია თუ პროზა, დრამა;
ოპერისთვის ლიბრეტოს ვწერ,
სახელი ჰქვს — „ჩარი-რამა“.

—:—

ქორწილი მაქვს გენიოსის,
გადავრიე ერთი „დამა“,—
რა უყოთ რომ პანღურით გარეთ-
გამომაგდო მისმა ქმარმა!

—:—

მას არ ესმის, რომ მის სახლში
მიმიყვანა ტრფობის ალმა.
ჩემი ნიჭი, ჩემი მადლი
დამიფასა მარტო ქალმა.

—:—

ხელთნაწერებს ვაგირავებ.
არ შემაკრთობს ერთობ ვალმა!
რა ვუყოთ, რომ მიკიტანი
გუშინ ბლევერვით მომესალმა!

—:—

მას არ ესმის, რომ კარგს პოეტს
უნდა კარგი სმა და ჭამა.
პურ-მარილში ფულს გადვიხდი,
უცხონდება ისეც მამა!

სეგეირ- ბენ-შეიხ.

# ავტობიოგრაფია

ზეიმიანად არც კი მახსოვს—როდის დავიბადე.

თუ ბებიაჩემის სიტყვებს დავუჯერებთ—ჩემს დაბადების დროს დედაჩემი სახლში არ იყო, ქალაქში წასულიყო ლოგინობისათვის საჭირო რამე-რუმის საყიდლათ. როცა დაბრუნდა, თურმე უკვე დაბადებული დავხდი. ძალიან გაუხარდა ჩემი დაბადება, რადგან პირველი ვაჟი ვიყავი, და ლეკური ჩამუარა. (ეხლა რომ მომაგონდება მისი მაშინდელი ცეკვა, ალტაცებაში მოვდივარ).

ცეკვა დედაჩემმა კარგი იცოდა. მახსოვს: მამაჩემისა და მის ქორწილზე (მე მაყრად ვიყავი) ყველაზე უკეთესად ის ცეკვობდა.

—:—

ერთი თვის შემდეგ მომნათლეს.

ნათლობა ეკლესიაში მოხდა.

ზაფხულის კვირა-დღე იყო. მამაჩემმა შემსვა ჩვენს ჯორზე, თვითონ ცხენზე შეჯდა, და სხვებთან ერთად ეკლესიისაკენ გავაქროლეთ ჩვენი რაშებით.



გავქროლდით ეკლესიისაკენ...

როცა გამატიტვლეს ემბაზში ჩასასვლელად, სირცხვილისაგან გავწითლდი და სასირცხვილო ადგილები ხელებით დავიფარე. (ამის შემდეგ ვის შეუძლია ჩემზე თქვას, რომ მე სირცხვილ-ნამუსი არა მაქვს? ხედავთ —ბავშობის დროსაც როგორი ზრდილობიანი და პატიოსანი ვყოფილვარ?!).

ნათლობაში ჩემი სადღეგრძელოს სამადლობელი ყანწით დამალევინეს. (ალბად ამიტომ გამოვედი ასე კარგი მსმელი!).

—:—

როცა სკოლაში შემიყვანეს და ანბანის წერა-კითხვა დამაწყებინეს, მე მაშინაც გატაცებული ვიყავი კანტის ფილოსოფიით და მარკსის კაპიტალით.

ასოებში ძალიან მეჯავრებოდა ასო „ზ". მისი დამახსოვრება და, კიდევ უფრო, მისი წერა ვერ შევსძელი. ამიტომ მასწავლებელი ხშირად მეტყოდა დაცინვით:

— ო, შენ მართლა ბუ, შენა!—და რომ ჩემი ნიჭი შურისაგან არავის დაეწყევლა, შუბლზე ცარცით ჯვარს დამისვამდა.

—:—

საშვალო ცოდნის დასრულების შემდეგ თავი ამოვყავი თბილისში უნივერსიტეტში შესვლის მიზნით და, აი სწორედ, ამ წრიდან იწყება ჩემი გაპოეტება. (აქ ძალაუნებურად მაგონდება ამონაწერი მარკსის თხზულებიდან, რომელიც ჯერ კიდევ ოთხი-ხუთი წლის ბავშმა წავიკითხე: „მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას". ე. ი. მდგომარეობამ მე პოეტი გამომიყვანა).

—:—

როცა უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები ვერ დავიჭირე, მე სევდამ მომიცვა და სხვა ამხანაგებთან ერთად სარდაფში ჩავედი. მხოლოდ ის მახსოვს, რომ სარდაფიდან აურ-ზაურით გამოვედით.

მეორე დღეს მე სამილიციო საკანში გამომეღვიძა. მოვიგონე გუშინდელი ამბავი.

სასოწარკვეთილებამ შეიპყრო ჩემი სული და პირველათ მაშინ ვიგრძენი ჩემზე პოეზიის მადლის გადმოსვლა. ამოვიოხრე და ამ ამოოხრას ჩემდა უნებურათ ეს სიტყვები ამოჰყვა:

ვერ დავიჭირე მკაცრი გამოცდა...;
აწი ნერვები რით დავიდინჯო!...
მე აღარ მინდა ისევ აქ მოცდა;—
ო, აქ რამდენი არის ბალლინჯო.

მეც მოწონა ეს ჩემი მუნასიბი ლექსი, მოვინდომე მისი განმეორება და დამახსოვრება, მაგრამ უკვე გაფრინდა თავიდან და აღარ იქნა მისი განახლება.

—:—

ამის შემდეგ დაიწყო გაჯახრიკებული ცხოვრება.

ჩავეწერე შრომის ბირჟაში, მაგრამ:

**ამაოდ რიგში დგომა და მოლოდინი დიდი...**
**არ არის პურის ფული, (რაც არ მაქვს რას გავყიდი);**

ასეთი ლექსები ასეთ გაჭირვების დროს უცბად მოდიოდა თავში.

მართალია: ეს უკვე აშკარა, თვალნახული პოეტური ნიჭი იყო, მაგრამ მე მაინც ვმორცხვობდი და ეჭვი შემდიოდა თავის პოეტობაში.

ამ ყოყმანის დადებითად გადაჭრას ძალიან შეუწყო ხელი შემდეგმა გარემოებამ: ერთხელ, როცა შრომის ბირჟაში გამოვცხადდი მეათასერთეჯერ რეგისტრაციაზე, ასე მითხრეს:



ხელებით დავიფარე სასირცხვი ადგილი.

**თავისუფალი არის ადგილი;**
**თქვენი მიღება არის ადვილი,**
**მაგრამ... რა ვქნათ, რომ არა ხართ სპეცი,**
**და არ სჭირიათ თქვენსავით ბეცი.**

დიახ! ასე მითხრეს, რა უნდა მექნა?

**ჩამოვყარე ყურები**
**და ჩემს ბედს ვემდურები:**
**შენ დაგიდგეს თვალები,**
**რომ მე არ გებრალები....,**

—:—

შევუერთდი რუსთველის გამზირს.

გავიცანი „კულტურული ცხოვრება" და მისი წარმომადგენლები.

არც ისე ძნელი ყოფილა პოეტად და მწერლად გახდომა. არავის არაფერი დაუწერია, მაგრამ თავისთავს პოეტად და მწერლად ასაღებს.

ყველა ხელობას პოეტობა ვამჯობინე, რადგან ეს ყველაზე ადვილი საქმეა.

მართალია კ. კაპანელი, როცა ამბობს: „ტანჯვა (მწუხარება) არის შემოქმედება“-ო. მე რომ არ გამომეცადა: გამოცდებში ჩაჭრა, უმუშევრობა, სიმშილი და ასეთი დავიდარაბა, — ცხადია არც მწერალი ვიქნებოდი. ხოლო თუ მწერალი არ ვიქნებოდი, არც დღევანდელი ცოლი მეყოლებოდა.



სამადლობელი ყახწით დაალუკიოს...

თუმცა რომ არ მყავდეს, სჯობია. ყოველთვის მისაყვედურებს:

— შე კვეხარა ქოთანო, შენა! ეს არის შენი პოეტობა—მწერლობა? შენი ჯერ არაფერი არ დაბეჭდილა. მე რომ ლექსებს მიგზავნიდი, იმათი დაწერა რა დიდი საქმეა? ისიც ნახევარზე მეტი ნაპარავი იყო სხვადასხვა წიგნებიდან!

— კი ვსწერ, გენაცვალე, მაგრამ.

— მეც ვიცი, რომ კი სწერ, მაგრამ არ გიბეჭდავენ.

— მერმე ეს ჩემი რა ბრალია?

— მაშ ვისი ბრალია?

— იმათი! თუ მათებურად არ დავუწერე, არ დამიბეჭდავენ... მე კი ჩემს ავტორიტეტს ვერ შევლახავ. მაგათი გულისათვის ცუდს ვერაფერს დავსწერ; ხომ იცი— ეხლა კარგი რომ რამე დავსწერო, არ დაგიბეჭდავენ. მე შემიძლია დავსწერო (უკვე მოფიქრებული მაქვს თავში) შექსპირისებური ტრაღედიები ჩვენი მეფეების ცხოვრებიდან, მაგრამ რომ მინახონ კონტრ - რევოლიუციონერობას დამწამებენ და ამიტომ აღარ ვსწერ ჯერ-ჯერობით. მე შემიძლია დავსწერო რომანები ლორდებისა და გრაფების ცხოვრებიდან, მაგრამ ამისაც მეშინია—უცხოელ კაპიტალისტებთან კავშირის დაჭერას დამწამებენ. ერთი სიტყვით ნამდვილი შექსპირი და ანატოლ ფრანსი ვიქნებოდი, რომ კომუნისტების არ მეშინოდეს. დღეს ჩაშკვდარია ჩვენში ყოველი შემოქმედება. ოი ღმერთო, რა დაგიშავე, რომ ამათ დროს გამაჩინე? მე ან ამათ უწინ უნდა დავბადებულიყავ, ან და ამათ შემდეგ... მაშინ ჩემისანა დიდი მწერალი და პოეტი სხვა არავინ იქნებოდა მთელ მსოფლიოში.

— ხა-ხა-ხა-ხა!—ისტერიული ხარხარით დამცინის ცოლი და მსახურს უძახის:—სონია, ერთი ვედრო ცივი წყალი მოიტანე.

—წყალი რად გინდა? ხომ არ გაგიჟდი?

— შენთვის მინდა, შენთვის. შენ ხარ გაგიჟებული და თავზე უნდა გადაგასხა; ეგებ ჭკუაზე მოხვიდე!—და ისევ განაგრძობს ხარხარს.

მოსამსახურეს მართლაც შემოაქვს ერთი ვედრო წყალი.

— რა კარგი მოტივია?!! ყველა უნიჭო და ფინთი შენსავით ლაპარაკობს!—მეუბნება ცოლი და თანაც ღონე მოკრეფილი ზეზე სდგება.

ცოლის ასეთი სიტყვები პირში წყალს მიგუბებს და ჩემთვის ვფიქრობ:

— კუდიანია ეს დედაკაცი: ყველაფერს მიხვდება. ცოლი კიდევ არაფერი, მაგრამ ეს რომ სხვებმაც გაიგონ, მაშინ ხომ ჯვარი დაესვა ჩემი მწერლობის სახელს?!...

— აფსუს რა „გენია“ იღუპება?!—გველის კბენა არ იქნება ამაზე უფრო მწარე.

— გენაცვალე, როცა არ იცი, ნუ ლაპარაკობ!—ვეუბნები ცოლს ალერსით და ვცდილობ მის დამშვიდებას.

— ჰმ! არ ვიცი.... შენი ლექსის მხოლოდ ორი კუპლეტი დაიბეჭდა და ისიც „ტარტაროზი“-ს „ცნობათა მიღება“-ში. ეს არის და ეს შენი ნაწარმოებთა დაბეჭდილი ტომები!—და წინ დამიდვა „ტარტაროზი“-ს მეხუთმეტე გვერდი, სადაც ჩემს შესახებ ეწერა:

**— ვათავსებთ თქვენს ლექსიდან შემდეგს:**

**მე ყოველთვის ფიქრებში ვარ,**
**ვით მემაწვნე მიხოს ვირი,**
**და მე ლექსი რომ დავსწერო,**
**აქ რა არის გასაკვირი?!**
**ლექსი ფიქრის ნაყოფია,**
**შიგ მარხია ჩემი მუზა,**
**თუმცა როცა ამ ლექსს ვსწერდი,**
**ცოლმა სკამი ზურგზე მდრუზა.**

**ძალიან კარგი უქნია. ასეთი ლექსის დაწერისათვის ჩვენ უნდა „გვედრუზებია“ თქვენთვის, მაგრამ ჩვენი მაგიერობა თქვენს ცოლს გაუწევია. ამისათვის მადლობა მას ჩვენგან.**



მსახურმა ვედრო წყალი შემოიტანა...

— როგორ მოგწონს, ბ-ნო პოეტო—მწერალო?

— მოთმინებიდან ნუ გამომიყვან, თორემ!—ვემუქრები და მის წინ ვდგები ანთებულ თვალებით და მომზადებულ მუშტებით.

— თორემ რაო?!—ღრანჭ-მონგრევით, დაცინვით და ჩემსავითვე გამომეტყველებით მიბრიალებს თვალებს.

მაგრამ რა უნდა ვქნა,, როცა კარგად ვიცი ჩვენი სულმნათი შოთას სიტყვები, რომ:

**„ქალი კაცისა სწორია**
**ძუ იყოს, თუნდაც ხვადია“,**

**ზმუკი.**

# კონკურენტი

გაიაფების მიზნით სახელგამს განზრახვა აქვს 1923 წელში გამოცემულ წიგნების ღირებულებაზე დააკლოს 50 პროცენტი.




## ჩემი მოგონება

ორი წლის უმუშევარი ვიყავი.

დავკარგე შრომის ბირჟის იმედი.

სადაც კი კრებას გავიგონებდი, ყველგან ვესწრობოდი.

ერთხელ მაქმუქტრესტში ამხანაგებთან მივედი პურის ფულის სათხოვნელად.

კარზე ასეთი განცხადება წავიკითხე:

> დღეს, საღამოს 7 საათზე, საერთო კანცელარიის დარბაზში შესდგება მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც წარმოების შესახებ მოხსენებას გააკეთებს გამგე და მუშგლეხინის წარმომადგენელი. დასწრება ყველა მუშა-მოსამსახურეთათვის სავალდებულოა.
>
> ადგილკომი.

საღამოს კრებას მეც დავესწარი. დარაჯი არ მიშვებდა, მაგრამ ამხანაგმა შემიყვანა.

მუშგლეხინის წარმომადგენელმა დაწვრილებით დაახასიათა მაქმუქტრესტის მუშაობა და უკმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ წარმოება ძალიან ნელი ტემპით მიდის წინ.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ტრესტის დირექტორი, რომელმაც განაცხადა:

— რა თქმა უნდა ყველა ის ნაკლი, რაც აქ აღნიშნა პატივცემულმა მუშგლეხინის წარმომადგენელმა, მართალია,—მაგრამ ადმინისტრაცია მეტის გაკეთების შესაძლებლობა არა აქვს, რადგან ჩვენ არა გვყავს სამეურნეო დარგში მომუშავე ძალები.

დირექტორის განცხადებამ შეფრთხში შემასხა და სიხარულის გამო გულმა დაკლულ ვარიასავით ფართხალი დამიწყო.

— აქ ხალხი ჰკლებიათ და ბირჟაში კი იმდენი უმუშევრებია!—გავიფიქრე მე, მაგრამ უცბად მომაგონდა შრომის ბირჟის გამგის ლაპარაკი ერთ უმუშევართან:

— როგორ შემიძლია სამეურნეო დარგში მომუშავედ გაგაგზავნო, როცა ამაზე წარმოდგენაც არა გაქვს და არასოდეს არ გიმუშავია?!

მაშასადამე, საჭირო ყოფილა ცოდნა და გამოცდილება. თუმცაღა შიგ რომ ფეხს მოიკიდებდე, მერმე ადვილად გაერკვევი და შეისწავლი საქმეს.

— რაკი ძალები სჭირიათ, მიმიღებენ, ხოლო საჭიროა ხერხი!—გავიფიქრე მე და მაშინვე შევუდექი წერილის წერას გაზეთში დასაბეჭდათ.

მესამე დღეს სხვა მუშკორების წერილებთან ერთად, ჩემი წერილიც იყო დაბეჭდილი გაზეთში.

აი თვით წერილიც:

> მაქმუქტრესტს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მეურნეობის განვითარებაში, მაგრამ იგი ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. ამის მიზეზი არის მისი სამნეო ნაწილის გამგე, რომელმაც თავის განყოფილებას ვერ გაუძღვა კარგად. რა საჭიროა ტრესტისათვის ამდენი ავტო, ანდა ამდენი ტელეფონები? ეზოში უპატრონოდ გდია ძველი ფაიტონი, რომლის შეკეთება და გაყიდვა შეიძლება. რაციონალიზაციისა და ეკრეჟიმის გატარების მიზნით, ზოგიერთი განყოფილებები უნდა გაერთიანდეს სამნეო განყოფილებაში, მაგრამ თუ გამგე არ გამოიცვალა, მაშინ მშვიდობით ყველაფერო. არც ისე სანთლითა და დიოგენის ფარნით საძებარია გამოცდილი სამნეო მუშაკები, როგორც ეს ტრესტის დირექტორმა განაცხადა საერთო კრებაზე.
>
> ლევარსი როხროხაძე.

— არის! სამსახური არის—კმაყოფილებით და ღიმილით ვუთხარი თავის თავს გაზეთში ამ წერილის წაკითხვის შემდეგ.

ამ ფიქრებში რომ ვარ, ეზოში ვილაცამ ჩემი სახელი და გვარი იკითხა. მე მაშინვე ვიცანი—შრომის ბირჟის შიკრიკი.

— მე გახლავარ ლევარსი როხროხაძე!

— შრომის ბირჟაში ხართ გამოძახებული.

— რატომ?—

— ალბათ სამსახურს გაძლევენ.

— ეხლავე მოვალ!—და მე სახლში შევედი ხალათის ჩასაცმელად.

შიკრიკი წავიდა.

— ხომ გაჭრა ჩემ წერილმა?—ვეთუსაიფებოდი ჩუმად ჩემს თავს.—მაგრამ ასე მალე როგორ მოხდა ყველაფერი? პირველი საათია. ალბად ჩემი წერილი ცხრა საათზე წაიკითხეს ტრესტში, მუშგლეხინში, ცეკაში, მთავრობაში, კავშირში და შრომის ბირჟაში. გამოსცეს სწრაფი განკარგულება, რომ მოეხსნათ ძველი გამგე და მის ალაგას მე დავენიშნე.

— თურმე აგერ გვყოლია საუკეთესო სამეურნეო მუშაკი და ჩვენ სად ვიყავით?—ალბად ასე ეუბნება ახლა დირექტორი მის თანაშემწეს.

— თავისთავად აღმოჩნდა ამერიკა!

— უკეთეს საქმეთა მმართველს.

— აწი კი კარგად წავა მაქმუქტრესტის საქმე!—იმეორებს მუშგლეხინი.

— ნეტავი რამდენი აქვს ჯამაგირი სამნეო ნაწილის გამგეს, რომლის ადგილს მე მაძლევენ?—ვფიქრობ მე და ბირჟას ვუახლოვდები.

— გამარჯობა ლევარსი!

— გაგიმარჯოთ!—ცხვირ აწეულით ვეუბნები ნაცნობს და ისეთ სახეს ვღებულობ, თითქოს პირველად მენახოს ის.

— აი შენს პატრონს!—შემესმის მოსი ხმა.

— რა იცის, რომ მაქმუქტრესტის სამნეო ნაწილის გამგე ვარ, თორემ თაყვანს მცემდა და არა ასე ჩვეულებრივად მომესალმებოდა.

— როგი, როგი დაიცავით, ამხანაგო! თქვენც ხომ ხაში არა ხართ, რომ ეს არ იცოდეთ; მგონი აქ დაიბადეთ და აქ გაიზარდეთ!—მომესმა რიგში მდგომ უმუშევრების ხმა.

— ნუ ცხარობთ ამხანაგებო!—დინჯად ვეუბნები.—მე უკვე სამნეო ნაწილის გამგედ მაგზავნიან მაქმუქტრესტში.



— ტარტაროზჯან; თქვენს „ცნობათა მიღება"-შიმაინც დაგვიბეჭდე რამდენიმე სტრიქონი; ჩვენ მადლობელი დაგრჩებით!

ჰოოო, აბა იმედია იქ მოგვაწყობ!—მეუბნებიან იქეთ-აქედან.

— ვეცდები, ვეცდები ყველა მოგაწყოთ...

— ლევარსი როხროხაძე!—გამოძახეს.

— მე აქ ვარ!—მშვიდათ ვუთხარი და მივედი გამომძახებელთან.

— გელირსათ როგორც იქნა.—მითხრა მან და ქაღალდი ამოიღო.—თქვენ იგზავნებით...

— ვიცი, ვიცი; მე ვიგზავნები ბაქმუქტრესტში სამნეო ნაწილის გამგეთ. ჰა-ჰა-ჰა! გაგიკვირდათ, თუ საიდან გავიგე? ჰა-ჰა-ჰა! გამოსწერეთ გასაგზავნი ქაღალდი!

— დაიცადეთ, კაცო! რისი ბაქმუქტრესტი? რისი სამნეო ნაწილის გამგე? თქვენ იგზავნებით შიკრიკად ფიზკულტურის საბჭოში, სადაც ჯამაგირი გექნებათ 25 მანეთი. თუ აქ არ წახვედით, მაშინ სავსებით მოიხსნებით, რადგან ეს მესამეჯერ არის, რომ უარს ამბობთ. ეხლა ხომ თქვენი პრეტენზიები—რომ ჯამაგირი 25 მანეთი იყოსო, დაკმაყოფილებულია!

— თქვენ სცდებით. მე მაგ საქმეს გამოვიკვლევ!—ბრაზით ვუთხარი და გამოვედი.

საჩქაროდ წავედი ბაქმუქტრესტში და დირექტორის კაბინეტში დაუკითხავად შევედი.

— არ შეიძლება!—მომძახა დარაჯმა და ხელის ტაცება დააპირა, მაგრამ ქოჩსავით გადმოვხედე და ვუთხარი:

— ფრთხილად! ხელი, თორემ ამ წუთში მოგხსნი. მე ახალი გამგე გახლავარ სამნეო ნაწილისა.

დარაჯი სადღაც გავარდა და ცოტა ხნის შემდეგ მისი ხმა მომესმა—დირექტორს ელაპარაკებოდა:

— ვიღაც გიჟია, ბატონო!

დირექტორი შემცბარი შემოვიდა.

— რა გნებავთ თქვენ!—მომმართა მან. ოთახებიდან სხვა თანამშრომლები შეშინებულნი გამოიყურებოდენ.

— მიცნობდეთ, მე გახლავარ ლევარსი როხროხაძე. თქვენი სამნეო ნაწილის ახალი გამგე, აი ის, დღეს რომ გაზეთში წერილს სწერს. იმიტომ მოვედი, რომ შრომის ბირჟაში რაღაც გაუგებრობა მოხდა, ალბათ თქვენ გაგზავნეთ იქ ქაღალდი და სთხოვდით ჩემს თქვენთან გამოგზავნას სამნეო ნაწილის გამგის თანამდებობაზე. ისინი კი სადღაც შიკრიკად მაგზავნიან. ეხლავე დაურეკეთ რომ აქ გადმომაგზავნონ. დღესვე უნდა შევუდგე აქ მუშაობას. ნახავთ, რომ ერთ კვირაში ისე გამოვასწორო საქმე, რომ თქვენც გიკვირდეთ!

— თქვენ ვიღაც ხულიგანი ხართ. ეხლავე გადით აქედან, თორემ მილიციას გამოვიძახებ!—დამემუქრა დირექტორი.

— რაო? ხულიგანიცა ხართ და უარესიც!—შევუტიე მე, მაგრამ ხელი დამავლეს და კინწის კვრით გამომაგდეს დერეფნიდან.

— ვერ მიცნო ალბათ!—ვინუგეშე თავი. არა უშავს' თვითონ მომნახავენ, შემეხვეწებიან და ბოდიშსაც მომიხდიან, მაგრამ არც ისე იოლათ დავეთანხმები. ჯერჯერობით კი წავალ სადაც მაგზავნიან—ფიზკულტურის საბჭოში შიკრიკად. 25 მანეთიც კარგი ფულია. „არარაობას ცალუღელა ხარი სჯობია"-ო, ნათქვამია.

როცა ბირჟის ეზოში ჩავედი, ერთი უმუშევარი ქაღალდით ხელში აღტაცებული გარბოდა.

— სად გაგზავნეს, ბიჭო!—შევეკითხე, მაგრამ ის უკვე გაფრინდა.

— არა უშავს; გამგზავნეთ შიკრიკად ფიზკულტურის საბჭოში!—ვუთხარი ქალიშვილს, რომელსაც წეღან უარი განუცხადე წასვლაზე.

— იქ უკვე გავგზავნეთ კაცი. თქვენ მოხსნილი ხართ აღრიცხვიდან, რადგან ეს მესამეჯერ განაცხადეთ უარი სამუშაოზე წასვლაზე!—და მან დახურა „ფორტოჩკა".

— გამგე... გამგე!..—შემომძახეს დაცინვით უმუშევრებმა. მაგრამ მე არ შემეცხვენია და არხეინად გამოვედი გარეთ.

ლევარსი როხროხაძე.

# საგონებელში

გამოაცხადეს ეს რაღაც თვითკრიტიკაა თუ თავისთავის გამათრახება და გინდა თუ არა,— აღარ შეგიძლია დამალო თავისი ყალთაბანდობა და „საქმენი საგმირონი".

ეს ყველაფერი იმ სპეცების ბრალია, რომლებიც შახტში მოღვაწეობდენ... ოი, რატომ არ დაიქცევა ის დღე, რა დღესაც ის აღმოაჩინეს.

მარა მე რა მადარდებს? მე ხომ საკრიტიკო არაფერი მაქვს?!

სამსახურში რომ გვიან მივდივარ, ეს რა ჩემი ბრალია? ცოლი მეუბნება:

— ჩვენი მეზობელი პეტრე 11—12 საათზე მიდის სამსახურში და შენც იმაზე უფრო ადრე არ უნდა წახვიდე. ის თუ პასუხისმგებელი მუშაკია, არც შენ ხარ მასზე ნაკლები!

მართლაც ეს ასეა. მართალს ამბობს ჩემი ცოლი.

ასევე მართალს ამბობს ჩემი ცოლი ავტომობილის შესახებაც და ჩემი რა ბრალია, რომ წარა-მარა ავტოთი დავრბივარ! განა სხვებიც არ იქცევიან ასე? ეს კიდევ რაა! სხვებს ცოლები და ბებია-ბაბუები დაჰყავთ.

— კავერკოტებში ნუ ხარო,—ამას ჯერ მეტყვიან, ერთი იმიტომ რომ თვითონაც არა ჩემზე ნაკლებად არიან გამოწყობილი და მეორე, რაც მთავარია,—იმიტომ რომ ბათომიდან ჩამომიტანეს, არც კი „ვიცოდი" ცოლს ისე ეყიდა.

სხვა რა?!

ჰო, თანამშრომელ ლამაზ ქალებთან ნუ დაძვრები ბაღებშიო, ეს მათი საქმეა. არავინ არ დამილუპავს— აბორტის ფული ყველასათვის მიმიცია.

ჯამაგირი დიდი გაქვსო თუ მეტყვიან,—დეე შემიმცირონ, მხოლოდ ამ საკითხში ჩემს ცოლს შეუთანხმდენ; მე მაინცდამაინც არაფერი მექნება საწინააღმდეგო; (აბა სინჯონ ჩემს ცოლთან ამის შესახებ ლაპარაკი!?).

ერთი სიტყვით, მე გული საგულეს მაქვს და არაფერის არ მეშინია... მაგრამ...

მაგრამ რატომღაც მაინც ძალიან მეშინია.

გაზეთებმა ინსპექციის ფურცლები შემოიღეს.

განა „ტარტაროზი" არ მეყოფა გულის გასახეთქად?

ყოველ კვირას ტანში ჟრუანტელი მივლის, როცა „ტარტაროზს" ხელში ავიღებ, ციებ-ცხელება დამიარს ტანში. ჯერ კარიკატურებს გავსინჯავ—ვაი, თუ დამხატეს-თქო...მერე შევუდგები წერილების კითხვას და როცა „სამშვიდობოს გავალ", შვების ნუკრივით დავიწყებ ხტუნვას.

ათასგვარი ჩემი საწინააღმდეგო კამპანია ჩავატარე, ყველას გავუძვერ-გამოუძვერი, თავი გადავირჩინე, ნუ თუ ეხლა უნდა მოვიტეხო კისერი?

ზ. გორისელი.

# პოეტთა სააქციონერო საზოგადოება „ჰეს-ჰონორარი"

აწვდის სახელმწიფო დაწესებულებებს და კერძო პირებს საინდუსტრიალიზაციო ლექსებს —„ჰესები", რომელთა უპირატესობა იმ მდგომარეობს, რომ ისინი (ლექსები) ყოველთვის და ყველა ელექტრო სადგურისათვის მოდგებიან შესაფერ ადგილების სახელწოდებათა გამოცვლით.

ნიმუში:

ისმოდა ყველგან საყვედურები.
ქალაქს [1]) სიბნელის გაჰკროდა მური.
რას გახდებოდენ ელსადგურები,
თუმცა ჰკიცხავდა ყოველი მდგმური.
ბარე-უბნებში [2]) იყო სეირი:
ოი, რამდენი დაიმტვრა ცხვირი;
ო, რამდენს მოტყდა ძირში კისერი,
როცა არ ახლდა ნაცნობი გზირი!

თუმცაღა მთვარე ხანდახან ღამით
ფინარს სადგურებს ეხმარებოდა,—
მაინც არ იყო საშველი ამით —
სიბნელე ქალაქს [3]) ეფარებოდა...
და ვინ არ იცის, რომ ბნელი ღამე
ქურდებისათვის არის მისწრება, —
და თუ მოგპარა ოთახში რამე,—
ვერც კი შეამჩნევ ისე მიძვრება,—

ხულიგნები ხომ ეტრფიან ღამეს,
როცა საკმაოდ ბნელა ქუჩებში'
არ გაუშვებენ გამომვლელ დამებს,
თუ არ აკოცეს ძალით ტუჩებში...
ქალის კავალერს იმჩნევენ ცხვარად;
(საწყალს ცხვირიდან სდიოდა ძმარი).
და ერთი სიტყვით, ასე ამგვარად
იყო ცხოვრება მაშინ კოშმარი.

ეს იყო უწინ, შარშან და გუშინ;
მდგომარეობა ეხლა კი სხვაა.
დღეს სკვინჩა ფრინავს სულსა და გულ'ში.
ქუჩებში სდგანან ბევრი სვეტები
და ზედ ჰკიდია ელნათურები.
აღარ სჩხავიან ბნელში კატები
და ქალაქს ახლოს სერზე ტურები.
ქურდ-ხულიგნებმა მოგვკამეს პირი —
აღარ არიან, მოისპო ყველა,
(ისე გიცხონდეთ მაგ უშნო ცხვირი), —
რადგან არ არის აღარსად ბნელა.

თუმცა ამბობენ (და მართალია), —
— ეხლა ქურდობა უფრო ხშირია,
რადგან ხიბნელე გზა-და-კვალია,
და ნივთებს ძებნა აღარ სჭირია.
აგურს დავადოთ ზედ აგურები.
ყველგან შენდება ელსადგურები.
დღეს აღარ ისმის საყვედურები.
ძირს ჩამოჰყარეს მტრებმა ყურები.

„ჰეს-ჰონორარი"-ს თავმჯდომარე:

ლუკმა მწვადაძე.

---

[1]) აქ შეიძლება იხმაროთ იმ ქალაქის სახელი, სადაც ელსადგური შენდება.

[2]) დაასახელეთ თქვენი ქალაქის რომელიმე გარეუბანი, მაგ. ნაძალადევი.

[3]) აქაც შეიძლება იხმაროთ თქვენი ქალაქის სახელი.

# „შეყვარებული“



პოეტი (მთვარეს):

შენ გავლენას
ახდენ ჩემზე
უფრო, ვიდრე
მნათობი მზე.
დღით ისედაც
სინათლეა.
(ეს შენც იცი —
სიმართლეა).
განათება
ბნელი ღამის. —
მსურველნი ვართ
ყველა ამის;
ეს კი მხოლოდ
ძალგიძს შენა, —
შენსკენ მინდა
გამოვრენა.
მთვარე, მთვარე,
გენაცვალე.
არ ჩახვიდე
შენ ჯერ მალე.

მთვარე

თუმცა ყველა
პოეტებმა
მე ამხადეს
სიქალწულე...
და დავბერდი,
დავსნეულდი,
ჩემი როლი
შევასრულე, —
მაგრამ ბრიყვებს
ვხიბლავ კიდევ...
ამეკიდენ,
ავეკიდე.

ელექტრო (პოეტს):

ვა, დაგიდგეს
მაგ თვალები, —
ვის უცქერი
და ვის — არა!
შენ პოეტი
კი არ ხარ, —
არამედ ხარ
შენ — მასხარა.

ინუქი.

# დილა კომისარი'ტებში

1.

**მაგიდის უფრ.:** — აბა მოყევით რაზე გარჯილხართ?

**მდგმური:** — ბატონო უფროსო, გთხოვთ ამ სახლის პატრონს დიდი „ნაკაზანიე“ მისცეთ. ხომ ხედავთ რავარი შესახედავია? რაღა ბეზნოვესტნათ იყურება?!

**სახლის პატრ.:** — ტი სამა ბეზნოვესტნი...

**მდგმური:** — ეს ჩუმპუიანი ადგება, ბატონო უფროსო, დილას თვარა, დეიწყებს: ივინება, ილანძღება, მღავა როგორც დილომის ვირი; ხან ერთ მდგმურს ააქოთებს, ხან მეორეს და ამათზე რომ იჯერებს გულს, მერე მის საკუთარ ცოლ-შვილზე მართავს ნადირობას. ეგეც არ იყოს, ხან წყალს კეტავს, ხან ფეხსადგილს და, პატივი თქვენთან, რომ „გარშოკები“ არ გვქონდეს, ვინ იცის რას ვიზამდით.

**სახლის პატრონი:** — ტი სამა გარშოკ.

**მაგიდის უფრ.:** — მართალია, რასაც მდგმური უჩვენებს?

**სახლის პატრონი:** — ეგ სულ ტყუილებია. ეგ ქალი ანარხისტკაა. ეგ კომინისტების მტერია. ხედავ რა „დანესენიებს“ არდგენს ჩემზე! წყალი რომ არ დაუკეტო, დღეში ჩერვონეცისას დააქცევს. უბორნიაში რო შევა, ერთი საათი რჩება შიგ. მოდი და ნუ დაუკეტავ კარებს. ვყვირი რომელია! რომ არ ვიყვირო მაშ ამოდენა ხალხს მოვლა არ უნდა?

**მაგიდის უფრ.:** — კი მაგრამ თქვენ ცოლ-შვილს რაღას ერჩით?

**სახლის პატრონი:** — ჩემ ცოლ-შვილს მინდა გავლახავ, მინდა მტკვარში გადავყრი, ატვეჩაი მე ვარ. მაგას ვინ კითხავს!? (აკრაჭუნებს კბილებს).

2.

**უფროსი მილ.:** — ბიჭო, თქვი როგორ ამოაცალე ამ მოქალაქეს ფული?

**ჯიბგირი:** — როგორ და ასე (უჩვენებს ორ თითს. მოქალაქეს გული მოუვა და ჯიბგირს გაარტყამს. ჯიბგირი დანას ამოიღებს. უფრ. მილიციონერი უსტვენს).

**უფროსი მილ.:** — თქვენ ვინ ბრძანდებით?

**მოქალაქე:** — მე მოლარე გახლავარ.

**უფრ. მილ.:** — მაგდენი ფული სად ქონდათ?

**მოლარე:** (წითლდება).

**ჯიბგირი:** — ფულთან კონვერტში ქაღალდიც ვნახე. შიგ ეწერა: „ჩემო საყვარელო ქეთინო, ას თუმანს გიგზავნი და მეც მალე მოვალო“.

**უფრ. მილ.:** — საქმე გამორკვეულია. (ორივეს საკანში აგზავნის).

**ქალი** (შემოვარდება): — არიქა, მიშველეთ, წუხელი ფანჯარა ღია დავტოვე... გამძარცვეს და დედიშობილა დავრჩი.

**მორიგე:** — სად სცხოვრობთ?

**ქალი:** — წყნეთის ქუჩა.

**მორიგე:** — რამდენი ხანია მანდ სცხოვრობთ?

**ქალი:** — რაც პირველ ქმარს გავექეცი.

**მორიგე:** ქმარს რაზე გაუქეცით?

**ქალი:** — ისე, სხვამ შემაცდინა.

**მორიგე:** — მოყევით რა დაკარგეთ.

**ქალი:** — საბანი, რომელიც მეხურა, კრუჟევოიანი საცვლები, რომლებიც ტანზე მეცვა, სამოვარი, ტრიკოტის კოსტიუმი, სამი წყვილი ვიქტორიის ჩულქები, ლაკის ტუფლები ზაგრანიჩნი, სულ ყველაფერი ბათუმში ნაყიდი გახლდათ, ახალმა ქმარმა მომიტანა... (მორიგე სწერს ოქმს)

ძნელოღლი.

## სამტრედია

ტარტაროზო, ეს ცხოვრება ფუჭია,
თუ არა გაქვს გამაძღარი კუჭია...
და მეც გავჩნდი სასადილოს კარებთან—
(ფული არ მაქვს და ვარ მგლოვიარეთა),
ყური ვცქვიტე, რაღაც უცხო ხმაურით,
და გაისმა: არ აკლია შაური!
შანტაჟია და სხვა არაფერია
(დამეკარგა ამ დროს უცებ ფერია);
შევეკითხე: ხალხო, რა ამბავია?
რაზე სწუხართ, ან რაზე გაქვთ დავია?!
— სამწუხარო კი გვაქვს, ჩემო ძმაო
(თურმე მარტო ჯიბისათვის იბრძვიან).
შინაწესით გაგვიძარცვეს სალარო,
ცლუბზე ცრემლი, აწ ამდენი სად ვღვაროთ?,
(მომეკიდა გულზე ცეცხლი ანთება,
და დავარქვი ყაჩაღობა ამ თემას).
გამახსენდა „გოსსტრახ''-ისა ყმაწვილი,
და დავკარგე მისთვის წუთის ნაწილი.
და ვესტუმრე დიდი მორიდებითა,
მომაბეზრა თავი თავის ქებითა!
გავიფიქრე: უნახავმა, რა ნახა,
ამ „გოსსტრახ“-მა, მართლაც მაგგრად „ჩოვსტრახა“.

—:—

ელსადგური სამიკიტნოთ ქცეულა,
(მასზე ფიქრმა ძალზე დამასნეულა),
დღე—ღამეში ფუთი ღვინო ილევა,
და დინამოც მიტომ ხმება, ილევა.

## თავის ალაგას



— მადლობა ღმერთს, რომ ვნახე ერთადერთი დაწესებულება, რომელსაც ჩემი წიგნი შეუძენია.

## გზა მიეცით!



გზისკომი (წიგნებს): — მობძანდით... მობძანდით!
წიგნები: — რაღა მოვბრძანდეთ! ჩვენი მოსვლა თუ გინდოდა, ეს გზები ვერ გააკეთე?!

რომ ვუყურებ, მეცოდება ძალიან
და რომ ჰქრება, ეს სულ ღვინის ბრალია.
ეს პირველი, ან მეორე როდია;
ელსადგური ლოთზე მეტი ლოთია.
საყინულე — უბანია შრომისა
(სიტყვა დარჩეს ჩვენთან და ჩვენს შორისა)
და ვერ ჰპოვა მზე და შუქი. კიდევ მან,
თუმცა ბევრი სიმწუხარე იგემა.
გენემანს დაულოცეთ ცოლ-შვილი,
აწი გვინდა კაცი ჰკუით მოსილი
თორემ რას ჰგავს და ესრა ამბავრა,
რომ მუდამჟამს იქ ჩხუბი და დავია?!
პროტექციამ მოგვკლა, გაგვანადგურა
ქარხანაში, ვამბობ, დაისადგურა.
ინსპექცია აღარა სჩანს, თორემა
შეიძლება მისი გამოსწორება.
მოპყრობაზე ლაპარაკი მეტია,
(აქ ხანდახან ჰკვიანიც კი ცეტია)
ტარტაროზო, მათრახები მაგრათა
გადაჰკარი: ჯაფარას და ბაგრატას.
გაზაფხულდა. ჩვენში მზე და დარია.
გაიფურჩქნა: ეზო, მთა და ბარია.
ეს მდივანი ალბად სითბომ არია.
რომ არ ზოგავს: უბრალოს და ბრალიანს.
დაღვრემილი არის მუდამ მუშასთან.
და აწუხებს ცქერით სადგურს, ქუჩასაც.
აწ. თუ ვნახე მასთან ცოტა წესია.
უნდა ვუძღვნა ჩემს მიხაკოს ლექსია.

ქაგნელი ბზიკი.



გამყიდველი: — იყიდე რა! ვერა ხედავ რა მშვენიერია?! ნუ თუ გემოვნება არა გაქვს?

უმუშევარი: — თავიდან მომაშორე... ტიტვლები ჩემს ოჯახს არ აკლია.

# წერილი ტარტაროზს

## ქუთაისიდან.

ტარტაროზო! შეგპირდი,
მეც მოგართვი: — ა, რითმა —
მართლაც გამოგვაცოცხლა
საკირემ და ბარიტმა.
გორაკებში, იქ, სადაც
კაცის ფეხი არ ჩანდა —
საოცნებო სილაღით
მუშაობა გაჩაღდა.
გაჩაღდა და როგორი:
— ავთვალს არ ენახება,
ხუმრობაა - ქარხნებით
ქუთაისის ალება?
შეუძლოა არა სთქვას
ამ ქარხნების მნახველმა:
—რა გონებამ ააგო,
ააშენა რა ხელმა?

—:—

იყო ერთი ყმაწვილი,
დღეს არა სჩანს აღარსა —
ტელეფონზე ბაასი
მას უყვარდა ავანსათ.
მეც ელსმენით ვიკითხე —
იყო ცუდი ამინდი:
— ალლო! ნეტა სადგაჰქრა
აწ ბარიტის რაინდი? —
და პასუხსაც იმწამსვე
მისწვდა ყური ჩემია,
რომ ბარიტის ვაჟბატონს
მუშისთვის უცემია,
ვსთქვი: — იქნება შტერია?
მაგრამ, გამოირკვა, რომ...
„გლავნი" ბუღალტერია!

—:—

ჰმ!.. ელსმენით ვახსენე,
თვალიც მასთან აშიკობს,
მაგრამ რა შუაშია
აქ თამარა, მაშიკო?
რა და ჩვენი ელსმენა
ურემსავით ჩქარია,
ხოლო სულაც არ ჩქარობს,
როცა გარეთ ქარია.
წვალობს ტელეგრაფისტკა,
თითქოს თავს უკბენია,—
იქვე ცდაში თავს ყვინთავს
წულუკიძე ბენია.
და შენ ფიქრობ:—მათ ტანჯვას,
ან წამებას არ იძევს,
ტელეფონის უფროსი
ალექსანდრე შანიძე?
როგორ არა: მან დიდხანს
მიზეზები იძია,
მაგრამ ვერსად მიაგნო
ტარტაროზო, ბიძია!

—:—

იცის, ვიცი, შენც იცი:
— მშვენებაა შენება,
მაგრამ ზოგიერთ ნაშენს
უნდა გადაშენება.
ვსთქვათ:—ჩვენმა სახელგამმა
ბრძანოს — რატომ ინება
ორიოდე ნაბიჯზე
სამი განყოფილება?
სამი გამგე ერთ საქმეს—
სად, ან როდის ნდომია?
მერე განა ეს არის
რეჟიმ - ეკონომია?
ერთ გამგე—ივანე,
მეორე კი—კოლია,
„ისიც" ისე გაგზავნეს
საქმე არ გაყოლია.
ეჰ! ძვირფასო ტარტაროზ;
მშვენებაა შენება,
მაგრამ ზედმეტ „ატდელის"
აწ სჯობს გადაშენება!

—:—

შემოდგომა ჩალას შობს,
გაზაფხული იასა,
ხოლო ქუთაისი კი
ასოციაციასა!
დღე ერთია, სხდომა კი
დღეში არის ათამდე —
დასასრულის ცდაშიაც
მგონი სულაც გავთავდე.
ოქმი. დადგენილება.
დადგენილება. ოქმი.
შეხვალ მართლაც ჯანსაღი,
გამოხვალ—ავადმყოფი.
ან ვის ეჯიბრებიან
აწ სიტყვათა მართალით?
სადა, სად დაიკარგა
საქმე პროლეტარული?
მოიძიონ, მონახონ,
„თორემ ასე არ ვარგა:
სიტყვის კორიანტელში
საქმე—გადაიკარგა!

—:—

ნუ გგონიათ—ქუთაისს
ბედი არა „სწყალობდეს"
და დიაკვნის მაგივრად
სტუდენტი არ გალობდეს.
მლოცველი ვერ მონახეს,
ეძებდენ—მედავითნეს
და ბედათ ეკლესიის
ახობაძე დაგვითმეს.
ალბად მის გაჩენაში
მალლა ღმერთი ერია,
მაგრამ ვინ გაუჩინა
მას ამდენი მწყერია?

—:—

ვაჭრებზე არასა გწერ,
დარდი არ მაქვს ამათი—
მათ კი გამოაცალეს
ძალა და არაქათი.
საქონელზე მეტი აქვთ
მრავალფეროი ჭორები:
— სულაც არ იცოდებენ
მათ ფინ - ინსპექტორები.
უკვე კარგად შეატყვეს
დღეს მათი მზე რომ ქრება
და ამიტომ ითხოვენ
გადარიცხონ ნოქრებათ.
ზოგს მართლაც კი იღებენ,
ზოგს კი—ბედი არ წყალობს
და უსაქმოთ დღე - მუდამ
ბულვარში დატანტალობს.

—:—

ეხლა ცოტა მაცადე
და მომავალ კვირამდე
მრავალ მათგანს მოვათრევ
ჯოჯოხეთის პირამდე.

ჯგირი კოჩი



**პოლი:**—სულ კრება და კრება! ხომ გითხარი — თორმეტ საათამდი მოდი-თქო, ეხლა აბრახუნე კარებზე და ეგდე მანდ,—ეგებ ჰკუა ისწავლო.

## ოზურგეთი

ვის უნახავს, ვის სმენია
ოზურგეთის „კაფენია“.
წითელ ჯვრის კლუბს ეძახიან,
„ია-ვარდით ნაფენია“.
„კაფენიას“ ხაზეინი
გიორგია და გერმანე:
(კოლია კი ამხანაგად
მხოლოდ ეხლა შეიყვანეს).

—:—

გულგაშლილი დახვედრა აქვთ
ჩაგიქნევენ ეშმაკ თვალებს,
შეგშინჯავენ თუ ჯიბეში
ფული ბლომად გიჩხრიალებს.

—:—

აქვე არის „ძმა-ბიჭები“
უყვართ ფულზე ჩაქა, ნარდი,
აქ ხშირია მუშტი-კრივი,
გინება და გარტყმა მარდი.

—:—

მოსაგებში „ტომბას“ გარდა
წილიც კი აქვთ „ხაზეინებს“,
ძმა-ბიჭურად გაუყოფენ,
აბა მათ ვინ აწყენინებს.

—:—

ოქრუაძა და გოხიძეს
ნარდი უყვართ, კარტი არა,
მანათიანს აგორებენ
მიდის-მოდის „ხელზე ფარა“.

—:—

აქვე არის თეოფილე
ისიც ნარდის ჩემპიონი,
კოლიასთან თამაშობით
ჩამოუდნა „დუქნის ქონი“.
„ოცდა ერთის“ მაგიდაზე

—:—

მთავარსარდლობს თემურაზი,
„ფოკუსნიკობს“, მაინც აგებს
და ამიტომ მოსდის ბრაზი.
იქ „ესოფი“ და სამსონი
ჩამომჯდარან ცეცხლის პირად;
შავ-ღამემდის აგორებენ,
ათენებენ უფრო ხშირად.

—:—

აქ ოთახში ჩოჩქოლია,
ვნახოთ საქმე თუ რაშია;
წარწერაა „სხვა ნუ მოხვალთ,
აქ ბაქარას თამაშია“.

—:—

და განახვათ ნეტა ის დრო,
როს ატყდება თავის ფხანა,
და გინება მუშტი-კრივით
იკეტება ყავა-ხანა!

„ეცი“.



**ქმარი:** — დედაკაცო, ამდენხანს სად აგდიხარ? არ გაგიღებ კარებს, თითქოს მაგრად მეძინა და არ გამიგია. ასე ვიცი სამაგიეროს გადახდა!

## ამბავი სკვერში

გახსოვს ტურფავ, ჩვენ დიდ სკვერში
მე და შენ რომ მტვერში ვრბოდით?!
ნეტა ამ დროს სიყვარულსა
ჩვენ აქ მტვერში, როგორ ვგრძნობდით.
შენ მოსწყვიტე ქორფა ვარდი,—
მეეზოვემ ჩვენ დაგვშტრაფა,
კავალერმა შემოვკარი,
ველარ ჭამა სამ დღეს ფაფა;
ან შენ მაშინ რა იცოდი...,
ან შენ გიჟმა რა იცოდა—
უფულობის გამო შტრაფი
ორი კვირით შემეცვლოდა.

გამოველი მე ციხიდან,
იქ ვიყავი ორი კვირა,
რომ შეგხვდი და შემომხედე
შენმა ნახვამ ამატირა.
დაგყურებდი... ველარ გავძელ,
ლოყით კოცნა მე მოგპარე.
შენ შეკრთი და ლამაზ ხელით
თავში მაგრად ჩამაფარე.
ან შენ მაშინ რა იცოდი
ან მე გიჟმა რა ვიცოდი,
რომ ამ ჩაფარებისათვის
თვით გამსახლში შევხვდებოდი.

მილტონ.




**ლევარსი როხროხაძე:** — კიდევ-და ასე სჯობია, რომ თანამედროვე ლიტერატურას მარილი აკლია, თორემ მაშინ მარილი ასე იაფი არ იქნებოდა — მწერლები დაიტაცებდენ. მარილის კრიზისს — ლიტერატურის კრიზისი სჯობა.

# გავამაგროთ „პოზიცია“

ჩემი ცაცა ახლა გასათხოვარია!

ბევრი ახალგაზრდა უტრიალებს ირგვლივ, წონავენ, ზომავენ და რო ვერაფერ წუნს უჩენენ, მაჭანკალი მაჭანკალზე მოდის.

კვირაობით მაინც ჩეერანწკრებიეწ მაქსიმ გორკის ვაგონივით; დილიდან საღამომდი იგენის პასუხის გაცემას უნდები, თქვენ რომ შემს ჭიშკარზე ჩამეიაროთ, გეგონებათ დოხტური ჩამოსულა აქანაი და ამდენი ალეია ხალხი მასთან საჩვენებლად მოწრეტილაო. ან და იტყვით:—ტერს და ავისას, ვინცხას ფეხი გოუფშიკიაო!

მე და ჩემი ქალი რავაც კი პაწას მევიცლით,—დავჯდებით, გადევიდობთ ფეხს ფეხზე და მუდამ იმის „სოვეტში“ ვართ—ვის გავატანოთ, რა პროფესიის კაცს ჯობია.

— უჩიტელს გავატანოთ, რაია მერე,—საწყალს ბალნების ჩიჩინით თავში პეპელები უფრინავს და მერე კიდო ისე პაწა ქირას ღებულობს, რომ წინეკბილებით რო ჭამოს, ქალი მაინც შიმშილით ხელში ჩაჯკვდება!

გავატანოთ რკინის გზის მოსამსახურეს—მაშინისტს, კაია, ჯამაგირს არა უშავს, დროს ტარებაც ექნება, დღეს ლანჩხუთში რო ფიქრათ მოუვიდეს, ხვალე თიბილისში შეეტავს, წელიწადში ერთჯერ მოსკოვშიაც ამოყოფს თავს უფასო ბილეთით, — მარა რა გამევიდა — ყოველ საღამოს ღორივით მაზუთში ამოთხუპნილი მოვა, ყოველთვის ტანი უნდა დაბანოს, და მე ჩემი ცაცას მექისედ დაპრაპკათ გათხუებაზე ვერ დავყაბულდები!

— გავატანო მიწის მუშას, — რა გამევიდა, გარააბრუნებს—მიწაა, გარმოაბრუნებს—მიწაა, მაიწვევს, შეჭამს, სულ მიწას უჩულურებს, მარა ოქროს მაინც ვერ ნახულობს, არ ღირს!

— გავატანოთ დიდ კომუნისტს, კაია, ჯამაგირი ბლომად აქვენ, მარა აგენზეც ექვი შემდის, „ორპორციონერებს“ რომ უძახიან დაადუენ გაქონილ ნიჩაბზე და პარტიიდანაც გამოუძახეს.

ხოდა, ჩვენ ღამეც რო ამის ირგვლივ ვტრიალობთ,—აი ჩემი ცოდვით საფსე ცაცა (სიცილს) გვაყრის თავზეკოხივით:

თავს ნუ იწუხებთ, მე ვიცი ვისაც წავყობი, მაჭანკლობით გათხუება საქონლის ბაზარზე გაყიდვას გავს. ახლა შეყვარებაა მოდაში და მეც შეყვარებულს უნდა წავყვეო!

— აბა, შე დედა - გაგლეჯილო, დედა შენი ძროხა ყოფილა და მე ხარი რო მაშვლობით მევიყვანე?

ჩვენ შენი გლახა არ გვინდა! შეცვარებაო რო ჩივი,—ქე შეგვაყვარეს და მერე ერთმანეს თვალში რო ჩოუვარდეთ, თითსაც არ ამეისობთ. მედა დედაშენს გვძულს აბა ერთმანეთი? ნამეტანი გადაჭარბებული სიყვარულით მომსვლია — შენთანაც რამდენჯერ ჩამიკოცნია დედაშენის ლეჩხუმის ვაშლივით წითელი ლოყები! მე უმისოთ და მას უჩემოთ ერთი მინუტიც გვეძნელება! შენც ასე მოგივა, ჩვენც დიდათ კმაყოფილი გვიხდებით!..

მარა თქვენც არ მომიკვდეთ, რო მიარჭო ჯოხივით ფეხი, ვერაფელი მოუხერხეთ, მარა მე და ჩემი ქალმაც ძაან გავამაგრეთ პოზიცია: აპა ჩვენ და აპა იგი, ვინ შეაგდებს ბურთს ლელოში! თუ დაგვძლია,—დაიღუპავს თავს და იგია,—ჩოუჩ...ოიბა ვინცხა თავზე ხელაღებულს ... ერთხანს თაფლის ცხოვრება ექნებათ, მერე კი ... კრავენ ...ოფა პანჩურს და ისევ ...ქა სახათაბალო იქნება. არა, იმას არ ...ტყვი შეყვარებით გათხუება გლახა თქვა, მარა უბედურება იმაშია, რომ ახლანდელი კაცის სიყვარული მარტის თოვლივით უდღეურია. თაფლის ჯამში ნაღველი ეწვეთება; ხდება გაყრა და ტირილით გახეთქილი გოგოები მშობლებს ჩამოუფუყდებიან სახოში. მერე კი იჩაჩქუნებენ თავში ხელს, მარა გვიანაა.

რო ასე არ მოგვივიდეს ახლაც ვაფრთხილებ ქალს: გავამაგროთ „პოზიცია“ უფრო და უფრო და მაშინ გევიყვანთ ჩვენსას, თუ არა და, ჩვენი გატკვლიცინებული ცაცა ვინმეს კვანტზე წეიქცევა.

თუ გევიყვანეთ ჩვენი, ხო კაი,—თუ არა-და, მშვიდობით თქვენი ზიარიყანა!

ქვანტი.

# შეურაცყოფა



მერძევე (ჰყვირის): მა-ლა-კო... მალაკოო!
სოფლელი: — საიდან გაიგე ჩემი სახელი? რას ჩამცივებიხარ, ყაცო!? მალაქო თუ მქვია, შენზე ნაკლები ბიჭი ვარ თუ?!

# „ახალი სენი“

— როგორა ხარ, სიმონ?
— ძალიან ცუდათ.
— რათა?
— რათა და ფული არ არის.
— სწორეთ ეხლა უნდა მესესხნა შენგან ერთი მანეთი სადილის ფულად
— უჰ! რას ამბობ კაცო! სადა მაქვს! კაპეიკიც არა მაქვს.
— რატომ კაცო? პასუხისმგებლებს კარგი ჯამაგირი გაქვთ!
— პურის ფულად არა გვყოფნის... სთქვა და წავიდა.

—:—

— როგორა ბრძანდებით ბატონო ნოე?
— ძალიან ცუდათ!
— რათა კაცო, მთელი ქალაქის აშენებლობა შენ ჩაგიგდია ხელში!
— მერე რა არის რა! სხვას ვაშენებ და ჩემს ჯიბეს ვაკლებ!
— ასე რომ ქველმოქმედებას ეწევით არა?
— დიახაც რომ ვეწევი ქველმოქმედებას, მაგრამ ვინ დამიფასა! ამას წინად მთლანგველის სკამზედაც კი დამსვეს.

— მართალა? მაგრამ რაკი ასეთი ქველმოქმედი გული გქონია, მოდი ერთი მანეთი მასესხე სადილის ფულად.
— რას ამბობ კაცო კაპიკი არა მაქვს. თვალზე მივიფარო—დღეს არ ვიცი სადილათ მექნება რამე თუ არა, შენ კი— მასესხეო... მშვიდობით, მშვიდობით!

———

— საიდან მოდიხარ, ბესო?
— ნარკომპროსიდან.
— აქ ფინსახკომში მსახურობდი?
— ფინსახკომშიც ვმსახურობ, სოვნარკომშიც, სოვნახოზშიც და ნარკომპროსშიც. ამდენ საქმეებს ვერ აუდივარ.
— მე კი არსად არა ვმსახურობ სამი წელიწადია.
— ნეტავი შენა, რომ არსად მსახურობ. თავისუფალი ხარ!
—ეგეთი თავისუფლება ნუმც დაგლეოდეს. კუჭი ცარიელი მაქვს.
— რა ვუყოთ მერე, არც მე ვარ მაძღარი.
— როგორ, ხუთი სამსახური გაქვს და არა ხარ მაძღარი?

— მაძღარი კი არა, ცარიელი ჯუჯრაც არა მაქვს ხოლმე სადილად.
— ერთი მანეთი უნდა მესესხნა შენგან, კაპიკი არა მაქვს, კაპიკი. სთქვა და საჩქაროთ წავიდა.

———

— ერთი მანეთი უნდა მასესხო სადილოოთ!
— არც ერთი კაპიკი არ მიდევს და არც სადილი მაქვს სახლში. ისეთ მდგომარეობაში ვარ რომ, რომ არა მრცხვენოდეს ვიტირებდი.
— საკვირველია, რომ ყველა ერთნაირათ ლაპარაკობთ.
— ვინ ყველა?
— ყველა! ვისაც ჯიბე სამსე გაქვთ.
— არა ბიძია, არა! ჯიბე ალარავისა აქვს სავსე, წავიდა ის დრო.

———

— არა, უნდა მივყვე ამასა და სწორედ სადილის დროს შევასწრო სახლში.
— ვთქვი და წავედი.
ვივარაუდე და სწორედ მაშინ მივედი, როცა სუფრა იქნებოდა გაშლილი.
კარებთან მოხრაკულების სუნი მეცა ცხვირში. დავაკაკუნე. გამოვიდა მოახლე.
—სადილობენ!—მითხრა მან იმ კილოთი, რომ წავსულიყავ.
— სწორეთ სადილათა ვარ დაპატიჟებული!—ვუთხარი და შევედი სახლში
ცივად მომეგებნენ. ცალიყბით მთხოვეს, მაგრამ მე თავხედურად დავჯექ სუფრაზე.
სუფრას ათასნაირი სჭმელები და კარგი ღვინო ამშვენებდა. სხვადასხვა ჭიქები, სხვადასხვა მათლაფები— ერთი სიტყვით ზედ ჩიტის რძეც მოიპოვებოდა.
— იფ! რა კარგია კაი ცხოვრება სახლში, ხოლო ცუდი წუწუნი გარეთ, ქუჩებში!—წამოვიძახე და შევექცეოდი ხარბად! მგელივით ვესხმოდი თავს საჭმელ-სასმელებს.
თვალებ გადმოკარკლული მიყურებდენ ყველანი. ეტყობოდა ოჯახის თავს სულ დაეკარგა მადა, დანა-ჩანგალს ველარ ხმარობდა და ბოლოს „ავადაც გახდა“.
— რაღაც არ შემიძლიან!—სთქვა მან.
— უი, დამიდგეს თვალი—შემოიკრეს თავში ქალებმა ხელი და „ავადმყოფი“ მეორე ოთახში გაიყვანეს.
მარტო დავრჩი.
[illegible] დღის საუზმე [illegible] ვჭამე, ღვინოც დავლიე სხვადასხვა ჯურისა და გადავწყვიტე: სანამ [illegible] ვარ, სადილის დროს შევიარო ხოლმე ნაცნობ პასუხისმგებელთან. მანეთად ვერსად ვერ შევჭამ ასეთ დიდებულ სადილს.

ფეშანგი.

## ჟურ. „ტარტაროზი“-ს რედაქცია აცხადებს

# კონკურსს

## იუმორისტულ მოთხრობაზე

მოთხრობის შინაარსი აღებული უნდა იყოს ჩვენი თანამედროვე ყოფა-ცხოვრებიდან.

სიდიდით მოთხრობა არ უნდა აღემატებოდეს „ტარტაროზში“ მოთავსებულ ჩვეულებრივ მოთხრობებს; დაწერილი უნდა იყოს მელნით და გარკვევული ხელით

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, გარდა ჩვენი მუდმივი თანამშრომლებისა და მწერლებისა.

საუკეთესო მოთხრობების ხუთ ავტორს მიეცემა პრემია:

პირველი — 30 მან.
მეორე — 20 „
მესამე — 15 „
მეოთხე — გაზ. „მუშა“ და ჟურ. „ტარტაროზი“ ერთი წლით.
მეხუთე — გაზ. „მუშა“ და ჟურ. „ტარტაროზი“ ექვსი თვით.

გამოგზავნის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 31 მაისი, რის შემდეგ მასალა აღარ მიიღება

წერილზე უნდა იყოს აღნიშნული ავტორის სრული ვინაობა: სახელი, მამის სახელი, გვარი, პროფესია და სწორი მისამართი.

სასურველია ავტორის ფოტოგრაფიული სურათი, რომელიც მოთავსდება ჟურნალში. მოთხრობა მოწონებული იქნება ჟიურის მიერ.

დაწუნებულ ნაწარმოებებს რედაქციაარ ინახავს და მათ შესახებ არც მიწერ-მოწერას აწარმოებს.

ჟურ. „ტარტაროზი“-ს რედაქცია.

## ჩიბათი—ლანჩხუთი

### ჩემი მგზავრობა

ორაგვის ღელეს გავშორდი თუ არა, ორაორშინიან ტალახში ჩავეფალე. ჩემოდანი ტალახში დამეკარგა, მაგრამ ჩემოდანს ვინღა ჩიოდა, — ტალახიდან ველარ ამოვედი. მოვრთე ყვირილი. ამ დროს დავინახე ერთი გლეხი, რომელსაც ზურგზე ბავში შეესვა და მუხლამდე ტალახში ჩემსკენ მოდიოდა. ჩემთან რომ მოვიდა, ბავში ღობეზე შესვა და მე ტალახიდან ამომათრია.

— სად მიგყავს ეგ ბავში?—შევეკითხე მადლობის გადახდის შემდეგ გლეხს.

— სკოლაში მიმყავს,— დაიწყო მან,— ჩვენი გზები ისეა წამხდარი, რომ კაცს ფეხით აღარ გაევლება. ბავში რომ მარტოდ გამოუშვა, ეგებ ჩაიხრჩოს ტალახში. ამიტომ გამწარებული ვარ კაცი: დილას დევიკაპიწებ, შევისვამ ბავშს ზურგზე და მივიყვან სკოლაში. ნაშუადღევს, მეცადინეობა რომ მოთავდება, ისევ სახლში მომყავს,—გაათავა სიტყვა გლეხმა, ბავში ზურგზე შეისვა და გზას გაუდგა.

მინდოდა ღობიდან ღობეზე გავყოლოდი და ისე ჩავსულიყავი ჩიბათში, მარა ცოტა რომ გავყევი, პატრონმა თვალი მომკრა და დამედევნა. მე თავს ვუშველე.

— ჰაი გიდი, გაგიწყრა ღმერთი ვინცხა ხარ და ვერ მოგისწარი, თვარა გაგათრევიებდი წელს!— მომძახა უკან.

შევატყვე, რომ აქედან აღარ ჩაისვლებოდა ჩიბათში და დავბრუნდი ისევ ლანჩხუთში.

გაბრაზებული შევარდი აღმასკომში.

— გამარჯობა შენი!—მივაძახე აღმასკ. თავმჯდომარეს.—რას ფიქრობთ, კაცო, გზების შესახებ? საშინელი მდგომარეობაა,— ტალახში კინაღამ ჩავიხრჩე!

— გზების შეუკეთებლობა არაა ჩვენი ბრალი, — დაიწყო აღმასკ. თავმჯდომარემ,—სხვადასხვა მიზეზებმა შეგვიშალა ხელი. ახლა გაზაფხულია და თესვაა, ხალხს არ სცალია. ზამთარში უამინდობამ შეგვიშალა ხელი. ზაფხულში მარგვლა და თოხვა იყო და, ხომ იცი, ხალხს არ სცალოდა. შემოდგომაზე მოსავლის მოლაგება იყო და, მაშინ ხალხს ხომ სულ არ სცალოდა! დიახ, ყველა ამან შეგვიშალა ხელი, თორემ ასე რომ არ ყოფილიყო, გზებს შევაკეთებდით!

გამოვბრუნდი აღმასკომიდან. რკინისგზას დავადექი და ჩავედი ჩიბათში.

აქ მშვიდობიანობაა..

ყანას ნაკლებად მუშაობენ; დიმარდის დუქანში კარტ-ნარდის სათამაშო მოუწყვიათ. ვაჭრები გამრავლებულან, ძაღლებივით შემოსევიან კოოპერატივს და „შესაჭმელად“ უყურებენ.

ყველას თითეულად ჩამოუარე და ამბავი ვკითხე:

— მიუხედავად იმისა,—მითხრა აკანკალებული ხმით ვანიჩქამ, — რომ ხალხს დიდი სიკეთე ვუყავი— სამიკიტნო გავხსენი და ღვინო სახლში მივუტანე, — „აქტივებმა“ არ დააფასეს ჩემი ამაგი: ერთი ჩეთვერი თეტკა მინახეს, რომელსაც ჩუმად ვყიდდი გლეხებში და ასი მანეთით დამშტრაფეს. რას მერჩოდენ? ღამე აღარ მძინავს დარდისაგან!

— სვინდისს ვფიცავარ დავკეტავ დუქანს,— დაიწყო ივანემ,— გადასახადებს ველარ გავუძელი. დავკეტავ, მარა ხომ გავახარე მაშინ კოსტაიე და კოოპერატივი?

— უცეცხლოდ ვიწვები კაცი ამდენი გადასახადები შემაწერეს!— მითხრა კოსტამ,—დავკეტავ დუქანს, მარა ქი არ გავახარე ნესტორიე და ქრისტოფორაი?

კოოპერატივისკენ გავსწიე, რაღაცა მინდოდა მეყიდა, მაგრამ რომ მივუახლოვდი, იმედი დავკარგე: კოოპერატივის წინ იმდენი ხალხი დამდგარიყო რიგში, რომ რიგის ბოლო სიმონია პატარაის ეზომდი აღწევდა.

— რა ამბავია ამდენი ხალხი?—ვკითხე ერთ გლეხს.

— კოოპერატივი ვერ გვაკმაყოფილებს. ახალი საქონლების მოსვლის დროს, ასეთი რიგია. სპიჩკა რომ გინდოდეს,—მთელი დღე უნდა იცადო რიგში—, მითხრა მან.

შევატყვე, რომ დღეს არ მომიწევდა რიგი და სახლში წაველი.

მიშა ჩიბათელი.

# „მაიმუნი და სარკე“



დაანახვეს მას სარკეში საკუთარი სახე
და იყვირა:—აი რას ჰგავს! ეს რა დავინახე?!
ერთი ბეწვით რომ მას გავდე: იგი ღმერთო; მაშინ
თვითმკვლელობის მიზნით მაშინ, ვისკუპებდი ზღვაში.

პოლიგრაფტრესტის მე-ხ-ე სტამბა, კამოს ქ. № 18

კვირა. 13 მაისი 1928 წ. № 152 ყოველკვირეული ჟურნალი ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## მტრის რისხვა

### საბჭოთა ფლოტის დღის გამო



კაპიტანი (ჩემბერლენს):—ბატონო ჩემო, აკი მოგახსენებდით, რომ საბჭოთა ფლოტი არც ისეთი სუსტია როგორიც ჩვენ გვეგონა. აი, გახედეთ ამ ბინოკლით და დარწმუნდებით ჩემი სიტყვების სიმართლეში.

ჩემბერლენი:—რად მინდა ბინოკლი! ისედაც კარგად ვხედავ და რა საჭიროა ბინოკლით დიდი ფაქტის კიდევ უფრო გადიდება?! სამწუხაროდ, მჯერა მე შენი სიტყვების სიმართლე.

# მ ა ლ ე ი ქ ნ ე ბ ა

საბჭოთა კინო-სურათი: „ოქტომბერი" ნაჩვენები იქნება ამერიკაში მუშათა უბნებში.




**მუშები:** — ნეტავი მალე გამოჩნდებოდეს ჩვენში-აც ჩვენი „ავრორა".

## ო თ ხ ი ძ მ ა ნ ი

პირველ ყოვლის ჩვენ ვახსენოთ
ბრიტანეთის პრემიერი.
იგი არის კაპიტალის
სილამაზე და იერი.
შვილი ეხლა შეეძინა,
თუმცა არის ის ხნიერი..
მაპატიეთ... რაღაც ეჭვი
დამებადა მე ცბიერი:
ხიბერის ჟამს ჩემბერლენი
სხვამ გახადა ბედნიერი!
ოჯახური საქმისათვის
დრო არ ჰქონდა წუთიერი —
ჩვენ დაგვდევდა, ვით ქოფაკი
ბღეზიანი და მშიერი, —
და ეხლა კი... ერთი სიტყვით,
ჭორის არის მადლიერი.

ჩემბერლენთან უსათუოდ
მოვიხსენოთ ბირკენხედი.
ჩემბერლენზე არა ნაკლებ
არის ბრიყვი და თავხედი.
გასტროლებზე დადის ეხლა,
გადიარა ზღვა და ქედი, —
მაგრამ როგორც მას უნდოდა,
არ უმართლებს ისე ბედი.
მოვიგონოთ (ყველას გვახსოვს)
ცოფიანი დეტერდინგი,
რომელსაც რომ „წითელ ნავთში"
ატუცებს უშნო ჯინგი.
ეს საკითხი აღარ არის,
არც იგრეკი და არც იქსი, —
რომ ამათთან უნდა დავსვათ
ტურა-მელა წუწკი ხიკნი.

# საერთაშორისო მდგომარეობა ოჯახში

წაწაკა ნაჰამივით გამწარებული დარბის ოთახში პამპულა ჩალაძე.

მისი ერთი ცოლი, ერთი ქალიშვილი და ერთი ვაჟიშვილი პირდაღებით მისჩერებიან, როგორც ბავშვები უცქერიან ხოლმე ცაში მოსრიალე ჰაეროპლანს.

პამპულა ხანს ერთს შეხედავს, ხან მეორეს, ხან მესამეს. შფოთავს და ღელავს.

— ისე ვარ გაბრაზებული, მე და ჩემმა ღმერთმა, თითქოს საერთაშორისო მოვლენება დაეკისრებინოთ ჩემთვის პიონერების ყრილობაზე. რაა, ამდენი ოჯახური გაჭირვებისთვისაც ველარ დამიღწევია თავი, როგორც ბელა კუნს ვერ დაუღწევია თავი უნგრეთის პოლიციის დევნისაგან.

„შენ, ჩემო ცოლო, მუდამ ისე მიხირდები, როგორც იტალია უხირდება სამხრეთ-სლავიას. სულ იძახი, მოიტა, მოიტა—დამშეული ემიგრანტივით. აბა მითხარი, საიდან რა მოგცე, როცა მე ისე ვარ გაკოტრებული, როგორც დაუესის გეგმა? ამას წინედ ერთ ნაცნობს წავედავე: მინდოდა ძველი ვალი გამენაღდებინა, მაგრამ ისევე პირში ჩალა. გამოვლებული დავრჩი, როგორც საფრანგეთი—ამერიკაში გაგზავნილ საბჭოთა ოქროს რომ წაედავა. მე და ჩემმა ღმერთმა ვერ გამიგია: შენ მტერი ხარ თუ მოყვარე, როგორც ვერ გამიგია: გერმანია მტერია თუ მოყვარე საბჭოთა კავშირისა. მე როგორც ვატყობ: ჩემი ოჯახის საქმეების მოგვარებაში ისევე უძლური ვარ და უიარაღო—როგორც ერთა ლიგა.

„შენ კი, ჩემო ქალიშვილო, რას მომჩერებიხარ პირდაღებული, თითქოს ავსტრია სესხსა სთხოვდეს ინგლისსა? მე შენზე ძალიან გულნატკენი ვარ, როგორც ელზასლოთარინგი საფრანგეთზე. ჯერ ტანი ვერ გიქნია და უკვე დიდების მარაქაში ერევი ალბანიასავით. მე ვიცი შენი ეშმაკობანი, როგორც გეპეუმ იცის ყველა კონტრრევოლიუციური ხრიკები. ის ერთი ვაჟი რომ დაბრძანდება აქა, რისთვის დადის? ერთი ბირკენხედის ბერლინში ჩასვლაა საიდუმლო და მეორე იმ ყმაწვილისა—ჩემს ოჯახში. ნეტავ ერთხელ ისე მოეწყოს ჩემი ცოლშვილის საქმე, როგორც საფრანგეთის ბოლო არჩევნები და ერთხელ მეც გავიხარო პუანკარესავით.

„შენ, ჩემო ვაჟო, ნეტა ვიცოდე, რას აპირებ ამ ცხოვრებაში? ერთი განიარაღების კონფერენცია გააკეთებს რამესა და მეორე შენა. შენ, ჩემო კარგო, ისევე გამოუყენებელი ხარ ჩემთვის, როგორც ეგვიპტე—ინგლისისათვის. ბარემ მინდა ჭკუა დაგარიგო, მაგრამ განა შენ თავში იმაზე მეტი შევა, რაც შევიდა ავღანისტანის ყურში—როცა ინგლისს ელაპარაკებოდა? მე აღარ შემიძლია ასე დაუმთავრებლად გიკითხოთ ლექციები, როგორც დაუმთავრებლად იმართება ათასნაირი კონფერენცია ევროპაში. მე მომბეზრდა სათნო ენით ამდენი ლაპარაკი. ეხლა გადავსწყვიტე ჩემ ოჯახში ისეთივე დიქტატორად გადვიქცე, როგორც მუსოლინი იტალიაში.

რა გინდათ ხალხო? ხომ არ უნდა ჩამყლაპოთ, როგორც ინგლისმა ჩაყლაპა ირაქი? უკაცრავად! მე ისევე დავადგები ყელზე ყველას, როგორც რუმინეთს ადგება ყელზე ბესარაბია.

„ღმერთო ჩემო! ამდენ აყალმაყალში, ამდენ უბედურობაში ისე დავიქანცე, ისე გავჯერდი, რომ ვეღარ გამიგია, რა ხდება ჩემ თავს, როგორც ვერ გამიგია, რა ხდება ჩინეთში?!

„ოხ, ნეტავ ისე დავიწყებულ იყვეს ჩემი სახელი, როგორც არ უწყიან სახელი შვეიცარიის პრეზიდენტისა, თანაც მომშორდა ცხოვრების ისეთ მოულოდნელ აყალმაყალს, რაც ეხლა იაპონიას შეუხვდა ჩინეთში.

საოცრეში რომ ვიცქირები, სახე ისე დამჭკანია, როგორც საზღვრები პოლონეთისა და ჩემი თავი ისე მებრალება, ლამის საცოდავად მოვიკუნტო ლიტვასავით. ბრმაც რომ ვიყო, მაშინაც კი შევამჩნევ, რომ თქვენ ერთ გვარი ბლოკადა გინდათ შეჰქმნათ ჩემს ირგვლივ, როგორც ინგლისი სჩადის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ თქვენ ამას ვერ შესძლებთ, როგორც გერმანიის მთავრობამ ვერ შესძლო წითელფრონტელების დაშლა.

არ იფიქროთ, რომ მე ჩანჩული რამე ვარ მეორე ინტერნაციონალივით. თუ ავხირდი, ჩემში იმდენივე მებრძოლი ძალა და სულია, როგორც მესამე ინტერნაციონალში. მაშინ მიფრთხილდით, თორემ ისე გაგაძევებთ ყველას ჩემი სახლიდან, როგორც ტროცკისტებს—კომპარტიიდან.

მაშა! ხედავდეთ ამას იქით, რა კაცუცა ვარ!

ნადირი.

## კარგი მოტივია!



— აკი ამბობდი, რომ აწი არაფს თვალით არ შევხედავო? თქვენ კი ისევ მთვრალი ხართ!

— ღმერთს გეფიცებით, რომ ხუთ თვალდახუჭული ვულაპარავდი და ერთხელაც არ შემიხედავს. არაყის ხავსე ჰიქისათვის.

# გამიჯნურებული

— არა, რა დღე იყო ის დღე, როცა მე, აქტიურ-მა მუშაკმა იმ კრებაზე დაგინახე. შეიძლება სრულებით შეუმჩნეველი დავბრუნებულიყავ ჩემთვის, რომ უცებ არ ჩამომძინებოდა და ცხვირი არ ჩამომეკრა შენთვის მხარზე, რადგანაც ჩემ წინ იჯექი.

ჯანაბას ცხვირი... მართალია მეტკინა, მაგრამ მაგას გაუძლებდა კაცი, რომ შენ არ შემოგეხედა.

შემომხედე და ჩემი პროფაქტივობა სადღაც გაქრა. თვით ძილიც დამეკარგა და მთქნარების მადაც გადამივარდა.

—ნახალ!—ამხანაგურად მითხარი შენ.

— ვი სამ ნახალ!—ასეთივე კილოთი მოგმართე მე და გული ამიყუჩდა, რადგანაც საერთოდ გულჩვილი კაცი ვარ.

—ის იყო და ის. მას შემდეგ დავკარგე მოსვენება და როცა შტატების შემცირებაში მოვყევი და უსაქმოდ დავრჩი, ლექსების წერაც კი დავიწყე.

შრომის ბირჟაში შენი სახე მეჩვენება და რეგისტრატორი (კაცია) კინაღამ შევიყვარე, რადგანაც მასაც შენსავით ვაჟკაცური გამომეტყველება აქვს.

დაე, დავრჩე უმუშევრად, ოღონდ შენ იყავი სამსახურში, ჯამაგირი მოიმატე და მეც შენს ოთახში გადამიყვანე... ვფიცავ ჩემს დერეფანს (რომელშიაც ღამეს ვათევ), რომ ყველაფერს დავთმობ შენი გულისათვის, მივატოვებ რაზვოდში გაშვებულ ცოლს (რომელმაც ალიმენტებით გამათავა) და ვიქნები შენთან, რომ დავტკბე შენგან ადუღებულ სამოვრის ჩაით.

მე მინდა შენთან ყოფნა, მინდა გავხდე შენი თანაშემწე და შენი ფიქრების რეგისტრატორი, და თუ ნებას მომცემ, შენი გულის საბინაო ფართობის დომკომიც.

რაც შენ გნახე, მას შემდეგ დავკარგე ფიქრების ნორმალური მიმდინარეობა და როგორც ზოგიერთი პოეტი, ისე დავდივარ ქუჩებში უთავბოლოთ.

ჩემი ფიქრების პლენუმის მსჯელობის მთავარი საგანი შენ ხარ... შენ ხარ ჩემი გულის ადმინისტრატორი და გონების საქმეთა-მმართველი....

გემუდარები, ნუ გახდები ბიუროკრატი, როგორც ჩემი ყოფილი გამგე და მიმიღე შენი გულის ერთერთ კუნჭულში, თუნდაც კოოპტაციის საშუალებით

შენი ტერსიტი.

# ახირებული ჩვეულება



— ვა, რა მაინცდამაინც წასვლის დროს ჩამოეძინაამ ოხერ-ტიალს?!

— ასე იცის ყოველთვის: როგორც კი მოახლოვდებაწასვლისა და ფულის გადახდის დრო, მაშინვე ჩაიძინებს, რომ აიშოროს თავისი წილის გადახდა.

# შიში



— ძერა! ძერა! უი, ქა! რამოდენაა, კრუხსაც დასძრავს.

—კრუხს კი არა,—რაც ახლოვდება უფრო დიდდება,—ჩაეჭიდე ამ ხეს, თორემ, როგორც ეტყობა, ჩვენც ჰოგვეერევა!

## „გამოღვიძებული“ მუშაობა

დაიწყეს თუ არა სოფლის სექციებზედაც გაზეთებში წერა, უმოქმედო თემის სექციებმაც მაშინ სცქვიტეს ყურები.

— აბა, ჩქარა სექციების სხდომები, თორემ ცუდათაა საქმე!—იძახდენ გამწარებული სექციის თავმჯდომარეები—დღეში ორჯერ სექციის სხდომა!

და, მართლაც, ერთი თვის ცხარე მუშაობის შემდეგ, ერთ-ერთ სექციის თავმჯდომარემ უკვე სხვა სექციების ერთი წევრი მოიყვანა სხდომაზე. დანარჩენებმა არც კი იცოდენ—იყვენ თუ არა ისინი სექციის წევრებათ. ამიტომ თავმჯდომარემ გადასცა სია იმ წევრს, რომელიც მისული იყო და დაავალა დანარჩენების მოძებნა.

დიდ ხანს იარა, თუ ცოტა ხანს, შეატყობინა ყველას და, როდესაც ბრუნდებოდა უკან, შეხვდა ვიღაც მოქალაქე, რომელიც ძლიერ სიმთვრალის გამო პირიდან „საქმობდა“.

მან, როგორც სანიტარული სექციის წევრმა, ვეღარ მოითმინა მოქალაქის ასეთი ანტისანიტარული მოქმედება და გაბრაზებული მივიდა იქ, სადაც ის მოქალაქე დამთვრალიყო.

თურმე ქორწილი იყო. მიიპატიჟეს ისიც. ქორწილში წაქეიფების სურვილმა დაავიწყებინა სექციის სხდომაზე დროიანად მისვლა.

როცა ყველა სექციის წევრები შეიკრიბენ, თავმჯდომარემ განაცხადა:

ამხანაგებო, ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ჩვენ სოფლებში ისე, რომ ყველა გაკვირვებული დარჩეს ჩვენი მუშაობით, და გაზეთებშიაც ქება-დიდებასთან ერთად ჩვენი სურათებიც მოათავსონ.

ამისათვის, ვინაიდან ჩვენი გლეხობა ჩივა იმას, რომ შარა-გზებზე სდგას, ე. წ. ფეხის ადგილები, რომლებშიაც ჩვენ უნდა გადავდგათ ისეთი ნაბიჯი, როგორიც ჯერ არ მომხდარა, ამიტომ აუკრძალოთ ყველა გლეხს ფეხისადგილებით სარგებლობა და ეხლა მით უმეტეს სოფელში, როდესაც ხეები გამოსულია და შეუძლიათ თავის დაფარვა ყველგან. ზამთრისათვის კი შემოღებულ იქნას ე. წ. სალამურები, ანუ „გარმოკები“,—ყოველ სულზე თითო. ამისათვის წინადადება მიეცეს კოოპერატიულ სექციას დაუკვეთოს კოოპერატივს ასეთების მარაგი მთელი გლეხობისათვის.

შემდეგ წამოდგა სხვა სექციების წარმომადგენელი და დაიწყო:

— მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება ჩემს ცოლზე, რომელსაც ერთი თვეა ვეუბნები და არ გამირეცხა საცვალი, რომელიც, რასაკვირველია, ჩემს მიმართ ვერ ჰქმნის...

— მოიცა, უკვე მივხვდი!—შეაწყვეტინა თავ-რემ—ეს საქმე, ამხანაგებო, მართლაც სერიოზულია. ამ საქმეს ეხლავე უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რომ შემდეგში სხვა ცოლებმაც არ განიმეორონ მზგავსი ამბავი. აბა, დაუკვირდით ამ ამხანაგის განცხადებას—რას ჰგავს მისი ცოლის საქციელი? მთელი თვე საცვალი გაურეცხელი! ეს ერთი სანიტარული წესების უარყოფაა; მეორე მხრივ კი—საქმის გაჭიანურება! ვის გაუგონია, ერთ თვემდე საცვლების გარეცხის გაჭიანურება? ამისათვის დაინიშნოს კომისია სამი კაცის შემადგენლობით, რომელსაც დაევალოს: ადევნონ თვალ-ყური ამ მოქალაქის საცვლებს, თუ გამეორდეს ასეთი, გადაეცეს სათანადო ორგანოს, რათა ასეთი ცოლები მოხსნილი იქნან თანამდებობიდან, ე. ი. ამ მოქალაქეთა ცოლობიდან.

— მაგ რა შუაშია!—წამოიძახა ერთმა—ჩვენ მოსამსახურეთა შორის ვებრძვით საქმის გაჭიანურებას, თორემ ცოლთან რა საქმე გაქვსთ?

—ცოლი იგივე მოსამსახურეა, და თუ ოჯახში ვერ მოისპო ასეთი, მაშინ სხვაგანაც დარჩება და უკანასკნელად დავძენ, რომ აეკრძალოს ყველა დიასახლის სახლების დაგვა, ვინაიდან ისინი ნაგავს გარეთ ყრიან, რითაც ხელი ეშლება ჩვენ მოქმედებას.

ასე დამთავრდა სანიტ-სექციის სხდომა.

მეორე ოთახში კი იმ დღესვე მოწვეული იყო საგზაო სექციის სხდომა, რომელმაც დაადგინა: მოკირწყლული იქნას ის ქუჩები, რომლებიც კარგი შეკეთებულია, ხოლო ვინაიდგან ჩვენ გზებში არის ისეთი ადგილები, რომლებშიაც გავლა შეუძლებელია და თითქმის შექმნილია ჭაობები, ამიტომ აქ ჩვენ ვერაფერს გავხდებით. ამისათვის ეცნობოს მაზრას, რათა მიიღოს ზომები მათ დასაშრობათ.

ხოლო კულტ-სექცია კი ადგენდა: ჯერ არ არის საჭირო ჩვენ სოფელში არც ლიკ-სკოლა და არც ოთხწლედ-შვიდწლედები, რადგან ეს გაამრავლებს მცოდნეთა რაოდენობას, ხოლო ჩვენ თემში საკმაო რიცხვი უკვე მოიპოვება საშუალო მცოდნეთა, რომელთაც კიდევ უნდათ სწავლის გაგრძელება. უმაღლესში კი საკმაო ადგილები არ არის. ამიტომ აღიძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოს წინაშე, რათა ჩვენ თემში დაარსდეს ერთი უნივერსიტეტი, სადაც უმაღლეს ცოდნას მიიღებენ ადგილობრივი „ინტელიგენტები“.

აი როგორი მუშაობა დაიწყეს სექციებმა და მომავალში ენახოთ მათი შედეგი.

გუნტი.



ცოლი:—გენაცვალე, შენი ჯამაგირით ტანსაცმელი და ოჯახის მოწყობილობა შევიძინოთ. ჩემი ჯამაგირით კი—თეატრისა და სხვა გასართობებისათვის გვეყოფა.

## სრულიად სატარტაროზო სესია

მაისის 6-ს გურიის დედაქალაქში—ოზურგეთში გაიხსნა სატარტაროზო მორიგი სესია. სესია გახსნა ამხ. ტარტაროზმა, რომელსაც დელეგატები მხურვალე ტაშით შეეგებენ.

## ლევარსი როხროხაძის მოხსენება საგარეო მდგომარეობაზე

— ამხანაგებო—დაიწყო ამხ. ლევარსიმ—გურიის საერთაშორისო მდგომარეობის განხილვის დროს უმთავრესად უნდა შევეხოთ ჩვენს მეზობლებს და მათთან დამოკიდებულებას.. საერთოდ უნდა ვსთქვა, რომ ამ საანგარიშო ხნის განმავლობაში, საგარეო ფრონტზედ ჩვენ ძალიან დიდი მიღწევები გვაქვს. ეს გამოწვეულია, ერთი მხრივ, ჩვენი შინაური სიმტკიცით და, მეორე მხრივ, ჩვენი დიპლომატიის გამარჯვებით.

**ჩვენი ურთიერთობა აჭარისტანთან.**

როგორც იცით, ამხანაგებო, აჭარისტანთან მოლაპარაკება დავიწყეთ ამ რამოდენიმე წლის უკან და ეს მოლაპარაკება დამთავრდა ეგრედწოდებულ **„ნაფოცხვარის ხელშეკრულებით“**, რომლის თანახმად სადავო ადგილები, ხარითალი, **მვანიახერი**, **„ხინო“** და სოფლები აჭი და ქაქუთი გადავიდა აჭარისტანის ფარგლებში.

მაგრამ საზღვრების საკითხების მოწესრიგებასთან ერთად საჭირო იყო ეკონომიური ურთიერთობის მოწესრიგებაც, ვინაიდან კონტრაბანდის საკითხი ჩვენსა და აჭარისტანის კონტრაბანდისტებს შორის მწვავე ხასიათს ღებულობდა. მათ შორის კონფლიქტის თავიდან ასაშორებლად ჩვენ შევსძელით, გურიისა და აჭარისტანის კონტრაბანდისტების გაერთიანება რამოდენიმე ტრესტში. ამ მიზნისათვის დაარსდა შემდეგი ტრესტები: **„ქვაბალათის ტრესტი“**, **„ჩხაკოურის ტრესტი“** და **„ზემო თავსურების ტრესტი“**. ყველა ამ ტრესტებს აქვთ თავიანთი განყოფილებები როგორც ოზურგეთში, ისე გურიის სხვა კუთხეებში. ამ ტრესტების გაძლიერებას ხელს უშლიან საგანგებო რაზმელები; რომლებიც ტრესტების წარმომადგენლებს საგანგებო კურსებზე აგზავნიან გამსახლეში.

ამ ქვეყანასთან ჩვენ დავამყარებთ კიდევ უფრო მტკიცე კავშირს. ამის თავდებია ქობულეთ-ლელვა-ოზურგეთის გზატკეცილი, რომლის გაყვანის გეგმა უკვე არსებობს და ალბათ ოდესმე მალე გაკეთდება. აგრეთვე არ უნდა დაგვავიწყდეს ბუჟუ-აჭის წყლის ხიდის გაყვანა, რომელზედაც აჭარისტანმა საკმაო ფინანსიური და ტექნიკური დახმარება გაგვიწია.

აქ უნებლიეთ მახსენდება ამხ. შოთას სიტყვები:

**„გული მისცეს გულისათვის**
**სიყვარული გზად და ხიდად“.**

მართალია აქ ამხ. რუსთაველს სხვა აზრი აქვს გატარებული, მაგრამ მე ვიტყვი, რომ მარტო სიყვარული თუ გავდევით „ბუჟუზედ“ და „აჭისწყალზე“ ხიდათ,—ეს არ იკმარებს. ასეთ ხიდზე გასვლას ვერავინ შესძლებს და მისაღებიც არ არის ამ ჩვენს დროში. ჩვენ უფრო რეალურად მივუდგეთ საკითხს. სიყვარული აჭარისტანთან უკვე გვაქვს. ხიდის კეთება დაწყებულია, ხოლო ამხ. ერისტო როდის დაასრულებს, ალახმა უწყის. ამგვარად, ამხანაგებო, ჩვენი ურთიერთობა აჭარისტანთან კარგია და კიდევ გაღრმავდება.

**ფოთი და ჩვენ.**

ფოთი, როგორც იცით, ამხანაგებო, [illegible] განვითარებული სამრეწველო ქვეყანაა. სასოფლო მეურნეობა თითქმის სრულებით არ მოეპოვებათ. [illegible]



ცოლი: — სახლში რომ დაგდებულხარ, — წადი და იმსახურე სადმე!
ქმარი: — სად უნდა ვიშოვო სამსახური, როცა ყველგან ცოლი და ქმარი მსახურობს!

პირობებში, ფოთს ძმური კავშირი უნდა ჰქონებოდა ჩვენს სასოფლო მეურნეობის ქვეყანასთან, ვინაიდან ამას მოითხოვს ორივე ქვეყნის ინტერესები. მე კითხვას ვსვამ. ჩვენი პანტა ვაშლის ან ფელამუშის (დამფხობა*), ანდა ტყემლის არყის გარეშე შეუძლია ფოთს არსებობა? არ შეუძლია. პო-და ფოთელების ზოგიერთ „შუბლმაგართა“ ჯგუფს არ ესმის ეს საკითხი, რამაც გამოიწვია ზოგიერთი გაუგებრობანი. საკითხი ეხებოდა ჩვენს სათევზაოებს, სახელდობრ: **მალთაყვა, ლედაბერა, ტბაქიმნათი, ფიჩორი და გურიკას**, რომლებიც ფოთმა ხელში ჩაიგდო. როგორც იცით, ამხანაგებო, ამ საკითხის მოსაგვარებლად მოწვეულ იყო ფოთის ორთა კონფერენცია.

მაგრამ, ამხანაგებო, როგორც იცით, ეს კონფერენცია დასრულდა უშედეგოდ. საკითხი გადატანილ იქნა ცენტრში, სადაც სხდომას ჩვენ მხრივ დაესწრო ამხ. გოროგი რამიშვილი. ფოთის მხრივ დაესწრო ამხ. ბესარიონ გოგია და საკითხი იქ მშვიდობიანათ მოგვარდა.

### სადავო საკითხი ქუთაისთან.

ქუთაისს სურების მთაში შემოჭრა და სამოვარის „შუა გორას“ დაჭერა არ ეყო. 1928 წლის 9 მარტის თარიღით 861 ნომრით ქუთაისის მაზრის აღმასკომიდგან გურულიშვილის ხელის მოწერით ვღებულობთ ნოტას, რომლითაც წინადადებას გვაძლევენ, რომ მათი გავლენის სფეროებში გადავცეთ სახოვა და ულეველი, რაზედაც ჩვენ უარყოფითი პასუხი გავეცით. ამას შედეგად მოჰყვა—საზღვარო ატაშეს ამხ. შალვა მესხის გაწვევა ქუთაისში.

### რაჭა - ლეჩხუმთან კავშირი უკვე გვაქვს

როგორც იცით, ამხანაგებო, რაჭა-ლეჩხუმთან ამ უკანასკნელ დროს კავშირი აღვადგინეთ. ამას მოითხოვდა ორივე ქვეყნის ინტერესები. თქვენ ალბათ იცით, რომ რაჭასა და ლეჩხუმს შორის არსებობდა ბრძოლა „კრებალის პრობლემის“ გარშემო. ჩვენი ჩარევით ეს საკითხი მოწესრიგებულ იქნა „სამთა კონფერენცია“-ზედ.

ამ ჟამად „კრებალის პრობლემა“ ამოწურულად უნდა ჩაითვალოს.

აქ ჩვენ გამოვიჩინეთ იშვიათი დიპლომატიური მიჯი და რაჭასთან დავდევით ხელშეკრულება, რომლის ძალით ოზურგეთში არსებულ ეგრედ წოდებულ „სასადილო არტელს“ არ ეკრძალება გურული „ადესის ღვინო“ გაუშვას „ხვანჭკარა“-ს ფირმით, ნამდვილ „ხვანჭკარა“-ს ფასებში.

### ჩვენი კავშირი აღმოსავლეთთან, ანუ ტუნელის იქითა ქვეყნებთან.

აღმოსავლეთის ქვეყნებთან ჯერ ჯერობით ჩვენ სერიოზული მოლაპარაკება და კავშირი არა გვაქვს. ერთად ერთი ქვეყანა, რომელთანაც ჩვენ უკვე კავშირი გვაქვს, ეს არის გორის მაზრა. ამ ქვეყნიდგან ჩვენ მივიღეთ ფინანსიური დახმარება და ჩვენც მზად ვართ ვალდებულება დავიცვათ და საჭიროების დროს ჩვენც დავეხმაროთ.

სხვა ქვეყნებთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას.

### დასკვნა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელ რიგ ქვეყნებთან, როგორც არის, მაგალითად, ფოთი, ქუთაისი და სხვა, დაძაბული მდგომარეობა გვაქვს. ჩვენი საგარეო მდგომარეობა მაინც მტკიცეა. აი, ამხანაგებო, მოკლეთ ჩვენი საგარეო მდგომარეობა და ნება მიბოძეთ მარცხენა სკამზედ მჯდომთ და ცენტრის მიმართულებასაც უთხრა:— ნუ ღელავთ, რამდენიც არ უნდა იხტუნოთ, წელის ზევით მაინც ვერ ახტებით და ყველა ის ზომები, რომელსაც ვატარებდი, მისაღებიც არის და მოსაწონიც. (ტაში და ხმაურობა).

ეხლა, ამხანაგებო, ნება მიბოძეთ გადავიდე ჩვენს საშინაო მდგომარეობაზედ.

(გაგრძელება იქნება).

ტოქსინი

*) ფელამუშს ფოთელები ტერმინით დამფხობა ეწოდება.

# (მშვიდობის ნობის) ანგელოზი

**იმპერიალისტების ახალი ვარიაციით.**



## ნიგოითის სადგურში

საჯავახო!... საჯ-ვახო!. საჯავახო!!! ეი! არ გეყურება შენ ოჯახ დაქცეულო? ჰო-მე ვარ ნიგოითი. რომელი ხარ! სუფსა?! სუფსა კი არა საჯავახო მინდა კაცო.

წკრრრრრრ.... წკაპ.. წკაპ;; წკაპ;; საჯავახო!;;; საჯავახო!!. ოი შენ დაყრუვდი ბარემ. კაცო ამდენი ხანია გიძახი და არ იქნა შენი გაგონება. ბიჭო?!? ხომ არ გყავს რამე? ჰა?... აჰ?. სტოსემნაცატია?! როდის გამევიდა კაცო! კაი.. კაი, სხვა რამობი, არ ჩამოხვალ ერთს აქეთ? გესმის? გამეიხედე ერთი აქეთ, ბიჭო წადი?

— სადაა, ბიჭო, მეისრე?!...

— ნარდს თამაშობს მგონი, ეგერ, დუქანში.

— დოუძახე, კაცო, მალე. სტოსემნაცატი გამევიდა საჯავახოდან!..

— გამეიარე კაცო მალე; სად ხარ ამდენხანს? წადი მიიღე მეორეში.

— სად ვარ კაცო, და იმფერი გახურებული ნარდის თამაში იყო, რომე რაღა გინდა შენ. კაი გახსნეს ამ ნიგოითში აი ნარდის სათამაშო. ორ კაცს უგებ ჯერ-ჯერობით და მინდა რომ უკეთესად ვისწავლო.

— კაი... კაი მერე იმუსაიფე მაგაზე; წადი ახლა მემუა რაც ხანია.

— ის კი არა, ბიჭო, ამ ჩვენს ნაჩანიკს იმფერი ცოლის დაი ყავს, ,რომე რაღა გინდა შენ! — გუშინ ზარე ერთი ხელი იმასაც ქე, მუუგე.

— მეორეში... მეორეში გესმის?!. ხო.. ხო;; (სადგურში მატარებლის მიღების შემდეგ, მეისრე ისევ ნარდის სათამაშოთ მიდის).

— ლანჩხუთი!.. ლანჩხუთი!!.. ლანჩხუთი!.. უუუუ! ღარ გესმის კაცო?! მიიღე სტოსემნაცატი. აჰ?...ჯერ შენდგან?! არა არა, მიიღე ეს ჯერ და შემდეგ... კაი... კაი, აბა გამევიდა?!!! როდის კაცო?...

— დაუძახეთ კაცო მეისრეს...

— ეგერ მუა მგონია.

— სათ წადი, კაცო, შენ?!

— რა ამბავია?! ხომ აფერი გამოსულა?!

— ლანჩხუთიდან გამევიდა. წადი მიიღე პირველში:

— რა ამბავია, კაცო, დღეს შესვენება არ მაქვს. ეგერ ახლა კაცს მარსათ უგებდი, კარები ჩუუკილტე და მას სამი ქვაი ჰყავდა მკვტარი, მარა მუარდა აი ეშმაკიდან წაღებული პოეზდი და ქე დამალუპიე მოგებული ნარდი.

— რა დროს ნარდია, კაცო! გეიქეცი მალე!

— მივალ, ხომ ხედავ... მაგას დაამტროვს გამჩენი ღმერთი.

გრ. არუელი.

## ნ ა ჩ ა ლ ნ ი კ ი

მოქმედება სწარმოებს საჯევახოში. სადგურის უფროსი ბ. ელენტი ქვაფენილზე სეირნობს თამროსთან. მატერებელი გამოსულია ნიგოითიდან. ბილეთები არ იყიდება; ხალხს მღელვარება ეტყობა.

ბიკტორ (თამარას):—სწორედ ბედნიერათ ვთვლი თავს, როცა ასეთ მშვენიერ არსებას ვუცქერი, როგორიც თქვენა ხართ!

**თამარა** (ნაზათ):—რატომ იკადრებთ, ბატონო ბიკტორ მაგას? განა თქვენ სილამაზეს ჩემისთანა ქალები ცოტა დაუტყუილებია? სწორეთ იშვიათი კაცი ბრძანდებით მთელ საჯევახოში. ამასთან ერთათ თანამდებობაც ხელს გიწყობს.

**ბიკტორ** (ამაყად):—დიახ! განა ჩემი თანამდებობა მარტო სადგურის თანამშრომლების უფროსობით განისაზღვრება? მე უფრო მეტი მოცულობის უფლებები მაქვს ამ დარგში. მაგ. მე შემიძლია ეს ხალხი, რომ დაულიათ პირი და მატარებელს უცდის, აქ დავტოვო ხვალემდის; მატარებელი კი თავის გზას გაუყენო!

**თამარა** (იცინის):—რა სასაცილო მოვლენა იქნება, ღმერთმანი, რა სასაცილო! ხა-ხა-ხა!

**ბიკტორ:** ანდა, კიდევ უფრო მეტი: მე შემიძლია ნიგოითიდან გამოსული მატარებელი არ მივიღო და თავისი მგზავრებით მთელი საათობით ვაყურყუტო ხევის წყლის ხიდთან, თუ თქვენი ნება იქნება, ეხლავე დაგიმტკიცებთ ქ-ნო თამარ?

**თამარა:**—რა საჭიროა! განა ისედაც არ ვიცი, თუ რის შემძლე ბრძანდებით? (პაუზა) მაგრამ იცი ბიკტორ რა სასაცილოა ეს ხალხი რომ დავტოვოთ მატარებელზე? ხედავ რა აღელვებით ელიან მის მოსვლას?

**ბიკტორ:**—ძალიან კარგი, თქვენ თუ კი გესიამოვნებათ, ამ ხალხს კი არა, მატარებელი, როცა მოვა, მთელ საათს აქ გავაჩერებ თავის მგზავრებით და მემანქანე კონდუქტორებით (იცინიან).

# წინდახედული



**თავგაჩეხილი** (მილიციელს)—გაუშვით, რას ერჩით მაგ კაცს? ჩემთვის არაფერი არ დაუშავებია!
**მოქალაქე** (თავგატეხილს):—როგორ თუ არ დაუშავებია! აკი მე ვხედავდი, რომ თავი გაგიტეხა! პასუხისგებაშია მისაცემი!
**თავგატეხილი** (მოქალაქეს): —არ მინდა არაფერი...ერთ თვეს მოუხდიან, შემდეგ გამოვა და თავის გატეხასაც არ მაკმარებს,—მთლად მომკლავს. გაუშვით, არ დაიჭიროთ!

---

**ბიჭუნა** (ბიქტორს):—პაპა, დედამ მოდიო!

**ბიქტორ:**—ნუ ხარ ხარბი თქვა—ასე უთხარი (თამარს) ასე იცის მაშინვე ბავშის გამოგზავნა, როცა სხვა ქალთან დამინახავს.

**პოლიკარპე** (სადგურის საბარგო მწონავი, რომელიც მიმართავს ბიქტორს):—ამხანაგო ბიქტორ, მატარებელი სადაც არის—შემოვა სადგურში. ბილეთები კი ჯერ არ გაყიდულა; ხალხი მღელვარებს; როგორ მოვიქცეთ?

**ბიქტორ** (დაცინვის კილოთი):—შენი ამხანაგი აგერ არის იმ ვაგონში დამწყვდეული (მიუთითებს საბარგო რონოდაზე, რომელიც ლორებით არის სავსე). სად ხარ თუ იცი?

**პოლიკარპე:**—მაპატიეთ, ბატონო, შემცდა!

**თამარა:**—შეცდა! უფროსის წინაშე შეცდომა?

**ბიქტორ:** (პოლიკარპეს ჩუმათ) ამხანაგოს დახმარებასაც თავის ალაგი აქვს; აქ კი უადგილოა, როცა ხალხი თქვენს უფროსათ მცნობს. (თამარს) შეხედეთ, როგორ გამითამამდა თანამშრომლები? მაგათ თუ ერთი „საყრაშჩენია“ არ მივარტყი, ჭკუას არ ისწავლიან. (პოლიკარპეს) ხალხს გამოუცხადე, რომ დღეს ბილეთები არ იყიდება-თქო. მოიცადონ და საღამოს მატარებელს გაყვენ. ხომ გესმის?

**პოლიკარპე:**—მესმის ბატონო (მიდის).

**ბიქტორ:** (ამაყათ)—მაგათ უჩვენებ, თუ ვინ ვარ მე. (სალაროს გასაღებს ათამაშებს ხელში).

**გლეხი:**—ბატონო „ნაჩალნიკო“, პევეზი გამოსულია, ბილეთს არ გვაძლევენ. ვინ უნდა მოგვცეს? ვის მივმართოთ? როგორ მოვიქცეთ?..

**ბიქტორ:**—როგორ მოიქეცი და საიდანაც მოსული ხარ, იქით შეაყოლე.

**გლეხი:** ჰმ! ეს რავა ჩვენი ალმასკომის მწერალივით მეუბნება, ერთი შეხედეთ?! (მიდის).

**თამარა:** (მხიარულათ)—ხედავთ, ბიქტორ, მატარებელიც გამოჩნდა. ხალხი როგორ ბუზივით ირევა! რა სასაცილო სანახაობაა, ღმერთმანი, ამდენი ხალხის მატარებელზე დარჩენა!

**ბიქტორ:** (ამაყათ)—უნდა გაიგონ, თუ ვინ ვარ. (მატარებელი სადგურის წინ სდგას. ხალხი კარებს აწყდება. კონდუქტორი არ უშვებს უბილეთოებს რონოდაში).

**ბიქტორ** (მატარებელს აძრო ისტუმრებს და მგზავრებს უცხადებს): საღამოს მატარებელი ნომერ 14 გამოივლის და იმაზე გავყიდი ბილეთებს.

**ოხუნჯი მგზავრი** (რომელიც დარჩა მღერის):

ასე იცის ჩვენ ბიქტორმა:
როცა ქალი მასთან მიდის,—
წამოუვლის რაღაც ჟინი
და ბილეთებს არ გაჰყიდის.

**ირაციცხლი.**

# განხრა

თქვენ ალბათ ხშირად გესმით სიტყვა „განხრა“.

განხრა ახალი სიტყვაა. იგი თანამედროვეობის ჩირმშო შვილია და ჩვენი ყოფის პირის-ზიარება.

მაგალითად: სკოლას აქვს პედაგოგიური, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო ან სხვა რომელიმე განხრა. პოეტს ჩვეულებრივად აქვს მიღწევების განხრა, საბჭოთა მუშაკს—დაკვრითი განხრა. პროფმუშაკს—აქტიური. ძირითად აქტივს—პროდუქტიული და სხ.

წაბაძულობით, ხომ იცით ბევრი რამ ხდება და ჩვენი საერთო ნაცნობის ბეგლარ ბეგლარიჩის თავშიც მოხდა ერთგვარი განხრა.

დაწესებულებაში, სადაც იგი მსახურობს გამგეთ, მან მიინიჭა ბიუროკრატიული განხრა და ისე შეუდგა მოვალეობის ასრულებას.

საქმეთა-მმართველი, რომელიც მეტად მიმბაძველი კაცია, არ ჩამორჩა გამგეს და თითონ ვოლუკიტური განხრა მიითვისა.

— ეგრე არ უნდაო,—ჩაილაპარაკა მთავარმა ბუხგალტერმა და უცებ ჩადგა უთავბოლობის განხრის კალაპოტში.

—მე ვილასი მეცამეტე ზატკანი ვარ,—სთქვა მოლარემ და ფლანგვითი განხრით მიუდგა თანხების განაწილების საკითხს.

—თხა თხის უარესი...—ჩაიჭიკჭიკა მემანქანე ქალმა და უცებ პარფიუმერიულ განხრაში გადავარდა.

ასეთი ცვლილებების შემხედვარე დარაჯმა აღარ დააყოვნა და მთვლემარე განხრა მიიღო. შიკრიკი სიზანტის განხრაში გადაიჭრა და დამგველიც მტვრიან განხრაში გაეხვია.

მალალური.



— აკი ამბობდი, რომ შენთან ცხოვრებას მტკვარში თავის დახრჩობა მირჩევნიაო! ჰა, მტკვარიც ეს არის; ეხლა გაქვს დრო!

— კიდეც ვიზამდი, მაგრამ ეხლა წყალი დიდია და სახიფათოა თავის დახრჩობა!

# ქიათურა

„ქართულ მარგანეცს“ ამშვენებს
რაინდი, ვინმე, „ჭკვიანი“,
ნაფიცი ექსპედიტორი,
მოქნილი, მეტად „ფხიანი“!

—:—

ერთობ სძულს მოწინავენი:
მუშები პირში მთქმელია,
უყვარს მლიქვნელი, ლაქია,
მოძმისა გამყიდველია!

—:—

დასცოცხა, მირეკ-მორეკა
მისი მეტოქე ყველანი,
იმდენი სწერეს მასზედა,
რომ დაშრა ერთობ მელანი!

—:—

მუშკორებს სდევნის, ემუქრის
და უბრიალებს თვალებსა,
თუ გაუვიდა, ხელთ იგდო,
არავის გაახარებსა!

—:—

მისი საქმენი საგმირო
ცნობილი არის მასაში.
გუშინღამ: კოწომ, ვალიკომ,
მას გაუკეთეს „მასაჟი“!

—:—

გართულდა „ოპერაცია“.
წავიდა ჩხუბი დიდზედა,
ასტყდა: ჩოჩქოლი, ღრიალი
ყვირილის შუა ხიდზედა!

—:—

ტრიალებს ჩვენი რაინდი,
შეიქნა გაწამაწია,
თავი უტუცეს „პადვალში“,
გვერდს მიუწვინეს კოწია.

—:—

ამა ამბისა გამგონეს
ლადოს ეცვალა ფერია,
მთლად დაიგლიჯა თავზე თმა,
არ შეირჩინა ღერია!

—:—

არ გასჭრა მათმა მუდარამ,
უჩვენეს „კომბინაცია“,
იმ ღამეს რწყილთა საკვებათ
ჩარჩა ის „დიდი კაცია“.

—:—

საჭირო არის „ტარტაროზ“,
ძლიერი რისხვა შენია,
მოკიეხმარევი, გვჭირია
ჩვენ შენი განაჩენია..

ჭ.



ნებით არ უნდა მოცემა,
ძალით წავართმევ ფულსაო:
მკლავში ღონე მაქვს იმდენი,
თუნდ ამოვაცლი სულსაო.



სალამოს ჩავალ სარდაფში
დღისით ნაშოვნი ფულითო...
დავხარჯავ რაც რომ ვიშოვე
და ღვინოს დავლევ კულითო.

# ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია

ცხოვრობდა სახალხო მოსამართლე —ლმობიერი და მოწყალე.

ერთ დღეს სასამართლოში მოიყვანეს ცხენის ქურდი. ქურდი შეხედულებით მშვენიერი ახალგაზრდა ვაჟკაცი იყო.

მოსამართლეს შეეცოდა ქურდი და სიბრალულით მიმართა:.

— არა გრცხვენია, რომ ასეთმა ახალგაზრდამ ცხენის ქურდობას მიჰყავი ხელი?

ჯერ ხომ 18 წლისაც არ იქნები?

— ჩემი სირცხვილი და უბედურებაც ის არის, რომ არც ასე პატარა ვარ, მალე 23 წლისა გავხდები.—უპასუხა ქურდმა.

— არ გეცოდება, საწყალ გლეხს, რომ ცხენი მოჰპარე? კარგი არის?

— ეს ერთხელ მაპატიეთ. ახალგაზრდობით და შეუგნებლობით მომივიდა. სხვა დროს აღარ ჩავიდენ.

— ერთ თვეს მოგისჯი პირობით და წადი საითაც გინდა, მხოლოდ შემდეგ აღარ ჩაიდინო ქურდობა.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ქურდი ისევ სასამართლოში მოიყვანეს. წვერი გაზრდოდა, შემოგლეჯილი ტანისამოსი ეცვა.

მოსამართლემ იცნო.

— შენ მაინც ქურდობა არ მოგიშლია, როგორც გეტყობა, — უთხრა მოსამართლემ, — წინათ შენს ახალგაზრდობას აბრალებდი, ეხლა რაღას იტყვი?.. ივანე მინდორაშვილს რათ მოჰპარე ხარი?

ქურდმა მშრალი თვალები ხელით მოიწმინდა და დაიწყო:

— სილარიბე და სიმშილი ყველაფერს ჩაადენინებს ადამიანს. რა ვქნა, ძალიან გამიჭირდა და მოვიპარე. რომ არ მიჭირდეს, არც მოვიპარავდი.

— მართალს ამბობს, — გაიფიქრა მოსამართლემ, — გაჭირვება კაცს რას არ ჩაადენინებს.

— მაშ კარგი, — მიმართა მოსამართლემ, — რადგან შენ ეს ქურდობა მეორეთ ჩაიდინე, ექვს თვეს მოგისჯი,. ხოლო ამნისტიის ძალით სულ განთავისუფლებ. წადი შენთვის.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოსამართლე კიდევ შეხვდა ნაცნობ ქურდს.

— შენ როგორც გეტყობა, ხელობად გაგიხდია ქურდობა და ეხლა კი ვეღარ გადაურჩები მკაცრ სასჯელს. ერთხელ ახალგაზრდობით მოგივიდა, მეორეთ — სილარიბით, ეხლა?

ქურდმა თავი მოიფხანა და უპასუხა:

— წინათ უფრო დამნაშავე ვიყავი, ვიდრე ეხლა, მაშინ ქურდობა არ ვიცოდი — ქურდობას დავეჩვიე, ეხლა კი აღარც ახალგაზრდა ვარ, არც სილარიბე მაწუხებს, მაგრამ თუ მაინც ვიპარავ, ეს მხოლოდ ჩვეულებით მომდის. ხომ გაგიგონიათ — ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.

წკეპლა.

# თვალთნახული

გათენდა თუ არა ორშაბათი დილა, ქუთაისის მეორე რაიონის მილიციის სამორიგეო ოთახში მოვადინე ლეწა.

თანამშრომელს ორი მოქალაქე მოეყვანა მორიგესთან და ეუბნებოდა:

— ამ დილით ამათმა ადრე გააღეს სახელოსნო, რითაც წესრიგი დაარღვიეს.

— შეუყენე ორივეს ცალცალკე ოქმი! — გასცა განკარგულება მორიგემ..

— ბატონო, ჩვენ ამხანაგები ვართ, ერთ დუქანში ვმუშაობთ და ერთი ოქმი შეგვიდგინეთ! — სთხოვენ ხელოსნები, მაგრამ მორიგე უარზეა:

— არა, არ შეიძლება, ორივეს ცალკე შეუყენე ოქმი.

— კი მარა როცა ამხანაგებია და ერთ დუქანში მუშაობენ, წესდების თანახმად ერთი ოქმი უნდა შევუყენოთ. ხომ გახსოვს, რა გვითხრა გუშინ უფროსმა?! — ჩაერია ლაპარაკში თანამშრომელი.

— არა, არ შეიძლება. ცალცალკე უნდა შეუყენო ოქმი! — არ იშლის თავისას მორიგე. გუშინწინ რომ ერთ დუქანში მყოფი სამ ამხანაგს ცალცალკე შეუყენე ოქმი და სათითაოდ დააჯარიმე, — ეს შენ არ იყავი?

— იმათ ასე მოუხდებოდათ; ერთი სტაქანი ღვინო არ მახსოვს მათგან. ესენი კი...

— მე ამათგან არ მახსოვს და შეუყენე.

—:—

ოქმი სათითაოდ შეუყენეს. ვიფიქრე — მეც არ გავება ხლაფორთში-თქო და ჩუმად გამოვეპარე.

ორშაბათელა.



— ვაცო, სად მირბიხარ ასე გამალებით?!

— გავიგე—ვიღაც ერთი საწყალი საქმის მწარმოებე-ლი მომკვდარა და ეგებ მის ადგილზე დამნიშნონ!



— რამ დაგაღონა, კაცო!?

რატომ ლამაზ ქალათ არ, დავიბადე, სამსახურში ადვილად ვიშოვიდი.

# ოზურგეთი

ახლა ამ ქალაქს ვეწვიე
აქვე დავრჩები ამ ხანათ,
ამდენი კბენით ეს თავი
თუ არ შემექნა საფხანათ.
—:—
პირველათ ვიწყოთ ფოსტიდან,
მათ უთხრა სიტყვა ასეთი:
ერთი კვირაა ჩემო ძმავ
არ მიგვიღია გაზეთი!
რისთვის ინახავთ თვეობით?
რაში გჭირდებათ ამდენი?
ცდებით — თუ ფიქრობთ გა-
ზეთში
არის რამ გამოსადენი.
—:—
ეპომ ვაჭრები აჰყარა,
დააცლევინა დარაბა,
სავაჭრო გააფართოვა,
ასტეხა დავი-დარაბა;
გამართა მთელი პასაჟი
რვა დარაბისგან შემდგარი,
დედა უტირა ყველას და
ბრძოლაც დაუწყო მედგარი.
—:—
ხო და როცა ეს ასეა, —
რაღა თქმა უნდა ვაჭარი,
რომ ეპოს მსხვერპლი შეიქნა,
ყელი აქვს გამოსაჭარი.
რომ ზოგს კიდევ აქვთ ცოტა რამ
გასაყიდ - გამოსაყიდი.
ზოგი სულს ღაფავს, ზოგიც კი
ჯოხზეა გადასაკიდი.
—:—
არც ეს ეპოა უნაკლო
ვერა სდგას თავის დონეზე;
თუარ ხარ სოქრის ნაცნობი,
უნდა წახვიდე ლონჯზე, —
მარილ ასანთის ყიდვაზეც
ბრძოლაა ხელჩართულია;
აბა ვინ იტყვის რათ არის
„ფართლის მიღება რთულია"?
—:—
ჯერემ ეს იყოს, ძმაო, და
შემდეგ მე ვიცი - ამ ქალაქში
არ გამოვტოვებ არც ერთ
„სპეცს"
არც „მესაათეს" არც დალაქს,
ყველას მოგართმევ ჩანგალზე
ასაგებ - ჩამოსაცმელათ,
რომ ყველამ ბედი იწყევლოს,
ენაც არ ჰქონდეთ სათქმელათ.

ტრისტანი.

# ს. სამება (გურია)

კონკურენტი არვინ ჰყავდა
სამებისა კოპერატივს,
მადლობელი მაინც იყვნენ,
თუმც არ სცემდნენ დიდსა პატივს.
მაგრამ დრომა გაირბინა, —
იასონი აღებს დუქანს;
მოაქვს ნედლი საქონელი,
აღარ ეძებს მქლეს და მსუქანს.
ტკბილი სიტყვით. მიკიტანმა
ხალხს დაუფსო ორივ თვალი;
შიგ შემსვლელი ფხიზელია,
მხოლოდ კარში მოდის მთვრალი.
კოოპერატივის ნოქარმა
არ ათხოვა ამას ყური;
თუმცა ჩქარა მიკიტანთან
გაბმული აქვს ქსელი ძმური.
სიო ყლენტმა იასონის
ვეღარ ზიდა გრძნობის ბარგი
(აბა ერთი თქვენ მითხარით
ჩარჩს როდის სურს გლეხის კარგი?!)
და ამ მიზნით სიო ურჩევს:
—ჩამომეხსენ მიკიტანო!—
იასონი კი ოცნებობს —
ფულებს გავქედ ტიკიდანო.
ბოლოს საქმე ისე დარჩა,
დაეჯახა ორი გმირი,
მათი ლანძღვა გინებისგან
მკვდრეთით აღსდგა მუნჯის პირი.

ბურულ - აჭარელი.

## გასტროლი

ესტაფონში ჩამოვიდა
ქუთაისის დასი,
და მაშინვე აუწიეს
ბილეთებსა ფასი.
ისმის ხმები: — ნუ გაზადეთ
ბილეთები ძვირი,—
თორემ თქვენ და თქვენს ხელმძღვა-
ნელს
დაემტვრევა ცხვირი.
„გალიორკის“ ფასი არის
სამ აბაზზე მეტი,
და თეატრში რომ შევიდეს,—
ვინ იქნება ცეტი?
თუ გინდათ რომ გინახულოთ,
დაუკელით ფასი;
თუ არა და—ისევ უკან
წაიყვანეთ დასი.

კბილდაკრეჭილი.

## ასკ: ნა

შარა-გზები შევაკეთეთ
უკეთესი არ ითქმება.
გავლელი და გამოვლელი
კისერს ზემოთ არ ისვრება.
ვითათბირეთ, დავადგინეთ,
შვიდჯერ გვქონდა დიდი კრება.

თუნდ მომკალით,—ვერ დავმალავ
მე რაზედაც გულს მაკლია:
აგი ჩვენი სამკითხველო
ველარ ვნახე კარებ-ღია.
გაზეთები, ჟურნალები
„ორფეხა“ თაგვს წაუღია.

კოოპერატივი კარგი გვაქვს
ეს უნდა ითქვას მართალი.
როდესაც გვინდა მუდამ გვაქვს
პუდრი, საპონი ფართალი.

გ. მთისპირელი.

# შარადა

სადაც წაველი თან წამყვა
ეს მუზა რაღაც შარადა
და გავხდი იძულებული,
რომ დამეწერა შარადა.

—:—

და მეც ავიღე კალამი,
მოვყევი მისსა წერასა;
ვერ დავემალე ველარსად,
ამ ოხერ ბედის წერასა.

—:—

ავიღე ხელთ იარაღი
ექვს ასოსაგან შემდგარი,
და გაძლევთ გამოსაცნობათ
ვინ მიხვდეთ, ვინ ხართ მედგარი,

—:—

შარადის ამოსახსნელად
წინ სამი ასო გვჭირია
და სამს უკანას—სანაგვეს
ყუთისკენ უქნათ პირია.

—:—

ქვეყნად რაც რამ კი არსებობს,
რა აქვთ საერთო სახელი?
ამ სიტყვას თუ გამოიცნობთ,
შარადაც გახდეს ნათელი.

—:—

ოთხ ასოსგან შესდგება,
(არც ისე არის ძნელია)
ეს წინმდებარისთვის
უკლებლივ მისაბმელია.

—:—

წავიდეთ! ვნახოთ სატახტო
ქალაქი იტალიაში,
ძველად ქებული და ეხლაც
ცნობილი ისტორიაში.

—:—

ერთ ქალაქს იტალიაში
ძველად გაუდგამს ძირია.
სულ ოთხ ასოსგან შესდგება,
ჩვენ წინა ორი გვჭირია.

—:—

ნადირთა გუნდა დაგვჭირდა,
ტყისკენ ვიბრუნოთ პირია.
თუმც უნდა მეთქვა აქამდე—
ეხლა არ არის ხშირია.

—:—

ბევრი ყოფილა ძველ დროში,
დათარეშობდნენ სოფელში,
და საწყალს გლეხის საქონელს
შეპარებია ბოსელში.

—:—

ამ სამ ასოსაგან შესდგება
სახელი გუნდის ამისა,
უკლებლივ წინას მივაბათ,
თქმული ვარ კიდევ რამისა.

—:—

„თოკი სვამს, ხბო იბერება“
გამოცანაა ხალხური,
ყველასაც შეგიჭამიათ,
ყველას გვაქვს გემო ნახული.

—:—

ოთხ ასოსაგან შესდგება,
ჩვენ წინა ორი გვჭირია
და გადავაბათ წინმდგომსა,
რახან შარადას სჭირია.

—:—

შვილი (თუ იგი ვაჟია)
სხვა თქმით რა არის თქვენია?
ეს ორი ასო სწორედ, რომ
შარადას დამამშვენია!).

—:—

და გამოვიდა სახელი
ზედ გვარის დამატებითა
ცნობილი ზმუკის მოთხრობით
და დონის სურათებითა.

—:—

„ტარტაროზი“-სა მამშვენი
და დიდი გმირი მისია,
რომ გაგვაცინებს ხანდიხან
არის მადლობის ღირსია..

—:—

შემომელია საწერი,
ეხლა დავდივარ. შარადა-
ძია ტარტაროზ, მეტად გთხოვ
დასტამბო, რომ ეს შარადა!

ნ. უსტიაშვილი.

# თეატრის ბრალია

## (იმერული სცენა)

რაცხა ჩემდა საუბედუროთ წამომიარა ხუშტურმა, მოდი ერთი ევირბენ თბილისს და ვნახავ დიდი ხნის უნახავ ნათლულს თქვა. მესმოდა იგი კარგი სამსახურის კაციაო, ბევრ ფულსაც აკეთებსო და იქნება ერთი ხელი ტანისამოსი მიყიდოს და მაკრინესათვისაც გამატანოს რამე თქვა.

ჩემი აზრი მაკრინესაც დაუჯდა ჭკუაში და რაღა სიტყვა გავაგრძელო, გოუყარე დანა ბურვაკს, წავაყრევიეთავები ერთ ინდოურს და ორ ქათამს, ერთ ფუთამდი ღვინოც წევიძღვანიე და მეორე დილის 9 საათზე ღლეტა გავადინე თბილისში.

მიავდექი კარებზე ნათლულს, მიღებით—იცოცხლეთ იმდენი თქვენც და მეც, იმან დიდებულათ მიმიღო, რო დეინახა ძღვენი. თელი საათი მკოცნა, რამდენი ხანია არ მინახამხარო და ძალიანაც მენატრებოდიო. დოუძახა ცოლს — ნამგზავრია და ცხელი ზაკუსკა გააწყევო. იმანაც ხელათ აადუღა კრიმუსზე ჩაინიკი და ხელათ მოგვართვა ჩაი. მივახვიე ორ გირვანქამდი პური ოთხ ჭიქას და კარგადაც გავძეხი.

მოაწია სადილობამ და სადილიც კაი გიახელი ჩემი მიტანილი ძღვენიდან. საღამოსაც ჩაი დაადგმევინა და თან ასე მითხრა: —რა ვქნა, ჩემო ნათლია, მართალია ქათმებს ვერ დაგიკლავ, აქ ასეთი ჩვეულებააო, სოფლიდან ჩამოსულ სტუმრებს ჩაით უმასპინძლდებიანო და შეც აქაურ ადათს ვერ ჩამოვრჩებიო, თვარა ეწყინებათო.

იმე, რავა გეკადრება, რეიზა უნდა ჩამორჩეთქვა, მოვახსენე მე.

— სამაგიეროთ ოპერის თრიათში წაგიყვან და კაი სიმღერას მოგასმენიეფო.

დავლიეთ ჩაი და წევედით ოპერის თრიატში. სიმართლეს მოგახსენებთ, რომე ნამეტანი მომეწონა ნახატები; ჩვენი ეკლესიის ნახატები იმასთან აღარაფერი აღარ გამოჩნდა. ახლა დასაკრავი ორმოცი ჩონგური მაინც უკრავდა და იმისანა კაი ხმა ჰქონდა, რომ ნატალიას და ელისაბედიას დაკრული ჩონგური იმსთან ნიპრიწ! აღარაფერი გამოჩნდებოდა. (ალბად ბევრი რო იყვენ იმიტომ), ახლა, გევიხედე და დახატული კედელი წევიდა ზევით და გამოჩნდა ოთახი. იმე, ხალხია იმისანა ჩაცმული შიგ, რომე უკეთესი რო არ იქნება. ამ დროს გამოვიდა ერთი ლვდელი და იმხელა ხმით იმღერა რომე შევარცხვინე მასთან ჩვენი ათანასე ხუცესი. ახლა ის გაჩერდა და ქალმა იმღერა. ქალმა გაჩერდა და ახლა კაცი მღერის, მარა იგი კიდო სულ სხვა ხმაზე. ვაი, სადახარ შე საცოდავო მაკრინე მეთქი რომ არ უყურეფ ამისანა კამენდიას თქვა — გევიელე გუნებაში.

რო დეილალენ სიმღერით, ჩამოვიდა ისევე სხვა კედელი. პეტერე ხანმა გეიარა თვარა, კიდო სხვა ოთახი გვაჩვენეს.

— იმე, დეილოცა ღმერთო შენი ძალა, ამ ნასტავლ ხალხს რო აძლევ ამდენ განათლებას თქვა. ახლა ბოლოს გევიხედე და გამოჩთა სხვა ოთახი თავში კიდო თორნე. ამოდის უშველებელი ცეცხლის ალი, მარა კვამლი არსად არ ჩანს. იმე, ჩემ სოხანეში რო იმხელა შუა ცეცხლი დაენთო, კვამლი შემწვარი გოჭივით გადმოგვიბრუნებდა თვალებს მე და მაკრინეს. აქანე კი კვამლი ქე სად ჩანს:

— ეს ცეცხლი რაღათ უნდათ მეთქი, — შევეკითხე ნათლულს. მან მითხრა: — ეგერ ქე რომ შალ-მოხვეული ქალი უკავიათ ორ კაცს, იგი უნდა ჩააგდონ შიგო. სიმართლე უნდა გითხრათ, რომ ძალიან მეწყინა ამისანა ტყვილი რო მითხრა ნათლულმა და ხმა აღარ გევეცი. ვიფიქრე რავა შეიძლება იმხელა ცეცხლში ქალის ჩაგდება! ხო დეიწვება ის უბედური თქვა. კამენდიები ბევრი მინახავს, ქუთეის, მარა ქალები კი არ დოუწვავთ მეთქი, — ვფიქრობდი გულში. მერე კიდო იმდენი ხალხი იმ საცოდავის ახლოს არის და რავა დევიჯერო არავინ სტაცოს ხელი?,

ამ დროს ის ქალი შემოეხვია ყელზე ერთ მოხუცებულს, მერე უცფათ გაშორდა და წაყვა იმ ორ სალდათს. იმ ულმერთოებმა ქე არ აყვლეფიეს თავი შუა გულ ცეცხლში? იმე! ვხედავ არავინ არ შველის იმ საცოდავს და აღარ მომითმინა გულმა; ვიშველიჭე ჩოხა, თვალის დახამხამებაზე შევარდი იმ ოთახში, იქნება ცოცხალს მიუსწრო და მამამისმა დამასაჩუქროს თქვა. ამ დროს მტაცა ხელი მილინციონერმა და წამიყვანა კამისართან; თან ასე უთხრა: — ამან საზოგადოებრივი წესრიგი დაარღვიაო. ააშენა ღმერთმა კამისარის ოჯახი, რავარც გეიგო ჩემი ვინაობა, ხელათ გამანთავისუფლა და თან ასე მითხრა: — მეორეთ აღარ გეიმეოროო.

— ბატონო, ეს ერთი გამაბრიყვა ჩემა ნათლულმა და წამომიყვანა თრიატში; აწი რავა შემშლის ღმერთი,— რავა დავადგამ ფეხს თბილისში თქვა. გადაუხადე მადლობა და პირდაპირ ტანციისკენ მიმავალ კონკაში ჩავჯექი და იმ ღამესვე გამევიპარე იქიდან.

აი, ეს დამმართა მე იმ ოპერის თრიატმა

**კირილე საფირჩხიელი.**

# შ შეს თვალი

ბათომის მთავარ საავადმყოფოში სამხედრო ოთახის დარაჯი მიცვალებულებს ტანზე ხდიდა და იპარავდა მათ ტანსაცმელს.

„სინსილა"



**მიცვალებული:**—შე დალოცვილო, პერანგი მაინც დამიტოვე! სირცხვილია, საიქიოში ტიტლიკანად ხომ ვერ მივალ?!

# ცნობათა მიღება

**დამუღვრეული** (ბეჩო, ზემო-სვანეთი): მხოლოდ ამ ორი კუპლეტის დაბეჭდვა შეიძლება:

არ იკითხავთ, რატომ გარბის
დათა შეუტიაშვილი
სვანებიდან გულმოსული,
ძალზე ნერვებ-აშლილი?
სვანეთში აღარ გამოდგა
მისი სპეციალობა,
მან მიიღო მათრახებით
საჩუქარი და წყალობა.

მოგვაწოდეთ მასალები ადგილობრივ ცხოვრებიდან, არა ასეთი წვრილმანი და უმნიშვნელო. ჩვენ გვაინტერესებს ადგილობრივი საზოგადოებრივი ცხოვრების გაშუქება.

**ძირულელი თაღა.** ჟურნ-გაზეთი გამოგეგზავნებათ ხუთმეტ მაისიდან. სტრიქონები უფრო უნდა დააშოროთ ერთმანეთს.

**ოხტომბეს-პირელს.** რატომ არ ასახელებთ, თუ რომელ მუშკოოპში ხდება ასეთი ამბავი:

პირად შემადგენლობის
გამგე არის ზაქარი.
მას წიწაკა ჰგონია,
რომ მიართვა შაქარი.
'კავშირი, ადგილკომი
მას ფეხებზე ჰკიდია.
ბევრს უჩვენა ფეთება,
ბევრსაც გამოჰკიდია.
ჩვენი ასატუროვი
უფრო წყალობს ლამაზებს,—
ოღონდ იყოს ლამაზი,—
დიდ ადგილს უთავაზებს.

შეგვატყობინეთ—სად ხდება ეს მბავი და შემდეგ დავბეჭდავთ.

**კრიმანეჩულს.** (ახალდაბა):—გვწერთ, რომ „კარტის მოთამაშენი გატეხილ კვერცხს სამ კაპეიკად ღებულობდენ, ხოლო გაუტეხავს, მთელს—შაურათ".

ყოველს შემთხვევაში გატეხილი კვერცხი მეტი ღირულა, ვიდრე თქვენი წერილი, და, ამიტომ, არ უნ-უსაყვედუროთ მოთამაშეებს, რომლებმაც დასცეს ხილ კვერცხების ფასი.

**ბრი-თამას.** ერთჯერ ხომ იყო?! კმარა.

**დოლის** (ტყიბული, მალარო):—ჯერ უსაყვედურებთ, რომ:

გვარად არის ის დარსაძე,
ბინებისა ათისთავი.
თვეში ერთხელ არ შეივლის,
თუნდ აჭამო ბატის თავი.

როგორც ჩანს თქვენ დიდ პატივს სცემთ ბატის თავს და მასზე დიდი წარმოდგენა გაქვსთ. ჩვენც რომ ასეთი წარმოდგენის ვიყოთ, მაშინ ამ თქვენს ლექსს სავსებით დავბეჭდავდით და არა მარტო ამ კუპლეტებს:

და მუშები ამიტომაც
ბინებს სუფთად არ ინახავს,
რადგან ბინის მეთვალყურე
შიგ არავის არ უნახავს.

და ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ სილოვანმა არ ჩამოიაროს და არ დაათვალიეროს ბინები, სადაც სისუფთავე არ არის დაცული. ის არ სჯობია გაიარ-გამოიაროს და სუფთა ჰაერი ყლაპოს?!

**დაჯაბნებულს:** თავი ინუგეშეთ იმით, რომ მარტო თქვენ არა ხართ ასეთ დღეში:

მეჩხუბება ცოლი,—
არ მაქვს მასთან ოხი,
დამატეხა თავზე
გუშინ დიდი ჯოხი.
უშვერ სიტყვებს მესვრის
თავზე როგორც კოხი.
მუდამ ჰყვირის და მით
ხმა გაუხდა ბოხი.
ამბობს:—აღარ მინდა
ბინათ მე ეს ქოხი.
მირჩევნია პილოფს
მე სპარსული ნოხი.

ტყვილათ სწამებთ სულელობას! არ ყოფილა სულელი! პილოფს ჩვენც კი გვირჩევნია სპარსული ნოხი! ბალიში დააკარით ზურგზე და აღარ იგრძნობს ცემის დროს ტკივილებს. ამაზე უკეთესი საშუალება ჯერ არავის არ გამოუგონებია.

## „დარვინის თეორია"



ასეთი თანდათანობით წარმოსდგა ხბოს ტყავიდან ტიკი, ხოლო ტიკიდან მიკიტანი

ჟურ. „ტარტაროზი“-ს რედაქცია აცხადებს

# კონკურსს

## იუმორისტულ მოთხრობაზე

მოთხრობის შინაარსი აღებული უნდა იყოს ჩვენი თანამედროვე ყოფა-ცხოვრებიდან.

სიდიდით მოთხრობა არ უნდა აღემატებოდეს „ტარტაროზში“ მოთავსებულ ჩვეულებრივ მოთხრობებს; დაწერილი უნდა იყოს მელნით და გარკვეული ხელით

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, გარდა ჩვენი მუდმივი **თანამშრომლებისა და მწერლებისა.**

საუკეთესო მოთხრობების **ხუთ ავტორს** მიეცემა პრემია:

პირველი — **30** მან.
მეორე — **20** „
მესამე — **15** „
მეოთხე — გაზ. **„მუშა“** და ჟურ. **„ტარტაროზი“** ერთი წლით.
მეხუთე — გაზ. **„მუშა“** და ჟურ. **„ტარტაროზი“** ექვსი თვით.

გამოგზავნის უკანასკნელ ვადათ **დანიშნულია 31 მაისი,** რის შემდეგ მასალა აღარ მიიღება

წერილზე უნდა იყოს აღნიშნული **ავტორის სრული ვინაობა:** სახელი, მამის სახელი, გვარი, პროფესია და სწორი მისამართი.

სასურველია ავტორის **ფოტოგრაფიული სურათი,** რომელიც მოთავსდება ჟურნალში. მოთხრობა მოწონებული იქნება ჟიურის მიერ.

დაწუნებულ ნაწარმოებებს რედაქცია **არ ინახავს** და მათ შესახებ არც მიწერ-მოწერას აწარმოებს.

ჟურ. **„ტარტაროზი“-ს რედაქცია.**

# შტატშემცირებული



კონდუქტორი: (მგზავრებს):—თქვენი ჭირიმე, შემიშვით ვაგონში, რომ ბილეთები გავყიდო!

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქ. № [illegible]

კვირა. 20 მაისი 1928 წ. № 153 წლიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი



# ნ ა რ ე ვ ი

ჩემბერლენსა არ ერწმუნა
ამანულა-ხანი—
ჩამოვიდა იგი ჩვენში...
დარჩა დიდი ხანი...
და ჩემბერლენს კვლავ გაუხდა
ცეფა მოსაფხანი.

—:—

აქედან მინდა გავფრინდე
და ვნახო იაპონია,
რომ დააყენა ძინაში
სისხლის ტბები და ფონია,
რათა გავიგო ეს საქმე
ვის მიერ მონაწონია.

პირდაპირ უნდა მივიდე
და ვნახო მათი მიკადო
და ვუთხრა:—ფრთხილად, თორემა
მუშტები ისე მიგადო,
რომ ჩინეთიდან ძუნძულით
ფეხით გაქცევა იკადრო.

მაგრამ რაღა იქ წავიდე,
იქ არის კოი(ა)ნაკია...
(ამ სიტყვამ მე მომაგონა
სპირტტრესტის კონიაკია,
მაგრამ ამჟამად ამაზე
რაღა დროს ლაპარაკია).

—:—

იაპონიას აქეზებს
ხმა ჩიკსის ინგლისისაო:
— ხომ იცი: ვისაც მოუკლავს
კვლავ ეხლაც მოჰკლავს ისაო,
და ჩვენ მუდამჟამს ვხოცავდით,
მცხოვრებლებს ჩინეთისაო.

—:—

ვისაც რა უნდა ისა სთქვას,
სულ სხვაა ჩვენი ტრფიალი:
გვიყვარს ომი და სისხლის-ღვრა,
ხმლებისა ხელში ტრიალი,—
რომ ნაცვლად მოსახლეობის
სუფს მინდორი ტიალი.

ჩან-ძო-ლინი პეკინში ზის—
ფერვინ მოვა ჩემზედაო.
გავიხედე, დავინახე
ჩან-კაი-ში ზის ცხენზედაო.
შიშისაგან შარვლის ხვანჯარს
ვერ ვიმაგრებ წელზედაო.

—:—

რუმინეთს ყელზე დაადგა
და ახრჩობს ბესარაბია.
(გადაყლაპვასა ფიქრობდა,
ეგონა ტკბილი აბია).
უნიადაგო მთავრობას
თავი ზურგს ქვევით აბია.

ასე აჯანყდა ვით მუდამ
ყველა მშრომელი, გლეხიო,
გავარდა რისხვა ხალხისა,
როგორც მქუხარე მეხიო,
რომ მოიშორონ ზურგიდან
მთავრობის მძიმე კეხიო.

ბინბარი.

# ჩ ე გ ო

ჩეგო—მეტსახელია. ასე იციან მის სოფელში—ყველას აქვს მეტსახელი.

ჩეგოს თავის დღეში არ ენახა ქალაქი. იგი მუდამ მთაში იყო და ცხვრებს მწყემსავდა.

ვინ იცის, ეგებ ვერასოდეს ვერ ენახა ქალაქი, რომ იგი ტერ-ნაწილში არ გაეწვიათ.

სხვა ტოლებთან ერთად, ჩეგო ტფილისში ჩამოიყვანეს.

ყველაფერი აკვირვებდა ჩეგოს.

— ე, როგორ დადის ვერანა! ასე გგონია უკანიდან აწვება ვინმეო!—იკითხა ჩეგომ როცა ტრამვაი დაინახა.—მაგაში ჩაჯდომა ხუთი მანეთი მაინც ეღირება არა?

— ხუთი მანეთი კი არა, ერთ მანეთად მთელ ქალაქს მოივლი. შაური ღირს ბილეთი!

—!?!

—:—

საღამოს ლეგიონის კლუბში ახალ გაწვეულებს კინოს უჩვენეს.

ჩეგომ არ იცოდა—რა იყო კინო, კინოს თეთრ ეკრანს, რომ უცქეროდა, უკვირდა:

აქ ხალხმა როგორ და სად უნდა ითამაშოს!

ამ ფიქრებში რომ იყო, უცბად ელექტრო-სინათლე ჩაქრა.

ჩეგომ მაშინვე გაიფიქრა:

— ალბად ჩვენი გულადობის გამოცდა უნდათ და შესაშინებლად ჩააქრეს სინათლე!—და ზეზე წამოჰქტა.

— ამხანაგებო!—დაიძახა რიხიანი ხმით.—ეს არაფერია; უნდა გულადობაში გამოგვცადონ და არ შეშინდეთ!

ყველამ ხარხარი მორთო. ამ ხმაურობაზე დარბაზი ისევ გაანათეს.

— ეს არ გაიმეორო, თორემ აქიდან გაგიყვანთ!—გააფრთხილა მეთაურმა ჩეგო.

დაიწყო სურათის ჩვენება.

ეკრანზე გადაიშალა ცხოვრება პოროსულელ მეკეთარეებისა. ჩეგოს გაუხარდა. აგერ მეცხვარედ მშვენიერი გოგონა... მაგრამ ის ბიჭიც კარგია. დახე, როგორ ეხვევა! უჰ, შენი გულისა... ქალის მამამ ქალაქში ცხვრები გაჰყიდა და სახლისაკენ ბრუნდება. გზაში ყაჩაღები ჩაუსაფრდენ. მამაც მოდის. ავაზაკები გამოვარდენ და ეცენ... ჰკლავენ...

— ჰარიქათ ბიჭებო, უშველოთ, კაცს ჰკლავენ!—წამოიძახა ჩეგომ და ეკრანისაკენ გაექანა.

არ გაუშვეს. დარბაზი გაანათეს. ჩეგოს შერცხვა.

—:—

სამსახურის დასრულების შემდეგ ჩეგო ისევ სოფელს დაუბრუნდა.

ეხლა ის სოფლის კოოპერატივში მსახურობს. ჯარში კარგად შეისწავლა წერა-კითხვა.

როცა ქალაქში ჩამოდის საქონლის საყიდლად, ნახულობს თავის ყოფილ ლეგიონის ყაზარმას და სიხარულით ევსება გული.

ხოლო როცა კინოშია, სურათის დაწყების წინ ყოველთვის მოაგონდება პირველი შემთხვევა და ჩუმად იცინის.

არკო.

## ტკბილი სიზმარი

მართამ ჩვეულებრივ დილით ადრე გაიღვიძა და გაკვირვებული დარჩა: მისი ქმარი სანდრო ადრიანათ ამდგარიყო, ჩაი აედუღებინა და მართას გამოღვიძებას ელოდებოდა.

— ადექი ქალო, ჩაი დავლიოთ. — ალერსიანად მიმართა სანდრომ თავის ცოლს.

მართას მისი ალერსიანი სიტყვა დიდი ხანია აღარ გაეგონა. სანდროს ალერსი და სიყვარული „თაფლის თვეებს" გაჰყვა.

— მართამ ჩაიცვა და ქმრის ადუღებულ ჩაის შეექცევა.

—:—

მართას ზედმეტი ნამუშევარი ერგებოდა თავის დაწესებულებიდან.

მეოთხე საათი იყო, როცა მოლარესთან მივიდა ფულის მისაღებად, მაგრამ მართამ იცოდა, რომ ფულის გაცემა მხოლოდ ორ საათამდე სწარმოებდა, შემდეგი სიტყვებით მიმართა მოლარეს:

— თუ შეიძლება, ეს განცხადება აქ დაიტოვეთ და ფულს ხვალ მივიღებ.

რატომ ეხლა არ გინდათ მიიღოთ?

— ეხლა დაგვიანებულია. ფულის გაცემას ხომ ორ საათამდე აწარმოებთ...

— კი, მაგრამ არა უშავს-რა, იქნებ როგორა გჭირდება. — უთხრა მოლარემ და კუთვნილი ფული მისცა მართას.

მოლარის ასეთი თავაზიანობა მართას ძალიან გაუკვირდა და კმაყოფილი წავიდა ამბულატორიაში.

მართა ჯან - ღონით გატეხილი დედაკაცი იყო და ავადმყოფობდა.

სანამ ამბულატორიის კიბეებს აივლიდა, ორჯერ დაისვენა, ძალიან დასუსტებული იყო.

— დამავიწყდა, დამზღვევი წიგნაკი ვერ წამოვიღე თან და ხვალ რომელ საათზე შეიძლება მოვიდე? — ჰკითხა მართამ ექიმს. — რა უშავს, თუ ეხლა თან არ გაქვს დამზღვევი წიგნაკი. ავადმყოფი დედაკაცი მეორეთ ხომ არ უნდა გატარო. — უთხრა ექიმმა და გულდასმით გასინჯა ავადმყოფი მართა.

ამ ამბავმა უარესად გააკვირვა მართა.

ამბულატორიიდან გამოვიდა და კოოპერატივისაკენ გაემართა.

კოოპერატივთან რომ მივიდა, ნოქარი კლიტეს ადებდა კოოპერატივს და სახლში წასასვლელად ემზადებოდა.

— ეხ, ტყუილად ვიარე, ვერ მოვუსწარი. — ჩაილაპარაკა მართამ და დააპირა უკან გაბრუნება.

— რა გინდა, დედი მობრძანდით, — უთხრა ნოქარმა, გააღო კოოპერატივი და მიჰყიდა რაც მართას უნდოდა.

# მათი ცხოვრებიდან




ცოლი (თავისთვის): — ჰმ! დიდი საქმე! ორი ქმარი კი არა, მგონი ხუთმეტიცა მყავს, მაგრამ ამით მაინც არ ვიკვეხი!

ქმარი (ესეც რა თქმა უნდა თავისთვის): — ჰმ! დიდი საქმე! ხუთი ცოლი კი არა, მგონი ათიც კი მყავს, მაგრამ ამით მაინც არ ვიკვეხი!

---

მართა მეტის-მეტად გაკვირვებული დაბრუნდა სახლში და ქმარს უამბო ყველაფერი. ქმარმა გულიანად გადაიხარხარა და... მართას გამოეღვიძა.

— ეს! სიზმარი ყოფილა! — გაიფიქრა გულდაწყვეტით მართამ და მეორე მხარზე გადაბრუნდა დასაძინებლად ეგებ კიდევ დამესიზმროსო.

წკეპლა.

# ფიქრები მიწის ძვრის შემდეგ

ვაი თუ კიდევ გაექანა!? მეტი არ უნდა... გამჭექ-ჭყავს უსათუოდ. ჩვენი სახლი პირველი მსხვერპლი იქნება მთელს თბილისში. პირველი ოგრიალებს, არ უნდა ლაპარაკი.... მეზობლის სტატისტიკით ნიკოლოზ მეორეს ტახტზე ასვლის დღიდან არავის შეუკეთებია...

ვაი, ვაი, ვაი! ატა-ტა-ტა! მგონი გაექანა!... ყოჩაღად შენ გლახავ! რა გაექანა, არაფერიც არ გაქანებულა.. დაიძინე!

ჰო! დაიძინე! კარგი ამბავია! სულ ძილის გუნებაზე ვარ აი! მოიცადე? სახლის პატრონიც ხომ დაიღუპება? ჯანი გავარდეს!!! გაექანოს... მეც, მარა—მასაც! მაგან გამიშრო სისხლი. სამზარეულოში არ მიშვებს, „ვიწროთა ვართო". სახლი რომ დაეხვავდება თავზე, მერე უფრო ფანიერად იგრძნობს თავს.

წყლის ფული! წყლის ფული! წყლის ფული! წყალმა და მეწყერმა წაიღოს მაგ მაჯლაჯუნა!.. სული ამომართვა...

— შენ გენაცვალე დაჰკარი ერთი მაგრად ისე, რომ სულ გული ჩაახეთქე. მე რაც მომივა მომივა, მომივიდეს ჯანდაბას ჩემი თავი!

ფული! ბინის ფული! ფული! ეშმაკმა წაიღოს მაგის სული! ტვინი ამოიღო თავში... შემაძულა ჯამაგირის მიღება.

ოცდაათი მანეთი ამ კუბოში! ისიც ძველის ძველ კუბოში? ამ ერთ ციდა მიქვესკნელებულ ოთახში? დაინგრეს მაგის ღმერთიც ავატირე!...

რას ჩურჩუტობ კაცო! გაჩერდი! თავი თუ მოგძულდა, გადახტი მტკვარში! თუ კი ფიქრობ, რომ შენ გადარჩები და სახლის პატრონი დაიღუპება? რა მოჰკლავს მაგ თარსს. მთელი სახლი რომ თავზე დაალაგდეს, სადღაც გაძვრებ-გამოძვრება, ნახავს ხვრელს, ამოყოფს თავს ჭირთხასავით და მოგაყვირებს: „ფული! ფული! ფული! არ გაბედო „გასავეცკება", თორემ ფეხისალაგს დაგიკეტავ!

ვაი! გაექანა მგონი! არა. არა! რაღაცას გული ცუდს მეუბნება. მგონი უნდა დავიღუპო ამეღამ.

მერე რამდენს გაუხარდება ჩემი დაღუპვა!? სახლის პატრონი ჩოთქში არ არის ჩასაგდები! ის ხომ იდღესასწაულებს ჩემს სიკვდილს. ჩემი ოთახის ნანგრევებში მეორე დღესვე „ატსტუპნოის" აიღებს... ეს ხომ უდავოა?

ჩვენი გამგე უსათუოდ ტელეფონით დაურეკავს თავის ცოლს, რომ უკვე განთავისუფლდა ადგილი და სასწრაფოდ გამოგზავნოს მისი დეიდაშვილი. ვიცი... მეორე დღეს ჩემ ჩოთქზე ეფიზოს დეიდაშვილი დაიწყებს რაკუნს... დიდი ხანია გამგეს ჩემი „საკრაშჩენიე" უნდა, მაგრამ ვერ მივართვი ტარხუნა.... ისეთი ამბავი აუტეხე, რომ მგონი ინსპექციამ მას გაუკეთოს „საკრაშჩენია".

გაუხარდება ჩემი სიკვდილი არშაკ მეპაპიროსეს, რომელსაც შარშანდელი ნისია ვერ გაუნაღდე... გაუხარდება, უსათუოდ... იტყვის:—ასე გეკადრებათ... მე... ღმერთი... რჯული! ცუდი განზრახვით არაფერი მიქნია! ვერ დავიბრუნე ფული... გამაკოტრა ამ ვერანამ სახლი პატრონმა...

არც ვერიჩქას ეწყინება ჩემი სიკვდილი... მართალია, ერთ დროს ჩემზე ძვირფასი არავინ ყავდა, როგორც მან სთქვა, მაგრამ ეხლა ვერც უარს მეუბნება გადაჭრით და თანაც ძალიან უნდა, რომ მისი წერილებს ლიკვიდაცია უყო. ეშინია, საბუთად გამოიყენებსო... სულელი!.. თუ არ უნდა, ვინ აფრინდება კალთაში! გაყვეს იმ „პრასცოსტს", თუ „ზავხოზს", მისი ეშხით დღეში ოცდაათჯერ რომ ითხუპნება და იკრასკება! ჯანდაბას... აპაპაპა! მგონი გაექანა! ტყვილა მეჩვენება... არაფერიც არ არის! არც შენ იღუპები და არც შენი სახლის პატრონი... ხვალ დილით მოგადგება კარზე... მოიცა! ვიღაცა აკაკუნებს... ვინ არის ამ შუაღამეზე!:

— იპოლიტე! გღვიძავს?

კისერს მოვიტეხ, თუ სახლის პატრონი არ იქნება.

— ვინა ხარ? რა გინდა?

— ხვალ დილით „ნალოგი" უნდა შევიტანო და ფული...

— ოი! შენ ამოგძვრა სული! გათენებას ვერ მოესწრებოდი. გაიგო დღეს რომ ჯამაგირი მივიღე. კუდიანია...

— დილით მოგცემ... რა გაჩქარებს!...

— არა... ისე, სხვათა შორის გაგაფრთხილე, რომ არ დაგვავიწყეს ხვალ.

— შენ დაავიწყდი შენს ჰირისუფალს!—ჩავიბუზღუნე ჩემთვის.

**სეგეირ-ბენ-შეიხ.**

## „ახალი აღმოჩენა"



მიწისძვრისა მიზეზებს
„ნაუკებში" ეძებენ...
ვა, მოვიდენ, მე მკითხონ,
ხომ უკეთ გაიგებენ:
ეს მიწისძვრა, ძმაოჯან,
სულ კახურის ბრალია.
გამოცდილა ამას ვინც
ორი კვარტი დალია.

# მიწის ძვრა ტელეფონით

**(რეპორტიორის ნაამბობიდან)**

შესავალი ყველაფრისათვის საჭიროა—სახლისათვის, რომანისათვის, კრებულისათვის და ამ წერილისათვისაც. ეს არის თქმა, რომელიც უნდა იცოდეს მკითხველმა:

„შუაღამე თბილისს ნამძინარევი კაცივით, ე. .ი მთვრალი პოეტივით, უახლოვდება. მე გავათავე მორიგი მუშაობა და მინდოდა მამაჩემის ხურჯინივით დამძიმებული ათასნაირი შთაბეჭდილებით ვსწევეოდი შუდამ ჩანუკვარ საწოლს. ვოცნებობდი ტრამვაიზე ფართოდ დაჯდომას, მორიდებულათ ვახშმის ჭამას და... ეჰ, რაზედ არ ოცნებობს რეპორტიორი.

— მიწის ძვრაა მგონი... კი, კი მიწის ძვრაა!—წამოიყვირა გაზეთის მდივანმა და სალოკი თითი ჩემსკენ გამოიშვირა.

ვიცოდი, რასაც ნიშნავდა ეს... წავედი ობსერვატორიაში.

**ერთი რედაქციიდან**—ალლო, მომეცით 5—28. . ობსერვატორია, ა? ობსერვატორია, ობსერვატორია. ლაპარაკობენ რედაქციიდან. თქვენ საიდან ხართ? ა? დაგვანებე კაცო თავი რა დროს ლექსებია, ობსერვატორია მინდა,.. ა? ალლო, ალლო!

**მეორე რედაქცია,**—მომეცით ობსერვატორია. ჩქარა! რასა ჰგავს, ცენტრალურო, ასეთი სიზანტე! რაო, დაკავებულია? შემაერთეთ!.,«

ცენტრალური—გისმენთ, რომელი ნომერი?—ობსერვატორია!

**კონსერვატორიიდან** (ტელეფონთან მოსული ჩახველებით ხმას იწმენდს): —პარდონ, გისმენთ. თქვენ რომელ მომღერალს ეძახით? ა? ეს კონსერვატორიაა, ა? ხოო...

**მესამე გაზეთიდან:**—ერთი. თუ შეიძლებოდეს შემაერთეთ ობსერვატორიას. საიდან ლაპარაკობთ? დეპეშათა სააგენტოდან! ჰო, ობსერვატორიაა... ვისა ვსთხოვო, სეისმოგრაფიული ნაწილის გამგეს? ვინაა თუ ძმა ხარ ეს გამგე, იქნებ მისი გვარი მითხრა. ა? ჰუჰ, კაი, კაი. მეც იმას ვეძებდი. მე გაზეთიდან ვრეკ... (ტელეფონში ისმის არასასიამოვნო სიტყვების კომბინაცია).

**სხვა გაზეთიდან:**—კაცო შენ საიდან ლაპარაკობ? ხო, თუ გაიგეთ რამე მიწის ძვრაზე? რაო- კინაღამ საძელნეები გადმოცვივდა მაგიდებიდან? კაი დაგემართოს!

**პასუხი:**—ასეთი კაი თქვენ არ მოგკლებოდეს! ახალი შარვალი დამესვარა მელნით. რას მეუბნებოდი?

**ხმა საიდანღაც:**—ხელს ნუ მიშლით! ობსერვატორია მინდა, ცენტრალურო, ცენტრალურო,... ცენტ...

**ცენტრალური:**—ობსერვატორია არ იძლევა პასუხს... კონსერვატორია გინდათ? მზად გახლავთ,

**იგივე ხმა:**—ობსერვატორია, კონსერვატორია! ფუ!... ობსერვატორია, კონსერვატორია, კონსერვატორია... ა? აღარც მე მახსოვს რას ჰქვია: ობსერვატორია და კონსისტორია... გეომეტრია,, გეოდეზია... ხი, ხი, ხი, ხი...

**კითხვა:**—ამხანაგებო, ვინ იცით მიწის ძვრის შესახებ რამე!

**ხმები:**—ვინ ხართ? საიდან? გაიგეთ რამე კონკრეტიული? ცენტრალური ხართ? ობსერვატორია, ობსერვატორია... გისმენთ.,

**ცენტრალურიდან:**—ხალხო, რა მოხდა? რა ამბავია? ქვეყანა, ხომ არ ინგრევა?,

**ხმები ტელეფონით:**—უშველეთ თავს დიდი მიწის ძვრა იყო. ჩქარა ობსერვატორია მოგვეცით.

—:—

გამოსავალი ყველაფრისათვის საჭიროა, ჩიხში მომწყვდეულისათვისაც, ცენტრალურ ტელეფონის აბონენტისათვისაც და ფელეტონის ავტორისათვისაც.

მეორე დღეს გაზეთებში პეტიტით დაბეჭდილი იყო:

გუშინ ღამის 11 საათსა და ერთ-ნახევარ წუთზე ადგილი ჰქონდა საკმაოთ ძლიერ მიწისძვრას. პანიკას ქალაქში ადგილი არ ჰქონია

დ—ო.



მილიციელი: — გაჩერდი, თორემ გესვრი, შე ქურდო შენა!

მოქალაქე: — ძმაო, ქურდი არა ვარ. მე აქა ვცხოვრობ... მიწისძვრა იყო და მეშინია—სახლი არ ჩამოინგრეს

# ლ ვარსი როსროხაძის მოხსენება

## გურიის საშინაო მდგომარეობაზე

### ჩვენი მრეწველობა

უკვე საიდუმლო აღარ არის ის ფაქტი, რომ ჩვენი მრეწველობა იზრდება. სამაზრო ტრესტის არსებობა, რომელშიაც გაერთიანებულია ჩვენი ქვეყნის მძიმე (რკინის მაღაზია) და მსუბუქი (წიგნის მაღაზია) ინდუსტრია, ამ ზრდის დამამტკიცებელი ფაქტია. მაგრამ ამხ. ერასტო აშენებას გვპირდება, და ეს საქმეც არ არის „ქორის-ბუდე"-ში დაკრეფილი მორებით, რომელიც დაეცანა დაბლა და მოდის გადმოგორებით; მხოლოდ საქმეა, — უსულო საგანმა იმდენი იგოროს, რომ ის ოზურგეთში ჩამოგორდეს.

მაგრამ მაგას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს. მნიშვნელოვანია და დიდ მომავალს იძლევა ჩვენი განათება. ჩვენი ტრესტის ელექტრო - სადგური, რომელიც დროგამოშვებით ახალ მთვარესავით გამოჩნდება და თავისი მიმკრთალი, მიბნედილი მბჟუტავ სხივებით საშუალებას აძლევს შეყვარებულ წყვილებს დასტკბენ ოზურგეთის ტალახიან და გასვრილ ქუჩებში.

აგრეთვე, ამხანაგებო, კარგსა და დიდ როლს იძლევა ჩვენი სატყეო მრეწველობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჩვენი მაზრის გლეხკომი და მაკვანეთის ტყეში დაამზადა ორიოდე ათეული საჟენი შეშა, რომლის გამოზიდვა და გამოტანა ბაზარზედ გასულ ზამთარში ვერ შესძლო, ხოლო ზაფხულზე წყალდიდობის გამო ვერ გამოიტანა და ზაფხულშიც ტყეში დარჩება, ვინაიდან, როგორც იცით, მუშა - საქონელს ზაფხულობით მთაში მიერეკებიან.

### მინერალური სიმდიდრენი

გურია ერთობ მდიდარია მინერალური სიმდიდრეებით. ახკანის თავის საბან მიწას და ზემო - სურებში ამხ. მაკარი კიკვაძის მიერ აღმოჩენილ სალებავის მადნებს, დაემატა ერთი ახალი აღმოჩენა. ეს გახლავთ ნასაკირალის მინერალური წყლები, რომელიც აღმოაჩინა ამხ. მიხაკო ნიკოლაიშვილმა. ეს უკანასკნელი დაინიშნა ამ წყლების დირექტორად და არის იმედი, რომ ეს ნიჭიერი გეოლოგი ფართოდ დააყენებს ამ წყლის ექსპლოატაციას.

### სოფლის მეურნეობა

ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში უმთავრესი ადგილი უჭირავს ტყემლის კულტურას. როგორც იცით, ჩვენში ტყემალი გასულ წლამდე ითვლებოდა შინაური ბაზრის მასიური მომმარაგებელ საგნად, გასულ წელს მიქელგაბრიელის საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარის ამხ. მჟავანაძის ინიციატივით, ჩვენ შევეცადეთ მოსკოვის ბაზრის დაპყრობას. მართალია, საკრედიტო ამხანაგობამ იზარალა, მაგრამ ეს გამოწვეული იყო სათანადო პრაქტიკის უქონლობის გამო. წელს კი ვფიქრობთ, უფრო ფართოდ მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს და უფრო ფართო ზარალიც ვნახოთ.

### მელიორაცია

მელიორაციული მუშაობა ჩვენს მაზრაში წარმატებით მიმდინარეობს. მართალია; მელიორაციული საზოგადოებები არ არსებობს, მაგრამ ამ საზოგადოების გარეშე [illegible] მდინარე ბჟუჟამ გადმოსკდა შემოქმედში, ხოლო ნატანებმა — სოფ. ურეხში და „მორწყეს" როგორც შემოქმედის, დვაბზუს, ოზურგეთის თემები, ისე თვით ქალაქი ოზურგეთიც.

### საბჭოს სექციების მუშაობა

საბჭოების და მისი სექციების მუშაობაზედ მე ბევრს აღარ შევჩერდები, ვინაიდან, რომ ვსთქვა, რომ — საბჭოები ცუდად მუშაობს, ტყუილი იქნება; ხოლო რომ ვსთქვა, რომ — კარგად მუშაობს, ესეც უფრო მეტი ტყუილი იქნება. ყოველ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ ამ ჩემი განმარტების შემდეგ სათანადო დასკვნის გაკეთება.

### ოზურგეთი თუ ორ-ზურგ-ეთი

ამ ბოლო ხანებში, ამხანაგებო, პრესაში საკმაო დისკუსია გაიმართა ოზურგეთის სახელწოდების გარშემო. ნამდვილი სახელწოდება არის ორ-ზურგ-ეთი. ამას ადასტურებს მართლა ორი ზურგის არსებობა ქალაქის ირგვლივ. ერთი ზურგი სამხრეთით, წინეთ სერის უბანი, ხოლო დღეს კი—სოლოლაკათ წოდებული. მეორე ზურგი— ჩრდილოეთით, წინეთ „მოიდანახე", ხოლო დღეს— „ნაძალადევათ" წოდებული. აი, ოზურგეთის შესახებ ნამდვილი ამბავი არა თურქულად საჭოჭმანები.

ტოქსინი.

## სტუდენტის პრაქტიკული ვარჯიშობა



# „დიდი საკითხი“

სომალის (იტალიის ახალშენი აფრიკაში) შავკანიანებმა რამდენიმე ხანია რაც დაიწყეს შარვლის ჩაცმა, მაგრამ ამის წინააღმდეგ კანონი გამოსცა გუბერნატორმა, რომელმაც შავკანიანებს აუკრძალა შარვლის ჩაცმა. სომალის მთავარი გუბერნატორის ასეთი უმსგავსო საქციელს ერთა ლიგაში არჩევენ.



**ჩემბერლენი** (ერთა ლიგის დელეგატებს):— **ბატონებო, ეხლა ჩვენ გადავდივართ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც მიიპყრობს ჩვენს ყურადღებას.**

---

# მზადება
## საკურორტო სეზონისათვის

ახლოვდება სააგარაკო სეზონი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი კარზეა მომდგარი და ცოლ-ფები მოქალაქეთა ჯიბეში უდგია.

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ წელს სააგარაკო სეზონი გაიხსნება კიდეც, რადგანაც ზოგიერთ კურორტებზე თითქმის ჩატარებულია წინასწარი კამპანია გასაქირავებელ ოთახების გამოსახვეტათ;

ასე თუ ისე, ოთახების გაცემა უკვე დაწყებულია და ნაწილობრივ დამთავრებულია კიდეც. (ჩვენში დარჩეს და ვგონებ ოთახები აღარც იშოვება, ყველა გაუქირავებიათ).

რაც შეეხება ოთახების ქირას, ისეთია. რომ ნახევარი ტყავი აივანსათ უნდა შემოიველო თავზე და გადასცე ვისაც ჯერ არს.

მოაგარაკეთა კვების უზრუნველსაყოფათ, როგორც სატარტაროზო სააგენტო იუწყება, გადადგმულია შესაფერი ნაბიჯი.

როგორც იუწყებიან, მიღებულია ზომები, რომ რძეში შესარევი წყალი თავის დროზე იქნას მომარაგებული, რადგანაც ადგილობრივი წყაროები და ნაკადები ვერ დააკმაყოფილებს მერძევეთა მოთხოვნილებას რძეში წყალის შერევის მხრივ.

მოაგარაკეების ფინანსიურ დარგის გასამაგრებლათ, აგარაკებზე წასასვლელათ განწირული მოქალაქენი ადგენენ ბიუჯეტებს, რომელთა დეფიციტი დაიფარება სესხით, ნაცნობ ნათესავებიდან.

სწარმოებს დაკვრითი მუშაობა ერთნაირი ტიპის ბოქლომების შესაძენათ, რომ ქალაქში დარჩენილ ქურდებს გაუადვილდეს სააგარაკოთ წასულთა ბინების გახსნა და ნივთების საიმედო ადგილას გადატანა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტრანსპორტის საკითხებს. სადაც რკინის გზის ხაზი არ არის განზრახულია საცალფეხო გზების შეკეთება, რომ მოაგარაკეებს გაუძნელდეს ხრამებში გადაყირავება, როგორც მას გასულ წლებში ქონდა ადგილი.

ზოგიერთ ადგილებში მიზანშეწონილათ არის ცნობილი საურმე გზების გაყვანაც (მაგალითად ბახმარო), ისე რომ ბოლოს ცხენმა მაინც შესძლოს გავლა.

ცალკე დგას რქიან მატარებლის შიმოსვლის მოწესრიგების საკითხი, არის აზრი, რომ რქიანი მატარებლები დაინიშნოს არა მარტო შაბათობით (ისე როგორც უწინ იყო), არამედ ჩვეულებრივ დღეებშიაც, რადგანაც რქიან მატარებლის მგზავრებს ხშირად უხდებათ უბრალო მატარებლით მგზავრობა, რაც არღვევს შინაიურ და საერთაშორისო წონასწორობას.

რაც შეეხება დანარჩენ საკურორტო საკითხების ნაბიჯებს, ზოგი ახლა იდგმება და ზოგის გადასადგმელათ მიღებულია შესაფერი ზომები.

მალადური.

# საბედისწერო სიცილი

ალბად ამ წერილზეც ბევრი ისე იტყვის როგორც ერთხელ ტრამვაიში მგზავრმა მგზავრს უთხრა:

— მერმე რაა, რომ „ტარტაროზში“ ეწერა?! შენ გგონია სიმართლეა? იქ ბევრი ოხერი ხალხია და ყოველთვის იგონებენ ასეთ ამბებს!

მიუხედავად იმისა, რომ ჩემს გვერდით მჯდომი კაცი შეურაცყოფას მაყენებდა ,მე მაინც სიჩუმე ვამჯობინე, თუმცაღა თავისთავმა მისაყვედურა:

— გლახაკი ყოფილხარ. კაცი გაგინებს და შენ კრინტსაც ვერ სძრავ!

მაგრამ მეორე ჩემმა თავისთავმა ასე დამამშვიდა:

— შენ რა იცი! ნუ თუ არ გაგიგონია:

**ზოგჯერ თქმასა არა თქმა სჯობს,**
**ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.**

ჰო-და, ერთი სიტყვით, ბევრი არ დაიჯერებს, რომ ეს ამბავი სრული სინამდვილეა, ეს არც გასაკვირია, რადგან „სიცრუის მთქმელს მართალსაც არ დაუჯერებენო“. ჩვენ კი ძალიან ხშირად გვიყვარს სიცრუის ლაპარაკი, რადგან იგი უფრო ეხება ენას, ვიდრე სიმართლის თქმა. ამიტომ არც გასაკვირია, რომ არც ერთი ჩვენთაგანი ჩემბერლენს არ უჯერებს, რომ მას მართლაც სწადია მშვიდობიანობა.

მართალია, ამბობენ, რომ: სიცრუეს მოკლე ფეხები აქვსო,—მაგრამ მე ეს არ მჯერა,—და არ მჯერა იმიტომ, რომ ჩემბერლენს ძალიან გრძელი ფეხები აქვს.

—რა შუაშია აქ ჩემბერლენი?!—იკითხავს უკმაყოფილოთ გაკვირვებული მკითხველი.

საქმეც ის არის (და უბედურებაც) ,რომ ჩემბერლენს თვისებად აქვს—სხვის საქმეში ჩარევა. აი აქაც, ამ ჩვენს ინტიმურ მასლაათშიაც კი ჩაგვერია,—და ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ ჩინეთისა და ინდოეთის შინაური ცხოვრებაშიაც მიაქვს თავისი ცხვირი.

მაგრამ ხომ გაგიგონიათ: შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო... ჰა, ჩვენც მოვედით და დავიწყოთ.

## !?!




—თავმჯდომარე სად არის?
— კამპანიის ჩასატარებლად წავიდა.
— რა ვიცი,—მთელი წელიწადი ამისთანა კამპანიებსა და ქეიფობაში კი გაატარა და!..

სიზმარსავით მახსოვს ეს ამბავი:

მეზობელი მძიმე ავად იყო. სამზარეულოს სახლში ქალები ფელამუშს ადუღებდენ. საწყალი ავადმყოფი მაშინ მოკვდა, როცა ქალებმა ქვაბიდან ფელამუში დიდ გობზე ამოიღეს. გაჩნდა კივილი. ქალებმა მიატოვეს სამზარეულო სახლი და მიცვალებულთან გამოიქცენ. ახალგაზრდა დაქვრივებული ქალი თმებს იწეწდა და სახეს იკაწრავდა. გული წაუვიდა. როცა მოაბრუნეს, ქალმა ეზოში გაიხედა და... აუტყდა შეუკავებელი სიცილი.

— გადაირია... ჭკუიდან შეიშალა!— იძახდენ მეზობლები და ქალს ეხვეოდენ. სიცილისაგან მოსავებული ქალი ჩაჯდა; ცოტა ხნის შემდეგ ძლივს ამოილუღლუღა და ხელი გაიშვირა ეზოსკენ:

— არა. არ გადავრეულვარ, არც ჭკუიდან შევშლილვარ... გაიხედეთ ეზოში! — და ქალს ისევ წასკდა შეუკავებელი სიცილი, რომელსაც აჰყვა სხვადასხვა ხმაზე და კილოზე სხვების სიცილ-ხარხარი. რა თქმა უნდა, ეს მიცვალებულს არ შეუმჩნევია და არც დაუნახავს, თორემ გაბრაზებული წამოვარდებოდა და ყველა დაუფეთებდა ანგელოსებს. ეზოში კი ცხელ ფელამუშში ჩურჩხელებსავით ამოსვრილ - დათუთქული მამალი და დედლები ფართხალობდენ და არ იცოდენ რა ექნათ. (თურმე სამზარეულოს სახლის კარები არ დაეკეტათ და ამიტომ მომხდარიყო ეს ამბავი).

ეს ამბავი ეხლაც რომ მომაგონდება, სადაც არ უნდა ვიყო, გამეცინება.

უწინ კი ხშირად ვიგონებდი და ამიტყდებოდა სიცილი:

— შენ, ეი, რა სულელივით იცინი!—დამიძახებდა მასწავლებელი და დამემუქრებოდა:—ნუ ხვიხვინებ მანდ, გაუხედნელ კვიცივით, თორემ მაგ ყურებს ისე გაგიზრდი, რომ შუკაში ვერ გაეტიო!

მე კი ყურებს ყოველთვის პატივს ვსცემდი, რადგან იმათი შემწეობით ვისმენდი ჩემი ამხანაგის ჩურჩულს, როცა მასწავლებელი გაკვეთილს მკითხავდა.

ხანდახან ყურები კი მეტყოდენ საყვედურს:

— შე უსინდისო, არასოდეს გაკვეთილი არ იცი და ჩვენ გშველით—ვისმენთ როცა ამხანაგი ჩუმად გიჩურჩულებს, სამაგიეროთ კვირაში ერთხელ მაინც დაგვბანე-დაგვრეცხე, თორემ ამოივსება ნაგავით ხვრელი და მერმე გვიყარე კაკალი!

— თქვენი ლაპარაკი ერთმა შეუშვით, მეორემ გამოუშვით და ქარი წაიღებს სუფთა ჰაერზე. სადა მცალია ყურების დასაბანად, როცა ჯერ შოშიას ბარტყი არ დამიჭერავს!?! ერთ ყურში შეუშვით, მეორეში გამოუშვით!

— კი გამოუშვებ, შე ნუ მომიკვდე, მაგრამ რომ ვერ გამოვა, რადგან გამოსასვლელი აღარ ექნება და დარჩება თავში!.

— თუ გამოსასვლელი არ ექნება, მაშინ არც შესასვლელი ექნება და არაფერი არ დარჩება ამ თავში.

— ეხლაც მასეა!—უიმედოთ ჩააქნიეს ყურებმა კუდი და ჩემთან გასწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა და მოლაპარაკება.

ეს ერთი შემთხვევა.

მეორე კი ეს იყო:

—:—

ჩვენი სოფლიდან ქალაქამდე თორმეტი ვერსია.

ეტლი არ იყო და ამ მანძილის გავლა ქვეითად მოგვიხდა. ჩემს ამხანაგს დედ-მამა ახლდა. ჩვენ სტუდენტები ვიყავით და ცხვირს მაღლა ვიწევდით თქვენს გამგესავით.

საკმაოდ დავიქანცეთ. ვნატრობთ — ეტლი შემოგვხვდებოდეს. დაღლილობის გამო ლაპარაკის თავიც აღარ გვაქვს და მუნჯებსავით მივდივართ.

ამ დროს ამხანაგის დედა შეეკითხა ქმარს:

# დოლი




— ვასილ, ახლა რომ ფაიტონი წამოგვეწიოს, რას იზამ?

— რას ვიზამ და, გადავუხვევ განზე! აბა ხომ არ დავეჯახები!

აი, ამ პასუხმა იმდენი გვაცინა, რომ ჩვენ არც კი გაგვიგია ისე ჩავედით ქალაქში.

ეხლაც, როცა მომაგონდება ეს ამბავი და წინ დამიდგება მაშინდელი სურათი,—სადაც არ უნდა ვიყო, მეცინება.

და, აი, ამის გამო შემემთხვა ერთი ამბავი, რომელმაც მაფიქრებინა ამ წერილის დაწერა.

—:—

კინო-თეატრის დარბაზი მაყურებლებით სანახევროდ იყო სავსე. პირველი სეანსი ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო. თეატრი თანდათან ივსებოდა.

მოვჰკიდე გაზეთის კითხვასაც.

ჩემს გვერდით ორი ახალგაზრდა ქალი დაჯდა.

მომავალ დადგმების რეკლამებს დავუწყე თვალიერება.

ერთ რეკლამაზე თვალი მოვკარი მოხუცის სახეს, რომელმაც მომაგონა ამხანაგის მამა.

ჯერ გამეღიმა, ღიმილი სიცილში გადავიდა. ამავე დროს მომაგონდა ფელამუშისა და ქათმების ამბავი, რომელიც თითქმის თანაბარია პირველის.

სიცილს სიცილი მიემატა და ჯამში გამოვიდა ხარხარი. მეზობლებმა გაკვირვებით შემომხედეს. მე შემრცხვა, მაგრამ სიცილის „ტროიკა" ვერ გავაჩერე. თავი დავხარე, რომ სხვებს არ დაენახა ჩემი ასეთი მდგომარეობა. მეზობელმა ქალმა ფეხები სავარძლის ქვეშ მოათავსა და მოკლე კაბა დაიწია. (ალბად მას ეგონა — განგებ დავხარე თავი, რომ მის წვივებისთვის მეცქირა).

— გადავჯდეთ სხვა ალაგას... ეს ვიღაცაა გიჟია და ვინ იცის როცა სანთელი ჩაქრება რას გვიზამს!—გადაუჩურჩულა ერთმა მეორეს და დაიწყეს თავისუფალ ადგილების თვალიერება.

ამ სიტყვებმა კიდევ უფრო ფართოდ მოხადეს სიცილის აუზს თავი. ის იყო მათკენ მივიხედე და დავაპირე მეთქვა, რომ მე გიჟი არა ვარ, რომ ამ დროს ჩაქრა სინათლე და მართლა გიჟივით წამოვარდა ჩემს გვერდში მჯდომი მანდილოსანი საზარელი კივილით:

— გიჟი... გაიყვანეთ... მიშველეთ!

მთელი დარბაზი ფეხზე დადგა. მილიციელმა ინსტიქტიურად დაანტვინა. სინათლემ ისევ იფეთქა. ყველა ჩვენსკენ იცქირებოდა. ამ ამბავმა უკვე გადალახა სიცილის ყველა ჯებირები და მე მართლაც ისე სულელივით ვიცინოდი, რომ ლაპარაკი აღარ შემეძლო.

— გიჟია... გიჟია... გაიყვანეთ!—მოისმა დარბაზში გუგუნი.

მილიციელი მოვარდა და ხელი მტაცა.

უცბად სიცილი დამაკლდა ტუჩებზე და მე მრაზისაგან ავენთე.

— რაშია, ამხანაგო საქმე?—მოისხანე კილოთი და სახის გამომეტყველობით მივმართე მილიციელს, რომლის გვერდში იდგა თეატრის გამგე.

— გიჟია... წაიყვანეთ... როცა სინათლე ქრებოდა, ჩემი მოხვევა და კოცნა დააპირა. თავი ფეხებში ჩამიდვა! —ჰყვიროდა ქალი.

— ოოოო! კიდევ კარგი გადარჩენილხართ!—ჩამოიძახა ქანდარიდან ვიღაცამ.

მე ისევ ამიტყდა სიცილი.

— გიჟია... გიჟია,...

— გაიყვანეთ... გიჟია..,

— ხულიგანია... ხულიგანი!—იძახოდა დარბაზი.

—:—

— კაცო, რას მერჩით? არა ვარ არც გიჟი და არც ხულიგანი!—ვეუბნები მილიციელს, რომელიც კომისარიატისაკენ მეპატიჟება.

— გიჟი თუ არა ხარ, მაშ რატომ იცინოდი მარტოდ?

— ერთად სიცილი თუ კი შეიძლება, რატომ არ შეიძლება მარტოდ სიცილი?

— შენ ვიღაცა ოხერი ხარ, მართლა გიჟი ყოფილხარ! ნუ თუ არ გაგიგონია: „მარტოდ სიცილი სულელობის მაჩვენებელია"-ო?... ანდა: „ერთი იცინოდეს—თავს სცინოდეს"-ო?... აი, ეხლა ხომ დაგიმტკიცე, რომ შენ სულელი ხარ!? ეხლა ხომ მიხვდი, რომ შენ გიჟი ხარ? წამოდი კომისარიატში და იქ მოხვალ ჭკუაზე!

ვინ იცის რით გათავდებოდა ეს საქმე, რომ ამ დროს საიდანაც არ იყო, არ გამოევლო ამხ. ტარტაროზს, და არ დავეხსენი! ეგებ ეხლა გამსახლში ვმჯდარიყავ როგორც ხულიგანი, ანდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, როგორც გიჟი.

ისელი.

## „სტუ არ - ასპინძლო-ბა

შალვამ ლხინი გადიხადა,
დაპატიჟა „ძმა - ბიჭები“.
პავლეს პეტრე აედევნა,
პეტრეს მოყვა კიდევ სხვები.
„სტოლი“ არის გაწყობილი,
არ აკლია ჩიტის რძეო.
„სტუმრებსაც“ ხომ ეს უნდოდათ
ამობრწყინდა ყველას მზეო.
რა კახური, რა „ხვანჭკარა“,
რა იყო, რომ იქ არ დგმულა!
ტოსტს და „რეჩებს“ ნუღარ მკით-
ხავთ,
რა ექსპრომტი იქ ართქმულა.
გახალისდა მასპინძელი
მოლხენით რომ სხვებიც ნახა,
და ქუმსიაშვილის პოზით
„კირპიკი“-ც კი შემოსძახა.
გაოცებულ თავის სტუმრებს
მარტო ესეც არ აკმარა, —
გადმოახტა სუფრას თავზე
და ფოქსტროტიც დაუარა.
სადილაძემ ტაში დაჰკრა
და გაშალა წრე განზეო:
— როგორ გშვენდის გალიბანო
და „ჩერკესკა“ მაგ ტანზეო.
ბიჩოკაძემ წასჩურჩულა:
— ბიჭო, ტყუილს რად ამბობო?
ყვავის საფრთხობელასა ჰგავს
და შენ მაგრე რად აქებო!
მაშინ უთხრა სადილაძემ:
ბატი ხარ და სულელიო.
რას დაეძებ, მაგის თამაშს,
მუქთი კუჭის მოველიო.
რო შეეაქებთ,—გაიხარებს
და შეგვკერავს ამ ქებითო.
და ჩვენ კი რა გვეხარჯება,
ვახშმადაც აქ დავრჩებითო!

დონ - კიხოტი.

სპეცებს ჩვენ ვენდობით და ვაფასებთ. სამწუხაროდ მათში ისეთებიც არიან, რომლებიც ბოროტად იყენებენ ჩვენს ნდობას. ასეთი გამონაკლისები ყველა მშრომელებთან ერთად თვით მათმა კოლლეგებმა დაგმეს და გაჰკიცხეს.

(გაზეთებიდან).



ფიცი მწამს, ბოლო: მაკვირვებს!

## დ ა ც ო ლ შ ვ ი ლ ე ბ ა

სწორედ ბედნიერება ყოფილა დაცოლშვილება. მეტადრე თუ ცოლი ისეთი შეგხვდა როგორიც მე მყავს: ქალათ ქალი მანდამაინც არაფერი შეულია, მაგრამ ისეთი ჭკუა - მახვილი და გონებიანია, რომ ახლანდელი მეცნიერები მასთან მიქარავენ.

შევირთე თუ არა, მეორე დღიდანვე გამოიცვალა ჩემი ოჯახი.

— არაფერი საჭირო არაა წიგნები სახლში,—მითხრა ცოლმა.—რომელ დუქანში არ გინდა სამკითხველოა ყველგან გახსნილი; ესეც რომ არ იყოს, ეხლა მწერლობის დროა და არა კითხვის. და ჩემი წიგნები ბაზარში გაატანა მეზობლის ბავშს გასაყიდათ. ხოლო წიგნების ალაგას ტუალეტი გამოსჭიმა.

— საწერი მაგიდა რა საჭიროა? აქ ხომ კანცელარია არ არის, რომ განსაკუთრებული მაგიდა იდგეს! მწერლები უშენოდაც ბევრია, თუ მაინცდამაინც გსურს სწერო, შეგიძლია ზღვის პირას; ასე იცოდა დიდმა მწერლებმა. ან სამსახურში სწერე, დრო უფრო ადრე გავა!

აქაც ვერაფერი ვნახე სწინააღმდეგო. ალაგდა ჩემი საწერი მაგიდა და მის ალაგას პატარა მაგიდაზე ლექსების ალბომი დასდო.

— ამაში ლექსებს ჩამიწერენ სტუმრები!

რაღა მეთქმოდა, დავემორჩილე ბედს.

— რაა ასეთი ბებერი რომ ჩამოგიკიდია ამ კედელზე?— შემეკითხა როცა მარქსის სურათს მიდგა.

— ეს მარქსია, ჩემო კარგო, ძველი სოციალისტი, მშრომელი ხალხის ბელადი, დიდი მეცნიერი და ნიჭის პატრონი. მაგას პატივს სცემს * არამც თუ მარტო კომუნისტები; არამედ მენშევიკებიც და, წარმოიდგინე — მეც.

— მოგცლია ერთი შენც!—შემოუბღვირა მან.— ნუთუ ვერ გაიგე, რომ ძველების დრო წავიდა! ეხლა ახალგაზრდებს ეკუთვნის ქვეყანა, მაგის ადგილი აქ არ არის! სთქვა და მარქსის სურათი მოურიდებლად ჩამოხსნა.

— მაგი ვინღაა?—შევეკითხე, როცა მარქსის ადგილას ახალგაზრდა ყმაწვილის სურათი ჩამოკიდა.

— ეს? ამას არ იცნობ? ძალიან ჩამორჩენილხარ ცხოვრებას? ეს ახალგაზრდა პოეტია; ძალიანი ნიჭი აქვს წერის, ეს ყველგან სწერს ლექსებს: გზაში, სახლში, თეატრში, ქეიფში; ტირილში და ერთი სიტყვით ყველგან. ნახე ჩემი ლექსების ალბომში ნახევარზე მეტი მისი ლექსებია შიგ. სხვათაშორის ძალიან მეარშიყებოდა: წარმოიდგინე, მისი სიყვარული ახლაც კი ჩემს გულში. ძალიან კარ-

გი ყმაწვილია. სწორედ. ერთხელ მოვიწვევ აქაც და გაგაცნობ უეჭველად, დუშკა ბიჭია, დუშკა!—ალერსით დახედა სურაის და ფრთხილად ჩამოჰკიდა კედელზე.

— ეტყობა კარგი უნდა იყოს—ჩავილაპარაკე მე და სახეზე სიწითლე მომადგა.

მალე ყველაფერი მის გემოვნებაზე იყო მოწყობილი.

— აი ეხლა მოვისვენებ—სთქვა მან როცა ყველაფერი მიალაგ-მოალაგა და ტუჩები „შეიკრასკა“.—აბა რას გავდა გაჯეჯგილ წვერებიანი ბერი კაცის სურათი რომ ჩამოგიკიდებია! ქკვიანი კაცი რომელი იყო რომ წვერს არ იპარსავდა.

—:—

— მომილოცავს, მომილოცავს! — მილოცავდნენ აქეთ-იქიდან ნაცნობები. დაიწყო სტუმრობა და ქეიფობა ჩემსას, გათავდა ორი თვის ავანსი, მიემატა ურთიერთდამხმარე სალაროდან აღებული სესხი, კერძო ვალები და ნისია ყველა სავაჭრო დაწესებულებაში.

— ამ ორ დღეს გამიტანეთ როგორმე — ვეუბნები ვაჭრებს—ცოლი შევირთე და სახარჯო მინდა, თორემ ერთი კვირის შემდეგ, როცა ცოლის მზითევსა და ფულს მივიღებ,—იცოცხლეთ მე თქვენ გაღაგიხადოთ, ერთი ათად გიზღავთ!

— წაიღე, ძმაო, რაც დაგჭირდეს; აბა როგორ გაგაწბილებ ასეთ დროს! —მეუბნებოდნენ ვაჭრები.

ყველა ვაჭრიდან ავიღე ნისია და ერთი თვეც გავიტანე თავი. ავიღებდი თუ არა ერთიდან, შემდეგ მეორესთან მივიჭრებოდი, იქიდან მესამესთან და ბოლოს იმ ქუჩაზე გავლას სულ ვანებებდი თავს. თითქმის ყველა ქუჩების მაჭრები მოვატყუე და ავიკრძალე კიდევაც ქუჩებში სიარული. სამსახური იქავე ყურის-ძირში მქონდა, მაგრამ იმდენი გზა უნდა შემომევლო, რომ დილის შვიდ საათზე წასული ძლივს ვას წრებდი სამსახურში მისვლას 9 საათზე.

— აბა, ერთი გავისეირნოთ — მითხრა ერთ საღამოს ცოლმა, რომელიც უკვე მომზადებულიყო წასასვლელად.

— გავისეირნოთ — ვუთხარი მეც და დამცხელა ტანში, გარეთ გამოვედით

— აქედან წავიდეთ გენაცვალე — ვუთხარი, როცა გარეთ გამოვედი და საიმედო ქუჩის გზას დავადექი.

— მაქეთ რა მინდა! ბნელი ქუჩებით ვიარო რა გიჟი ვარ? წავიდეთ აქედან! —ხელი მომკიდა და წამიყვანა.

— ეს ქალია, კაცო, მდიდარი ქალი შეირთავო რომ ამბობდნენ? — მომესმა ჩურჩული და ხმაზედ ვიცანი, რომ ერთი მეხორცე და მეორე მეღვინე იყო, რომლების შიში ღამითაც არ მასვენებდა.

— რა ვიცი მაგის ცოლიც კი...!— უპასუხა მეორემ და ჩემი ყურებით გამაგონა ჩემი სონიას „გაბედნიერება“.

— ჩემი ოცი მანეთი კი შეირჩინა, ძმაო, და!

— შენ ოცს სტირი და ჩემი ერთი ბოჭკა ღვინო მაგ ქალის მოყვანას მიახუხა; მე მაგის...!—აქაც გამშორდა რამოდენიმე მაღალ სართულიანი „პატივისცემა“ ჩემი ცოლის მიმართ.

— როგორ უზრდელად იგინებიან! ნეტავ ვის აგინებენ ასე?—მკითხა ცოლმა.

— ისე, ტყუილა-უბრალოთ,—ხომ იცი ყასაბები და მიკიტნები რაებიც არიან! იმიტომ იყო, რომ ამ ქუჩით არ ვაპირებდი წამოსვლას!—ვიმართლე თავი.

პ. ობოლი.

## სამტრედია

თუმც მზე გაზაფხულისა
ჯერ ჩვენ აღარ გვიგრძვნია—
მაგრამ მაინც ქალაქში
სუნით კედებით ბიძია,
სიბინძურე ასეთი
არ უნახავს თვალებსა!
და საზღვარი არ უჩანს:
სევდა — სივალალესა.
და ამბობენ: არა გვყავს,
კაცი შესაფერია!—
ექიმ ბეჟუაშვილზე,
„სულთათანა“-ს მღერიან.
რაფიელი, კლემენტი.
ძილში გათავდებიან!—
ასეთ სანიტარიას,
ცეცხლი წაკიდებია.

—:—

თითქმის ყველა ვაწამე,
მოვსპე ლექსთა რითმებით!
მაგრამ ქარხნის ადგილკომს,
ვეღარ ვახლე თითებიც,
თურმე მთელი სიბნელე,
აქ ყოფილა გუნდებათ! —
ნაწილს ვიტყვი, თორემდა.
ნინა გაგვისუნდება.
„დაო“ ნინა! (იკადრე
ეს სახელის წოდება)
შენს გარშემო ქალაქში,
რალაც ხმები გროვდება —
კარგს არ გიზამს მუშების:
კვნესა, წვა და გოდება.
„მოწინავე“ ოჯახში,
ბჭობა ჰქონდათ სიძეზე!—
ამ დროს „მუშა“ გაზეთი,
სწერდა არეშიძეზე.
წაიკითხა კანკალით,
თვის სახე რომ შიგ ნახა!
ხან ცას ეცა, ხან მიწას —
იმუქრება ის ახლაც.
რედაქცია „შამკო“,
დამწერზე კი იბრძვისა!—
დააყენე „ტროიკა“,
ქალო, არეშიძისავ...

ჭაბნელი ბზიკი.

## სა[illegible] [illegible]ი

### საჯევახოური ხუმრობა

### (ოზურგეთი)



ოზურგეთში ცნობილია
ეს მოხუცი სქელი, მრგვალი.
მუდამ დადის ჩვენს ქუჩებში,
უფრო ხშირად არის მთვრალი.
გოგონებში ჩამწვარია
და უჭირავს მათზე თვალი;
ზოგი მოსწონს, ზოგიც უყვარს
და ედება ცეცხლის ალი.
ფეხები სულ გამოენგრა
პაემანზე ნაცანცალი,—
მაგრამ არვინ არა სწყალობს,
მუდამ არის ხახა-მშრალი.

„ხათა“.

## სასადილოში



— ეს რა ამბავია საჭმელში?
— აკი სთქვით, რომ ცოცხალი მოგვეტანა!

## ჩოხატაური

ჩვენი დაბის ზემო კედრით
ცხოვრობს ერთი დედაბერი...
ორსულ ქალებს უზოგველად
ანადგურებს. ეს „ღვთის“ მტერი!..
— ზოგს „ჩერიის კუდით“ ჩხვლეტავს
და ზოგს კიდევ „წინდის ჩხირით“...
(ასე ამბობს სიკვდილის დროს
მომაკვდავი თვისი პირით.)
ეს ხომ ჩვენში ყველამ იცის,
დიდს - პატარას, ყველას ესმის, —
მარა მიკვირს, არც ერთი რომ
ბებრუცუნას თავს არ ესხმის!..
ამ რიგათ კი კვდება: კატო
ელპიტი და კვლავ ანეტა
სხვა რომ არ ვსთქვათ, ცოდვა არის,
ამ ქალების ასე ჟლეტა!..
დადის ქმრები მგლოვიარე,
სწერენ უხვად განცხადებებს, —
მარა მაინც ამ დედაბერს
ვხედავ უძლევს ხშირად კრებებს!..
ან კი რა ჰქნას? „მოღვაწეა“...
სხვებთან ერთად თანასწორობს,
ქალებს თუ ჟლეტს... მერე ეს რა?,
მაგიერში ორატორობს!..
მარა, ყოველ შემთხვევაში,
მოვახსენებ ჩვენს „ყმაწვილებს“,
სთხოვონ მაინც ამ მოხუც ქალს, —
ნუ დაგვიწყვეტს ცოლს და შვილებს!

**მწირი.**

## ხრესილის სასამართლოში

**მოსამართლე:** — მოქალაქე იუსტინე, სასამართლო გაფრთხილებს — ყოლაფერი მართალი სთქვა, თორემ დაისჯები როგორც ცრუ მოპასუხე.

**იუსტინე:** — ბატონო სუდია, გამიწყრეს გელათისა და მოწამეთის დაგით-კონსტანტინეს მადლი თუ ტყვილი გითხრა.

**მოსამართლე:** — თქვენ, მოქალაქე იუსტინე, იყიდეთ თუ არა მათეს ადგილ-მამული, რომელიც ეხლა სახაზინოთ უნდა გადავიდეს?

**იუსტინე:** — ბატონო სუდია, მე არ შემიძლია კარგად ლაპარაკი და ჩემის მხრივ ილაპარაკებს ვექილი ქელბაქიანი.

**თომჩივნები:** — ქელბაქიანი იუსტინეს ცოლს ჰყვარობს და მაგას ვერ მივიღებთ.

**იუსტინე:** — ნათესავია, ბატონო, მაგი ჩემი ცოლის!

**მოსამართლე:**—რა ნათესავია?

**იუსტინე!** — მაგის ბაბუას ჰყოლია ჩემი ცოლის—ნატალიას გერის ნაცნობი ცოლად.

**მოსამართლე:**—მაშ არ მიიღებს, როგორც სჩანს, საკმაო ნათესავი ყოფილა!

**იუსტინე:** — ბოდიშს ვიხდი, ბატონო სუდია, მაგრამ ჰგონია ჰყვარობს ჩემს ცოლს მაგი.

**მოსამართლე:** — რა საჭიროა ვექილი! შენ უნდა სთქვა ყველაფერი—როგორ იყო საქმე.

**იუსტინე:** — შვიდი წელია, ბატონო სუდია, რაც მე ის ადგილი მაქვს და ვმუშაობდი შიგ. მაგრამ წელს მევიდა ასეთი ცნობა, რომ სანახევროთ აღარ შეიძლება მიწების გაცემაო; ეილო და ქე წამართვა მათემ ადგილი.

**მოსამართლე:** — და შენ იძულებული შეიქენი ფულად გეყიდა არა?

**იუსტინე:**—არა, ბატონო, ფული არ მიმიცია, მაგრამ ერთი უღელი ხარი, მეწველი ძროხა, 40 ფუთი სიმინდი და ღთხი გოჭი კი მივეცი.

**მოსამართლე:** — რაც შენ საქონელი ჩამოთვალე, ყველა ეს შეადგენს თუ არა ფულს?

**იუსტინე:** — არა, ბატონო, ვაჩუქე მაგენი, თორემ ისე რავა მივცემდი, რავა ამოვაგდებდი ოჯახს?!

**მათე:** — ბატონო მოსამართლე, საქმე შემდეგშია: მაგი მამაჩემის ნათლულია და საუკეთესო მოურავი იყო ჩვენი ოჯახის; ბოვშობიდანვე ჩვენ ოჯახს ემსახურებოდა და მეც—გაუწიე მაგის წარსულ სამსახურს ანგარიში და ვაჩუქე ადგილ-მამული, რადგან მე ეხლა ქუთაისში ვცხოვრობ.

**იუსტინე:** — მეც ვაჩუქე, ბატონო ის საქონლები და სიმინდი.

**მოსამართლე:** — ასე რომ შენ მას აჩუქე და მან შენ გაჩუქა· მაშასადამე, უფულო გაცვლა-გამოცვლა მოხდა არა?!

**იუსტინე:** — ხო ბატონო სუდია, მასე იყო საქმე როგორც თქვენ ბრძანებთ.

**მოსამართლე:** — ხსენებული ადგილი ჩამოგერთმევათ ორივეს და სიმართლის დაფარვისათვის მოგესჯებათ ციხეში ჯდომა.

**იუსტინე:** — ბატონო ერთმანეთს ვაჩუქეთ!

**ნატალია:** — (იუსტინეს ცოლი): — არა, ბატონო სუდია, ჩემი ნამზითვი ფული მისცა 500 მანეთი იმ ადგილში... ორივე ტყუილს ამბობს მაგ ძაღლები!..

**იუსტინე:** — შენ, ქალო, სტყუი! შენ გინდა მე ციხეში ჩავჯდე და შენ კი შენს საყვარლებში გაერთო.

**მოსამართლე:** — (მილიციელს) გაიყვანე აქედან მათე და იუსტინე. განაჩენს გამოგიგზავნი და გადაეცით ქუთაისის ციხეს.

**ნატალია:** — კარგია ბატონო, კარგი!

**რქანი.**

# ენამ დალუპა

გამარჯობა, ივანე, გამარჯობა!—გადმოსძახა თავის ეზოში მომუშავე ივანეს ჭიშკრიდან ჯორზე მჯდომმა ჩასუქებულმა მღვდელმა ეპიფანემ.

— იცოცხლე მამაო!— მიაძახა ივანემ.

— გამიღე ერთი ჭიშკარი თუ კაცი ხარ, ივანე; ცოტა დავისვენო, აგერ მეორე სოფელში ვიყავი მიცვალებული გავასვენე და დავიღალე. ცოტა არ იყოს, საჯდომიც მატკინა ამ ოხერმა უნაგირმა!—

ივანემ უკმაყოფილოთ ჩაიბურდღუნა რაღაც, არ ესიამოვნა მღვდელ ეპიფანეს სტუმრობა, იცოდა მისი ჭირვეულობა, რომ წასვლაზე აღარ იფიქრებდა, მაგრამ ჭიშკარი მაინც გაუღო. ეპიფანე მღვდელმა, ვითომც არ შეუმჩნევია ივანეს უკმაყოფილებაო, ქშენით შეაჩიჩქინა ჯორი ეზოში, ჩამოხტა და ოდის წინ სკამზე ჩამოჯდა.

— სხვა, რავა ხარ, ჩემო ივანე? რამდენი ხანია არ მინახავხარ; გეტყობა კარგათ ხარ, არ გჭირია ჩემი კითხვა!

— ეჰ, არა მიშავს!—უპასუხა ივანემ. გულში კი ეპიფანეს წყევლიდა.

კარგა ხანს იმასლაათა მღვდელმა, მოჰყვა ხვნა-თესვაზე, ზამთარზე, მოსავალზე, ინგლისზე, ჩინეთზე აგინა კომუნისტები და ვინიცის კიდევ რამდენი ილაპარაკა სხვა რამეებზე.

ივანე ბოძის ძირში იჯდა, ყურს უგდებდა მღვდლის ბოდვას და ხმას არ იღებდა.

ეპიფანეს პოლიტიკა კი სულ სხვა იყო: ლაპარაკი არც მას არაფრათ ეპიტნავებოდა, მაგრამ ვინაიდან ჯერ კიდევ სადილობამდე ადრე იყო, თითეულ წინადადებას სამჯერ იმეორებდა. ივანეც მიმხვდარიყო ხრიკებს და თუ როგორ აეცალებია დაუპატიჟებელი სტუმარი იმაზე ფიქრობდა.

სადილობის დრომაც მოაწია.

ღვდელმა დაამთქნარა. ივანესაც გადაედვა მთქნარება. მღვდელმა პირჯვარი გადაიწერა და ხითხითით სთქვა:

— ჩემი ხასიათი გქონია შენც ივანე: რომ მომშივდება, მამთქნარებს სულ!

— არა. მე არ მშია, მარა ცოტა ძილი მაკლია და იმიტომ.—უპასუხა ივანემ.

მამა ეპიფანემ დიდხანს იცადა, რამოდენიმეჯერ წამოდგა ვითომ წასასვლელათ, მაგრამ ივანეც ეშმაკურად იცინოდა გულში და თავისთვის ამბობდა:

— იწმაწურე რამდენიც გინდა, რომ გასკდე შუაზე მაინც არ დაგპატიჟებ!

ეპიფანემ ვეღარ მოითმინა, შიმშილისაგან ლიპი მთლად დაეფშუტა; შეატყო მასპინძელს, რომ სადილზე თავს არ იცხელებდა და გადაწყვიტა წასვლა.

— აბა! ნახვამდის, ჩემო ივანე!

— მშვიდობით ღვდელო!

ეპიფანე ჯორზე აფორთხდა და ჭიშკრისკენ გაეშურა. ივანემ გაუღო ჭიშკარი. სრულიად დარწმუნებული იყო, რომ მღვდელი მიდიოდა და აღარ ბრუნდებოდა. ამიტომ პირის გამოსაწმენდათ, (როგორც იტყვიან იმერეთში) ეპიფანეს მიაძახა:—კარგი კი იქნებოდა, მამაო, სადილზე მოგეცადა!?

— უჰ! მოგიკვდა ჩემი თავი, ჩემო ივანე, მაგაზე გაწყენიო!—და მღვდელმა ჯორი ისევ უკან მოაბრუნა.

ივანე სიბრაზისაგან თითებს იკვნეტდა; ბრაზი მოსდიოდა მღვდელზედაც და თავის თავზედაც.

— აბა! სად მივაბა ეს ჯორი, ჩემო ივანე, რომ არ ეშვას?!—ჰკითხა გახარებულმა ეპიფანემ მასპინძელს.



— აგერ მიაბი ამ ჩემ გასახმობ ენას, რომელმაც შენი დაპატიჟება მათქმევინა.—უთხრა გაცხარებულმა ივანემ და ღვდელს ენა გამოუწია!

**ბალაჯან.**

# ღია წერილი

**შვილო მოსე!**

პირველად გისურვებ კარგათ ყოფნას და ბედნიერ ცხოვრებას შენი საყვარელი ცოლშვილით.

როგორც გავიგე, დიდი კაცი გამხდარხარ—პირველ ელექტრო-ტეხნიკური უბნის უფროსის თანაშემწეთ ყოფილხარ დანიშნული. ამ ამბავმა არამც თუ მე, მთელი აკეთი გააკვირვა, რომ ასე უცბათ როგორ გადაახტენი თავზედ იმ კანდიდატებს, რომლებიც შენზე მეტი ნამსახური არიან და უფრო დიდ უბნებს ემსახურებიან. აქამდე ნასმოჩიკათ არ ვარგოდი და ეხლა „ნაჩალნიკი-“ს პომოშნიკი გამხდარხარ. მაგრამ აქ აუცილებლად პროტექცია გეყოლებოდა; ამაში შენი და ჩემი რძალის იმედი მაქვს; მოახერხებდით. — ჰკუით იყავი შვილო, და შესაძლებელია მალე ნაჩალნიკიც გახდე, რადგან, როგორც გადმომცა ჩემმა რძალმა, — მთელ უბანს მოსე განაგებსო, იმიტომ, რომ თვითონ უფროსი ცოტათი მოისუსტებს ცოდნაშიო.

როგორც მომდის ხმები, შენ ცხვირის მაღლა აწევა დაგიწყია. ასე, რომ ჯერ ხუთი თვე არ არის, რომ ნაჩალნიკობ და მთელი უბნის თანამშრომლები გადაკიდებული გყოლია; გარდა ამისა, რადგან შენი უთავობით საქმეებს ვერ უძღვები, ყველაფერი აწეწილ-დაწეწილი გქონია.

ის კი ძალიან მეწყინა, რომ ჩვენი ხარნაბაიძე კვანტი გამოგიდვია. მართალია, შვილო, ნაჩალნიკი გახდი, მაგრამ კაცის კარგი ნაქნარი არ უნდა დაგავიწყდეს. შენ ბარნაბამ დაგბანა პირი და გამოგაჩინა ხალხში, თორემ ვინ გიცნობდა სუფსის მიყრუებულ უბანში. სამი წლიწადი კამანდიროვკაში გამყოფა, ფულები შეგაძენია, უბანში თავისუფლად იყავი, რადიოს სწავლობდი და აკეთებდი და შენს სამსახურს უფროსი მუშა ასრულებდა. იმან იყო, რომ წაგაყენა ნაჩალნიკის თანაშემწეთ და გადიკიდა სხვა მეხანიკები, რომლებიც შენ ყველაფრით გჯობიან. ჰკუით იყავი, შვილო; შენს სამსახურს გაუძეხი, კილაოზნიკობას და ინტრიგანობას თავი გაანებე,— თორემ როგორც წაგაყენეს ისევე მალე ამოგიპანღურებენ მაქედან, ან ვინმე მოგთელავს მაგრად, გაგიხეთქს მაგ ლიპიან მუცელს და თვალი დაუდგება შენს მამას.

შენი მამა რემანოზი,

## ხსენებაც კი მეზარება

როგორა ხარ? როგორ მიდის შენი კერძო ვაჭრობა?

— გმადლობთ... „ძალიან კარგა“... ვიხრჩობი რაღა!

— რა ვიცი დუქანი კი საქონელით სავსე გაქვს და რაღა უნდა გახრჩობდეს?

— რა მახრჩობს და აგე ის, ის, ვერა ჰხედავ? მის სახელის ხსენებაც კი მეზარება.

— კოოპერატივი?

— ჰოო, ეგა, მაგის მამგონსა და დამაარსებელს გაუწყრეს ყველა ჩემი სალოცავები.

— ეე, რას იზამ, ეფრემ ვერდშიაც წერებულია ეგ უბედურება.

— არა ძმაო, არა ეფრემ ვერდში ისიცა სწერია, ბოლო კეთილი იქნება — მაგრამ ამ უბედურებას ბოლო აღარ უჩანს!

— მაშ სოკოებსავით უნდა განუწყვეტლივ იმრავლოს რაღა ამ კოოპერატივებმა!?.

— მერე, შენ რას გიშლის?

— როგორ არ მიშლის — ვიღრჩობი.

— რათა?

— როგორ თუ რათა? ის ადრე ალეზს, მე გვიან—ის იაფად ჰყიდის - მე ძვირად!..

— ვისი ბრალია მერე?

— კარგია ერთი მამაგიცხონდა! სამ კაპეიკის სემიჩკა გიყიდნია და სამ თუმნისას მაბრაზებს!?.

„კურკა“.



ჩონგურს თოკები მოვუბი,
მოვმართე ჩქარა-ჩქარაო.
მე როხროხაძე გახლავარ,
გეგონოთ სხვა კი არაო.
ვისაც კი ესმა სიმღერა,
ყურები ჩამოყარაო.

---

## ახალციხის კოოპერატივებში

**გლეხი:**— თუ ძმაო ერთი გირვანქა შაქარი ამიწონე. (ნოქარი უწონის შაქარს, მაგრამ ქაღალდში არ უყრის).

**გლეხი:**—კაცო, ქაღალდში ჩამიყარე! სოფელში უნდა წავიღო!

**ნოქარი:**—ქაღალდი არ არის. თუ გინდა, მაგრე წაიღე. 33 კაპეიკის შაქარს ყიდულობ და 10 კაპიკის ქაღალდი გინდა?

**გლეხი:**— სოფელში უნდა წავიღო, კაცო, გამიფუჭდება მეთქი!

**ნოქარი:**— (დიდგულად) —თუ გინდა ჯიბეში ჩაიყარე. თუ არ გინდა, და —მიბრძანდით! (გლეხი შაქარს ჯიბეში იყრის და ბუტბუტით გადის. შემოდის სხვა მუშტარი).

**მუშტარი:**— გევედრები, რომ „სემიჩკა“ მიგიღიათ, ერთი კილო ამიწონეთ კაია; სახლში გავახარებ.

**ნოქარი:**— ქაღალდი გაქვთ, რომ ჩავყარო?

**მუშტარი:**— მანდერ ტომსიკები დევს ჩემიყარე შიგ. (უჩვენებს დასტა ქაღალდის ტომსიკებზე).

**ნოქარი:**— ამაში არ შეიძლება. 25 კაპეიკს ვაჭრობთ და 10 კაპეიკის ქაღალდი გნებავთ? თუ არ გნებავთ...

**მუშტარი:**—კარგი, კაცო, რას ჯავრობ, აგე ამაში ჩამიყარე. (იღებს ცხვირსახოცს, რომელშიაც ნოქარი ყრის „სემიჩკას“—მუშტარი ბუტბუტით გადის).

**ბიჭი:**—ძია, ძია ერთი გირვანქა მარილი ამიწონე.

**ნოქარი:**— ქაღალდი გაქვს, რომ ჩავყარო?

**ბიჭი:**— არა; ეგერ ამაში ჩამიყარე (უჩვენებს ქაღალდის ტომსიკებზე).

**ნოქარი:**—(ყვირის)— მაგაში არ შეიძლება! სულელო! გაეთრიე გარეთ!

**ბიჭი:**— რათა ჯავრდები ძიაჯან? აჰა ქუდში ჩამიყარე. (ნოქარი მარილს ქუდში ყრის).

**ქალი:**— თუ შეიძლება ერთი გირვანქა ვერმიშელი ამიწონეთ!

**ნოქარი:**— ქაღალდი გაქვთ, რომ ჩავყარო?

**ქალი:**— აი, იმაში ჩაყარეთ (უჩვენებს ქაღალდზე).

**ნოქარი:** —უკაცრავათ, იმაში არ შეიძლება, ეხლავან ნაბრძანები გვაქვს, რომ ეგეთ წვრილმანებზე ქაღალდი არ გავაფუჭოთ.

**ქალი:**— კარგი, აწონეთ. (ნოქარი სწონის ვერმიშელს. ქალი პირდაპირ კალათში ყრის და ბუტბუტით გარეთ გადის).

**ნოქარი:**— (თავისთვის) კი არ გამიჭირვეს საქმე ამ ოხრებმა თავის ქაღალდით!

**მუშტარი:**— აი, ის კამფეტები რა ღირს?

**ნოქარი:**— კილო სამი მანეთი.

**მუშტარი:**— ერთი კილო ამიწონეთ.

**ნოქარი:** —(სიჩქარით იღებს დასტიდან ტომსიკას და სწონის)— ათ ვაჭრობაც ასეთი უნდა: ქაღალდის ხარჯიც შეუმჩნეველია და ჩაყრა-აწონაც ადვილია!

ელადიკო.




მოწაფე:—ბატონო ლევარსი, რატომ ჰქვია მაგ კუნძულს „სიცილია“?
ლევარსი:—იმიტომ, რომ უწინ აქ ცხოვრობ და მხიარული ხალხი, რომელიც მუდამ იცინოდა და, ალბად, ამიტომ ჰქვია „სიცილია“.

---

ჟურ. „ტარტაროზი“-ს რედაქცია აცხადებს

# კონკურსს

## იუმორისტულ მოთხრობაზე

მოთხრობის შინაარსი აღებული უნდა იყოს ჩვენი თანამედროვე ყოფა-ცხოვრებიდან.

სიდიდით მოთხრობა არ უნდა აღემატებოდეს „ტარტაროზში“ მოთავსებულ ჩვეულებრივ მოთხრობებს; დაწერილი უნდა იყოს მელნით და გარკვეული ხელით.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, გარდა ჩვენი მუდმივი თანამშრომლებისა და მწერლებისა.

საუკეთესო მოთხრობების ხუთ ავტორს მიეცემა ჯილდო:
პირველი — 30 მან.
მეორე — 20 „
მესამე — 15 „
მეოთხე — გაზ. „მუშა“ და ჟურ. „ტარტაროზი“ ერთი წლით
მეხუთე — გაზ. „მუშა“ და ჟურ. „ტარტაროზი“ ექვსი თვით.

გამოგზავნის უკანასკნელ ვადად დანიშნულია 31 მაისი, რის შემდეგ მასალა აღარ მიიღება

წერილზე უნდა იყოს აღნიშნული ავტორის სრული ვინაობა: სახელი, მამის სახელი, გვარი, პროფესია და სწორი მისამართი.

სასურველია ავტორის ფოტოგრაფიული სურათი, რომელიც მოთავსდება ჟურნალში. მოთხრობა მოწონებული იქნება ჟიურის მიერ.

დაწუნებულ ნაწარმოებებს რედაქცია არ ინახავს და მათ შესახებ არც მიწერ-მოწერას აწარმოებს.

ჟურ. „ტარტაროზი“-ს რედაქცია.

# პირდაპირი გაგებით



დედა:—რას შვრები შვილო? ფულის შეჭმა როგორ შეიძლება!?

— აკი მამილო გეუბნებოდა, რომ ორი ათასი სახაზინო ფული შევჭამეო! მაშ თუ ფული გემრიელი არ იყო და არ შეიძლებოდა მისი შეჭმა, მამილომ რატომ შესჭამა?!

პოლიგრაფტრესტის [illegible] სტამბა, კამოს ქ. № 88

კვირა, 27 მაისი 1928 წ. № 154 წლიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

თანამედროვე **ტყის კაცი**



# „ტყის კამპანია“



— ამხანაგებო, თქვენ პრაქტიკულად ხედავთ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტყეს!

## ხვადი კი სდუმდა და აჰრამუნებდა...

„...ჩვენს საბჭოთა აპარატში 3—4%-მდე გარეშე ელემენტი ახერხებს ფეხის მოკიდებას.. უნდა პოვნილ და გაწმენდილ იქნას ის არხი, რომლის მეოხებითაც ეს არასასიამოვნო ელემენტი მოედინება ჩვენს საბჭოთა ორგანოებში!..“
(ერთი ავტორიტეტული მოხსენებიდან).

ჩვენი გამგე, ეს ის გამგე
არ გეგონოსთ ფულს, რომ ფლანგავს;
არც ის დღეებს რომ ამოკლებს;
ჩვენი გამგე ასეთს არ ჰგავს.
„მოკლე“ თავზე თმაც არ მოსწონს;
როგორც თავში — „გრძელი“ რამე,
ეხერხება სიტყვის „რისკი“,
სხვანაირად სითამამე.
„რისკი“... „ბლისკი“... ასეთებში
[illegible], კაცი-მაქვა,
არც თუ პასუხისმგებლობის
ცნებები „ზურგით თრაქვა“...
ესე იგი, შეარჩია
იმან ზურგი „კრიტიკ“–„მიტიკს“—
კრიტიკოსმა იკრიტიკოს,
ის თავის გზით მიდის... მიდის!..
თავს-ხეთ საქმეს ისე აზის,
ვით მეეტლე — ეტლის კოფოს...
იქნება თუ მომავალშიც,
მე შენ გეტყვი, არ შესტოპოს...
აპარატი ისე უდგას,
ვით არღანი — მეარღანეს!
ერთი მუშა შეაგზავნეს.
ერთი მუშა შეაგზავნეს.
სიტყვა „მუშა“ მუშათა კლასს
უდარდება რაღაც, მგონი:
ეს შეგნებაც ჩვენს გამგეში
[illegible], როგორც ეპიგონი!..
და თუმც რაღაც ნისლის [illegible],

ჰა, დაჰფარავს მასაც მალე.
მაგრამ ის თვალს, სჩანს, შეიფშვნეტს,
სჩანს, შეიმშრობს ორთქლს სათვალეს...
ჩვენ ვიმედობთ!.. ვიმედობდით...
მუშაც წარსდგა გამგის წინა...
გამგემ მუშას გასაქირი
წარბის შეკვრით მიისმინა.
იგი ბირჟამ გამოგზავნა
სამსახურში მისაღებათ.
და ეს ცნობაც წერილობით
მას გადასცეს გასაგებათ.
— ვინო? ბირჟამ? შრომის ბირჟამ?..
ჰო, ეს ბირჟა... ბირჟა, მარა...
გამგემ ზანტად ჩაიცინა,
შემდეგ ზანტათ ჩაამთქნარა...
— შრომის ბირჟას ჩვენ პატივს ვსცემთ!..
შრომის ბირჟას ჩვენ ვაფასებთ!..
მუშა, მისგან გამოგზავნილს,
ჩვენც საქმეზე მოვათავსებთ!..
შრომის ბირჟა... მოდით ხვალე.
ხვალ მობრძანდით! ვნახოთ! ვსინჯოთ!..
მაგრამ... მაგრამ ეს მომართვა
უწერიათ რა უნიჭოთ?!
როგორ? იმას, საქმის გამგეს
ხელებს უკრავს ვიღაც ბირჟა?!
ყარის კაცის აყვანაში
ჩამორევა, განა, ღირდა?!
ან კი როგორ გატყდეს ეს ხმა?
ვინ ჩასძახა ბირჟას ყურში,

რომ სახელით— დამღაგებლის—
ჩვენ კაცს ვიღებთ სამსახურში?!.
 იგი „კაცი"... ის წოდება...
 ის ფული და იგი ფონდი..
 ეს რომ განგებ მოვაგვარეთ,
 დაუმტკიცე ბიჭებს, მოდი!.
არა, ჩემთან ეს ხუმრობა
არ გაგივა; ძმაო ბიჭო!
ასეთ წვრილმან რამეებში
ჩამოვრევა, განა, ღირდა?!.
 მაგრამ მუშა—„ხვალ მოდით"—
 იმედი რომ მისცა გამგემ
 გამარჯვებას ზეიმობდა,
 გულს ივსებდა სურვილის რამდენს...
ორი წლის უმუშევრად
სისაწყლით რომ გაატარა,
ეს ხუმრობა ხომ არ არის?
ტანჯვათ, მგონი, უკვე კმარა!..
 ხვალიდან კი... ოჰ, ხვალიდან
 ეღირსება მუშა ადგილს:
 თავის დროზე საუზმეს სჭამს,
 თავის დროზე —ვახშამს, სადილს...
ცოტას ტანზეც მიიწებებს,
ცოლსა და შვილს კოხტად დაჰმოსს,
მას ერკოპი „კრედიტს" მისცემს:
პურს, ყველს, რძეს თუ ტანისამოსს!..
 ერთი სიტყვით, „მოდით ხვალ"!
 ეს სიტყვები რეკენ ყურში,
 ხვალ მოდითო კი არ უთხრეს:
 „ხვალ მოდითო სამსახურში!"
მუშაც მოდის... ერთი მუშა!
მაშ, ის ხომ არ, მთელი კლასი?!
გამგემაც იცის უმეტნაკლოდ
მთელისა და ერთის ფასი!
 და ამიტომ... და ამიტომ...
 ახ, თქვენ მოდით? თქვენ მოხვეწილით?

ჰმ, ადგილი რომ არა გვაქვს?..
სამსახურს რომ ვერ გიშველით?..
მიდის მუშა!.. ქუდს არა სდრეკს,
ქუდიც კი არ მოუხდია,
ის ხომ ბიჭებმ გამოგზავნა,
მაგ ბეჭდს ხომ არ მოუგდია?!.
 ბიუროკრატია ხომ არ არის!
 საქმე თუა, არ აცდება!
 გამგის სიტყვაც სიტყვა არის!
 მუშა იმას სად აწვდება?!
მაგრამ საქმის ვითარება
ამის შემდეგომ ასე იყო:
გამგემ „კაცი" სამსახურში
აიყვანა, ვინმე სიკო!
 არ ვინ იცის, თუ ეს სიკო
 ვინ იყო ან დღეს ვინ არის?!
 მხოლოდ უდგას კაბინეტში
 გამგეს იგი „კაცად კარის"!
კაცად არის ერთად ერთი,
თუმც წოდებით გახლავთ წყვილი:
ბატონ გამგის ბიცოლაძე,
ესე იგი—ბიძაშვილი!
 და ამ წყვილს ზედ მოუმატეთ
 სოციალური მდგომის რანგიც
 ექს-თავადი, თუმცა, სიტყვით
 „უმაწვილოც" და „ამხანაგიც"!..
ასე ჩაცხრა ეს ამბავი
და ის სიკოც ადგილს შერჩა,
თუმცა გამგემ, ამის გამო,
მხრებიც კი არ შეიჩეჩა.
 მას სჩიოდა მხოლოდ მუშა,
 გამგეზე რომ ასე სჯიდა:
 „სიტყვა სხვა აქვს, საქმე—სულ სხვა,
 მუშა უდგას შრომის ბირჟა!"..

ონისიმე.

# კაკაბაძის გამოფენაზე



— სიმართლე მითხრა, ვერაფერი გავიგე—რა მნიშვნელობა აქვს ამ სურათებს!?
— ის მნიშვნელობა აქვს, რომ—ჯერ ერთი, რაც გინდა იმას წაუწერ ქვემოთ და, მეორეც, როგორც გინდა ისე ჩამოჰკიდებ—წაღმა-უკუღმა!

# ტყის დღე

ტარტაროზის დავალებით ტყეში წავედი, რომ გავს-ცნობოდი ტყეების მდგომარეობას.

შუალამე იქნებოდა, როცა შუა ტყეში ამოვყავი თავი.

— დღეს თქვენი დღესასწაული, ე. ი. „ტყის დღეა". ფეთხარით რა დღეში ხართ?— შევეკითხე ტყეს და ფან-ქარი ხელში მოვიმარჯვე საუბრის ჩასაწერათ.

— ჩვენი დღე ასეთი დღეა, ყური დაუგდეთ რამ-დენი ცულის ხმა ისმის!!

და მართლაც მიდამოს აყრუებდა ცულების ხმაური და მისი ეხო.

მე წავედი საიდანაც ხმა მესმოდა.

— რა ამბავია, ხალხნო, როგორ ყველა შესევიხართ ერთად!—შევეკითხე მათ.

— ეს იმიტომ, რომ დღეს სოფელში კრება გვქონდა და დავადგინეთ, „დღეის შემდეგ არცერთი ძირი ხე არ მოვსჭრათ. ფიცი და პატიოსანი სიტყვა დავდევით, რომ შევასრულოთ ეს დადგენილება.

— მერე და რატომ ჩეხავთ ასე უმოწყალოთ! ეს ხომ ფურდობაა?!

— უკაცრავად, მაგრამ თქვენ ცდებით. ჩვენს დად-გენილებაში ნათქვამია: „დღეის შემდეგ", ე. ი. ამელამ 12 საათამდი ჩვენ კიდევ გვაქვს ვადა. სინდისიერი ხალხი ვართ, სიტყვას ვიცავთ. ამიტომაც გამოვსულვართ და გვი-ნდა თორმეტ საათამდი რაც შეიძლება მეტი ტყე გავჩე-ხოთ, თორემ შემდეგ უფლება აღარ გვექნება თანახმად ჩვენი საერთო დადგენილებისა.

—:—

როცა მოვდიოდი, შემომეფეთა გამოქცეული და შე-შინებული ტურა, რომელსაც კბილებში ქათამი ეჭირა.

— რა ამბავია, რომ ასე გარბიხართ?— შევეკითხე ტურას.



— რამდენი ხანია მოვრბივარ; თავშესაფარი ვერსად ვნახე. უკან ქათმის პატრონი მომდევს. შენ გენაცვალე, მიშველე, თორემ მეტი სირბილი აღარ შემიძლია ამ ნატ-ყევარში!— შემომევედრა საწყალი ტურა.

— რა გიშველო ჩემო, ძმობილო!

— ჩამომაშორე ის კაცი და არ მინდა მისი არაფერი, პირსაც არ ვიზამ ამიერიდან სოფლისაკენ!

— გააგდე ეს ქათამი აქავე და აღარ გამოგედევნება, რა კი ქათამს ნახავს!

— შენი ოჯახი ააშენა ღმერთმა, კარგი არ მასწავ-ლე!?— გაუხარდა ტურას, ქათამი იქვე დააგდო და მუხ-მულით უშიშრად წავიდა.

— მამაძაღლო.— შეაგინა ქათმის პატრონმა ტურას, როცა მომაკვდავი ქათამი ნახა,—კიდევ კარგი რომ ეს ტყე გავჩეხეთ, თორემ ის უსინდისო ტურა სადმე დამემალე-ბოდა და ეს ქათამიც დამეკარგებოდა.

— როგორ- ტყის გაჩეხა კარგი საქმეა!?—შევეკითხე უკმაყოფილოთ ქათმის პატრონს.

— რა თქმა უნდა კარგი საქმეა, თორემ ტყის ნადი-რები აგვიკლებდენ; ეხლ კი კურდღელსაც არა აქვს თავ-შესაფარი.

—ეჰხ! თქვენ არ იცით რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტყეს. ტყე რომ არ იყოს, მდინარეები დაშრებოდენ!

— ძალიან კარგი თუ დაშრებიან. ჩვენში მდინარე ჩამოდიოდა. ყოველ წლიურად დიდდებოდა, ნაპირებიდან გადმოდიოდა და სოფელი მიჰქონდა. რა გვექნა არ ვიცო-დით. როცა გაზეთში წავიკითხეთ, რომ ტყის გაჩეხა მდი-ნარეებს აშრობსო,— ჩვენაც ავდექით და მთელი ტყე გა-ჩეხეთ. მართლაც, იგი მდინარე ისე დაშრა, რომ ეხლა შიგ ქათამიც უშიშრად გადის გამოდის.

— კი მაგრამ მოსავალი როგორი გაქვთ?— შევეკით-ხე, მაგრამ, თურმე მის ეზოსთან მივედით და დამემშვი-დობა:

— მშვიდობით იყავით!

—:—

— თქვენ რას გვეტყვით ტყის მნიშვნელობის შესა-ხებ?— შევეკითხე ნაძვის ძირად ქალ-ვაჟს, რომლებიც ერთმანეთის ალერსით ისე იყვენ გატაცებულნი, რომ ვერც კი შემამჩნიეს მათ წინ მდგომი.

— ტყე? ტყე დიდებული რამ არის. შეყვარებულე-ბისათვის ტყე პირდაპირ მისწრებაა. ტყე სითამამეს აძ-ლევს შეყვარებულებს, რომლებსაც ავიწყებს „მეშჩანურ" ტრადიციებსა და მორალს... ტყეში ყველაფერი ხელს გი-წყობს, რომ მიწვდე და ჩაეკონო სატრფოს, ისე მაგრად, რომ..! — და ექსტაზში მოსული ვაჟი ჩაეკონა ქალს, რომელმაც მაგრად მოჰხვია ხელები.

— ო, უკაცრავად, თქვენ აქ ყოფილხართ!—მოიბო-დიშებს, როცა დაცხრა მათი ექსტაზი და მე დამინახეს.

ეშმაკს რომ არ შევეცდინე, (ადამიანი ვარ) იქიდან მალე წამოვედი.

—:—

ის იყო ტყე თავდებოდა და სოფელი იწყებოდა, რომ საზღვარზე სამი შეიარაღებული კაცი შემხვდა.

— თქვენ ვინა ხართ?—შევეკითხე პირველს.

— ტყის-მცველი!—

— თქვენ?— შევეკითხე მეორეს.

— მე ვარ ტყის-მცველის მცველი, რომ მან ტყე არ გაჩეხოს.

— თქვენ ვინა ხართ?— შევეკითხე მესამეს.

მე ვარ ტყის-მცველის მცველის მცველი, რომ ამ უკა-ნასკნელმა ტყე არ გაჩეხოს.



— კარგი, მაგრამ შენ ვინღა გცავს, რომ ტყე არ გა-ჩეხო?

— მაგას ჩვენ ვცავთ!— მიპასუხეს პირველმა ორმა.

# ტყე და სიყვარული



დღეს იქ სულ სხვა სალამოა, სხვა ხალიბო, სხვა სალამო...
წამო ტყეში, ტყეში წამო!..

— მაშ ერთმანეთს სცავთ არა?
— სხვანაირად არ ეწყობა; ტყე გაიჩეხება რომ ასე არ ვქნათ!

—:—

ორი კულაკი დაეჭირათ და მიჰყავდათ.

— რატომ დაიჭირეთ! —შევეკითხე ტყის-მცველს, რომელსაც ისინი მიჰყავდა.

— ტყეს ჩეხდენ და იმიტომ!

— ამათი საქმე მე ვარ გავიგე!—ელაპარაკებოდა ერთი კულაკი მეორეს.— ქვეყანას აყრუებენ, რომ განათლება მოგვაქვსო, სოფელი ქალაქის ყაიდაზე უნდა მოვაწყოთო და, ამავე დროს კი, ტყეს ასე იცავენ. ვა, რა უჭკუო ხალხია! მადლობა უნდა გვითხრას, რომ ტყეს ვჩეხავთ, ესენი კი გვიჭერენ. რომელი განათლებული ხალხი იცავდა ამათსავით ტყეს?! ტყე ხომ გაუნათლებლობასა და ველურობას ნიშნავს!?

— ჰაი, ჰაი, რომ ასეა... მაგენი ხომ გაუნათლებელი არიან და ყოველივე ველურობას იცავენ... გარდა ამისა ტყეს იმიტომ ჰფარველობენ, რომ— როცა დამარცხდებიან, სად უნდა დაიმალონ, ვინ მიილებს მაგათ!? ჰო-და გაქცევების დროს ტყე იქნება მაგათი თავშესაფარი და დასამალავი ადგილი. აი, ამიტომ იცავენ ასე თავგამოდებით ტყეს!

ჯინჯარი.

## სული ობოლი

(გამფლანგველების გოდება)

ნუგზვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
დამნაშავე ოდეს ჩეკას გაებას,
საბრალოა მხოლოთ სული ობოლი,
საპატიმრო გარს არტყია ვით რგოლი,
ენატრება მას ლაჟვარდი და მოლი,
ენატრება ჰაერი და საწოლი...

—:—

რა კარგია ახლა გარეთ გორება
და ალერსი თამროსი და ნინასი!
ფულით სავსე პორტფელების ტარება...
ეგებ ცოლთან ძვრება ვინმე ბინაში...
ახლა ვიწვი მეკიდება გენია...
რა დრო იყო ვსეირნობდი ავტოთი...
სად ხარ ჩემო უნაზესო ჟენია,
დღეობაზე რომ მოგრთავდი მანტოთი?..
მაგრამ კმარა წარსულისკენ ყურება,
მოგონება რისთვის გადამეკიდა!
ახლა ვირი მჯობნის მე დიდ ყურება,
ჩემო ტანო თავი შენ სად გეკიდა?

ფიორი.

# პირის აბანო

წერილი ბათომიდენ

.ზ...ან ამბავს მოგწერ,
არ გესმოდეს იმის მსგავსი,
თუმც ამ საქმის გარეგნულად
ბევრმა იცის შინაარსი.
გვარს არ ვიტყვი... ვინ არ იცნობს
ხახელია მისი საშა,
ამ ბათომში ისე დადის
გეგონებათ ვილაც ფაშა.
მეგობრები ხომ ბევრი ჰყავს,
აღარა აქვს არვის შიში,
ქრისტესავით ლოცულობდა
მასზე მთელი ჯიხაიში.
მისი საქმე. რომ გავლექსო
ხომ არ არის გასაკვირი, —
თუმც ჩემს გარდა ბევრი აქეზს,
მე როგორ ვსთქვა მისი ძვირი!

ერთხელ თურმე ორი თვის წინ
აქ ბათომში ზამთრის პირას
საშა სვამდა მეგობრებთან
სადღაც დუქნის განაპირას...
დილამდისინ ქეიფობდენ,
რადგან ჰქონდა კარგი ხოში.
მთელი ღამეს ღვინის სმითა
სწრაფ შეიქნა ის ზარხოში.
რომ გათენდა წამოვიდა;
მიდის სახლში ჩვენი საშა,
მაგრამ, დახეთ, უცაბედათ
მას შემოხვდა ვილაც ნაშა
საშამ ნაზად ჩაუცინა,
ჩაიქნია კოხტათ ფრაკი,
ამ ქალს უკან დაედევნა
და დაუწყო ლაპარაკი...

ასე უთხრა: — სად მიდიხარ?
გენაცვალე ჩემო ვარდო,
მე ერთს თუმანს არ დავშურავ,
ოღონდ შენთან ვინავარდო!..
ქალმა უთხრა: — მეტი ძვირად,
მე არ ვღირვარ, გენაცვალე;
მე ჩემს ამბავს მოგახსენებ,
მხოლოდ ცოტა დამაცალე...
იქნებ შენ არ მოგეწონოს,
სიტყვა გითხრა გვარიანი.
ქალიშვილი არ გეგონო
მე ქალი ვარ ქმარიანი.
შენს ბინაზე რომ წამოგყვე.
შემომხვდება სადმე ქმარი.
ჩემზედ ძლიერ იჭვიანობს,
ტანში მიზის შიშის ქარი.
ჩემს ბინაზე წამომყევი.
ეხლა სახლში მე ვარ მარტო,
მხოლოდ ერთი შენ წამოდი,
სხვა არავინ შემატო!
მიიყვანა ქალმა სახლში,
ასე უთხრა: — დადექ გარეთ!
ცოტა კიდეც გაიცინე,
ნუ ხარ ასე მგლოვიარეთ..

საშა უცდის გულის ძგერით,
არ გამოდის გარეთ ქალი,
სული ყელში ებჯინება,
ეკიდება ცეცხლის ალი...
ვილაც კაცი გამოვიდა,
დაინახა საშა ზეზე,
ასე უთხრა: — რას გარჯგილხართ?
ან ვის უცდით ამ კიბეზე!?
საშამ უთხრა: — არაფერი,
აქ მოვყევი ნაცნობ ქალსა! —
გული დაუსევდიანდა,
და მიეცა ცეცხლის ალსა..
ის უცნობი ჩამოსცილდა,
და შევიდა იქვე სახლში, —
და საშა კი მოწყენილი
მარტო დარჩა კიდევ კარში...

ეჭვობს საშა... მაგრამ სჯერა
ქალის სიტყვა და ფიცია...
ამ დროს გვერდში ამოუდგა
რაიონის მილიცია.
რაიონში ასე უთხრეს:
— ვინ გეგონათ თქვენი ტოლი!
უსინდისოთ გაგილანძღავთ, —
ის კონსულის არის ცოლი...

და გამსახლში მიაბრძანეს
საშა „პირის ზიარება“..
თავის ამბავს არ აცხადებს,
დარცხვენილი იარება.
ვინახული... ასე მითხრა:
— ქმარი ვიყავ ორსულისა!
რა ეშმაკმა გადამკიდა
ცოლი ვილაც კონსულისა?!
მე წინ და წინ გამირიგდა,
დავეთანხმე წაყოლაზე...
სამი თვე კი ციხე მომცეს,
ტყვილად ქალის გაყოლაზე.
პატიმრობას შევეჩვიე
მოქეიფე ბიჭი საშა
და მწვადივით შემიყვარდა
ლობიო და „ციხის კაშა“.

„მეგობარი“.

# „ამაღლება ქრისტესი“



# წესი

სოფელ ბროწეულში გარდაიცვალა ასოცი წლის მოხუცი.

— როგორი დავმარხოთ? — ჰკითხა ერთმა გლეხმა მეორეს.

— გავთხაროთ მიწა, ჩავასვენოთ სამარეში და მივაყაროთ.

— მაგას არ გეკითხები: ღვდლით დავმარხოთ, თუ უღვდლოდ?

— მაგისი კი რა მოგახსენოთ. ისეთი წესით დავმარხოთ, როგორიც მას უნახავს და გამოუვლია.

— როგორიღა არ უნახავს, ერეკლე მეფეც დაუმარხავს მაგას, ეხლა რამდენიმე კომკავშირელის დასაფლავებასაც დაესწრო. თითონ როგორი დავმარხოთ?

— რასაკვირველია ძველი წესით, თავისი დროის წესით.

— ესე იგი მღვდლით, არა?

— მგონი.

დატრიალდნენ ღვდლისათვის, მოიარეს შვიდი სოფელი, მაგრამ მღვდელი ვერსად იშოვნეს.

— რა ვქნათ კაცო, ღვდელი ვერსად ვიშოვეთ.

— რას იშოვნი, ძმაო, ხუთი წელიწადია, მეც თვალით არ დამინახავს ღვდელი. მაგრამ მგონია, რომ ისევ თბილისში უნდა მოიპოვებოდეს.

— თბილისში?

— ჰო, იქ სხვა არა იყოს რა მუზეუმში მაინც ექნებათ.

— მაშ ეხლა თბილისში სად წავიდე, ისევ აქა ნახეთ ვინმე. აი თუნდა შენ, ფშატავ, ეგა შენ გძელი წვერი გაქ, ღვდლობას ვერ გაჰწევ?

— რა ვიცი, კაცო!

— როგორ არ იცი. „უფალო შეგვიწყალე“ არ იცი?

— მაგას კი ვიტყვი.

— მამაო ჩვენოსაც ხომ იტყვი?

— ვიტყვი, მაგრამ რო შემეშალოს!

— შენ ნუ მომიკვდები, თუ შეგეშალა ხელად არ მიგიხვდნენ!

არ მიმიხვდებიან მარა ვიტყუილო.

— ღვდლები სულ ეგრე ტყუოდნენ და შენ რო ერთხელ იტყუილო დიდი საქმეა?

— მერე, კაცო, და ან ჯვარი არ მინდა, ან წამოსასხამი არ მინდა?

— ფუჩეჩის ჯვარს გაგიკეთებთ, ფარდაგს წამოგასხამთ მეტი რა გინდა—მითომ ტრიაკია.

— მერე კაცო, ხალხმა იცის, რო ჩემ სიცოცხლეში სულ მეღორე ვიყავ და ეხლა ღვდლობას ვინ დამიჯერებს!

— შენი ხნის კაცს სიზმარსაც დაუჯერებენ.

— არა, ძმაო, არ შემიძლიან..

— წამოისხი მეთქი ფარდაგი, როგორ თუ არ შეგიძლიან...

ამ დროს მოვარდა ერთი მაზაროშვილი:

— მგონი ღვდელი ყოფილა ჩვენ სოფელშიო.

წავიდნენ ღვდლის სანახავად.

—შენა ხარ, „პაპავ“, ღვდელი?—ჰკითხეს.

— რა ვიცი, შვილო, ღვდელი ვიქნებოდი, მაგრამ...

— მაგრამ რა?

— მაგრამ ისა, რომ... თუ მართლა ღვდელი გინდათ, ვარ, თუ არა და არა ვარ. როგორი გირჩევნიათ?

— რას ამბობ „პაპავ“, ასოცი წლის მოხუცი გვყავს დასამარხი...

— ვარ, ვარ ღვდელი ვარ—წამოიძახა გახარებულმა „პაპამ“.

რაკი გაიგო, რომ მართლა ეძებდნენ ღვდელს მოხუცის დასამარხავად ძველი წესით, „პაპა“ წელში გასწორდა, წვერზე ხელი გადისვა და ამაყად ალაპარაკდა.

— ისეთი საცეცხლური და სამოსელი მაქ რო სულ თოვლივითა ბრწყინავს. წაიღეთ, დავმარხოთ მოხუცი.

მაგრამ ამ დროს მოვიდა მეორე მაზაროშვილიც:

— ღვდელი მეზობელ სოფელშიაც ყოფილაო.

„პაპამ“ რო ამას ყური მოჰკრა, მაშინვე გაიქცა შინ, და გამოიტანა ხელად წერილი.

„მამაო ლიპიანე, მე გავიგე რომ თქვენ სოფელ ბროწეულში აპირებთ ჩამოსვლას ასოცი წლის მოხუცის დასამარხავად; თუ ამას გაბედავთ და აქ მობრძანდებით, ფეხებს შემოგამტვრევთ. სოფელი ბროწეული მე მეკუთვნის, ამისათვის არ გაბედოთ შეცილება. ლუკმას შუაზე ნუ გამიყოფთ, თორემ ღმერთს გეფიცები ცემით სულ ღმერთს გაგაცლი!—გამოართვა წერილი, დაკეცა სამკუთხად და გაატანა ბიჭს.

— როგორ თუ, ფეხებს შემომამტვრევს. მე მიცვალებულის პატრონი მიწვევს და იმას რა საქმე აქვს ჩემთან!—წარმოსთქვა მამა ლიპიანემ და წამოავლო ხელი თავის საცეცხლურ-ოლარს დავითნს.

— მაშ არ გეშინიან, არ იშლი?!—ჰკითხა დიაკვანმა.

— რისი უნდა მეშინოდეს. ღმერთიც ჩემსკენაა და მიცვალებულის პატრონიც. ეხლა აქ იყო და მიწვია. გიჟი ვარ, ამდენი ხანია მკვდარი არ დამისაფლავებია, ეხლა მოხოვეს, მიმიწვიეს, პატივი მცეს, კაცად ჩამაგდეს და ქლებს ხელიდან გავუშვებ?!

წავიდნენ.

ხალხი მოგროვილიყო.

ღვდლები ერთმანეთს შეხვდნენ და ისე შეხედეს ერთმანეთს, თითქო თვითონ ღმერთები იწვევენ ერთმანეთს ბრძოლაშიო.

შემდეგ ფაცა-ფუცით ჩაიცვეს სამოსელი და:

„უფალო შეგვიწყალენ, უფალო შეგვიწყალეეენ“...

ხალხმა ყურები აცქვიტა: დაინახა დიდი ხნის უნახავი სანახაობა და იხამუშა, შეიცხვა, თავი დაღუნა და ზოლივით გაიპარა. მიცვალებულიღა დარჩა მარტო. მასმა პირისუფალმა მიიხედ-მოიხედა და რომ ველარავინ დაინახა, გული გაუსკდა.

— რათ გაიპარა ხალხი?—ჰკითხა მან.

— მაშ რა გგონია, შეპრცხვა ხალხს,—უპასუხა ახალგაზრდა გლეხმა.

— დაუძახე, დაუძახე თუ ძმა ხარ—სთქვა პირისუფალმა და შეაჩერა ღვდლები:

— მამაო მოძღვრებო!

— რას გვიბრძანებთ!

— იმას გიბრძანებთ, რომ ხალხი დამიფრთხეთ, გაიძრეთ ეხლავე თქვენი სამოსელი და გაიპარეთ, თორემ ამაზე მეტი აღარ შემიძლიან.

მოძღვრებმა გაიძრეს სამოსელი და გაიპარნენ.

ცოტა ხნის შემდეგ მოგროვდა ორჯელ მეტი ხალხი და ასოცი წლის მოხუცი დამარხეს, როგორც ახალგაზრდა. ყუსუფ სოლომონ-ოღლი.

# ამაღლება



მაღალი ქუსლებით

# ორი ტაქტიკა

სასადილოში მე მოთმინებით ველოდი მოსამსახურეს, რომელმაც შეკვეთილი სადილის მოტანა შემპირდა „ამ წუთში“ და სადღაც გადაიკარგა მთელი ნახევარი საათით.

ლოდინში მეზობლების ბაას დავუგდე ყური. ერთი მათგანი რაღაც ამბავს უყვებოდა დანარჩენებს:

— „კაცო, პირდაპირ, ვიღუპებოდით რაღა!.. თავიდან ჩვენ ვიყავით ოთხმოცდაათი... ოთხმოცდაათი ყოველად ჯანსაღი, საუცხოო მადის და მხიარულ ხასიათის პატრონი. მაგრამ წლიდან წლამდე ჩვენი რიცხვი სულ კლებულობდა. როდესაც ჩვენი რიცხვი ოთხმოცდაათამდე დავიდა, ჩვენ უკვე აღარ გვქონდა ისეთი მადა, როგორც უწინ, რაც შეეხება მხიარულ ხასიათს, ამ მხრივ, საყდრის ჯვარზე წამოსკუპებული მშიერი ყვავი უფრო მეტ მხიარულ გუნებაზე იქნებოდა, ვიდრე ჩვენ.

მაშინ ჩვენ გადავწყვიტეთ შებრძოლება. არცერთი ხინელი გენერალი არ იბრძოდა ისე თავის ქურქისა და სახრავის შესანარჩუნებლად, როგორც იბრძოდა ყოველი ჩვენგანი. ყოველ დამარცხების შემდეგ, ჩვენ ვიგონებდით სულ ახალ- ახალ ხერხებს, და ჩვენი ამ ქვეყნიური ცხოვრების ერთად-ერთი მიზანი გახდა, რაც არ უნდა დაგვჯდომოდა, შეგვენარჩუნებინა დაწესებულების კანცელარიაში საკუთარ ოფლით მორწყული ადგილები.

რომ ადმინისტრაციას არ შეემჩნია ჩვენთვის რამე, ჩვენ მალე შევწყვიტეთ ერთმანეთში ყოველგვარი კერძო მუსაიფი. მაგრამ ესეც არ ვიკმარეთ. მუშაობის დროს თამბაქოს მოწევა საკმაო დროს თხოულობდა და ჩვენც დავანებეთ ამას თავი.

ერთი კვირის შემდეგ ადმინისტრაციამ შენიშნა ჩვენი საოცარი მუყაითობა და რომ სამუშაო ყველას გვყოფნიდა —შემცირა ხუთი კაცი. ჩვენ გარეგნულად მწუხარე სახით გავაცილეთ ეს ხუთი შრომის ბირჟისაკენ, მაგრამ გულში კი სიხარულს ვგრძნობდით, რადგან ეს ჩვენს მდგომარეობას უფრო გაამტკიცებდა.

რომ კიდევ უფრო მოგვეგო ადმინისტრაციის გული, დარჩენილებმა დავანებეთ თავი საუზმობას, რომელზედაც თითქმის ნახევარი საათი იკარგებოდა ყოველდღე და ფეხსალაგშიაც მივდიოდით მხოლოდ უკიდურესს გაჭირვების დროს, როცა უკვე საშველი აღარ იყო. ჩვენ მთელი დღის განმავლობაში განუწყვეტლივ ვუსხედით ჩვენს მაგიდებს და ვსწერდით და ვსწერდით... საერთო დუმილში ისმოდა მხოლოდ კალმების წრიპინი და გავარვარებულ თავებიდან ადენილ ოფლის შიშინი, როცა ის ცივ მაგიდებს ადნებოდა.

ადმინისტრაციას არც ეს დარჩა შეუმჩნეველი და მადლობის ნიშნად —კიდევ შეამცირა ხუთი კაცი.

თითქოს აღარ იყო საშველი. ჩვენი რიგები სულ თხელდებოდა და თხელდებოდა. მაგრამ მალე აქაც ვნახეთ გამოსავალი. ერთხელ შევნიშნეთ, რომ ერთი ჩვენგანი შეუსრულებელ ქაღალდებს ყოფს შუაში, ერთ ნაწილს ასრულებს, მეორეს კი შეუსრულებელს ინახავს უჯრაში. დავუწყეთ გზირობა და დავიჭირეთ იმავ საღამოს, როცა ქურდულად იპარებოდა დაწესებულებაში საღამოს სამუშევრად.

ეს ამბავი სწრაფად გავრცელდა მთელს უწყებაში და მეორე საღამოს ყველანი მაგიდებს ვუსხედით და ჩვენის ნებით თავაუღებლივ ვსწევდით შრომის ჭაპანს ღამის 12 საათამდე. ასეთი გამოსავალი ჩვენ ძლიერ გვახარებდა, თუმცა მეორე მხრივ, ისიც გვაშინებდა, სამუშაო არ შემოგვლეოდა, მართლაც ვერავითარ სამუშაო ვერ გაუძლებდა ამდენი ხნის მუშაობას.

მაშინ ჩვენ ავსწიეთ ჩვენი ნაყოფიერების როგორც ღირსება, ისე რაოდენობაც. ერთი ქაღალდის ნაცვლად ვსწერდით 5 და არცერთი პოეტი არ ამუშავებდა თავის ლექსს ისე, როგორც ჩვენ ვამუშავებდით ყოველ ქაღალდს. ყოველი მიმართვა, მიმართვის ნამდვილი შედევრი იყო. (დღეს რომ შეიძლებოდეს ყველა მათი შეკრება რამდენიმე სქელ ტომად, ეს უდიდესი ღვაწლი იქნებოდა მომავალ თაობის წინაშე. მათი გამოცემა კი სათაკილო არ იქნებოდა თვით სახელგამისათვის).

მაგრამ თუ ჩვენ არ გვეძინა ღამის 12 საათამდე, არც ადმინისტრაციას ეძინა და რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი რიგები კიდევ შეთხელდა რამდენიმე კაცით. ამის გარდა, ჯერ კიდევ არც ვიყავით გონს მოსული ახალ დამარცხებისაგან, რომ უეცრად ერთ საღამოს თავს დაგვესხა შრომის ინსპექტორი და როგორც შრომის უანგარო მოხელეებს, საკმაო ჯარიმა დაგვადო კისერზე.

ამის იქით საით უნდა წავსულიყავით. მაგრამ არც ასე ადვილი იყო ჩვენი წელში გატეხა. ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა გვებრძოლა უკანასკნელ მელნის წვეთამდე და მაშინ... დილაობით რვა საათის ნაცვლად დავიწყეთ სიარული უფრო ადრე. ჯერ რვის ნახევარზე, შემდეგ შვიდზე, შემდეგ უკვე ალიონზე იქ ვიყავით. ვინაიდან დარაჯები ასე ადრე დაწესებულებაში შესავალ კარებს არ გვიღებდნენ და მშვიდობიანად ხვრინავდნენ სამორიგეოში, ჩვენ ვიკრიბებოდით კარებთან და გულის ფანცქალით მოველოდით მის გაღებას, რომ უკმაყოფილებას არ ჰქონოდა ადგილი, ჩვენ მიზანშეწონილად ვსცანით, რიგი გაგვემართა და ვინც პირველად მოვიდოდა, ის პირველიც შეიჭრებოდა დაწესებულებაში.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ ეს მეტის-მეტად კარგად იყო მოგონილი. ასეთ მდგომარეობაში მარტო ჩვენ არ ვიყავით. ჩვენ ვიცოდით, რომ ამ დროს რიგი იქნებოდა აბანოს სალაროსთანაც და აბანოშიც ონკანთან. ვიცოდით, რომ რიგი იქნება ტრამვაიზე, კინოში, ამბულატორიაში, წყალსადენის ბუდკასთან, ტუესში, ყოველ გამგის კაბინეტთან და ბანკში გადასახადის შესატანად.

რაც-შეეხება შრომის ინსპექტორს, ჩვენ მისი არ გვეშინოდა, რადგან ვერცერთი შრომის ინსპექტორი ვერ გაიღვიძებდა ასე ადრე, არა თუ ადგებოდა, ჩაიცვამდა და ჩვენს დასაჯარიმებლად წამოვიდოდა მშიერ კუჭზე.

მაგრამ ადმინისტრაციას მაინც არ ეძინა და ერთი კვირის შემდეგ ჩვენ სიამოვნებით გავაცილეთ კიდევ რამდენიმე ამხანაგი შრომის ბირჟისაკენ და დავიწყეთ ლოდინი, თუ როდის მოვიდოდა ჩვენი რიგი, რომ შრომის ბირჟის და დამზღვევ სალაროს ფართო მკერდში მოგვენახა ჩვენი უკანასკნელი და მყუდრო ნავთსადგური“...

აქ ჩემი მეზობლები გაუსწორდნენ პატივისცემისაგან ბუზღუნით მოკაკულ მოსამსახურეს, წამოდგნენ და წასასვლელად მოემზადნენ.

— უკაცრავად!— შევეკითხე მე უეცრად ამბის მომყოლს.—ეგრე რომ ყოფილიყო, თქვენი დაწესებულების კვალიც აღარ დარჩებოდა... მე კი ვიცი, რომ იქ ეხლა ორასი კაცია... მაშ, როგორ მოხდა ეს?

— როგორ?.. სულ უბრალოდ.:: ჩვენ მხოლოდ შევსცვალეთ ტაქტიკა... თამბაქოს მოწევა არავისთვის არაა აკრძალული. არც საუზმობა, არც მუსაიფი... გარდა ამისა ჩვენს შორის აღმოჩნდა რამოდენიმე მშვენიერი ხუმარა და კარგი ანეკდოტისტი... შემდეგ, როგორც განათლებულმა ხალხმა, დავინტერესდით ვიქტორინით.. სხვებიც დავაინტერესეთ და... ჩემო კარგო, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენს ადმინისტრაციას არ უყვარს ძილი, არც მაშინ სძინებია და მშვენივრად შენიშნა, რომ საქმეების შესრულებას ვერ ვასწრებდით და მალე მოგვიმატა რამდენიმე კაცი... შემდეგ კიდევ რამდენიმე და ასე... დღეს თუ ჩვენი რიცხვი ორასამდის აღწევს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზღვართან ახლოს ვიყოთ. ეს იმითაც მტკიცდება, რომ ხშირად საღამოობითაც გვიხდება მუშაობა და, რა თქმა უნდა, არა ისე უფასოდ, როგორც ამას უწინ ვშვებოდით...

ისინი კარებისაკენ გაეშურნენ. ამ დროს ძლივს გამოჩენილმა მოსამსახურემ, რომელსაც მე ასე მოუთმენლად ველოდი მთელი საათის განმავლობაში, მიატოვა. საჩქაროდ ჩემი სადილი სხვის მაგიდაზე, დაეწია წასულებს და მოწიწებით მიაცილა ისინი კარებამდის.

**სინემატო.**



ქეიფობენ ბალში
ელექტრონის სხივზე..



ჩაქრა ელექტრონი,—
და გარშემო ბნელა.

დრო იხელთეს ბნელში
და... გაიქცა ყველა.



ახგარიშით ხელში
გააცურეს ტივზე

## $H_2SO_4$

ეს გაზაფხული
უკვე თავდება;
დგება ზაფხული —
სეზონი ბუზის
და დაიწყება
სასტიკი სიცხე
სიცხე მომგვრელი
გოგრაში მუზის!
ან ადუღდება
თავებში ტვინი
(ცხადია: თუ კი
არის ის თავში!),
და ლექსის წერას
ყველა დაიწყებს
ვინც უნდა იყოს:
ბერი თუ ბავში.

ჰო, ადუღდება
ზაფხულის სიცხით
ისეთნაირად
ტვინი გოგრაში,
რომ მოგაგონებს:
თითქოს დიდ ქვაბში
იხარშებოდეს
ლობიოს ქაში...
ან მოგაგონებს
ტვინის დუღილი:
ადუღებულსა
ქოთანში ხარჩოს,
(ეს მოგონება
მოგიყვანს მადას
და მიაშურებ
მიკიტან დარჩოს).

ან ადუღდება,
როგორც გინახავთ
შემოდგომაზე
ტკბილი მაჭარი...
ჰო-და ასეთ დროს
რომ არ დასწერო
ლექსი თუ პროზა,
არა გაქვს ჩარი..
არა გაქვს ჩარი,
არც „ჩარი-რამა“,
ამოდის ზული
და ოხშივარი;
არ შეგიძლია
მუზას რომ ჰკადრო
ლექსის თუ პროზის
შეთხზვაზე უარი.

ზაფხულში თავი
და თავში ტვინი
ადუღებულსა
ჰგავს მიწის მადანს
საიდანაც რომ
ქვემო სიღრმედან
ზემოთ ვულკანი
ხეთქავს და ატანს.

———

ოთხი დღის შემდეგ,
ოცდათერთმეტში
უკვე თავდება
ეს გაზაფხული,
მაგრამ „ტარტაროზს“
ვინც გამოიწერს,
ვერ შეაწუხებს
იმას ზაფხული.

[illegible]

## ყრუ ტელეფონი

„რუსთაველის გამზირზე ავტომატური ტელეფონით დალაპარაკება ღირს ორი "შაური".



— ცენტრალნაია!.. ცენტრალნაია... ოჰ, დაგიდგეს ყურები.. ის მეათე ორშაურიანი ყუთში ჩავაგდე და თქვენგან პასუხიც არ ისმის!

## მოხსენების შემდეგ შეკითხვები

პამპულა ჩალაძემ ოთხი საათის დაუღალავი ლაპარაკის შემდეგ როგორც იქნა გაათავა თავისი მოკლე მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. დარბაზი სიხარულით შეეგება მოხსენების დამთავრებას და მხურვალე ტაში დასცხო.

თავმჯდომარე გამოფხიზლდა. გადაავლო თვალი აუდიტორიას და მიმართა:

— ამხანაგებო! ჩვენ უკვე გულდასმით მოვისმინეთ ამხ. პამპულა ჩალაძის მეტად საყურადღებო მოხსენება. ეხლა ამხანაგი მომხსენებელი ამომწურავ პასუხს გასცემს როგორც წერილობით, ისე ზეპირ შეკითხვებზე.

პამპულამ პირისახე მოიწმინდა, ჩაახველა, როგორც წესია ყოველი დარბაისელი მომხსენებლისა და შემდეგ მისწვდა თავის წინ ბუხრის შელასავით დაგროვილ ქაღალდებს.

— ამხანაგებო! მე ვეცდები მხოლოდ დიდმნიშვნელოვან შეკითხვებზე გავსცე პასუხი. უიმისოდ თქვენც მოგეხსენებათ რომ...

პამპულამ ისევ ჩაახველა. (ეს რა კარგი რამ მოუგონიათ ჩახველება! უიმისოდ რა ეშველებოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ მომხსენებელს?)

— ამხანაგებო! აი, შეკითხვა პირველი:

„ამჟამად ჩინეთში რევოლიუციაა თუ რეაქცია?“

— უნდა მოგახსენოთ ამხანაგებო: ჯერ ეს საკითხი არ გარჩეულა... პლენუმზე და არც შესაფერისი რეზოლიუციაა გამოტანილი. მაშ ნუ ავჩქარდებით, რადგან თვით ჩინელებიც არ ჩქარობენ ამ საქმის გამორკვევას.

მეორე საკითხი;

„რისთვის იბრძვის ჩან-კაი-ში“?

— რისთვის იბრძვის კაცი, ნუ თუ აქამდის არ იცით? იმისათვის, რისთვისაც იბრძვის ფინ-ლუ-სიანი.

ხმა დარბაზიდან: — ფინ-ლუ-სიანი რისთვის იბრძვის?

პამპულა: — რისთვისაც ენ-ქსი-შანი.

ხმა დარბაზიდან: — ენ-სი-შანი რისთვის იბრძვის?

პამპულა: — რისთვისაც ჩან-ძო-ლინი.

ხმა დარბაზიდან: — ჩან-ძო-ლინი რისთვის იბრძვის?

პამპულა: — (ჩაახველებს)... ეგ კი აღარ ვიცი, ამხანაგო. და ბოლოს რა გასაკვირია, რომ ერთ კითხვაზე ველად მოგცეთ პასუხი!

თავმჯდომარე: — განაგრძეთ ამხანაგო ჩალაძე! თქვენი განმარტების შემდეგ ყველაფერი ცხადია კრებისათვის როგორც დღის სინათლე.

პამპულა იღებს სხვა ქაღალდს.

შეკითხვა მესამე:

ხმა დარბაზიდან: — გერმანიის არჩევნებს როგორი უცქერით, ამხ. ჩალაძე?

ჩალაძე: — როგორ ვუცქერი? განა ეს ძნელი გამოსაცნობია? ეხლა არჩეულია იქ 54 კომუნისტი. ამის მაგიერ რომ აერჩიათ 50, ან 41, ან 25, ან კიდევ ნაკლები — ეს ძალიან საწყენი იქნებოდა. მაგრამ რომ აერჩიათ 60, ან 70, ან 100 კომუნისტი, ან უფრო მეტი — ცხადია ეს ერთობ სასიამოვნო იქნებოდა.

თავმჯდომარე: — ამხ. ჩალაძის განმარტება ყოველმხრივ მისაღებია, როგორც უდავო ჭეშმარიტება.

ჩალაძე: — კიდევ შეკითხვა:

„ავსტრიის მთავრობა გასცემს თუ არა ბელა კუნს“?

— უნდა მოგახსენოთ, ამხანაგებო, რომ ამ საკითხის გადასაწყვეტად მხოლოდ ორი გზა არის: ან გასცემს, ან არ გასცემს. მესამე გზა კი აქ არ არსებობს.

ხმა დარბაზიდან: — რას ფიქრობთ ზანტის კონტრ-რევოლიუციონერუ-ბზე?

პამპულა: რას ვფიქრობ? მხოლოდ ჩვენ მტრებს ვუსურვებ იმათთანა ჭამას და იმათთანა შერგებას — სხვას არაფერს.

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა.

თავმჯდომარე: — ამხანაგებო! მეტი აღარ არის შეკითხვა? მაშ კენჭს ვუყრი ამხ. ჩალაძის საერთაშორისო მოხსენებას. ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? თავი ვინ შეიკავა? მოხსენება ერთხმად არის მიღებული.

ზალში ტაში უქუხს, პამპულა კი თავსა, — და იშლებიან შუაღამის სრულ 12 საათზე.

ნადირი.

# „საპროტესტო დემონსტრაცია"




ტრამვაის გაჩერებები:—აღარ შეგვიძლია მეტი მოთმენა! დირექტორს მოვსთხოვოთ, რომ მოგვცეს ერთი მუდმივი ადგილი!

## „დ ღ ე ს მ ო დ ა შ ი ა"

ჩვენი ხალამპრე მეეტლე ცოლს ირთავს
და ქორწილისთვის მზადებაშია..
თუ ხომმა მისცა, —მასაც გაუშვებს,
მერმე რა ვუყოთ!? ეს მოდაშია.

—:—

ვსთქვათ: ცოლმა გითხრა: „კრეპდეშინი მსურს;
აწ არ გავივლი ამ კაბაშია!"
„ფული არა მაქვს" თუ გაუბედე—
ის თავს გაგიტეხს... ეს მოდაშია.

—:—

ვსთქვათ: ხულიგანმა ჩაგიგდო ხელში
და აგაკერა შიგ კეფაშია;
თუ მილიციელს ახლოს ვერ ხედავ,
უნდა ითმინო... დღეს მოდაშია.

—:—

ვსთქვათ: სამსახურში გაგვიანდება,
ტრამვაის მისდევ როგორც რაშია.
ჯარიმისათვის ფული მზად გქონდეს
ათი შაური... დღეს მოდაშია...

—:—

ვსთქვათ: გულმოსულმა გამოაფურთხე
იქვე მიწაზე, ან ქუჩაშია..
მილიციელი თავს დაგადგება
ჯარიმისათვის... დღეს მოდაშია.

ვსთქვათ: „ტარტაროზში" გაგზავნე ლექსი,
ფიქრობ—დაბეჭდენ პირველს ორშია
და... მაგრამ, ოი, საკვირველებავ!
დაბეჭდვის ნაცვლად ის გოდორშია.

—:—

ვსთქვათ: შრომის ბირჟის ძველი წევრი ხარ,
უკვე სწერიხარ ძველ სიაშია.
ხედავ ლამაზი გუშინ ჩასწერეს,—
და დღეს მსახურობს... ეს მოდაშია.

—:—

ვსთქვათ: იანვარში შეირთე ცოლი,
კიდეც გატარდი იმ დღეს „მზარშია".
ნუ გაიკვირვებ, დღეს მოდაშია,
რომ ცოლმა შობის შვილი მარტშია!

—:—

ვსთქვათ: მებიაშენს იმ დროს შეესწარ—
სიყვარულს უხსნის ვაჟს ოდაშია;
გახსოვდეს— იმ დროს ხელს ნუ შეუშლი,
ცოდვა არიან... დღეს მოდაშია.

—:—

ვსთქვათ: სახელმწიფო გაფლანგე ფული,
გიყვარდა: ბალი; ცეკვა ტაშია,—
მიგაბრძანებენ მალე გამსახლში,
რა ვუყოთ მერმე! ეს მოდაშია.

კირილე ხაფიჩნიშვილი



—ეს რა უკუღმა შეგიბამს ვირი ტარკაში?
— ის იმიტომ, რომა ამ ვერანამ უკუღმა წასვლა იცის,—იტოგში წალმა გამოვა.

# რძისფული

## სახლში

აკია:— ბოშო დესპინე, რამდენი დღე გაკლია დალოგინებამდე?

დესპინე: — რა ვიცი რამდენი მაკლია; რომელი ექიმი მე დამინახე, რომ ყოლიფერი მეცოდინება?

აკია: — თუ ღმერთმა ქნა და მალე მეღირსა შვილის შეძენა, ჩემი საქმე წინ წავა და ჩვენს მალაროეპში ტოლი აღარ მეყოლება, განიერად დავიწყებ სიარულს.

დესპინე:— რატომ გიხარია ბოშო ასე შვილის შეძენა? რაც, მყავს ისინიც ვერ შეგვინახავს და ნახევრათ შიშველი დადიან.

აკია: — ვაი შენს პატრონს, რომ არაფერი არ იცი საწყალო! თუ ღმერთმა ქნა და გადამირჩი შვიდობით, ას მანეთიანს გამოვაფრიალებ დამზღვევ სალაროდან.

დესპინე:— ბოშო ქე არ გაეკეთდებით რომ ას მანეთიანი ავიღოთ.

აკია: — ვაი შენს პატრონს. ქვეყანა გაკეთდა და შენ ვერ გაიგე, რომ დამზღვევი სალარო იძლევა რძის ფულს?

დესპინე: — ბოშო ქე არ გავკეთდებით?

აკია: — ოხჰ, განაცვალოს გამომცემელი,—რა კარგი ჯიშის გამომადექი ჩემო საყვარელო დესპინე (კოცნის). აკი გითხარი ერთი თვის იქით ჩვენი საქმე წინაა მეთქი? ორი ბიჭისათვის ეხლა რძის ფულს 200 მანეთამდე ავაკრავ და ჩვენი საქმე წინ წავა.

დესპინე:— (ლოგინიდან) ბოშო, გამასულელებ, პირდაპირ მაგას რავა დევიჯერებ, რომ ჩვენი ბელარტი ბოვშებისათვის ფულს გეიმეტებს მთავრობა?!

აკია: — ჩემო მშვენიერო დესპინე, ოღონდ შენ დამხვდი დალოგინებული მომავალ კვირას და რომ ჩამოვალ ტყიბულიდან გატკიცინებული ორასიანს ამოვიღებ სართუმალში.

დესპინე: ბოშო, იცოდე პოეზით წამოდი შაბათს, ტუეტყე არ წამოხვიდე, თორემ ვილაც ყაჩაღები დაგხვდება და ამოგართმევენ პირში ლუკმას.

აკია:— მაგის დარდი არ გექნეს, ჩემო დესპინე, შენ მე პოეზით წამოვალ თუ ფეხით, ფულს მაინც მოგიჩხრიალებ, მარა მითხარი, როგორი ფული წამოვიღო— ქაღალდის თუ ვერცხლის?

დესპინე:—ეგ შენი ნებაა, ჩემო კარგო, მარა მე ყოდევ არ მჯერა, რომ შენ ფული გერგება.

## დამზღვევ სალაროში.

აკია: — (დამზღვევ სალაროში):

—მოგიტანე ბატონო მოლარე, მოწმობები და გამომიწერე რძის ფული ბოვშებისთვის.

მოლარე :— რავა მრავლობითი. ლაპარაკობ, კაცო რამდენი გყავს ბოვში?!

აკია:— ორი ბიჭები ბატონო (თავს ჩაღუნავს აკია და იცინის).

მოლარე:— თუ ძმა ხარ გამირიგე შენი ქალის მონათესავე ვინმე. ეგებ მეც გავკეთდე და გამიჩდეს ერთი შვილი მაინც (აძლევს ფულს).

## სამიკიტნოში.

აკია:— მიკიტანო, რატომ არ გაქვს არღანი თუ კიდევ უფულოდ გგონივარ? (მოიკრავს ხელს ჯიბეზე).

მიკიტანი:— ვა, შენ გენაცვალოს შენი გვარი, რაფრად გიყვარს პურ-ღვინო. ცხონებული მამა შენიც მასე იყო. შენს ძმებში მამაშენს ვაჟკაცობით და მხარგძელობით მარტო შენ გამგვანებ.

აკია:— მოიტანე ერთი დუჟინი ღვინო; ერთი დუჟინიც იმ მაგიდაზე მიართვი კაკულის (უჩვენებს მეორე მაგიდაზე და უძახის): კაკულის გაუმარჯოს დუჟინი ღვინით!

## ქეიფის შემდეგ.

აკია:— რა გერგება მიკიტანო?

მიკიტანი:— (ხმამაღლა ხალხის გასაგონათ) თუ არ გაქვს, ბატონო აკია, შემდეგ მომეცი რადგან ნახარჯი ბლომადაა.

აკია:— (ამაყად) ხომ არ გინდა შებერტყვა! რას ჰქვია არ მაქვს? როდის იყო აკია ნისიად ქეიფობდა?, შროთი მალე!..

მიკიტანი:— 66 და 87 კაპეიკი, მარა ოთხმოცდაშვიდი კაპეიკი შენზე იყოს.

აკია:— (ამაყად იხდის ფულს) ვის უფრო კარგი ღვინო აქვს კიდე სამიკიტნოში, რომ იქ წავიდე?

მიკიტანი:— ყველას, ბატონო, მარა გეყოფა; წადი ეხლა ოჯახში!

აკია:— ეს შენ არ გეკითხება—იცი? მეორეთ არ დამცდეს ასეთი.

მიკიტანი:— მაპატიე, ბატონო!

აკია:— მიკიტანო, მომიყვანე აქ სხვა მიკიტნები

მიკიტანი:— ბატონო ,აკია, გუშინ ყველანი აქ იყვნენ და გთხოვდნენ ვალებს და თუ არ მიეცი, მეშინია,— რომ მოგკლან კიდეც.

აკია:— გადი, მომიყვანე აქ მთელი ტყიბულის ბაზრის მიკიტნები.

მიკიტანი:— არა, ბატონო, ვერ გავბედავ მოსვლას, მარა თუ გამატან ფულს მე მიუტან.

აკია:—ვინ რამდენს მთხოვდა თუ იცი?




მიკიტანი:— ბესო 25, გედუ—27 მანეთს და მიხა 36 მანეთს.

აკია:— (კვლავ ამაყურად) აჰ, მოუტა ეს ასი მანეთი და გამუართვი მაგ მამაძაღლებს ხურდა იცოდე, თან მოთებზე აანგარიშებიე, რომ მეტი არ ეილონ.

მიკიტანი:— არა, ბატონო, მაგენს ისე გავაკირტინკებ, რომ ღდინს გავაცლი სულ. (ართმევს ფულს და გარბის მიკიტნებთან).

**ისევ ოჯახში**

აკია:— ბოშო, გლახა ფერზე ხომ არა ხარ!.

დესპინე:— არა, ჩემო მშვენიერო, ჩირაღდანივით ხარ ანთებული სახეზე; მგონი გადაკრულშიც ხარ.

აკია:— არც უიმისობაა, ხუთი დღე ღამე თავდებო, რაც ვსვამ გამუდმებულად.

დესპინე:— ფული მართლა მოიტანე, ბოშო?..

აკია:— (ვითომ არ ესმის) რა მეძინება, ბოშო, რომ იცოდე შეგებრალები.

დესპინე:— ფული თუ ეილე მეთქი?!

აკია:— რა ფული უნდა ამელო, თუ იცი?

დესპინე:— რა და შენ რომ მითხარი რძის ფული! მართალია, მე არ გიჯერებდი, მარა მეზობლებმაც მითხრეს ორას მანათამდე ეილებსო.

აკია:— მოცლიათ იმგენსაც, ერთი ბავში რომ ეყოლება მაშინ აძლევენ, თვარა ორი-სამი როცა ჰყავს, მაშინ ვინ მისცემს? მასე, რომ იყოს, ჩვენი სალარო დაილუპებოდა და ერთ ბავშიანებსაც ვეღარ გასწვდებოდა.

დესპინე (სტირის:— მე ვიცოდი, ბოშო, რომ შენ იმ ფულს შეჭამდი, მარა რა მექნა, მე ავადმყოფი ქალი სად გაგყოლოდი უკან?

აკია:— თუ შევჭამე, ის ბავშები ჩემი იყო და არა შენი.

დესპინე:— ღმერთო, შენ დააქციე ის სალარო ვინცხამ შენ ჩემი ბავშებისათვის რძის ფული მოგცა და შეგაჭამა.

აკია:— ბოშო, კიდე ქე გვეყოლება შვილი, მარტო მაგენი ხომ არ გვყოლია?..

დესპინე:— (მოთმინებიდან გამოსული, ნიჯაბს წამოავლებს ხელს და მიაძახებს) შე ლოთო, ჩემი ხელით დაგჩეხავ სასუპე ხორციივით, გამეცალე აქედან თორემ!!

რჭიანი

# „შევამციროთ"

„...არის შემთხვევა, როცა შტატის შემცირების კომისიაში რაღაცნაირ თაღლითობით შეიძლება ისეთიც, რომელნიც შტატების შემცირების დროს ხელმძღვანელობენ არა ხელისუფლების მიერ მიცემულ დირექტივებით, არამედ პირადულ მოსაზრებით".

**კომისიის თავმჯდომარე:** — ამხანაგებო, მართალია: ყველა ჩვენგანი წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი შემცირებისა, რადგან შემცირება იწვევს ხელახლად შტატების გადიდებას, მაგრამ რა გაეწყობა. (ათვალიერებს სიას. შემდეგ მიმართავს ერთ-ერთ განყოფილების გამგეს). თქვენს განყოფილებაში ვისი შემცირება შეიძლება?

**განყ. გამგე:** — ორი დღეა ვათვალიერებ თანამშრომელთა სიას, მაგრამ ვერც, ერთი ვერ აღმოვაჩინე შესამცირებლად!

**კომ. თავჯდ.:** — გოცაძის შემცირება შეიძლება?

**განყ. გამგე:** — ყოვლად შეუძლებელია. გოცაძე რომ შევამციროთ, ჩვენი განყოფილება ჩაკვდება; მე მგონია არც თქვენ იზამთ ამას! არ გახსოვთ გიგოს გაცილებაზე როგორი სიმღერა სჭექა?!

**კომ. თავმჯდ.** ახ, ეს ის იყო!?

**განყ. გამგე:** — დიახ, ის იყო და მისი შემცირება როგორ შეიძლება!?

**კომ. თავმჯდ.**—მარილაძის შემცირება, მე მგონია თამამად შეიძლება.

**განყ. გამგე:** — მარილაძის შემცირება უფრო არ შეიძლება, ვიდრე გოცაძისა. მარილაძისანა პურმარილიანი კაცი ერთიც არ არის მთელ დაწესებულებაში. თვე ისე არ გავა, რომ ორ-სამჯერ ქეიფი არ გამართოს და არ დაგვპატიჟოს... ასეთი კაცის შემცირება, მე მგონია, მიზანშეუწონელია და საზიანო თვითეულ ჩვენთაგვის... გარდა ამისა, ისეთი მშვენიერი ცოლი ჰყავს, რომ...

**ხმები:** — მართალია, არ შეიძლება მისი შემცირება!

**კომ თავმჯდ.:** — რაკი მაგრეა, მეც არ ვარ წინააღმდეგი, მით უფრო, რომ აგერ ყოფილა შესამცირებელი კაცი — ნაცნობაძე.

**განყ. გამგე:** — აპა. პა, პა! მაგ არის რაც არის. ნუ თუ დაგავიწყდათ ვისი პროტექციით არის მიღებული?!

**ყველა:** — ჰო, ჰო, მართალია... მისი შემცირება შეუძლებელია.

**კომ. თავმჯდ.:** — არშინაძე შევამციროთ

**განყ. გამგე:** — გოცაძეზე ნაკლები არც არშინაძეა. მართალია: მან სიმღერა არ იცის, მაგრამ პირველი სატოლუმბაშო და სასტოლო კაცია. ისეთი ხუმარაა, რომ ქვით უკეთესი... გარდა ამისა, ის ჩემი ახლობელი ნათესავია.

**კომ. თავმჯდ.** —ეს ვინღა არის— ნინა ცქრიალაძე?

**განყ. გამგე:** — ეს არის საქმეთა მმართველის, ასე ვსთქვათ მოადგილე!

**კომ. თავმჯდ.:** — საქმეთა მმართველს რად უნდა მოადგილე?! ეს სრულიად ზედმეტია. აუცილებლად უნდა შევამციროთ.

**განყ. გამგე:** — ჰმ! თქვენ ალბათ არ გაგონდებათ ცქრიალაძე, ისეთი მშვენიერი თანამშრომელი, სხვა არ არის მეორე, სხვა დაწესებულ. გამგეები ჩვენ შემოგვნატრიან, რომ ისეთი ლამაზი თანამშრომელი ქალი გვყავს, როგორიც არის ცქრიალაძე. ნუ თუ არ გახსოვთ, შარშან რომ კოჯორში გავისეირნეთ ავტოთი, იგიც წავიყვანეთ და როგორ გადავირიეთ ყველანი!? რა მშვენიერი ქალია!

**ყველა:** — ჰააა, ის არის?

**განყ. გამგე:** — დიახ! ის არის.

**კომ. თავმჯდ.:** — აბა შევამციროთ სკამაძე, თორემ ისე არ შეიძლება! ვინმე ხომ უნდა შევამციროთ! ამის მეტი არავინ დარჩა!

**განყ. გამგე:** — აი, ამის შემცირება კი თამამად შეიძლება. ისეთი უშნო რამ არის, რომ მთელი დღის განმავლობაში დავთრებში აქვს თავი ჩაკრული და სულ მუშაობს. წარმოიდგინეთ ცქრიალაძესაც კი ერთხელაც არ შეხედავს ისეთი ულაზათო რამ არის. მისი შემცირება, თამამად შეიძლება. შევამციროთ.

**ყველა:** — შევამციროთ! შევამციროთ!

შ. გორისელი.

# ცნობათა მიღება

შეცდომებულს (ზესტაფონი). ეს სიმღერა კი არა,— წივილია, თუ კი ამოვიღებთ ამ თქვენს ლექსიდან შემდეგს:

ზაქტპოსა გამგე არის
გრიშიკო ჭკუასელი.
დავსწერე მასზე ლექსი,
არა ვარ ჭკუა თხელი.

ასეთი ლექსის წერა ვერაფერ სახეიროს იქმნების ჭკუის სასარგებლოთ.

შვილდოსარს. თქვენი ლექსი ასე თავდება:

ცოლს აგარაკზე გაგზავნის,
თვითონ წავა არტოშია,
სანამ ცოლი დაბრუნდება,
თავს ამოჰყოფს მეტეხშია.

ასეთივე ბედი ეწვია თქვენს მეორე ლექსსაც.

დამსწრეს. (ოზურგეთი, გაკირულის ხიდი). ჩვენ ეჭვი შეგვედის, რომ თქვენ მართლაც დამსწრე ყოფილიყოთ ამ ამბისა! და თუ თავიდან ბოლომდე უყურეთ მათ საქმეს, მაშინ რაღას ერჩით ქეთოსა და გოგის?!

გრიპს. ხელმოუწერელი წერილი არ დაიბეჭდება. საჭიროა ფაქტის კონკრეტიული დასახელება თუ სად მოხდა ეს ამბავი.

„დათო დუდუჩავას" (ქ. ცაგერი.) წერილი ქაღალდის ცალგვერდზე უნდა იყოს დაწერილი სტრიქონების ერთმანეთზე დაშორებით.

ა.6—ძეს. არც ჩვენ ვამჟღავნებთ „სედრაკის გამოგონება"-ს.

სევ-მოლას. თქვენ წერილში ერთ ალაგას ასე სწერია:

„მე მიყვარს სონია... ქალებს პოეტები უყვართ. დავიწყებ პროეტობას, დავსწერ ლექსებს, და სონიაც შემიყვარებს ჩემი ლექსებით!

ჩვენ კი პირიქით გვგონია. გირჩევთ ასეთი ლექსები არავის უჩვენოთ (მით უმეტეს შეყვარებულს), თორემ შეყვარება კი არა, თქვენდამი უალრესი ზიზღით აივსება.

„მეზაზანდრეს" (ბათომი, სადგური), თქვენ გგონიათ რომ მარტო ხარიტონია ასეთი:

სადგურში წვერის გაპარსვის
შემთხვევა ყველას გვქონია.
ჩაის წყალს უხვად გვასხურებს,
ჩვენ „ტიჟე" ფირმა გვგონია.



თითქმის ყველა პარიკმახერები ასე იქცევიან და რაღომ გამოაკლდეს ხარიტონი თავის კოლლეგებს!?.

ფოთელს, (ახალი ხორგა, ზუგდიდის მაზრა). აგვიწერეთ ხე-ტყის ტრესტის ქარხნის მდგომარეობას და ლავრენტი ჩიქოვანზე დასძენთ:

თვეში ათ თუმანს ღებულობს,
ღვინოში ჰყოფნის ორ დღესა,—
მაგრამ გამოსწერს ნამდვილად
ათასიანის ორდერსა.
„ძმა-ბიჭებსა" ოთხ დღეთ უწერს
თუ საათი იყვენ გზაში
და მოგებას ორივ მხარე
გაიყოფენ ჩუმად შუაში.

არა გვგონია, რომ „ძმა-ბიჭებმა" შუაზე გაიყონ ჩიქოვანის ხვედრი, რომელიც, აუცილებელია, ერთ მშვენიერ თუ უბედურ დღეს, თავზე დაატყდება ამხ. მაშინ ჩიქოვანი კენტღა დარჩება!

ვ. ვანელს. (ოზურგეთი). ვსწუხვართ, რომ თქვენი „კალმის პირველი ნაყოფი" აქ მოთავსდა. მაგრამ გული არ გაიტეხოთ. თქვენ უეჭველად გაქვთ პოეტის ნიჭი, რაც ჩანს აი ამ სტრიქონებიდან:

გავიხსენოთ ის „დიადი" რამ,
რაც რომ მოხდა საფრანგეთში
და ჰპოვა გამოძახილი
ყველგან მთელ მსოფლიოში.

განაგრძეთ წერა თუ დრო, ქაღალდი და თავისითავი არ გენანებათ.

უცხოელის მეგობარს. მივიღეთ თქვენი საგინიანი წერილი. ვინაიდან ჟურნალში მისი მოთავსება სიგრძისა და სიდიდის გამო შეუძლებელი გახდა, ამიტომ იგი შესაფერ ალაგას მოვათავსეთ.

წინდის-ჩხირს. თქვენ წერილს დავბეჭდავდით, მაგრამ თქვენს მეტი მაინც არავინ წაიკითხავდა; თქვენ კი ისედაც კარგად იცით და რაღა საჭიროა მისი დაბეჭდვა. წინდის-ჩხირი კი არა, თუ გინდა სარი ჰკრათ, მაინც არავის გაეცინება. (თუმცაღა, რომელი სულელი გაიცინებს სარის კვრის დროს!?).

კომბალს. (ჩოხატაური): ჩვენი ჩამოსვლა თქვენთვის უარესია. მგონი თქვენ მოგხვდეს კომბალი ასეთი წერილის დაწერისათვის, და არა ლეონსა და თამარას.

წითელ ხიშტს. (საჩხერე) ნუ თუ არ იცით:

მიწა-ტყის კავშირის
ვინ შესჭამა ფული?
(სიმწრით გადვიხადეთ,
ამოვიძვრეთ სული).
ვასო აბუანდაძემ
ის ფულები სჭამა.
რომ მას იგი შერჩეს, —
უცხონდა მას მამა.
(თუმცა ჯერჯერობით,
დადის ის თამამად!)

„...ღვინელს". თქვენი ლექსის ამ ადგილში:

არ იქნა, ვერ მოვიშორე
ეს მუზა ოხერ ტიალი.
შევედი სახლში, დავიწყე
ჩემი აზრების ტრიალი, —

ლევარსი რონროხაძემ მცირეოდენი ცვლილება შეიტანა:

არ იქნა, ვერ მოვიშორე
ეს ბუზი ოხერ ტიალი,
შევიდა, თავში დამიწყო
წალმა-უკუღმა ტრიალი.

ჰო, მართალია: ბუზს ძალიან უყვარს ცარიელ, არეში ბზუილი.

ჰკითხეთ ჩვენი ჟურნალი, მიჰყევით ჩვენსა მცნებასა;
ოთხი აბაზი გაიღეთ თუ ეძებთ გემოვნებსა.
ეს „ტარტაროზი“ თქვენია, მუდამ თქვენთანა მყოფელი;
იგი და „მუშა“ ურთიერთგან არ არის გასაყოფელი.
სადაც „ტარტაროზი“ არ მიდის რა არის იგი სოფელი?!
და ვინც მას არა კითხულობს გასტანჯავს წუთი-სოფელი.

# მიიღება ხელისმოწერა
# ივნისისათვის
# გაზ. „მუშა“-ზე და „ტარტაროზზე“

ის მკითხველი არ არის ვინც იკითხა ერთი-ორი.
ვინც „ტარტაროზს“ არა იწერს ნუ ჰგონია კარგთა სწორი;
რა საქმეა გამოიღოს მან აბაზი ორჯერ ორი?!
ფუ! ვინც იტყვის: „ფული სჯობსო“, გაჯიუტდეს ვითა
ჯორი.

ხელისმომწერსა ყველასა ვაქებთ და კიდეც გვიქია
ვინც უნდა იყოს: გრიდემლიძე, დაზგაშვილი თუ ჯიქია,
ვის „ტარტაროზი“-ის ყიდვითა თავი არ გაუქიქია,
სადაც „ტარტაროზი“ არის, ოჯახში იყოს იქ ია...

ვაცი მაშინ ხარ საქები
თუ ეს წესი მტკიცეთ გჯერა:
თვის ბოლოში საჭიროა
„ტარტაროზი“-ს გამოწერა.

თუ ოჯახში შვება გინდა,
„ტარტაროზი“ უნდა დარგო,
რომ ცოლ-შვილმა დაგიმადლოს:
კარგი ჰქენი, ჩვენო კარგო!

ცოლსა აბაზი მოვსტაცე.
სამი შაური მამასა.
აბაზი გადავირჩინე,
(ფუკელი ცოტა ჭამასა),
შაური ჩუმად ავცოცე
ბებიაჩემსა მაკოსა.
ორი შაური მოვპარე
ჩემს ეშმაკუნა მარგოსა.
ორი შაურიც ავსწაპნე
ჩემს ვაჟს პაწია ოთარსა,
რადგან ვიცოდი კაპიკსა
ვერ წავართმევდი ძმას თარსა;
და ეს გროშები შევკარი
ოთხი აბაზის ფულადა
და შენ მოგიძღვენ, ტარტაროზ,
ეს შენ გეკუთვნის სრულადო;
ერთი თვით გამომიგზავნე
ივნისში შენი ჟურნალი,
ის არის, მხოლოდ ის არის
ყოველი წყლულის მკურნალი

„შორი გზა მოიარე და შინ... „ტარტაროზი“-თ
მიდიო“.

„ვინც რა უნდა სთქვასო... „ტარტაროზს“ მაინც
გამოვიწერ.

„ასი ურტყი დავითასა, მაინც იზამს თავი-
სასა“ (ე. ი. თუნდაც ოჯახის რომელიმე წევრი მომჭირ-
ნეობის მოსაზრებით წინააღმდეგი იყოს ივნისისათვის
„ტარტაროზი“-ს გამოწერისა, დავითა, როგორც ყო-
ველთვის, ეხლაც გამოიწერს ჟურნალ „ტარტაროზს“).

„რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი [illegible]-
თაო“, (რადგანაც მან ივნისისათვის არ გამო[illegible]
ჟურ. „ტარტაროზი“).

მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. № 6.

# ჩვენი „შესწორება"*)



*) ზემოთ, წრეში—მოსე თოიძის სურათი—„სამოვრის [illegible]". ქვემო სურათი გამოხატავს ამავე სურათს, ხოლო შიგ შეტანილია „ტარტაროზის" შესწორება: ქალსწინ უდევს ჟურ. „ტარტაროზი", რომლის წაკითხვის შემდეგ ქალი სიამოვნებას გრძნობს და ამბობს:

რომ წინ მიდევს „ტარტაროზი" —გულს მიძლიერება სევდა-ჯირი,—
ამიტომაც ვმხიარულობ, და ამიტომაც აღარ ვტირი.

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქ. № 13.

კვირა, 3 ივნისი 1928 წ. № 155 წლიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

სიმართლე თავის-თავზე



— ამხანაგო გამგე, თქვენს ცხენს თავი არა აქვს!
— არა უშავს, უთავოდაც კი ვუძღვები საქმეს, — შახმატს კარგად ვთამაშობ!

# „თვითკრიტიკის ქარხანაში“

— წკრრრრრ! — გაისმა ზარი.

— რას გვიბრძანებ ამხანაგო! — შემოვარდა დარაჯი.

— გიბრძანებ კი არა ის არ გინდა! — დაუყვირა დირექტორმა და რქის სათვალეებით შეკაზმული თვალები გადმოატრიალა. — არ იცი თვითკრიტიკის ლოზუნგი? აი, ამ წუთში გაათვითკრიტიკე შენი თავი:— რას ქვია ბრძანება! ეს ხომ ბიუროკრატიულ - ბურჟუაზიული განხრაა! გამოდის რომ შენ ბურჟუაზიულ ჩვეულებებს იცავ.

— უკაცრავად...

— ხმა, კრინტი! ღრინი არ გამაგონო თორემ... ხომ იცი შემცირების დრო მოდის! რას მიქვია უკაცრავად? ესეც ხომ იმავე ბურჟუაზიულ პროდუქციაა- წადი ერთი ათიოდე სლოიკა და ნახევარი დიუჟინი მაწონი მომიტანე!

„სლოიკები“ და მაწონი სულ რაღაც ორიოდე წუთში განიავდა.

— წკრრრრ!

— ინჟენერს დამიძახე!

შემოდის ინჟენერი.

— როგორ არის იმ ქარხნის აგების საქმე? მოხსენება შეადგინეთ ყრილობისათვის?

— დიახ, ინებეთ მოხსენება.

გამგე კითხვას შეუდგა.

„ასე რომ ქარხანა ცუდ ადგილას არის დაწყებული“ — ეწერა მოხსენებაში.

— რას ქვია ცუდ ადგილას ეს არის ჯანსაღი თვითკრიტიკა? ამით ხომ მე და ჩემი ძველი ინჟენერი ვარდებით? — წითელი მელნით ამოშალა სიტყვა „ცუდი“ და მის ადგილას „კარგი“ ჩაწერა.

— „გამოწერილი ზოგიერთი მანქანები მეტად ცუდი ღირსების გამოდგა, ამიტომ სხვა სამეურნეო ორგანოებსაც უნდა ეცნობოს, რომ ხსენებულ ფირმას მოწყობილობა აღარ დაუკვეთონ“.

— ჰმ! ეს მანქანა ხომ მე გამოვიწერე უცხოეთიდან! მაშ აქაც მე ჩამიდენია შეცდომა თქვენის აზრით არა?

— არ ვიცი, ასე კია და!

— კარგით, თუ ღმერთი გწამთ...—

ტექსტი ასე გადასწორდა:

„გამოწერილი მანქანები მეტად კარგი ღირსების გამოდგა. ამიტომ სხვა სამეურნეო ორგანოებსაც უნდა ეცნობოს, რომ ხსენებულ ფირმას მოწყობილობა ყველამ დაუკვეთოს“.

„ქარხნის ხარჯთაღრიცხვა ხუთჯერ შესდგა და დამტკიცდა და შესწორება (გადიდების მხრივ) კიდევ არის მოსალოდნელი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საამშენებლო მასალის სიძვირე და უვარგისობა“.

ეს ადგილი ასე შესწორდა:

„ქარხნის ხარჯთაღრიცხვა ერთჯერ შესდგა და დამტკიცდა და შესწორება (გადიდების მხრივ) კიდევ არ არის მოსალოდნელი. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საამშენებლო მასალის სიაფე და ვარგისიანობა“.

— თქვენ როგორც გეტყობათ, კარგათ არ გესმით თვითკრიტიკის მნიშვნელობა. — მიუბრუნდა გაჯავრებული დირექტორი ინჟენერს, — ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ახალი ინჟენერი ხართ.

— რა მოგახსენოთ, მე პირადათ სინამდვილე დავწერე და სხვა თქვენ იცით.

ინჟენერი გავიდა. ორიოდე დღის შემდეგ იგი დაშორებულ რაიონში გადაიყვანა დირექტორმა.

„ამით მოგახსენებთ, რომ ჩვენი დირექტორი მეტის მეტად გაბიუროკრატდა“.

ასე იწყებოდა რომელიღაც საქმისმწარმოებლის განცხადება ადგილკომის და კომუჯრედის სახელზე.

ადგილკომმა, რაღაც ეშმაკად ის განცხადება დირექტორს გადასცა.

გადაცემას, უბადრუკ საქმისმწარმოებლის დათხოვნის გარდა მოჰყვა შემდეგი კატეგორიული განცხადება:

„ამით ცხადდება ყველა თანამშრომელთა (მათ შორის საქმის-მწარმოებელთა, დარაჯთა, დამლაგებელთა, შიკრიკთა და სხვათა) საყურადღებოთ, რომ ჯანსაღ თვით კრიტიკის გატარების მიზნით, ყოველგვარი განცხადება, ან საჩივარი ჩვენი დაწესებულების შესახებ უნდა წარუდგინოს დირექტორს“.

ტერსიტი.

## „თვითკრიტიკა“ სარკის წინ



## გატეხილი კოკა

— ეხლა რაღა გვეშველება! ხომ სიმშილით ამოვწყდით! სიმშილს თავი გაანებე, სირცხვილით სადღა გამოვყო თავი?

— რა მოხდა ქალო! რა გაშფოთებს, თითქოს კოკა გაეტეხოთ წყალზედ!

— როგორ თუ რა მოხდა! ქაფტრესტის თავმჯდომარე შენ არ იყავი განა?

— მე ვიყავი.

— დღეს გაზეთი წაიკითხე?

— წავიკითხე.

— გიორგი სტურუას წერილი ნახე?

— ვნახე.

— მერე?

— მერე რა?

— როგორ თუ მერე რა? მფლანგველობაში განა შენ არ გდებენ ბრალსა?

— მე მდებენ.

— ტყავტრესტის თავმჯდომარეობიდან შენ არ დაგითხოვეს?

— დამითხოვეს.

— პარტიიდანაც ხომ გამოგაბრძანეს?

— გამომაბრძანეს. რა ვუყოთ მერე!

— როგორ თუ რა ვუყოთ? რილათი აპირებ ეხლა ცხოვრებასა? თუ ციხეშიაც ჩაგაბრძანეს მერე ნახე სეირი. რომ გიფრთხილდებოდი, ცოტა მაინც შემოინახე და სულ ერთბაშად ნუ ფლანგავ მეთქი, რატომ არ მიგონებდი?

— შენ ჩემო ქალო ჯავრი ნურაფრისა გაქვს!

— რა ვქნა! ეს დალოცვილი შვილი როგორ ლაპარაკობს, თითქოს მუშკოპის საწყობები ამის ხელში იყვესო.

— შენ არ იცი, ქალო! ჩემი საქმე ეხლა უფრო უკეთესად არის, ვიდრე უწინ.

— პირველი აპრილი ხომ არ არის დღეს ამბებს, რომ მელაპარაკები?

— რათა ჩემო კარგო? გახსოვს 1922—23 წელში ხომ ყლაპტრესტის თავმჯდომარეთ ვიყავი?

— როგორ არ მახსოვს!

— მაშინაც ხომ დამბრალდა მფლანველობა? გახსოვს რა ამბავი იყო გაზეთებში?

— მერე?

— მაშინაც ხომ დამითხოვეს ტრესტიდან?

— მახსოვს.

— პარტიიდანაც ხომ დამითხოვეს?

— მახსოვს.

— თუ გახსოვს, მა რაღას წრიპინობ ეხლა? მე მაშინ ისე გავძვერ-გამოვძვერი და ჩავახლართურთე, რომ პარტიის წევრობაც დავიბრუნე და ყლაპტრესტის მაგიერ ქაფტრესტის თავმჯდომარეობა მივიღე.

— მაგითი რა გინდა სთქვა?

— ბატისტვინა ნუხარ! მიხვდი რის თქმაც მინდა!

— ჰო! მასუკან ქვეყანა კი არა გადაბრუნებულა! მაშინაც ეს ხელისუფლება იყო და ეხლაც რაღა დაშიდგება წინა? ტრესტები აღარ არის თუ? ან იქნებ მოსპობილია გამგეობა და მისი თავმჯდომარეობა? შენც არ მომიკვდე. ან იქნებ გგონია მე მაშინ ნაკლები მქონდა გაფლანგული, ვიდრე ეხლა? მაგრამ ვენაცვალე ჩემ ბედსა! მე ისევ იმისი იმედი მაქვს. წარსული გამოცდილებაც იმაში მარწმუნებს, რომ ხვალ ან ზეგ პარტიის წევრიც გავხდები ისევ და რომელიმე ახალ ტრესტში ვიქნები თავმჯდომარედ. ღვინის ტრესტის აყალ-მაყალის შემდეგ არც მთავრობა გამოცვლილა და არც მე გამოვცვლილვარ. მაშ ჩემთან დამოკიდებულება რაზედ გამოიცვლება?

— შენ იცი ჩემო კაცო, მე მგონი მართალს ამბობ.

— როგორ! იქნება იქვე გეპარება! მე ყოველ საათშიაც ველი რომ მიმიპატიჟებენ პარტიაშიც და რომელიმე ახალ ტრესტშიაც.

როცა ცოლ-ქმარი ამ ლაპარაკში იყო, კარებზე კაკუნი გაისმა.

— აგერ კიდევაც გკითხულობენ მე მგონი...

— აკი გითხარი, ქალო!.. დიახ, მე გახლავარ!.. მობრძანდით!.. რომელ, რომელ ტრესტში მიბარებენ?. ციხეში?.. სისხლის სამართლის მილიციაში!?! ჰმ! ეს რაღაც გაუგებრობაა!! უკანონობაა! ჩემო ქალო, მე წავყვები ცოტა ხნით, რომ გამოვარკვიო ეს სამწუხარო გაუგებრობა, ცოტა ...იყოს ვერ გამიგია:

— ნუ თუ კოკა წყალს აღარ მოიტანს?

გატყდა კოკა, წყალი აღარ მოიტანა.

ნადირი.

# „სული წმიდის“ გადმოსვლა



# ვირი ერთა ლიგაში

— რა ვქნა და ვის შევჩივლო ჩემი დარდი? — ფიქრობდა ვირი და კითხვა-კითხვით დადიოდა ქუჩებში.

ერთმა დაარიგა:

— შენს საქმეს თუ უშველის ერთა ლიგა, თუ არა და სხვა საშველი არა გაქვსო.

როგორც დაარიგა, ვირიც ისე მოიქცა.

ერთ დღეს მივიდა ერთა ლიგაში, მოწიწებით თავი დაუკრა თავმჯდომარეს და მოახსენა:

— როგორც გავიგე, თქვენზე ძლიერი მთელ დედამიწის ზურგზე არავინა ყოფილა და ჩემი თხოვნის ასრულებაც მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

— რაშია საქმე, რა გაგიჭირდა? სთქვი და შეგისრულებ. ქვეყანაზე ისეთი საქმე არაფერია, რომ ერთა ლიგას არ შეეძლოს მისი შესრულება. — დაიმედა თავმჯდომარემ და სულგანაბული მოემზადა საჩივრის მოსასმენად.

— საქმე იმაში გახლავთ, დიდო ბატონო, რომ ხალხი დიდ შეურაცყოფას მაყენებს, რომლის ატანა აღარ შემიძლია; მეც ცოცხალი არსება ვარ და მაქვს თავმოყვარეობა.

— რაში გამოიხატება ეგ შეურაცყოფა?

— იმაში გამოიხატება, რომ როდესაც ერთი რომელიმე ადამიანი რაიმე სისულელეს ჩაიდენს, მეორე მიმართავს: შე ვიროო. და აბა, თქვენ თვითონ ბრძანეთ, განა ეს ჩემთვის საწყენი არ არის? რაღა ჩემი სახელი ამოიჩემეს და თავს აღარ მანებებენ?! ჩემი თხოვნა ის არის, რომ დაუშალოთ ადამიანებს ჩემი სახელის წარამარა ხსენება.

— ამის შესრულება მართლაც, რომ ძნელია, რადგან ხალხი ასეთ გამოთქმას ძველადანვე შეჩვეულია და ეხლა ძნელია გადაჩვევა. გამოსავალი გზა ერთია მხოლოდ: ვადათ მომიცია შვიდი კვირა, შვიდი დღე და შვიდი საათი. ამ ხნის განმავლობაში იარე და ეძებე ყველგან შენზე უფრო მოსულელო და უტვინო არსება და თუ ასეთს იპოვი, შენი თხოვნა დაკმაყოფილებული იქნება.

შვიდი კვირის განმავლობაში ვირმა თითქმის მთელი ქვეყანა შემოიარა, მაგრამ ვერსად ვერავინ იპოვა ისეთი, როგორსაც ეძებდა. უკანასკნელად ეწვია ლონდონს, სადაც რამდენიმე დღე დარჩა და შემდეგ გახარებული გაეშურა ერთა ლიგისაკენ.

— რა ჰქენი, იპოვე თუ არა? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— ვიპოვე ბატონო! — შესძახა გახარებულმა.

— ვინ არის?

— ჩემბერლენს ეძახიან, ჩემო ბატონო!

თავმჯდომარე გაბრაზდა, თან შიშის კანკალმა აიტანა:

— როგორ გაბედე შენ მაგის თქმა!? ვინ მოგცა მაგის უფლება!? და თუ ეხლავ არ დამიმტკიცებ ჩემბერლენის უტვინობას, აქედან ცოცხალი ვერ წახვალ.

ეხლავე მოგახსენებთ და დაგარწმუნებთ ჩემს სიმართლეში. — მიუგო ვირმა და დაიწყო:.

— როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგე, ჩემბერლენი საბჭოთა კავშირის დაუნდობელი მტერი ყოფილა და ეხლა მის წინააღმდეგ საომრადაც ემზადება. და აბა, ეხლა თქვენ მიბრძანეთ, განა ჩემზე უტვინო არ არის ჩემბერლენი, რომელსაც ისიც კი არ ესმის თუ რა მოჰყვება ამ ომს?

თავმჯდომარე ჩაფიქრდა, ჰკუაში დაუჯდა ვირის აზრი, მაგრამ არ გაუმხილა.

— ყველაფერი ეგ სისულელეა, — უთხრა თავმჯდომარემ, — შენ მაგისათვის სიკვდილის ღირსი იყავი, მაგრამ, შენ როგორც დაჩაგრული და ერთა ლიგა კიდევ როგორც დაჩაგრულების მფარველი, მიპატიებია სასჯელი. და რადგან არ მინდა უკმაყოფილო გაგიშვა, შენს თხოვნას ვაკმაყოფილებ, — ამიერიდან შენს სახელს ცუდათ ვეღარავინ მოიხსენიებს. ვირმა თავმჯდომარეს მდაბლად თავი დაუკარა და კარებში რომ გამოდიოდა გაეცინა.

— რას იცინი? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— იმაზე ვიცინი ბატონო, რომ შენ ჩემბერლენზე უარესად უტვინო ყოფილხარ, რადგან გჯერა, რომ შენი გადაწყვეტილება სისრულეში იქნება მოყვანილი.

ვ. თავფქვილაძე.



ქალი: — დავბრუნდეთ! აქ ხულიგნებმა იციან... ნუ თუ არ გეშინია?

ვაჟი: — რისი უნდა მეშინოდეს?! ისეთი გაქცევა ვიცი, რომ მწევარიც ვერ დამეწევა.

## წერილი მამას

მამაჩემო წერილს მოგწერ
დიდი ხნიდან უნახავი,
(თუმცა არა ვარ ისეთი ერთ
წინათ ვიყავ სანახავი).
ისე გავხდი, ვერვინ მცნობს,
დამიმჭლევდა თანაც სახე,
მას შემდეგ რაც ჩვენმა გამგემ
მომიმზადა რკინის მახე.
უუბნება:—ხომ გაიგე
ინსპექცია რომ გახურდა!
შეამცირეს ყველგან ხარჯი
და პრესაც კი ახმაურდა;
მხარი უნდა დავუჭიროთ,
არ ღირს მასთან ლაპარაკი,
ყოველგვარი ხარჯის აგრე
შემცირება მოხდა რაკი.
„დაგითხოვოთ უნდა, ძმაო,
თუმცა შენზე გვჭირს „ერთგულება"
მაგრამ სადმე რომ მოგაწყოთ
კარგი არსად გვეგულება.
ისე დღესვე დაგიმზადებ
სამსახურის წერილს ბლომად;
მოწმობასაც ისეთს მოგცემ
რომ გევარგოს ის დიპლომათ",
ეს მითხრა და ხელში უცებ
მოიმარჯვა კალმის ტარი,
ერთ ნაცნობთან მიმიწერა
„საულხოვო" მან უსტარი.
ასე სწერდა: „ამის მომტანს
„შეუყენე ჩემთან წყალი"
შენთან ვგზავნი, აცდევინე
აიმედე ღმერთ-გამწყრალი,
თორემ საქმე გართულდება
კია ატყდება საჩივარი,
გამიგებენ თუ რად ამ კაცს
სამსახურზე უთხარ უარი,
ჩაერევა ინსპექცია
შეიქნება მიმოწერა
და ამ კაცის, შეიძლება
მე შევიქნე ბედის წერა.

—:—

აღარ მახსოვს რა უთხარი.
ნურცა მომთხოვე გავიმარტო.
თუ რად გამგემ ადგილიდან
დამითხოვა მხოლოდ მარტო.
მხოლოდ ვიცი გამგეს ვსძულდი,
დასათხოვათ ვყავდი მე მზად
და ამისთვის ინსპექცია
მოიყვანა მან მიზეზათ.
არაფერში გამომადგა,
მამაჩემო, ეს „კვალიბა",
ამ ხელობით ჩვენმა გამგემ
თითქმის ბევრად წამაგორა.
გამიკეთა იმკილები,
გამიჩინა თავშიც რეტი,
ფალგილოთ ცენტრალიმ
წელიწადზე არის მეტი,

## „განიარაღება"



— ჩავქოლოთ... ეს ბიუროკრატია — მავნე ელემენტი!



ტარტაროზი: — რომელი თქვენგანი განწმენდილი ხართ მზგავს ცოდვებისაგან, პირველად მან ესროლეთ ქვა!

ეხლა ისლა დამრჩენია:
უნდა ვსთხოვო სხვა-სხვა პირებს
თორემ გამგე არ ასრულებს,
დათხოვნის ღირის დანაპირებს,
და არც ჩემთვის „არ სცალია",
ჩემთვის თავსაც არ შეიწუხებს
„ხვალე-ხვალეს" ლაპარაკით
მაცდეენებს ვიცი დიდხანს.

ტრისტანი

## „მოკლე ანკეტა“



— მზე ეხლა ამოვიდა; მგონი საღამომდე მოვასწრო ანკეტის შევსება.

— მადლობა ღმერთს, მთვარის ამოსვლისას ნახევრამდე მგონი შევავსე ანკეტა!

## „ორგანიზატორი“

უბრალო კაცი არ გეგონოთ სილიბისტრო კიტრაძე. მთელ ქალაქში ძნელათ რომ მოინახოს სხვა ასეთივე აქტიური და ორგანიზატორი კაცი (ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, როგორც თვითონ კიტრაძე იტყვის ხოლმე).

ყველა ეს ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი მხარეები რომ არ ჰქონოდა კიტრაძეს, არც ისე წაიწევდა წინ სამსახურში.

— ნიჭიერი კაცია! — იტყოდენ ხოლმე კიტრაძეზე მისი თანამშრომლები და მართლაც ეს ასე იყო. მის ორგანიზაციულ მუშაობას ისეთი მტკიცე და დაკვრითი ხასიათი ჰქონდა, რომ მის ფრთხილ და წინ დახედულ თანამომუშავეებს, ცოტა არ იყოს, ეშინოდათ კიტრაძის ფანტაზიების, და ეს იყო მიზეზი, რომ იგი გადაიყვანეს ნელ და ჩუმ „იდეოლოგიურ სამუშაოზე“.

მაგრამ კიტრაძის ენერგია არც აქ შენელდა.

მან შემოიღო თავის ახალ დარგში ათასგვარი ახალ-ახალი წამოწყებანი, ძველ წესებს დაწესებულებაში გაუქმებას უპირებდა, შეიმუშავა სააგიტაციო ახალი ნორმები და ინსტრუქციები და აპირებდა სოფლად პროპაგანდის მიზნების განსახორციელებლად ესარგებლა საჰაერო სეზონით, მაგრამ ეს ყველა მისი განზრახვები თანამომუშავეებმა თავისებურათ ახსნეს და რომ კიტრაძის უსაზღვრო ენერგიას ცოტა შენელება დამჩნეოდა, მას დააკისრეს დაწესებულებაში მხოლოდ ჯამაგირის სიებზე ხელის მოწერა.

ცხადზე უცხადესია, რომ ამ გარემოებამ დიდი გავლენა მოახდინა კიტრაძის შეუნელებელ ენერგიაზე და რომ უფრო დამოუკიდებლათ ემუშავა და თავის ფანტაზიას მეტი გასაქანი მისცემოდა, კიტრაძემ ისარგებლა ცოლის სოფელში წასვლით და გადასწყვიტა თავის გამოცდილების და ენერგიის მთელი მარაგი ოჯახის ალორძინებას მოახმაროს.

ოჯახური წესების ახლოთ გაცნობამ კიტრაძე განცვიფრებაში მოიყვანა.

არავითარი გეგმიანი მუშაობა არ სწარმოებდა ოჯახში, რაციონალიზაციაზე ხომ სულ ზედმეტი იყო ლაპარაკი, სტიქია და ანარქია სუფევდა. იმგვარივე, უბრალო ავეჯეულის (ინვენტარის) სიაც კი არსად ჩანდა.

კიტრაძე პირველ დღიდანვე შეუდგა გაცხოველებულ მუშაობას. გადანომრა ავეჯეული, შეადგინა საინვენტარო სია (ძაღლი, კატა, გოჭი და სამი ვარია „ცოცხალ ინვენტარის“ სიაში შეიტანა), დახაზა ბინის გეგმა და განუსაზღვრა ავეჯეულს ადგილები, სამსახურის ვადა და ამორტიზაცია.

კედელზე გაკრული დიაგრამები ნათლად აჩვენებდნენ ოჯახის მთელ სამრეწო-ეკონომიურ ძალას და სტრუქტურას. გრაფიკებში განაწილებული იყო ოჯახის ყველა წევრების ფუნქციები (კატის მოვალეობაც კი იყო შეტანილი).

— მე ბიუროკრატობას ვერავინ დამწამებს, — ამბობდა ხშირათ კიტრაძე — ოჯახის ფეხზე დასაყენებლათ და სათანადო კალაპოტში ჩასაგდებათ ჯერ კიდევ უამრავ საშუალებებს მივმართავ. წარმოიდგენია როგორ გაუხარდება ჩემს მეუღლეს, როდესაც დაინახავს ოჯახის წესების გარდაქმნას! — ამბობდა და თან ხაზავდა თამრიკოს (კიტრაძის უფროსი ქალიშვილი გახლავთ) ზნე ჩვეულების ყოველდღიურ ცნობარს, რომელიც საწოლ ოთახის უკანა კედლის მთელ სიგრძე სიგანეზე იყო გაკრული და თბილისის სადგურის ბაქანზე გაკრულ მატარებლების მიმოსვლის ნუსხას უფრო გავდა.

გარდაუქმნელი რომ არაფერი დარჩა, კიტრაძე შეუდგა ოჯახში რეფორმების შემოღების გეგმის განხორციელებას, მაგრამ პირველ პრაქტიკულ ნაბიჯის გადადგმაზე ის პირისპირ შეეჯახა მოსამსახურე ქალის, ორივე ქალიშვილის და კატის ჩამორჩენილობას და ინერტობას.

— გამიგონე ნინო — (ეუბნებოდა იგი მოსამსახურე ქალს), — თუ მართლა ჩვენ გვწადიან საოჯახო — მეურნეობის გაუმჯობესება, უნდა გაურბოდეთ ძველ და დახავსებულ ჩვეულებებს. რატომ გინდათ რომ აუცილებლათ პურის სასყიდლათ ორმოცი კაპეიკის ორდერი გამოგიწერიათ?

— მუდამ ორი აბაზის გვიყიდნია და დღეს რატომ უნდა ვიყიდოთ მეტის ან ნაკლების — წაიბურტყუნებდა „გამოჩერჩეტებული“ ნინო. — მართალია, მაგრამ ხომ შეიძლება. რომ დღეს საბაზრო ფასები დაწეული იყოს, ახალ მოსავალს კაი პირი უჩანს, ფქვილის მრეწველობა ახალ ბიუჯეტზე გადავიდა და საერთოთ თქვენ ხომ გაცნობილი ხართ ინდექსს....

— დაცნობილი ვარ!.. ვისხდეთ უპუროთ! — მოუჭრიდა სიტყვას ნინო და გაბრუნდებოდა. კიტრაძის უნცროსი ქალი მცირეწლოვანობის გამო არავითარ ანგარიშს არ უწევდა ნუსხებს, დიაგრამებს, გრაფიკებს და გეგმიან მუშაობას. კატა მთლათ ადე



სოფლელი (სოფლელს): — ერთი ამათ შეხედე! სანადიროთ მიდიან ძაღლებით და თოფი კი არ მიაქვთ!

მეორე: ეჰ, შენ რა იცი, ესენი აქ ნადირობენ პროსპექტზე და თოფის მაგიერობას თვალები ასრულებს.

რეზიცია საწარმოო პროგრამას—ხან რძეს მიაგნებდა და ხან ხორცს გაიტაცებდა, ამის გამო კიტრაძემ პუბლიკტერიაში ერთი წიგნს „მფლანგველების და მტაცებლების ანგარიში“ უწოდა. „სხვადასხვა პირებს“—მემწვანილეს, მერძევეს და ყასაბს კიტრაძის მიერ დანიშნულ დროზე ვერ მოქონდათ სანოვაგე და რომ მათთვის „ჭკუა ესწავლებინა“, კიტრაძე დაგვიანებით ან ადრე მოტანილ სანოვაგეს არ იღებდა და თანდათანობით ეს „სხვადასხვა პირები“ გაიცვანტნენ.

„ახალი ტიპის პრიმუსის“ გაკეთებამ და კარტოფილის გასაფცქვნელ მანქანის ასამოძრავებლათ ფეხსადგილის წყლის ენერგიის გამოყენებამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო.

ნინომ მოუხშირა „დეზერტირკაზე“ სიარულს, ჰყიდდა ნაქურდალს და შეძენილ ფულით ჩუმათ საჭმელს ყიდულობდა; უნცროსი ქალი და კატა დაჟინებით მოითხოვდნენ რძეს, თვითონ კიტრაძე სიმშილით გამოწვეულ სისუსტისაგან ეღარ იბრძოდა ოჯახის წევრების „ჩამორჩენილობას“.

— პატარა ხანს კიდევ მოითმინეთ და ყველაფერი გამოსწორდება; ამ დღეებში დავამთავრებ ყავის მარცვლების საფქვავ მანქანის გაკეთებას, რომლის ასამუშავებლად კარებების ღებვა-დახურვით გამოწვეულ ენერგიით ვისარგებლებთ!—ამბობდა გაბედული რეფორმატორი, მაგრამ ბედმა აქაც უმტყუნა.

— ღმერთო ჩემო! — წამოიძახა ოჯახში მომხდარი ცვლილებების დანახვაზე სოფლიდან დაბრუნებულმა დიასახლისმა და სილიბისტრო კიტრაძის მთელი თვის დაუღალავ შრომით დამყარებული „წესრიგი“ ორ წუთში დაარღვია. დიაგრამები, გრაფიკები, გეგმები, საბუღალტრო წიგნები და რეფორმის მთელი მასალი იმ დღესვე გადატანილ იქნა სარდაფში და მეორე დღიდან მთელი ოჯახი ისევ ძველ „დახავსებულ“ კალაპოტში ჩადგა, მაგრამ მაინც ამ კერძო მეურნეობაში მომხდარ მარცხმა არ შეუნელა სილიბისტროს ორგანიზატორული ენერგია და ამბობენ, რომ იგი ეხლა დიდ „შრომას“ შეუდგა, ამზადებს საოჯახო მეურნეობის რაციონალიზაციის თეზისებს მსოფლიო მასშტაბით.

გამოცდილი კაცია სილიბისტრო კიტრაძე და ვიმედოვნებთ, რომ ამ უდიდეს წამოწყებაშიც „გაიმარჯვებს“.

ჭინკა.



მასწავლებელი: — შენ გქონდა ხუთი ვაშლი. ორი ვაშლი მე გთხოვე. რამდენი დაგრჩა შენ?

მოწაფე: ხუთი ვაშლი დამრჩა.

— როგორ?!

— როგორ და, — ორი ვაშლი კი მთხოვე, მაგრამ არ მოგეცი და ისევ ხუთი დამრჩა.




ქალაქის გარეთ, სადაც ტყე იწყება, ვირი წააწყდა გაჩერებულ ავტოს, რომლის ახლოს არავინ არ სჩანდა.

მისალმების შემდეგ, ვირმა ჰკითხა:

აქ რა გინდათ?

— აგერ გადაღმა ტყეში ჩვენი დაწესებულების „ტუზი" მოსამსახურეები ქეიფობენ თავიანთი ამქრებით და იმათ ველოდები.

— რა ბედნიერი ხარ, ჩემო კარგო! ეჰ, ჩემი სიცოცხლეც სიცოცხლეა და შენიც?!

— ჰმ! შე რა იცი, მეგობარო! პირიქით, შენ ჩემზე უფრო ბედნიერი ხარ!

— ვირი და ბედნიერება ჯერ არავის უთქვამს!—ამოოხვრით სთქვა ვირმა.

— შენ იცი თუ არა, რომ მე შენზე უფრო ვირი ვარ? შენი ვირობა ჩემს ვირობასთან შედარებით არაფერიც არ არის!—შეედავა ვირს ავტო.

— რას ამბობ შენ! რაც ნაგავია, ნახშირი თუ შეშა ყველა ჩემი გადასატანია; მერმე მომაჯდება ზურგს ჩემი მუტრუკი პატრონი და გინდა თუ არა, შეგიძლია თუ არა, უნდა ატარო. შენ კი...

— მე რა!? ეგერ რომ ხალხი ქეიფობს ისინი ყველა შენი თავებია და განა მათზე მეტი ნაგავი შეიძლება?!

— მე რომ ქალაქიდან დავბრუნდები დაღლილ-დაქანცული, ეზოში მთელ საათს ბავშვები მაჭენებენ. შენ კი...

— ჰმ! შენ ჩემი იკითხე. საღამოს შვიდ საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდე ჩვენი გამგის ცოლ-შვილი აღმა-დაღმა მარბენიებს. რამდენი ბებია და ბაბუა ჩამოუყვა სოფლიდან ჩვენს გამგესა და მის ცოლს, იმდენჯერ თავმოგლეჯილი გავრბივარ სადგურში მათ წამოსაყვანათ. ძალიან მცხვენია გამზირზე სავსე ხურჯინ-ტომრებით გამოვლა, მაგრამ რას ვიზამ!

— რაც უნდა იყოს, შენი მდგომარეობა უკეთესია, შენ უკეთესი მოვლა გაქვს. ჩემი ნალები რა არის და იმასაც ვერ მიცვლის ჩემი პატრონი, ვირი ხარ, გაუძლებო!

— მოვლაზე თუ წავა საქმე, მე ყველზაე მეტი მაქვს სათქმელი. აი, ეხლა მაგალითად, ესენი ნაშუღამევს დაბრუნდებიან ქალაქში; გზაზე რაც ტალახი და მტვერია, მე უნდა განვლო ყველა, დავისვრები, მაგრამ როცა გარაჟში შემაგდებენ, ტუსაღსავით კარებს გამომიკეტენ და მეორე დილამდე იქ უნდა ვიყო უსუფთაობაში. გაუწმენდავი.

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შენ საჭმელი არ გაწუხებს. მე კი თუ თვითონ არ ვიშოვე ამ მინდორველზე საზრდო, ჩემი პატრონი ყურსაც არ გაიბერტყავს.

სწორედ ეს არის საქმე. მაგ მხრივ პირდაპირ აუტანელია ჩემი მდგომარეობა. ბენზინს მოფერი იპარავს და ჰყიდის; მე კი ხშირად ხახამშრალი ვარ და ინერციით ვმოძრაობ. ჰო, წელან შენ ნალებზე მელაპარაკებოდი მე ფარეს დღეში ვარ. ახალ შინებს მხოლოდ რამდენიმე დღეს თუ გაძლებს შოფერი; შემდეგ გამხდის, გაჰყიდის, ისევ ძველს, გაცვეთილს გამაკრავს, რომ ხელახლა მიიღოს ახალი შინები და ისევ გაჰყიდოს.

— ყოველ შემთხვევაში შენ ისე არ გამკვირვებენ, როგორც მე. გუშინ ვერის დაღმართზე მოქანცული ვიყავი ფეხი წავიკარი ქვაზე და ვიღრძე. როცა პატრონმა დამინახა, რომ ვკოჭლობდი, შენს მტერს რაც მე მან მიყო.

## კინოში



ქმარი (ცოლს): — მეხუთე ქმარი ვარ შენი და შვილი არც ჩემს ხელში არ გყოლია, საწყალ პლატონს, რომ შენ შეხვდენოდი დედინაცვლად, — ბედნიერი კაცი იქნებოდა!

— აბა მე გეტყვი შენ უკეთესს. ამას წინეთ ჩემს შოფერს არაფის ფული არ ჰქონდა. რა ექნა არ იცოდა. გადამალული ბენზინი და შინები ხომ არ გაიყიდებოდა ასე სახელდახელოთ? მოვიდა, შემიძვრა ქვეშ, განგებ გამიტეხა ერთი ვინტი, მერმე წავიდა და გასაკეთებლად ფული გამოიტანა სალაროდან. იმ ფულიდან ხუთი წილი მან ჩაიჯიბა და ერთი წილი კი შეკეთებას მოანდომა. ასეთ ხრიკებს ვინ მოსთვლის რამდენჯერ ჩაიდენს, მაგრამ რას გაუგებენ. იტყვის: „წამხდარიო", მორჩა და გათავდა—ფული უნდა მისცეს, თორემ ფეხით მოგიწევს სამსახურიდან სახლში წაბრძანება. ამას კი არც ერთი ბიუროკრატი არ ეზამს, რა დარდი აქვს სახაზინო ფულების...

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შენ არ გცემენ, —მე კი... ო, დღეს დილით როცა მაწონი მიმქონდა, პატრონმა ისე მძლავრად დამარტყა ჯოხი რომ კინაღამ ფეხი მომტეხა.

— შენ ფეხს ამბობ, და ერთი ჩემი იკითხე! ალბად გეცოდინება (მადლობა ღმერთს, ყოველდღე დადიხარ ქალაქის ქუჩებში და იცი შოფერების თავგასულობა, თუ რა ხალხია შოფერები).

ერთხელ (ეს იყო დაახლოებით სამი—ოთხი თვის წინედ), როცა გამგის ცოლი აბანოდან სახლში მივიყვანე, შემდეგ შოფერმა თავისი დედინაცვალის პირველი ქმრის ცოლი (აქ კარგად დაფიქრდი—თუ რა ყოფილა ის მისი), რომელიც სტუმრად იყო ქალაქში ჩამოსული. სადგურში წაიყვანა, (რასაკვირველია: ჩემს ზურგზე). როცა დაბრუნდა, თითქოს ვეცოდებიო, ნელა მოდიოდა. უცებ უკანიდან მოესმა მეორე ავტოს ხმაური, რომ გზა მიეცა მისთვის ჩემმა შოფერმა იუკადრისა და უმატა სვლას; ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ჯიბრი შეიქმნა—რომელმა გაჯობოლო. ცოტა არ იყოს ჩემი შოფერი გადაკრული იყო და გამაქანა. ის წინ კი არ იყურებოდა, არამედ მეტოქე შოფერს შემოხედავდა ხშირად. უცბად დაეჯახა მოწაფეს. მილიციელის სტვენამ და ფეხმოტეხილ ბავშვის ყვირილმა, იგი (შოფერი) წინ მოახედია, მაგრამ როცა მიხვდა თავის დანაშაულობას, კიდევ უფრო გამაქანა, რომ მილიციელსა და მოგროვილ ხალხს არ დაეჭირათ. მართლაც, გავედით სამშვიდობოს და ეხლაც არ იციან, თუ ვინ ვიყავით ჩვენ, ის მოწაფე ეხლა ხშირად ხვდება ქუჩაში; ცალი ფეხი მოსჭრეს, ყავარჯენით დადის. (რა იცის, რომ ჩვენ ვიყავით, თორემ, მგონი, აგვადუღებდა).

— მერე რა! ეს ხომ შენი ბრალი არ არის!? ამაში შოფერია დამნაშავე! — ანუგეშა ვირმა ავტო.

— კი, მაგრამ დედამისი მე მწყევლის. განა ეს ერთი შემთხვევაა! სწორედ გუშინწინ იყო ეს. სხვა ავტოსათვის რომ გაესწრო, შოფერმა ტრამვაის გადაუხვია და პირდაპირ ტრამვაის რკინის ბოძს დამაჯახა. სულელს ეგონა, რომ ბოძს მოვერეოდი. ორივე წინა თვლები და მოტორი დამიზიანდა. დღეს დილით გამომიყვანეს სახელოსნოდან. ერთი დღეც არ დამასვენეს და აქეთ გამომაქროლეს. ამის შემდეგ კიდევ იტყვი, რომ მე შენზე უფრო ბედნიერი ვარ? არა, ჩემო კეთილო, შენ უფრო ბედნიერი ხარ და ღმერთს ნუ სცოდებ საყვედურებით!

— კი, კარგ დღეში არც შენ არ ყოფილხარ, მაგრამ ის რად ღირს როცა ქუჩაში დარდიმანდულად მიცურავ, ჰბლავი და ყველა გზას გაძლევს. მე კი ყველას გზა უნდა დავუცალო! — მოსთქვამდა ვირი.

— იცი რა გითხრა, ჩემო მეგობარო! ათასჯერ უკეთესი არსებობა გვაქვს შენ. ბღავილზე რომ საქმე იყოს შენს ყროყინს ჩემი ბღავილი მიუდგება?! მე ტრამვაის, როცა ის სდგას, წინ ვერ გავუსწრებ, არ მაქვს ამისი უფლება. შენ კი არხეინად შეგიძლია ჩაუარო და ყურადღებაც არ მიაქციო, კუდიც არ გააქნიო. მე კი, მინამ ტრამვაი არ ინებებს წაბრძანებას, უნდა ვიდგე ალაპის ჩოგანივით.

— აგაშენა ღმერთმა, კიდევ კარგი იმედი მომეცი,— ჩემზე დალუპული სხვა თუ იყო, არ მეგონა; ჩემს ბედში ყოფილხარ; მე ვირი და შენ ავტო-ვირი. — უთხრა ვირმა და მხიარული ყროყინით თავის გზას გაუდგა.

ენუქი.

## შეკითხვა შეკითხვაზე



მილიციელი (მთვრალი):—რა გაღრიალებს?! არ იცი, რომ ქუჩაში სიმღერა არ შეიძლება?!

— ვახ! ერთი ამას უყურეთ და! მე ერთი კაცი ვარ და ჩემთვის ვმღერი! აქ ვერა ხედავ, რომ მთელი ბატალიონი მოდის და სიმღერით ქუჩებს აყრუებს?!

## ხუდადოვის ტყეში

ოჰ, სული მოვითქვი! აქ არის ჩემი პირველი ბედნიერების ამღორძინებელი ადგილი. აქ პრველად ამიხსნეს სიყვარული. და აქ ბევრი ღამეებიც გამითენებია. ამ ფერდობზე ჩემს საყვარელს ფეხი დაუცდებოდა ხოლმე და მუხლის თავები სულ დალლეტილი აქვს. ამიტომ მიყვარს ხუდადოვის ტყე!

კვასი, ლატარიები — სათამაშოები არის, მაგრამ ყველა უპატენტო, უნალოგოთ. კვასი წყილსა და მალხინა კამპეტისაგან კეთდება. სად არის ფინაგენტი? ჩემმა საყვარელმა ბევრი დალია და მგონი კიდეც აწყინა. სხვათა შორის, ძალიან მიყვარს და შიმშილივით მომივლის მისი ნახვა. ვაი თუ ავათ გახდა... ვაი თუ... მაგრამ მე ასეთი იღბალი მაქვს—ყველა ჩემს ხელში წახდება!...

რა მიწას მივცე თავი თუ ტარტაროზი ამობრძანდა ხუდადოვის ტყეში?. სხვისი კი არ მეშინია;

ერთი რომ დაიყვირონ, ათასი „შეკავშირებული" კონსერტებით წამოვარდება და თავს უშველის, რომ ცოტა რამეზე არ შემოესწრონ.

ტარტაროზის მეშინია, თორემ მილიციელი აქ ერთხელაც არ გაივლის.

მეხი-მეხაძე.

## ხმელეთის მატროსები

(ქუთაისი)

„რაბის"-თან შესდგა კოლექტივი მუსიკანტების,
რა კი გავიგე მე ეს შენმა ტარტაროზკორმა,
გაცნობებ: მათმა კოლექტივმა მიიღო ერთხმად;
რათა ატარონ ყველამ ნიშნათ მატროსის ფორმა.

—:—

თვით მაესტრო კი კაპიტანის ნიშნით მოირთო.
როცა გიგზავნი ტარტაროზჯან ამ მოკლე ნობათს,
შევყურებ იმათ, მართლაც არის სამაგალითო
მატროსებს ვხედავ და ვერ ვამჩნევ ჯერ კიდევ ხომალდს!

—:—

მათ „იჯარით" აქვთ აღებული მკვდრების დამარხვა.
(რა საამოა იმ პროცესში მათი დანახვა!)
ერხელ მოხუცი ერთ იმათგანს შესთხოვდა ხვეწნით
(რობის ქილები მას მოერთო მოვერცხლილ ძეწკვით):

:

შვილთან მივდივარ ადესაში... სიკეთე მქენით,
იქ ბათომიდგან როდის გავალ, მასწავლეთ, გემით?—
და იმ მატროსმა სირცხვილისაგან თავი დაზარა,
ვერ მოითმინა და ერთბაშათ გადიხარხარა.

:

იგრძნო მოხუცმა რას შესთხოვდა და მერე ვისა?!
გაიგო კი რომ მატროსია ის ხმელეთისა.
„ვაი თქვენს პატრონს" სთქვა და წამსვე გაუდგა შარას
გულში მოხუცი უწოდებდა მათ მეტიჩარას.

შაკო.

## თავდაცვისათვის



— რას შვრები, კაცო აქ?!

— რას ვშვრები და, ჰიდაობას მასწავლის ეს მოჭიდავე. ჩხუბის დროს ყოველთვის ცოლი მერევა და მაქცევს; ეხლა აწი მაინც გაუმკლავდე, თორემ...

## მოსტყუვდა

კოწია აღელვებული შევარდა სამილიციო კომისარიატში და განაცხადა, სახაზინო ფულისა და დოკუმენტების დაკარგვის შესახებ.

სასწრაფოდ შეუდგენ ოქმის შედგენას:

— თქვენი სახელი და გვარი!...

— კოწია ქაიხოსროვიჩ მორწყავა...

— პროფესია და თანამდებობა!...

— მოსამსახურე...; გამგე;;;

— დაკარგული ფულის რაოდენობა!...

— რვას... არა, ცხრაასი მანეთი!

— სად დაგეკარგათ!...

— ტრამვაიში;;;

— ვინ ამოგაცალათ!...

— მგონი ჯიბგირმა...

— დიდი იყო, თუ პატარა!..

— პატარა იყო!...

— გოგო იყო, თუ ბიჭი!...

— ბიჭი იყო, ბიჭი.. თვითონ მე დავინახე... კოწიას აებნა ჩვენება და ლაიწყო უხეიროთ, შმუშნი.

— ჰაჰა! კარგი... შეგიძლიათ წაბრძანდეთ... თავისუფალი ბრძანდებით;;; ყველაფერი გამოიკვლევა! უთხრეს კოწიას. რომელიც გახარებული გამოვიდა კომისარიატიდან და სახლისაკენ გაუდგა გზას.

სახლში მისვლისთანავე ცოლს მიაძახა:

— თამრიკო, აი ეს სახაზინო ფული, — და პორტფელიდან მაგიდაზე ამოალაგა ჩერვონცების შეკვრა, — თითქოს დამეკარგა, ასე განვაცხადე მთავრობაში... გზა-კვალი დავუბნიე... ხარჯვითი შეგვრჩა! აწი ხომ აღარ მისაყვედურებ!?

— ოი, შენ გენაცვალე, ჩემო მშვენიერო. შენისთანა ქმარი მე ჯერ არასოდეს არ მყოლია; ბარემ ოთხი-ხუთი ქმარი გამომიცვლია, მაგრამ არც ერთიდანაც არ მახსოვს ასეთი თავგანწირვა... გენაცვალე! — და ცოლი მოეხვია კოწიას.

მაგრამ ამ დროს კაკუნი მოისმა კარებზე და უცბად ოთახში შემოვიდნენ სისხლის სამართლის მილიციის აგენტები.

კოწია არ დაიბნა.

— უკაცრავად ვარ, მაგრამ თურმე ეს ფული მეორე მხარეს პორტფელში მქონებია, და მე კი შეცდომაში შეგიყვანეთ.

მაგრამ აგენტებმა მაინც არ დაუჯერეს ეს „გულახდილობა" და სამართველოში წაიყვანეს.

—:—

კოწია ეხლა რუსთაველის გამზირზე სტკეპნის.

— შენ მოგეხვია ეშმაკები; რა მაინც და მაინც მაშინ მომეხვია. როცა ფული მაგიდაზე ეყარა! — ხშირად უსაყვედურებს ცოლს კოწია, რომელსაც არ გაუმართლდა იმედი.

ძიროულელი თადა.

„ხშირია შემთხვევა, როცა მღვდელსა და დიაკვანს სასაფლაოზე ჩხუბი მოსდით საკურთხის გაყოფაზე".



მიცვალებული:—თუ თავს არვუშველე, ეს ოხრები მეორეჯერ მომკლავენ!



„მშვიდობიანობის ანგელოსი" (ლიტვინოვს—საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს ჟენევაში ერთი ლოგის სესიაზე):—ძია, სხვაგან ვერსად ვნახე და თუ თქვენშია უპატრონო ბავშთა თავშესაფარი,—წამიყვანე და შომათავსე შიგ!

უცხოეთის ჭუჭრუტანიდან



—ქალბატონო, თქვენი ქუდი მეფარება და საშუალებას არ მაძლევს სცენაზე წარმოდგენას ვუყურო!

— მერე რა? იმ წარმოდგენის ყურებას ის არ სჯობია, რომ ჩემს ქუდს უცქიროთ?!

„პოლონეთში, ნიშნათ მთავრობისადმი პროტესტისა, ბევრი გაზეთები გამოვიდენ ცარიელ გვერდებით".



პილსუდსკი:—როგორც იქნა გვეღირსა—არც ერთი გაზეთი ჩვენს წინაალმდეგ არაფერს არ ამბობს!

„იმ დროს, როდესაც ჩვენში ბევრია ყოველგვარი დარგის ექიმი,—სრულიად არ არიან კბილის ექიმები". (ქრონიკიდან).



ავადმყოფი:—ეს რა მიყავი, რომ სალი კბილი ამომიღე?!.

ექიმი:—მადლობაც უნდა მითხრა! ჩემს შემდეგ რომ აგტკენოდა ეს კბილი, ვინღა ამოგიღებდა?!.

„საბჭოთა კავშირის ზოგ ქალაქებში მილიციონერებათ ქალებსაც ღებულობენ".



— ღეიდა, გაიქეცი, თორემ ხომ ხედავ—მთვრალი მოდის! თუ—გიცნო, რომ ქალი ხარ, წასულია შენი საქმე!

## ა ჯ ო ბ ა



— ნაციონალურ ყრილობაზე ქემალ-ფაშამ, თურმე, 36 საათი ილაპარაკა!

— მერე რა! მე გუშინ მოხსენებაზე 49 საათი ვილაპარაკე, რომ საჭიროა ნაკლები სიტყვები და მეტი საქმე!

---

## ვ ი ნ ა რ ი ს?

### ქვემო - ჭალა, გორის მაზრა

გამოვა თუ არა სახლიდან მიდის გაჩქარებით.

— სად მიდიხართ?

— პრეზიდიუმის სხდომა მაქვს!

გადის ცოტა დრო,

— სად მიდიხართ?

— ბიუროს სხდომა მაქვს.

კიდევ გადის დრო.

— სად მიდიხართ?

— პროფკოლექტივის სხდომა მაქვს.

ერთ დღეს გადაუკიდია პალტო და სდგას; ელოდება ვინმემ ჰკითხოს თუ სად მიდის.

— საით მიემგზავრებით?

— ლამისყანაში; — პოლიტცონის გამოცდები უნდა ჩავატარო.

ერთი სიტყვით, ყველაფერი რაც კი არის და არსებობს, — მის ხელში უნდა გამოიაროს, მაგრამ საქმე ის არის შედეგი როგორია?

ციკლოპი.

## „ლ ი დ ა“

იმ დღეს შენ ზაგსში იყავი ლიდა;
ლიდა შენ იმ დღეს სულ სხვას გაჰყევი.
შენი მიჯნური იქ ცრემლებს ღვრიდა;
ცრემლით ავავსე ვარაზის ხევი.

—:—

მოვკარი თვალი შენ ხელმოწერას!
ლიდა ძვირფასო, დღესაც არ მჯერა,
ვიცი მე წერა მაგრამ არ ვიცი
ეს ჯლაბნა იყო თუ ხელმოწერა.

—:—

ზაგსის კარებთან, ვიღაც გოდებდა,
ალბათ სტიროდა ვინმე პაცანი.
შენ გამოხვედი პადრუგით და ქმრით,
გამოხვედი და ველარ მიცანი.

—:—

მოგჩერებოდი ლიდა! ლიდოჩკა!!
რად მომატყუე? რისთვის გამისხლტი
ვერ მივხვედრიყავ, დღესაც ვერ ვხვდები?
როგორც გაფრენილ არწივის ფრთები?!

—:—

ან სტატისტიკას რათ ვაბარებდი?
ან რათ ვისწავლე მე სამართალი, —
თუ კი შენ გვერდით ვერ გავივლიდი,
და არ ვიყავი შენთან მართალი?!

შილტონ.

## კონტრაბანდისტის სიმღერა

ჩემო კარგო კონტრაბანდო,
რაზედ მოგიწყენია?
ბათომი თუ არა გწყალობს, —
ბახმარო, ხომ ჩვენია!

აჭარიდან გურიისკენ
ხომ ავილეთ გეზია —
შეგვექმნა ოზურგეთში
ფართო ასპარეზია!

კონტრაბანდის ახლა იქ
არის „ახალშენია“
„ტავარის“ გასაღებაში
„დაჩნიკები“ გვშველიან..

დღეს იქ არვის აფიქრებს
არც ჩეკა, არც „ტამოჟნა“
„საქმის გაიმასქნებაც“,
ჩაქვზედ უფრო „ტამ მოჟნა“.

ელენემ უთხრა მაროს
თუ წახვიდე ბახმაროს, —
კონტრაბანდის გარდა იქ
ჩვენ ვიშოვით საქმაროს.

პუდრს და დუხებს ბევრს „იშასვქნით“.
ლორიგანსა და კოტისას,
კოსტუმებს ჩავიცვამთ
ცისფერ კოვერკოტისას.

კონტრაბანდო! შენს მომგონს
დაუდგება თვალები,
შენგნით, რამდენ ცოლებმა,
ქმრებს დაადვა ვალები!

ბარიშნებს ხომ თავისტკივათ
მუდამ შენზე ფიქრებით,
იმათი ზრუნვის საგანი,
შენ ხარ და შენ იქნები!

დონ-კიხოტი.

# თეთრი კბილი—შავი გული

პოლონეთის მთავრობა ჩვენს მიმართ ორჭოფულ პოლიტიკას აწარმოებს: თითქოს ცდილობს კეთილგანწყობილებაში იყოს ჩვენთან,—მაგრამ სინამდვილე საწინააღმდეგოს გვიჩვენებს.

(გაზეთებიდან).




**პანი:**—მშვენიერო რად არ გჯერა, რომ მაქვს შენი სიყვარული?

**წით. არმ.:**—ჰო, კი მაგრამ რად გჭირიათ დანა რომ გაქვთ დაფარული?.

## ამაღლება

ვის არ სურს ლექსის დაწყება
მკითხველის გასახარადა.
ზოგს ეგუება სატირა
და ზოგიერთს კი შარადა.
ზოგს პოეზია, ზოგს პროზა,
რაც ხდება მთა და ბარადა,
ზოგს კბენა, ხვრელში შეძრომა
ცოდვების დასაფარადა.
სიცრუეს მოკლე ფეხი აქვს,
ყველას სდევს კარის კარადა,
ცოდვა მალული ერთ დროში
გამომჟღავნდება სიაღვარადა
მართალიც რომ სთქვა შენს სიტ-
ყვებს
ხალხი შეხვდება მწყნარადა...
კაცი ასეთ როლს ასრულებს,
მეგრელიშვილი გვარადა.
ერთობ ცუღლუტი ვინმეა
თუმც დადის დინჯად შარადა,
ცხვირი მოსტეხეს „ვაგონში“,
სცდილობდა გასაპარადა.
ნუ თუ გაუძლებს სინდისი
ის სხვებზე იყოს მწყრალადა,
და სოფლის ერთგულ მუშაკებს
ახსენიებდეს მყრალადა!?
მისგან შეხანხლილ სიცრუეს
არავინ აგდებს არადა.
ცოდვაა იგი სოფელი,
თუ ასეთი ჰყავს ჯარადა.

ფაქიზო.

## ჩოხატაური

„ქიანჭველას ფეხს არ ადგამს“,
ასე ფიქრობ, როცა ნახავ;
თავაზიან, მადლით სავსეს.
კაცი ქრისტეთ გამოსახავს
თანაც „სოციალისტია“...
თანაც „უდგას“ გლეხებს გვერდში;
მორჩილია რაშიც გინდა
ყველასთან და ყველაფერში.
მისთვის განურჩეველია:
მტერი იყოს, გინდ მოყვარე.
თავის ქნევით უდასტურებს
დე, რამდენიც უთხრან მწარე!
მარა თურმე ასე იცის.
ვინც ფლიდია გულით-სულით,
ნალველს გასძევს... ვერც კი იგრძნობ
თვალთმაქცური სიყვარულით...
ეს „ყმაწვილი“ ასეთია,
გაიძვერა — ქორიკანა,

თურმე როცა გეფერება,—
დასაკლავად მოაქვს დანა!..
დაუგრძელდა კუდი ისე,
რომ აღარ სთვლის არვის ჩირად!..
(ალბათ მით, რომ ას ქანქარზე
მეტს ლებულობს თვიურ ქირად)...
ეჰ! ვინ იცის, ჩვენი „ეპო“
რამდენ ასეთს... სად ინახავს?..
ეს წერილიც მას საჩუქრათ,
ვინც თვის ცხვირს შიგ დაინახავს!!!.

წაველა.

## ს ა მ ე ბ ა

გურია

ტარტაროზ, შენი ჭირიმე,
ჭირიმე ლამაზ რქებისა,
ვფიცავ, რომ მინდა შეგაქო,
რადგან ღირსი ხარ ქებისა.
სიმართლე გიყვარს ყველასგან
და გძულს ჭირივით ტყუილიო:
ერთსა რამეს გთხოვ, ტარტაროზ,
და ნუ მოგივა გულიო.
უნდა ესტუმრო სამებას,
მოინახულო ყველაო;
გლეხები გელოდებიან,
რადგან მათ უნდა შველაო,
მათ სურთ შენ რქებზე აეგოს
კაცები ფულის ჭამია;
მე მოგახსენებ სახელ-გვარს
და ნუ დამძრახავ, ძამია!
არ დაივიწყო ის ვაჟი,
ჯერ ეს მაქვს სათხოვარია,—
დათიკო ჰქვია სახელად
და ვაჩეიშვილი გვარია.
დათიკომ ფული შეყლაპა
რამოდენიმე კაცისა,—
გაზეთებს გამოგიწერო,
მაგრამ აივსო მან ქისა.

—:—

შველა გვჭირია, ტარტაროზ,
ჩამოდი სამებაშია;
ნახავ, რომ უგაზეთობით
ჩვენ ვართ დიდ წამებაშია.

„ნიშადური“.

## გამოცანა

(ასკანისათვის).

სხვისი შრომით ისარგებლა —
ჩაიჯიბა ბევრი ფული;
სახლებიც კი გადგა განში,
არ გაუძლა ამით გული.
გინებაში და ლანძღვაში
მას ხომ ვერვინ „გააფორებს“.
ხან კირილეს აწიოკებს,
ხან ოლომფრეს უკლავს ღორებს.
გლეხებს გული გაუწყალა,
აღარ მისცა გასაქანი;
გზებზე ხვდება, უყვარს ჩხუბი,
უშნოთ ბრაქვა და ქაქანი.
ხშირათ ასეც ბაქა-ბუქობს:
„არ გეგონოთ მე ზოგ-ზოგი“.
რალა ბევრი შეგაწუხოთ,
ღორების ყავს იმას ჯოგი.
გაიძვერულ მოქნილობით
მოიტანა დღემდე თავი,
აწ კი სხვას ნუ დააბრალებს,
თუ გაძვრეს კუდზე ტყავი.

პომპოლიკო.

# კონსერვატორიის წინ




— წადი კაცო! აქ გიჟების სახლი ყოფილა. არ გესმის როგორ უცნაურად ჰყვირიან?!

# შარადები

1

ხომ შეამჩნიე მკითხველო,
ჩვენში ბოლოს და ბოლოსა,
სულყველა გაპროფესორდა—
ვექილი მღერის სოლოსა;
  პროვიზორს ცხენები მიუდის,
ჩოხა ჩაუცვამს გოგოსა,
ჩემი შარადაც მიიღეთ
დავსწერ თუ იმას როგორსაც.
  პირველი სიტყვის მონახვა
ძრავის გაუჭირდება
სოფლად ტალახით ნაქები.
ქალაქად განიერდება;
ამ საგნის ოთხი ასოდან
პირველი ორი გვჭირდება
და ორი თვითონ დაგვეტოვება,
ვიცი არ აგვეხირდება.
  ეხლა ცხოველი მოვძახოთ
მსუნაგი ერთობ პატარა,
კატა რომ გადაეკიდა,
აწვალა, არ გააზარა.
წინ ორი ასო გვჭირდება
სხვა კი ზედმეტი ბარგია.
სწორედ ის დავინახრიოთ,
რაც რომ შარადას ადგია.
წამოუჩმეელოთ ერთი თუც
იითა და ვაოდით ცხოვბილი,
პირველ რიგში მოშა უშმეენებს
საომრად გამოწყობილი.
სამი ანბანი ბოლოდან
ამ რვისა ჩავიბაროთა
და ერთიანობ სავსე შარადა
მოვაწყოთ, მოვაგვაროთა;
შეკრება ჩამონაჭრების
თანმიმდევრობით გვჭირია,
რომ დავინახოთ ქალაქი
ანაკვენეს-ანატირია;
დედას ცრემლები ჩამოსდის,
შვილს ველარ უმღერს ნანასა,
შვილი უმწეოდ დასტირის
ცეცხლში დახრუკულ მამასა.
ხელის გაწვდენა ძმურადა
ყველა ჩვენგანის ვალია,—
რომ კვლავ აშენდეს ქალაქი,
არ აჩნდეს ცეცხლის კვალია.

**ხიმონ-ალა.**

2

შარადას არა სჭირდება:
შორს წასვლა, დიდი მანძილი:
ძიების საგანს შეადგენს
ჩვენი სხეულის ნაწილი.
ოცია რიცხვით სულყველა
ხელფეხზე გამწკრივებული;
ზოგი გრძელია, ზოგი კი
მოკლე და ჩასქელებული.
უმისოდ კაცი არ ვარგა
ცხოვრება გასაჭირია!
  მის მხოლობითი სახელი
შარადისათვის გვჭირია;
ოთხი ასოდან შემდგარსა
მოვილებთ მოკლე სიტყვასა;
ჩამოვჭრათ ბოლო ანბანი
ნუ ვერიდებით რისხვასა!
მოვნახოთ ქორონიკონი
ექვსისა გამომხატველი,
პირველ-მეორე ანბანებში
შუაში ჩავსვათ, ვით მცველი.
აწ ბოსტნეული მოვნახოთ,
რომელ იზრდების გრძელიაკ
დამწიფებამდის ის მუდამ
მეტის-მეტ გემრიელია.
ხუთ ანბანიანი სახელი
საცნობათ არის ადვილი;
მეოთხე ანბანს საჩქაროდ
მივცეთ მეორე ადგილი.
აწ საჭიროა ლითონი
ქვაბების გამთეთრებელი:
ოთხი ასოდან შემდგარი
  კავშირათ სახმარებელი.
ჩვენ გვინდა მხოლოდ იმისი,
წინიდან ორი ანბანი,
რომ მოვათავოთ შარადა,
მით შევისრულოთ ზრახვანი
ვამოვა სიტყვა, რომლისა
დღეს კამპანია ტარდება,
ზევრს არად ესიტნავება:
ტლინწყებს ყრის, ერთობ ჯავრობს
დება!
მაგრამ ჩვენ სხვას ნუ მივხედავთ,
ვამხილოთ ჩვენია თავია,
ნურვის ჰგონია, ვითომც თვით,
იყოს აბრამის კრავია.
სულყველასა აქვს ცოდვები,
პატარაა, თუ დიდია,
ეს კამპანია გავსოფლოთ.
რომ ჩვენი წინსვლის ხიდია...

**გოგია.**




## მიქაძის კუჭი

ერთხელ კიდევ ზედმეტად გამართლდა ლევარსი როხროხაძის თქმულება; „კუჭი რომ არ იყოს, მაშინ ადამიანები უფრო პატიოსნები იქნებოდენ, რადგან აღარ იქნებოდა საჭირო ჭამა, რომლისთვისაც ადამიანი მუდამ ბრძოლაშია, ხოლო თუ ჭამა არ იქნებოდა, მაშინ ყველა გამდიდრდებოდა, რადგან გაყიდდენ პურსა და სხვა სურსათ-სანოვაგეს, რომელშიაც ფულს აიღებდენ“-ო.

ამაში, რა თქმა უნდა ეჭვი არავის არ შეხდის და ყველა ეთანხმება ლევარსის.

ისიც ყველამ იცის, რომ წმ. იონა, როცა ზღვის პირად ბანაობდა, უცბად ვეშაპმა გადაყლაპა და რამდენიმე (მგონი სამი) დღის განმავლობაში ვეშაპის მუცელში, კუჭში იჯდა არხეინად. შემდეგ ის ისევ გამოვიდა ზეზე ვეშაპის კუჭიდან (ხოლო არ ვიცით საიდან გამოვიდა, პირიდან თუ სხვა ალაგიდან).

აი ასეთი ამბავი მოხდა ამას წინედ ბიბლიურ ხანაში... და რატომ არის გაკვირვებული „შალვა შაველა“, როცა სოფ. კასპის (გორის მაზრა) კოოპერატივის ნოქარმა პეტა მიქაძემ

> სჭამა ექვსასი მანეთი, —
> მით გამოიძლო კუჭია.
> ამ ფულის უკან მიღების
> ცდა და იმედი ფუჭია.
> ტარტაროზ, ეხლა შენ იცი,
> გვეცი ასეთი პატივი:
> —კუჭი გაუპე, რომ ნახო
> შიგ ჩვენი კოპერატივი..



და მართლაც, როცა შევახრულეთ ეს თხოვნა მიქაძის კუჭში აღმოჩნდა სოფ. **კასპის კოოპერატივი.**

— როდის გადაყლაპეთ ეს კოოპერატივი? — შევეკითხეთ მიქაძეს, რომელმაც თამამად გვიპასუხა:

— ხუთმეტი დღე იქნებოდა მის გახსნიდან გასული, რომ უცბად გადამცდა კუჭში ექვსასი მანეთი, რომელსაც თან გადააჰყვა მთელი კოოპერატივი. მართალი უნდა გითხრათ, რომ მე, როგორც ვაჟრის შვილი, ადვილად მოვინელებდი და ამისათვის არც მინდოდა ყურადღების მიქცევა, მაგრამ სოფლელებმა არ მომასვენეს.

— აუცილებელია თქვენი მოთავსება სპეციალურ სამკურნალოში (ე. წ. გამსახლში), სადაც ადვილად არჩენენ თქვენისთანებს! ჩვენ მივწერთ ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ ჩვენი განკარგულება მალე მოიყვანონ სისრულეში.

## კუ. დეპეშა

სადგურ თელავიდან ქალაქ თელავამდე სამი ვერსიავსთქვათ — თქვენ მოგიხდათ დეპეშის გაგზავნა სადგურ თელავიდან ქალაქ თელავში (ან პირიქით).

თქვენს დეპეშას ჯერ გადასცემენ გურჯაანს, აქედან ტბილისს, ხოლ თბილისიდან ქალაქ თელავს.

როცა ამის შესახებ „ფეშანგი კროჭი“ შეეკითხა ფოსტის მესვეურთ, ამ უკანასკნელებმა ასეთი პასუხი მისცეს:

— ხომ გაგიგონიათ: „შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო“.

რას ერჩით, მართლაც, რომ ანდაზა. ასე ამბობს.

---

# ცნობათა მიღება

**ნალს.** კი მივიღეთ თქვენი ლექსი:

> **...და ამიტომ, ტარტაროზო,**
> **თუ გიყვარდეს შენი თავი,**
> **დაიჭირე, სცემე მაგრად**
> **და გააძვრე ზურგზე ტყავი.**

კი გავაძრობდით, მაგრამ რაში უნდა გამოგვადგეს მისი ტყავი?! (ტყავი კი არა, მისი თავი არ ყოფილა არაფერში გამოსადეგი და ტყავი რა ოხრობად გვინდა!).

**ა. ეს.** არ გამოგვადგა. მოგვაწოდეთ ადგილობრივ ცხოვრებიდან.

**ხოდ. კავთელს.** ჯერჯერობით მხოლოდ ეს ოთხი სტრიქონი გამოგვადგა დასაბეჭდათ:

> ხუმარა მთვარე ამოდის ცაზე,
> ამთქნარებს მიწა ეთერის ხმაზე.
> ქოთანმა ჩამჩა დაიკრა ძირზე,
> შენ გენაცვალა კომბოსტო ცხვირზე.

**ორ მოწაფეს** (დარჩელის თემი. ზუგდიდის მაზრა). რაღა ორი კაცი უნდოდა ასეთ ცუდი წერილის დაწერას?! ერთსაც თამამად შეეძლოთ.

**გურიანთელ ხუცესს.** ხომ გაგიგონიათ: „ქურდის ქურდი არ წაწყდებაო“. ასე რომ ტყუილად სწყევლით თქვენი შარელის ქურდს: თუ გსურთ კონკურსში მონაწილეობის მიღება, გამოგვიგზავნეთ თქვენი ფოტოგრაფიული სურათი.

**არიულს.** თვითონ თქვენ ამბობთ:

**— დავსწერე, მარა რა დავსწერე, არც მე ვიციო.**

ვერც ჩვენ ვერაფერი გაუგეთ ამ წერილს და გამოცარკვევად გოდორში გადავგზავნეთ.

**დიპლიპიტოს.** ჩვენც გეთანხმებით თქვენს შედარებაში, რომ „ტარტაროზი“-ს „უფსკერო გოდორი“ თქვენ შეადარეთ კრემატორიუმს, რომელიც წვავს და ფერფლად აქცევს მკვდარს. (ალბად ეს საკუთარ გამოცდილებიდან იცით!).

# ფიქრები მოხსენების დროს



ტარტაროზი

ყოველკვირეული ჟურნალი
ფასი 15 კაპ.
კვირა. 10 ივნისი 1928 წ. № 156

# „ლორი მუხის ქვეშ“

## კრილოვისებური

გერმანიის მომავალ კოალიციონურ მთავრობის უმრავლესობა უნდა შესდგეს სოციალ-დემოკრატებისაგან, რომლებიც ერთგული ლაქიებია გერმანიის კაპიტალისტებისა და საზრდოობენ მათი ნასუფრალით.

(გაზეთებიდან).




ჰინდენბურგი:—თქვენ რკო გინდათ, სხვა კი არა, და, ჰა სჭამეთ, — ჩამოვყარეთ ხოლო დინგი ხეს არ ახლოთ, თუ ხართ ჩვენი თქვენ მოყვარე.

ლორები:—რკო კი იყოს მრავალიო, სხვაზე ჩვენ არ ვსწუხდებითო. თქვენც კი იცით—რკო კარგია,— ჩვენ იმითი ვსუქდებითო!

# მეტა ფორმოზა



ასეთი თანდათანობით წარმოსდგა ზოგი მომხსენებელი ბაიყუშიდან.

## საუბარი საიქიოდან

—ალო! ალო!

გისმენთ!

მე ვლაპარაკობ საიქიოდან ლორდ კერზონი. პასუხი საიდან არის?

—ვატიკანიდან! რომი!

— უკაცრავად! ეს შეცდომაა! მე სხვაგან მინდოდა, დაჰკიდეთ მილი!

ალო! ალოოო!

გისმენთ! ჟენევა! ერთა ლიგა!

უკაცრავად! თქვენ არ მჭირდებით! რა ღმერთი უწყრებათ ცენტრალურში! დაჰკიდეთ მილი!

ალოო! ალოოო!

—გისმენთ! ნავთის სინდიკატი—„როიალ დეიტჩშ შელი“!

—უკაცრავად! ეს რა უბედურებაა! მე სულ სხვა მჭირდება! დაჰკიდეთ მილი!

ალო, ალოოო! მე შეგიკვეთეთ ლონდონი. ფორინგ ოფის. ჩემბერლენი. რომ მომკვდარიყო, ხომ ამ ჯოჯოხეთის იქით ვერ წავიდოდა! და თუ ცოცხალია, რამ გამოგათაყვანათ ისე, რომ ველარ მიგიგნიათ მისთვის!

— მზათ არის!

— მადლობა ღმერთსა!

— ალოო!

— ფორინგ ოფის. ჩემბერლენი.

— ოო, მისტერ! ძლივას ველირსე შენ გამოხმაურებას!

ვისთან მაქვს პატივი ვესაუბრო?

ლორდ კერზონი, საიქიოდან.

—ოო, რა ბედნიერად ვრაცხს თავსა. კარგია კიდევ მოგაგონდით ამდენი ხნის შემდეგ.

მე მუდამაც ვფიქრობ, მისტერ, მთავრობაზე.

თქვენ ალბათ გეინტერესებათ თქვენი ცოლ-შვილის ამბავი, არა, ლორდ?

—არა! მე უფრო სხვა საჭირო საქმე მაქვს.

—მაშ თუ გეინტერესებათ ჩვენი მეფის დღეგრძელობა?

არა.

—მაშ მაკდონალდის ამბავი?

არა, მისტერ!

მაშ დეტერდინგის კომერციული საქმეები თუ გიკარგავენ მოსვენებას?

არა და არა! ნუ თუ ვერ მიხვდი, რა უნდა მაინტერესებდეს ისე ძლიერ, რომ სააქაოდან საიქიოს დაგელაპარაკო?

—ვერ მიმხვდარვარ.

—საბჭოთა კავშირი როგორ არის, საბჭოთა კავშირი?

—მოო! რამ დამიკარგა გულისყური. სამწუხაროდ—სასიამოვნოს ვერაფერს გეტყვით.

—კიდევ ბოგინობს?

—ბოგინობს და მერე ეგრე! ლამის ჩვენ თვითონ ამოგვჭამოს.

როგორ; ომი არ გამოგიცხადებიათ?

—არა.

—მაშ ისევ ურთიერთობაში ხართ მასთან?

— არა! გაბუტებულები ვართ. არ ველაპარაკებით. მაგრამ ლამის იძულებული გავხდეთ და ისევ შევურიგდეთ.

— როგორ? აქამდის ნუ თუ ვერაფერი საშუალება მოხძებნეთ მათ გასანადგურებლად?

— ვერაფერი. ტყუილა ვიმტვრევთ თავს. არაფერი გამოდის სულერთია.

—ხიქსი ხომ ცოცხალია?

ცოცხალია.

ვერც იმან გააწყო რამე?

— ვერა!

პუანკარე? მუსოლინი? პილსუდსკი;

— ყველა ცოცხალია, მაგრამ...

— სულ ყველა დაჩათლახდა?! აფსუს რომ იმანდ არა ვარ! შენ თვითონ რა დაგემართა? განა ეგ დაგიტოვე, ანდერძათა?

რა ვქნა, ლორდ! ველარაფერს ვაწყობ. მთელ ევროპაში გაიჩინეს აუარებელი აგენტები მოსკოვის კომუნისტებმა.

როგორ? ვაიმე ჩემ თავსა!

—ჭეშმარიტად მართალს გეუბნებით. საფრანგეთში მილიონ ნახევარი აგენტი ჰყავთ.

გერმანიაში—სამ მილიონ ნახევარი. ნაკლები იქნება არც ინგლისში ჰყავდეთ, მაგრამ ჯერ არ დაგვითვლია. მოდი შენა და ასეთ ვეშაპთან გააწყე რამე!

ოო, მისტერ! მაშ აღარ ღირებულა სიცოცხლე. კიდევ კარგი, რომ ნაადრევათ გაგშორდით და ჩემი თვალით აღარ ვუცქერი მთელი დედამიწის გადაგვარებას!

— რა ვუყოთ! მეტი ჩარა არა გვაქვს, ლორდ! მაინც თქვენი ოჯახობის ამბავი ეგებ გაინტერესებდეს?

— მაგნაირი უბედურობის შემდეგ რაღაში მეინტერესება ან ოჯახი და ან სხვა რამე! ნუ თუ კომუნისტების ბოლოს მომღები აღარავინ გამოჩნდება?

— მე უკვე იმედი გადავწყვიტე და საშუალებას აღარაფერს ვეღი.

— მა რაღა გაჩერებს მაგ ქვეყანაზე, თუ იმედი აღარაფრისა გაქვს?

—მაშ რა ვუყო, ლორდ?

— გაანებე თავი მანდაურობას და წამოდი აქ!

— ოო, რა დიდის სიამოვნებით წამოვიდოდი, თუ მანდ მაინც მომენიჭებოდა მოსვენება კომუნისტებიდან. მაგრამ თუ თქვენსავით გაწამებული ვიქნები იმათი ჯავრით, ბარემ აქ ვაჩანჩალო წუთისოფელი სანამ დრო მაქვს, არ მირჩევნია;!

ნადირი.

# გიორგის სკოლა

ზოგიერთ კოოპერატივებში აღმოჩენილ იქნა ბოროტმოქმედებები გამგეების მხრივ.

(გაზეთებიდან)



გიორგი ქერქაძემ სთქვა: ჩემს პატარა ნოქრებს უთუოდ ყლაპვა უნდა ვასწავლოო... ჩამოამწკრივა დახლთან და ეუბნება:—ეს არის ყლაპის (უჩვენებს შოკოლადისა და თაფლის ბანკებზე), ეს არის ყლუპის! ისწავლეთ გენაცვათო! (ისწავლიდენ ნოქრები ყლაპა-ყლუპის თუ ვერა?).

# „კატის“ ულტიმატუმ

ძვირფასო! „ტროფობის“ ალვა და დაგვით
ლამის დავდნე მე ხურვალე ხვადათ
კარგად გახსოვდეს, რომ შენ ხარ თაგვი
და, პოფოლუსტა, მეც რომ ვარ კატა?
მიტომ გამირბი, რომ აიცდინო,
ჩემი კლანჭები! შანთი და რკინა?!
ამაზე როგორ არ გავიცინო,
დამალვა რალამ გაფიქრებინა.
ჩემი მეფობა, ყველაფრის მძლევი.
ბუნებამ არ შშვა ბიუროკრატათ,
და თუ მე სადმე შენ გამექცევი,
არც გამაჩენდა ბუნება კატათ.
ო! ეგ ცისფერი შენი თვალები,
ახ! ბოქე მოი, რამ დამავიწყოს!?
მითხარი სანამ დაემალები.
გამოქექილსა და მსუნაგ ფისოს?!
თუ ატკაზს მეტყვი და გამაწბილებ,
(ო! ამ ფიქრებით გული მიკვდება);
მაშინ რად ვაგდებ ალმასის კბილებს,
თუ მსხვერპლისათვის დამიჩლუნგდება,

ფისო.

# იოსკა

(პოემიდან „კოჯორი“)

პროლეტმწერლებმა
განვიზრახეთ
კოჯორის ნახვა
და კვირა დილით
მივქროლავდით
ავტომობილით.
(„ბავშთა სოფელის“
ნახვა იყო
ჩვენი განზრახვა
და არა ფუქათ
დროს ტარება,
ქეიფი ღვინით).
გზაში წინ და წინ
ვიხარებდით
კოჯორის ნახვით
მე და ალიოს
[illegible] ხოზობა“
[illegible] კანდეს ერთხმათ:
თან „ბიუჯეტი“
შევვიდგინეს
ექვსი მანეთით,
რომ იქ სადილი
დაგვჯდომოდა
თითო მანეთათ.
მომშირნეობა
მე ასეთი
არ მწამდა მათი,—
მაგრამ ფიცავდენ
პროლეტმწერლის
ნამუს და სინდისს
და მეც დავთანხმდი,
როცა მომცენ
ხუთი მანეთი
და გამომტყუეს
სიტყვა, რომ მათ
ვაჭმევდი სადილს.
და მეც ვფიქრობდი:
სასადილო
იქნება ალბათ
და ექვსისათვის
საკმაოა
ამდენი თანხა...
მაგრამ იმედი
არ გამართლდა
და დავრჩი სახტათ,
როცა კოჯორში
სასადილოს
არ იქნა ნახვა
—სადილს ინებებთ?—
შეგვეკითხა
ერთი უცნობი.
—დიახ, ძმობილო!—
ერთხმათ იყო
პასუხი ექვსის.
—მობრძანდით ჩემთან,
იოსკა ვარ,
ყველას ნაცნობი,
ზახარ ზახარიჩს
მე ვასწავლე
გარიცხვა თეფშის;
წვადებს შეგიწვავთ,
კახურ ღვინოს
დაგალევინებთ,
გავაშლევინებ
მოლზე სუფრას
აქვე ეზოში.

ჩემთან სტუმრობას,
ვა, თქვენგანი
ვინ დაიწუნებს
და ჩემზე უკეთ
პატივს ვინ გცემთ
დღევანდელ დროში?!
ეხლა კი მივხვდი—
ჩემს ჯიბეს თუ
რა მოელოდა,
გვიანღა იყო
„თითზე კბენა“
„სიტყვის პატრონის“...
სუფრა გაშალეს
და წვადები
ცეცხლზე იწოდა...
მოჰქონდათ: ღვინო,
წვანილები—— ——
და პური თორნის.
მადა გაგვეხსნა
ჩვენ ისეთი,
როგორც არასდროს
პეტრეს „დიეტა“
დაავიწყა
წვადის დანახვამ.
ფალიკო კახურს
დაეწაფა
„ყლუსწავლა“ ღვინოს.
დავითს ქამაში
ვერ გაუსწრო
ველარც სულავამ,
როცა სუფრაზე
ძვლები დარჩა
და ნამცეცები,—
ჩვენ მოვითხოვეთ
ანგარიში
დანახარჯისა,
იოსკა მარდათ
შეტრიალდა,
ასწია მხრები
და „მიპარუსკა“:
პოჟალიუისტა,
სჩოტ ბუდეტ სიჩას!
—აბა, ბიჭებო
„ჩამოყაჭეთ“
კიდევ ფულები;
ექვსი მანეთის
მარტო პეტრემ
„ჩასანსლა“. ალბათ...
მაგრამ არავის
არ ესმოდა
ჩემი სიტყვები,—
ავტოში იჯდენ
და მესმოდა:
—ჩქარა, მივდივართ!
ამ დროს იოსკამ
ანგარიში
გამომიწოდა
და ზედ ეწერა:
„ცხიგო ბუდიტ
დვადცატ ტრი რუბლი“.
შევხედე, გულში
„შეუკურთხე“,
მივეც რაც მქონდა.
(თუ დამრჩენოდეს
ერთი გროში
„წამიწყდეს სული“),
ანგარიში თან
წამოვიღე,
მაქვს შენახული.
აქ სწერია
მეორე გვერდზე:
არ მოგაკლდებათ
კოჯორში ცნობილ
იოსკასაგან
ღვინო კახური.
ადრესი: ზემო
გზატკეცილი,
იქ მე მიკითხავთ“.
და ეს წარწერა
რუსულადაც
არის თარგმნილი:
«И в Коджорах не умешит
Кахетинского
вина «Еськей».
იოსკა მართლა
კაცი არის
ისე მოქნილი,
რომ ცნობილ ზახარ
ზახარიჩსაც
აცლიდა „სიქას“.
ასე დასრულდა
ექსკურსია
ჩვენი კოჯორში,
და მე არ ვიცი
ანგარიში
ვინ გამინაღდოს?
პროლეტმწერლებმა?
მათ რა აქვთ?
ერთმა ამ ორში:
ან ს. თ-იამ, ავტო
რომ გვათხოვა,
ან მოვთხოვ მუშკოპს.
ს. თ—იას მართლა
მადლობის მეტს
რას ვემართლებით!
(ავტომობილი
ეგებ სადმე
კიდევ დაგვჭირდეს).
მუშკოპს კი უნდა
მოვსცხო ჩემი
საყვედურები,
რათა კოჯორში
სასადილო
მალე გაიხსნეს.

**გადარეული.**

## უხერხულ დროს



**ქმარი:**—ამას რას ვხედავ? ეს რა ამბავია?!
**ცოლი:**—რა იყო? ეს კაცი ექიმია და გულის ცემას მისინჯავს!




# სად შესტოპა?

მე უკვე ექვსი სხვადასხვა ფერის ძვირფასი კოსტიუმი შევიკერე... სულ ყველას ჩემზე რჩება თვალი. აბრეშუმის პერანგებს ყოველდღე ვიცვლი. გალსტუკებს ხომ სათვალავი არ აქვს.

ვიყიდე ისეთივე ქუდი, როგორიც ამანულა ხანს დაუნახე. ხელში მიჭირავს ტროსტი, ძვირფას თვალ-მარგალიტებით მოოჭვილი...

— ვინ არის ეს უცხოელი? ალბად, რომელიმე სახელმწიფოს კონსულია,—მესმის მანდილოსნების ნაზი ხმები ყურსაც კი არ ვუგდებ. მივდივარ დინჯად, ვაბოლებ სურნელოვან სიგარას...

მყავს საკუთარი ავტომობილი „მერსედეს". ჩემი შოფერი ჩემბერლენს ჰგავს... დილას, ან საღამოს ხომ პროსპექტებზე ჩავაქროლებ, ხალხში დიდ მითქმა-მოთქმას ვამჩნევ.

— შეხედეთ! შეხედეთ! —იძახიან და მუჯლუგუნს ურტყამენ ერთმანეთს.

მე აღარავის ვცნობილობ, „კოწია" ბიჭებს რომ სალამი მივცე, ხომ დავარდა ჩემი მარკა! ვარ ამაყად! ეს საჭიროა! სად მე და სად ეს ხალხი, ველურებივით რომ მოსჩანან ჩემთან შედარებით!

ყოველდღე ადეკალონით მიკეთებენ მასაჟს. მივირთმევ ნაირ-ნაირ ევროპიულ საჭმელებს, გაკეთებულს სპეციალურად გამოწერილ კულინარის მიერ. მოსამსახურე მყავს ექვსი: ერთი ფეხზე მაცმევს, მეორე—ტანზე, მესამე—სპეციალურად გალსტუკს მიკეთებს (ეს ყველაზე უფრო ძნელი და საპასუხისმგებლო სამუშაოა!). მეოთხე წვერს მპარსავს, მეხუთე—„პრიჩოსკას" მიკეთებს, მეექვსე—სუფრას აწყობს.

უკაცრავად ვარ, მაგრამ ჩემს კნეინას უკვე ბარგი აუკარი. ჩემს ესთეტიურ გემოვნებას არ შეეფერებოდა მისი გარეგნობა. მთავარი მიზეზი იყო ფეხები, რომელიც ბზიკ ნაკბენივით ჰქონდა ჩამოსივებული!

შევიყვარებ მხოლოდ მზეთუნახავს. მასაც, რასაკვირველია, დროებით. მრავალფეროვანი ცხოვრებაა ჩემი იდეალი!

მომბეზრდა აქ ცხოვრება! საზღვარ-გარეთ მომინდა წასვლა. ვიზა უსათუოდ უნდა ვიშოვო! ევროპის დედა-ქალაქებს მოვივლი. ამბობენ, იქაურ ქალებში დიდი მოწონება აქვს კავკასიელსო. გავინავარდებ, რას ვდარდობ! ცხოვრებას მეტს რას გამოვრჩები...

მთავარია ვიზა! ვიზა! ხვალიდანვე შევუდგები ვიზის შესაძენად ზრუნვას...

— აბა ბიჭო! ჩქარა! ავტომობილი! ერთი გავისეირნო რუსთაველის პროსპექტზე...

სპირიდონ ბუშტაძემ გაახილა თვალი. გაიხედ-გამოიხედა. უკვე გათენებულიყო, მზეს კარგა მაღლა წამოეწია.

— ეჰ! ყოველივე ეს იყო სიზმარი!—სთქვა სპირიდონმა.

სინამდვილე კი ასეთი იყო: ბიუროკრატობისათვის სამსახურიდან გამოპანღურებულ სპირდონს შერჩენოდა ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაცია, რომელზედაც ერთად-ერთ იმედს ამყარებდა.

სპირდონმა მეზობელს სთხოვა გაზეთი. ამოიკითხა მოგებათა სია, უიმედოთ ჩააქნია ხელი და ისევ წამოწვა ლოგინზე, რადგან სამსახურში აღარ მიეჩქარებოდა.

სეგიერ-ბენ-შეიხ.




თავის უფროსთან ცენტრში
მოკრძალებით სდგას გმირი.

სოფელში რომ გზავნიან,
აწეული აქვს ცხვირი.

ხალხური თქმულება:

# „ზოგი ჭირი მარგებელია“-ო

**ის არ** იყო გამგე,
არც მთავბუღი, სხვაცი;
მუშაობა მისი
იყო ორ-სამკეცი..,
მჭლე და ჩია იყვენ
მისი დედა, მამა
და არც ჰქონდა ტკბილი,
ნოყიერი ჭამა...

მაგრამ იგი მაინც
ისე გასუქდა, რომ—
იწონიდა რვა ფუთს
ტანსაცმელის „ტარომ“.

—:—

**იკვეხნიდა** ყველგან:
მაქვს ღონე და ჯანი;
მე მასუქებს ასე
კიტრი, ბადრიჯანი...
თქვენ კი თუ გინდ სჭამოთ:
კვერცხი, ხორცი, ერბო..,
გამოსცალოთ ყველა
მუშკოპი და „ეპო“...
რა გინდ იხლაფორთოთ,
თავისთავს რა უქნათ,—
მაინც ვერ გახდებით
თქვენ ჩემსავით მსუქნათ!

—:—

**იყო** არხეინად,
იზრდებოდა ღიპი,—
მაგრამ კიდევ გაზრდით
გაიშალა ჭიპი.
დაუსუსტდა გულიც,
(ცემა ჰქონდა ხშირი),
და ჰქნა ექიმისკენ
მან საშველად პირი.

—:—

**დაზღვეული** იყო
ვით მსახური იგი,

მაგრამ მან იცოდა—
იქნებოდა რიგი,—
მიტომ კერძო ექიმს
მიაშურა ჩქარა,
და შიგანი მის წინ
კილამ გადმოჰყარა.

—:—

მას ექიმმა უთხრა:



...და მან კერძო ექიმს
მიაშურა ჩქარა.

„მდა! საქმე რთულია:
ასეთ სიმსუქნისაგან
წაგხდომიათ გული.
„ჯერჯერობით კარგი
არაფერი ითქმის;
უნდა გახდეთ მეტად,
ნახევრამდე თითქმის,—
„თორემ ტყავში ხორცი
ველარ დაეტევა
და თან გულსაც ქონი
მალე მოერევა.
„ხომ ხართ დაზღვეული?“
ხომ გაქვთ თქვენ წიგნაკი?
მოგიხდებათ მეტად
ბორჯომ-აგარაკი“.

—:—

**წამოვიდა** იგი.
მოდის ნელა-ნელა
და ჩურჩულებს გულში:
„არის ხსნა და შველა“.

—:—

ამბულატორიის
ის მიადგა კარებს,
მაგრამ ერთი მისვლით
ექიმს ვინ აკარებს??

—:—

„ჩაეწერეთ დღეს და
ზეგ მიიღებთ ნომერს,
თუ თქვენთაგანს მა-ზეგ
გასინჯავენ რომელს!
**კითხა** მას ექიმმა:
„რა გაწუხებს თქვენა?“
ოხრა-ხვნეშით ძლივს-ღა
ამოიღო ენა:
„სიმსუქნე მაქვს დიდი,
თანაც გულის მანკი.
მნახა სხვა ექიმმა
და მირჩია მან კი,—
რომ დავჭლევდე, გავხდე
და დავკარგო ქონი.



მაგრამ ერთი მისვლით,
ექიმს ვინ აკარებს!

როგორ ფიქრობთ—რჩევა
არის მოსაწონი?
დავსნეულდი კაცი—
ძლივს-ღა ვგორავ ლებზე
და გთხოვთ გამაგზავნოთ
ბორჯომში ან წყლებზე".
ექიმმა კი უთხრა:
„მართალია, მაგრამ
ჩვენ ვერ გაგაგზავნით,
ხელს გვიჭერენ მაგრად.
„თქვენ მიმართოთ უნდა
მთავარ კომისიას,
რომელსაც, რომ ხვალ-ზეგ
ჩვენ წარუდგენთ სიას".

—:—

**წარსდგა** ავადმყოფი
კომისიის წინა.
„გამგზავნიან ალბად"
თავში დაუბნია.
ასედ-ჩამოხედეს,
ყველას მოეწონა.
(დაჰკარგოდა უკვე
ორი ფუთი წონა!)
კომისიამ უთხრა:
„რას გავხდები აქ მე?!
მთავარ კონტროლს სთხოვე.
არის მისი საქმე.
არც ისეა საქმე.
როგორც შენ გგონია!
მართალია: ქონი
უწინ კი გქონია,—
„მაგრამ არ გვაქვს ნება
ვგზავნოთ ასეთები.




„გავხდი კაცი ამდენ
დავიდარაბაში"..




„მთავარ კონტროლს სთხოვე
არის მისი საქმე."..

უნდა წაიკითხოთ
ჩვენი გაზეთები,
„რომლებშიაც ხშირად
ჩვენზე სწერენ, მიტომ
რომ ჩვენ პროტექციას
ვაწარმოებთ ვითომ".
გადის ხანი... და მას
ელირსა კონტროლი,
რომლის დიდი არის
უფლება და როლი.
წარსდგა, მაგრამ როგორ?
გამხდარი და ხმელი.
(დაჰკარგოდა წონა
ხუთი ფუთი მთელი).
უთხრეს: არა გიშავს!
მალე სულ გაივლის,
თუ კი გაატარებ
აქ ივნისს და ივლისს".
მოახსენა კონტროლს
საქმეც იყო რაში:
„გავხდი კაცი ამდენ
დავიდარაბაში.
„აწ რად მინდა თქვენი
ბორჯომი და წყალი?!"
ეს უთხრა და ძლივს-ღა
იდგა ის საწყალი...
და ბარბაცით კიბე
ჩაიარა ნელა...
„ეოლოკიტა"-მ მისცა
ამ კაცს ხსნა და შველა.

**ენუქი..**

**შემდეგ ნომერში გამოცხადებული იქნება კონკურსის შედეგი**

# დასასრული

(რომანი ექვს თავად)

გადაწყვეტილია აზარტიან სათამაშოების დახურვა.



მენახის დაცვა სეტყვისაგან ლევარსი როხროხაძის გამოგონებით

## 1. სახელი და სახსენებელი

სადილობის დროს პლატონი რაღაც ჩაფიქრებული იყო. მთელი თეფში ლობიო ისე შეუმჩნევლად შეჭამა, რომ ერთი სიტყვაც კი არ დაუძრავს ლობიოს მარგებლობიანობის შესახებ ორგანიზმისათვის.

— რას ჩაფიქრებულხარ, კაცო, ასე!? — შეეკითხა ცოლი.

— ვინ? მე;!— გაიოცა პლატონმა.

— ჰო, შენ!.. ვერც კი ამჩნევ, რას სჭამ.. მალე პურის ნაცვლად ხელსახოცსაც გადაუძახებ მუცელში.

— ჩასაფიქრებელი რა მაქვს... დღეს ჯამაგირები დაგვირიგეს..

— ჰო.. ალბად იმაზე ფიქრობ, სად შეინახო (!?).

მაგრამ პლატონს არც კი გაუგონია უკანასკნელი სიტყვები და სანამ ცოლი გულმოსულად უბრიალებდა თვალებს, დამშვიდებით მოუღო ბოლო ლობიოს მეორე თეფშს.

— ხარ მაძღარი? — შეეკითხა ბოლოს მზრუნველობით ცოლი.

— ვინ? მე!? — გაოცდა ისევ პლატონი.

— ღმერთმა ამოაგდოს შენი სახელი და სახსენებელი!

მაშ ვინ?. ვინ?! რა დაგემართა?

— რა უნდა დამმართოდა.. სხვებმა იკითხონ, თორემ მე კიდევ არ ჩავმჯდარვარ ისე...

— სად უნდა ჩამჯდარიყავი. რეებს ლაპარაკობ. თქვი ბარემ, რა მოხდა!

— რა უნდა მომხდარიყო?! არაფერი.. კიდეც რომ ვთქვა, მერე რა? მე კი არა, მთლად რომ შევიკრიბოთ სულყველამ, ვინც ჯერ კიდევ დაკეტილში არ ვართ, და ერთხმად მოვრთოთ ყვირილი, მაინც არაფერი გამოვა..

— თქვი მაინც კაცო, ენა ხომ არ ჩაგივარდება?.,

— ენის ჩავარდნა მაშინ თქვი...

ცოლმა უიმედოთ ჩააქნია ხელი.

## 2. სრულებით მოულოდნელად

სადილის შემდეგ პლატონმა ოთახში დაიწყო სიარული. ერთი საათის სიარულის შემდეგ მიაჩერდა რაღაც სურათს კედელზე და იქ დარჩა ასეთ მდგომარეობაში.

— ეგ სურათი უკვე სამი წელიწადია ჰკიდია მანდ და ეხლა უყურებ? შეეკითხა ცოლი.

პლატონი საჩქაროდ მოშორდა სურათს.

— რა ვუყოთ მერე.. მამაშენია, სხვა უცხო ხომ არ არის...

ბოლოს და ბოლოს მე მხოლოდ ერთი წუთი ვიდექი მის წინ...

— კარგი ერთი წუთია... ნახევარი საათი იყავი დასობილი მილიციელივით.

— თუ გინდა ნახევარი საათი იყოს. ეს მაინც წუთია ხუთ წელთან შედარებით, ისიც სასტ..

ცოლი აღელვებული წამოვარდა.

— რა ხუთი წელიწადი?! რომელი ხუთი წელიწადი?!. თქვი შე უბედურო, რა მოგივიდა-? რა ამბავია?- ხომ არავინ შემოგაკვდა ხელში?! ხლა ფორთში ხომ არ გაები სამსახურში?! ამხანაგებმა ხომ არ ჩაგითრიეს რაიმე ცუდ საქმეში?!? თქვი ბარემ; შე...

პლატონი შეიშმუშნა.

— იცი რა, ვერ გამიგია, რის გამო, მთავრობამ სრულებით მოულოდნელად ბრძანება გამოსცა აზარტიან სათამაშოების დახურვის შესახებ...

და პლატონმა უჩვენა ცოლს გაზეთში ის ადგილი, სადაც ეს იყო მოთავსებული.

ცოლი რაღაც უგუნებოდ გახდა.

## 3. იმედის დაღუპვა

— შენ რაღა გაწუხებს მერე? — კითხა ბოლოს ცოლმა პლატონს.

— ძაშ ვის უნდა აწუხებდეს! — შეუტია პლატონმა. — თუმცა მე რა? მე რა შუაში ვარ... პირიქით, ყოველგვარი ბურჟუაზიული მიდრეკილებანი, რომლებიც ჯერ კიდევ გამჯდარნი არის საზოგადოების ზოგიერთ ფენებში, აღმოფხვრილ უნდა იქნენ ძირიან - ფესვიანად.. მე ეს ძლიერ მახარებს.

— რაღაც არ გეტყობა სიხარული...

— რა ვუყოთ.. მე ის მაწუხებს, რომ ამდენი შემოსავალი ეკარგება მთავრობას... წარმოიდგინე, რამდენი ინვალიდი, შრომის უნარს-მოკლებული კარგავს სარჩენს... წარმოიდგინე, რამდენი კრუპიე და მათი ამხანაგები დარჩება უმუშევრად.. იმათ ხომ ჩვენ ვინახავდით ჩვენი შრომით და ოფლით:..

— როგორ ჩვენ?.. მაშ, შენ...

— არა, არა!. მე მხოლოდ იმათზე ვამბობ, რომლებიც ამ სათამაშოებში დადიან და თავიანთ ჯამაგირებს იქ სტოვებენ. გარდა ამისა, მე კიდევ ის მაწუხებს ვთქვათ, რომ აიღონ და ერთ დღეს მართლა მიაკეტონ ყველა ეს უმანკო გასართობი ადგილები, მაშინ სადღა უნდა დაიბრუნოს ამდენმა ხალხმა წაგებული ფული... ხომ დაეღუპათ უკანასკნელი იმედი.

პლატონმა აღელვებულად დაიწყო ისევ იქით - აქეთ სიარული.

— ნუ თუ ლოტოებსაც დახურავენ? — იკითხა შეკრთომით ცოლმა.

— ალბად.. განა შენთვის სულ ერთი არაა?

— მმ... რა იქმა უნდა... მე მხოლოდ ეს ჩვენი მეზობელი ქალი მეცოდებაა

## 4. გულის თამაში

როცა შეღამდა, პლატონმა რაღაც საეჭვო ხმით განაცხადა, რომ კრებაზე აპირებს წასვლას.

დიდი დავიდარაბის შემდეგ ცოლმა როგორც იქნა დაატოვებინა მას ჯამაგირის ნახევარი და მერე კარებამდინაც კი მიაცილა.

— ხელი მოაწერე, რომ მიხვიდე.. არ დაგავიწყდეს.

გზაში პლატონს ათასნაირი აზრები უტრიალებდა თავში.

— დღეს, რაღაც ისე მითამაშებს გული, რომ უთუოდ დავიბრუნებ ყველაფერს... ტყუილად კი არ ვნახე წუხელის სიზმარი.... მერე კი რაც უნ-



რეჟისორი (მსახიობს):—თქვენ თავი მოიკალით.. თქვენ მკვდარი ხართ... მეტი სიცოცხლე... სიცოცხლე თამაშში!

მსახიობი:—ეს რა ხათაბალი ყოფილა! თუ მკვდარი ვარ, რაღა სიცოცხლე უნდა გამოვიჩინო?!

დათ ის ქნან.. უფრო უკეთესი, თუ დაკეტავენ... ვინ იცის, იქნება კიდეც მოგებაში დავრჩე...ო, დღეს უთუოდ დავიბრუნებ ყველაფერს...

ეს საღამოც ჩვეულებრივად დამთავრდა. სამი საათის უკან პლატონს კარგი დასტა ფული ჰქონდა ჩაკეცილი გულ ჯიბეში, ზოგი თავისი და ზოგიც არა თავისი. ეხლა კი იქ არც თავისი იყო და არც სხვისი, გარდა ტრამვაის ფულისა, რომელიც იმიტომ შერჩა, რომ ამ თანხით ერთხელ თამაშიც კი არ შეიძლებოდა.

გამოსავლისაკენ რომ წამოვიდა, კარებთან უეცრად ცოლს დაეწია.

— შენ აქ რას აკეთებდი!? — კითხა მან ცოლს.

— შენ რაღას აკეთებდი?

— მე, ისე... საყურებლად ვიყავი.. მეტად საინტერესოა...

— მეც ისე.. მართლაც რომ საინტერესოა...

## ზ. წარსული, აწმყო და მომავალი

ტრამვაიში ჩუმად ისხდენ.

— გახსოვს, — შეეკითხა ბოლოს პლატონი ცოლს, — ამას წინად ფული რომ მოგეცი შკაფის საყიდლად.. ჯანდაბას... უშკაფოდაც გავძლებთ.. ის ფული ძალიან დაგვჭირდება ამ თვეში სახარჯოთ.

— ლოტოში რომ ბედი მქონოდა, მე იმ ფულით შკაფთან ერთად კოვერკოტის პლაშჩსაც ვიყიდდი..

ისევ დუმილი ჩამოვარდა.

— შენ გახსოვს, — შეეკითხა ეხლა ცოლი პლატონს, — შავ დღისათვის ფული რომ გქონდა გადადებული შემნახველ სალაროში...

— ის შავი დღე დიდი ხანია რაც მოვიდა და წავიდა კიდეც...

— მაშ ავანსი ითხოვე... მალე წინ წაგწევენ, ჯამაგირს მოგიმატებენ და იოლად გავისტუმრებთ...

— უავანსოდაც საკმაო მაქვს გამოტანილი.. წაწევით კი ვინ იცის, საით წამწევენ...

—•—

სახლში პლატონ უეცრად მხიარულება დაეტყო და მალე ცოლსაც გაუზიარა თავისი იმედები:

— შენ დარდი ნუ გაქვს... მადლობა ღმერთს, ჯერ არ დაუხურავთ და კიდევ მოვასწრებთ დაბრუნებას.. მხოლოდ მოსწრება უნდა, სანამ დაიკეტებოდეს. თანხას ვიშოვით... მერე კი, როცა დაიკეტება, ჩვენ შეგვიძლია საკუთარი კაზინო გავხსნათ ჩვენს ბინაზე და ვინაიდან კონკურენტი არ გვეყოლება, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

## წინ წაწევა

მესამე დღეს წითელარმიელებს პლატონი ორთაჭალისაკენ მიჰყავდათ.

დასასრული.

**ხინემატო.**

# გურული სცენა

ძმაო და ამხანაგებო! ამირჩიეთ, წავედი... დაბალ ვახშმობაზე რომ მუახტი მაშინას და ხის წვერებს რომ მზემ ამოაცილა, შლეჭა მუადინე კაკალ თბილისში, და ვტიკე თავის სოფლის კავშირის დელეგატების კრებაში.

გეიხსნა კრება. გამოცვინდენ მარა რა გამოცვინდენ მოლაპარიკე კაცები აგი ამის თავმჯდომარეთო, იგი იმის „ზავია“-ო, იგი „ზავი“-ს „ზამია“-ო, ნახე ჩემო ძამიაო... ილაპარაკეს, ძმაო, მარა დიეთხუვე და უშვი... სულ „გლეხები და გლეხები“...

ბუნებამ დაუმადლონ ჩვენი ასეთი მოხსენება. ჩვენს გაჯახირებულ სიცოცხლეს მაინც არ მიეცა საშველი, თვარა, ვინ იცის, რამდენი მომხმარე გვყოლია... დავპრაწე თვალები ტრაპაიძის კუროსავით. გამავიწყდა, რომ მარიამიზა ხინკილაი არ დამიტიებია სახში, ყანაში რომ ღორები იფუგნენებოდა და ბახჩაში ქათმები იჩხრიკებოდა... ვითამ ვარ სამოთხეში, არის პრასა-პრასათ პაპრაგანდა. აქეთური, იქითური, ჩერიე და სათითური... დღეს, ხვალ, ზეგ... ვინ რას ჩიოდა, არ ვიცი, მარა ხელის გული მაინც ტაშის ცემით გევიტკეცლიცე. გათავდა, რაცხა იყო, გადაწყდა ჩვენდა ყოლიფერი კაი: ბანკმა—„ფარაში შეგაცურებთ“-ო, სოფლის კავშირმა—„ჩვენ მოგახმართო: იმისთანა მანქანებს გამოგიგზავნითო, რომ თქვენი ხარები, პრასა არ იყოს იმასთანა“-ო; კოლექციამ—„რაცხა კოლექტივიაო, იმაში ჩაგაბამთ“-ო *)... აგი ძროხას გვპირდება, იგი სიმინდს. ერთი სიტყვით, გაგვიცოცხლდა ბაბაი, სხვაი რაღაი, იმისთანაი სასახლე უუშენებიათ, ძამიავ, რომ მთელ ლანჩხუთს იყიდის...

მუშების სასახლე და კლუბი რომ ნახო, იტყვით: „ღმერთო, რაა აგიო?!“.. რაცხა, ზაგეზიაო, გუუკებიათ, თლა სანცო მოსანახავია! რომ დაღამდება, თლათ კიდის-კიდემდე მარსკვლავებით მუაჭიკჭიკებს მთელ თბილისს და მიწაზე ლეფსი რომ დააგდო, არ დეიკარგება. ნუ გამამტყუნებთ და ვინატრე: ერთი აი ყოლიფერი ნიკოლოზას დაანახვა მისი დასაფსები თვალებით-მეთქი.

ხო, აპა წაიკიდოდა, ჩვენ მოგვეცემა საშველი: გავნათდებით, გავპროლეტარდებით და ჩვენც კაცები გავხდებით. გაგვითოვდება: აქეთ-კოლექტივიზაცია, იქეთ—მაშინიზაცია, წინ ინდუსტრიალიზაცია, უკან შვიდი საათის მუშაობიზაცია, გვერდზე—ჩვიდმეტი საათის ჰმა,ძილი—ქეიფიზაცია.

ჩვენ—ბანკი და სესხი, „კულაკებს“ კი—ზარი და მეხი. იგინი—ჰირში, ჩვენ—ლხინში და შვიდობით ყველაყაი!...

**შხანკოლა.**

*) უი, დაბმა არ ასცილდა იმას, ღმერთის წყალობით...

**მაყურებელი ქალის წამოძახილი.**

# ჩვენს ეზოში

უკვე გათავდა გასტროლებიც.
გამოიკეტა თეატრების კარები.
სად უნდა წავიდეთ გასართობათ?

მართალია: უკვე გაიხსნა მრავალი საზაფხულო-კლუბი, სადაც წარმოდგენები იმართება, მაგრამ ეს მაინც ვერ დააკმაყოფილებს თეატრალურ საზოგადოებას ამიტომ ვაცხადებთ საერთო საყურადღებოდ, რომ ჩვენს ეზოში, ბალკონზე ხშირად იმართება უფასო წარმოდგენები, რომლებსაც ესწრება მთელი ჩვენი ეზო და მეზობლობა.

ჯერჯერობით რეპერტუარიდან იდგმება:

# „შეჯიბრი“

### მოქმედნი პირნი:

ნადია და ნასტია მეზობლები, დიასახლისები.
კოლია მეზობლის ბიჭი.

რეკვიზიტი: მუშტები, გრჭყალები, სანაგვე ხალათი, ვედრო წყალი, ძველი საცვლები და სხვა.

სცენა წარმოადგენს ორივე დიასახლისის ბინის საერთო ბალკონს, რომლის კუთხეში ფეხსალაგია და ახლოს წყლის ონკანი. ბალკონის მეორე კუთხე გადაკეთებულია სამზარეულოთ, რადგან უწინდელი ნამდვილი სამზარეულო სახლის - პატრონს ოთახად „უქცევია“ და გაუქირავებია 300 მანეთად. კედელზე მიჭედებულია ელექტრო-მრიცხველი, რომელიც ეკუთვნის ორივე ბინას.

ჯერ სცენაზე (ბალკონზე) არავინ არის; ხოლო სამზარეულოში იძმის ორივე დიასახლისის კაპასი, რომლის გაჟონებაზე მდგმურები გარედ გამოდიან.

მდგმურები: — რა ამბავია!? როგორც კი ადგებიან, მაშინვე ჩხუბს იწყებენ!

კოლია (გამოვარდება ბალკონზე): — იწყება, იწყება... გთხოვთ დაიკავოთ თავიანთი ადგილები. (სტვის).

ნადია (გამოდის გინებით სამზარეულოდან):— თუ ქალი ხარ, აგერ გამოდი ბალკონზე და აქ გაგელაპარაკები, თორემ მანდ ყველაფერი დაიმტვრევა.

კოლია: — ოი, გენაცვალე, მასე უნდა!

ნასტია (ისიც გამოდის): — აქა ვარ! აბა გააქანე ხელი, თავი ცხრად გაგიხადო!

ნადია: — ჯერ მოიცა! ჯერ აგერ ამათ თვალ-წინ (უჩვენებს მაყურებელ მეზობელზე) უნდა გამოგთართხო —რატომ არ სწმენდ ამ ბალკონს?

ნასტია: — რამდენიც მეკუთვნის, იმდენს კიდეც ვწმენდ... გიცხონდეს სული—შენს ბავშებსა და შენს იმერელ სტუმრებს, რომლებიც ბუზებივით სვრიან აქ, მე ვემსახურო! მანამდე არ აგიდგეს გვერდები.

ნადია: — ვაი, შე უბედურო, აბა შენსავით ჯორი კი არა ვარ, რომ შვილი არ მყავდეს. ხუთი წელიწადია გათხოვილი ხარ და ერთი შვილიც არა გყავს.

ნასტია: — ეს შენი საქმე არ არის... არ მინდა, თორემ კიდეც მეყოლება.

ნადია: — კი. აბა! მთელი ერთი როტა სალდათებს რომ შენი ქმარი იყოს, შვილი მაინც არ გეყოლება, რადგან ჯორი ხარ, ჯორი.

ნასტია: — ჯორიცა ხარ და ძროხაც. შენი ქმარი ახლა არ იქნებოდა ხორცის კრიზისი. ორ-სამჯერ რომ ეხლა არ იქნებოდა ხორცის კრიზისი. ო-სამჯერ რომ აბორტი არ გამეკეთებია, ეხლა ოთხი წლის ვაჟი მეყოლებოდა.

ნადია:—ჰმ! ოთხის არა, ათის არ გინდა?! ისიც ვაჟი! მასე ადვილი როდის არის ვაჟის გაკეთება! ჩემსავით ჯიშიანი უნდა იყო, რომ ვაჟი გააკეთო... აბორტს ნუ აბრალებ შენს ჯორობას. აბორტი მეც კი გავიკეთე სამ-ოთხჯერ, მარა შემდეგ შვილი მაინც კი მეყოლა.

კოლია: — ვაჰხ! რა ხალხია!? ბალკონის შესახებ დაიწყეს და აბორტზე გადავიდნენ! ჰყვირიან და ჩხუბობენ, — ერთმანეთს კი არა სცემენ! (ნადიასა და ნასტიას) ბალკონი დაგავიწყდათ?

ნადია: — ნაკლებად დამვიწყებია... ჰო, იმას გეუბნებოდი, რატომ უფრო ხშირად არ ასუფთავებ ბალკონს? შენც ხომ ხმარობ?!



ნასტია: — ხანდახან ხომ ვასუფთავებ? მეტი მე არ მეკუთვნის.

ნადია: — ოჰო, ხანდახან! რა პრინცესა და პარიჟანკა შენ ხარ, რომ ხანდახან გასწმინდო?!

ნასტია: — ნუ ჰყვირი იერიქონის ჩაყვირივით და ნუ ღრიალებ ბაყბაყ-დევივით.

ნადია: — არ მინდა შენი არაფერი. გავიყოთ იატაკი.

ნასტია: — არც მაგაზე გეტყვი უარს, ხოლო ყვირილს უკელი; ხომ ხედავ ყველა ჩვენ გვიცქერის?!

ნადია: — გვიცქერის, თორემ ძალიან გრცხვენია; შენ სადა გაქვს სინდის-ნამუსი! (ზომავს იატაკს) აი, აქედან შენ უნდა გასწმინდო.

ნასტია: — ოჰო, მომიზომა ნახევარი! ჩვენ ორი სული ვართ—მე და ჩემი ქმარი. თქვენ კი—(თითებზე ითვლის) ბარე შვიდი. მაშასადამე: სამნახევარჯერ მეტი გეკუთვნის თქვენ,—აი ამდენი (მიუზომავს).

კოლია (სცდილობს ორივეს გალიზიანებას):— მართალია, ესენი მეტი არიან, მაგრამ ამისათვის მათ „სკიდკა“ უნდა მიეცეს.

ნადია: — ახლა არა გრცხვენია, რომ ამ პატარა ბიჭს შენზე მეტი ჭკუა აქვს?!

ნასტია: — რა „სკიდკა“?! აქ კოოპერატივი ხომ არ არის?

კოლია: — ესეც მართალია, თქვენ, ნადია, ბევრი



— რა არის შვილო, რომ ასე იგვიანებ ყოველთვის? უკვე ღამის პირველი საათია!

— ხომ იცი, მამა—ღამეობით გამგესთან „სვერხ-უროჩნებს" ვაკეთებ!



ექიმი: — სახელი... გვარი... მამის სახელი. როდის დაიბადა... რამდენი წლისაა... მამაკაცია თუ დედაკაცი?

დედა: — დაგიდგეს თვალები, ვერა ხედავ, რომ ვაჟია და კაცი კვდება! რა დროს ანკეტაა, წამალი მომაშველე!

ხსსსს... ჩვენ ასეთი წესი გვაქვს... იყო თუ არა ავათ? პროფესია... (და ასე შემდეგ)

ბავშები გყავთ. ისინი ყოველთვის ბალკონზე თამაშობენ და იატაკს სვრიან. ამიტომ მართალს ამბობს ნასტია!

ნასტია: (ნიშნის მოგებით): — ჰააა! ეხლა არა გრცხვენია, რომ ამ პატარა ბიჭს შენზე მეტი ჭკუა აქვს? სადა გაქვს სინდის-ნამუსი? ტურის შუბლი გაქვს ნამდვილი, ტურის შუბლი.

კოლია: — წახდა საქმე. ასე ლაპარაკობენ, რომ მგონი ჩხუბი არ მოუვათ.

ნადია: — აი შენი შუბლიც! (სანაგვე კალათს ესვრის).

ნასტია: — მე შენ გაჩვენებ სეირს (ებღლჯება და სახეს უკაწრავს).

კოლია: — დიპტიპიტო. (ცეკვობს. სხვები იცინიან), აბა რომელმა აჯობოთ... მასე... მასე!;;;

ნადია: — იგი შენ! (ერთმანეთს შორდებიან).

ნასტია: — მე რა უნდა მიამოს! ჩაიხედე სარკეში, აზლად დაქვრივებულ ქალსავით ხარ დაკაწრული. გიამა?

ნადია: — მე რომ მეუბნები, ერთი შენ ჩაიხედე სარკეში, შეშლილსავით გაქვს თმები გაწეწილი.

ნასტია:—ეს არაფერია. ამ საღამოს პრიჩოსკას გავიკეთებ... ოი, ვენაცვალე ამ ჩემს მანიკურს (იცქირება თითებზე); აწი ყოველდღე გავიკეთებ, გამომადგება შენთან. აბა რა გგონია, შენ რომ ფრჩხილებს არ იწმენდ და შიგ ორი ფუთი ნაკელი გაქვს!

ნადია:—ბრჭყალები კატის საქმეა...

ნასტია:—ჰო, მართლა, შენი კატა ნუ დადის ჩემს ოთახში და ჩემს თაგვებს ნუ იჭერს, თორემ თავს გაუჭეჭყავ და სადილად მოგართმევ.

ნადია:—აქეთ არ დავინახო შენი ლეკვი, თორემ, მაშინ ნახავ რა მოხრაკული მოგართვა დესერტად.

ნასტია:—ეს შენი საქმე არ არის.

ნადია:— თუ არ არის, ნახავ, ლეკვს გაიჩენ, —მე მაღლს გავიჩენ. გოჭს იყიდი, მე ღორს ვიყიდი და არ მოგცემ მოსვენებას; ყველას აი აქ ბალკონზე მივუჩენ ბინას.

ნასტია:—არა, შენს ლოგინში დაიწვინე, ნუ გეშინია არ შეგეზიზღოს.

ნადია:—ვაი, შე წელმოტეხილო და ზარმაცო. სისუფთავე და დალაგება შენ გეზარება, თორემ მე არა... შენ ყველაფერზე ასე იცი. ფეხსადგილს კვირაში ერთხელაც არ გასმწენდ და ჩვენ გვიხდება მისი წმენდა.

ნასტია:—იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ვხმარობ, კიდეც ვწმედავ.

კოლია (მაყურებლებს):—კარგად არის საქმე! რაკი ფეხისადგილზე გადავიდნენ, აუცილებლად კარგ სანახაობას ვნახავთ.

ნადია:—ფეხისადგილი ყველას თანაბრად სჭირია და ყველა თანაბრად უნდა სწმენდდეს.

ნასტია:— ჩვენ ორი ვართ; თქვენ კი—შვიდი.

ნადია:—სამი არ არის მხედველობაში მისაღები, რადგან მე და ბავშები „გარშოკს" ვხმარობთ და ფეხისადგილში არ დავდივართ.

ნასტია:—ვაი, შე სულელო, „გარშოკი" ხომ ფეხისადგილში უნდა გასწმიდო?! „გარშოკს" მეც კი ვხმარობ, მაგრამ ამისათვის შეღავათს არ ვთხოულობ. გარდა ამისა, ჩემი ქმარი ძალიან ხშირად არის მუცელში შეკრული, რადგან ბუასილით არის ავად.

ნადია:—რა ვიცი, დღეში სამ-ოთხჯერ კი შედის და მთელი საათობით ზის შიგ.

ნასტია:—მერე რა! დადის, მაგრამ გეუბნები მუცელში შეკრულია მეთქი. მუცელი ატყუილებს.

ნადია:— არაფერსაც არ ატყუილებ, არაფერიც არ არის შეკრული... შეკრული კი არა, ფალარათი ჰქონდა გუშინ... ყველაფერი გავიგონე.

ნასტია:—გუშინ ზეთი დალია და იმიტომ

ნადია:—ჰოოო, ეს სულერთია: ერთი კვირა ითმინო და ბოლოს ერთად გამოახვიო ყველაფერი. მთელი საათი იჯდა შიგ.

ნასტია:—ჰა, ახალი გამოგონება! შენ ფეხისადგილის „სჩეტჩიკი", მრიცხველი ყოფილხარ. კარგად აღნიშნე თუ ვინ რამდენჯერ შედის და რამდენ საათს ზის შიგ!

ნადია:—აბა, ახლა დაითვალე რამდენი ჭაგარტყა თავში (გაარტყამს).

**ნასტია:**—შენზე ნაკლები გამრტყმელი ვინც იყოს, შევარცხვინე! (სცემენ ერთმანეთს).

**კოლია:**—აბა არ აგკობოთ ერთმანეთს... არ ჩამოუვარდეთ ერთმანეთს... ჰო, ჰო, მასე.. კარგი იყო. ესეც კარგი იყო. (ნადია და ნასტია ერთმანეთს ჩიხლებს ჰკრავენ და ორივე იქით-აქეთ წაიქცევიან).

**ნადია:**—დარბილდი კარგად?

**ნასტია:**—შენზე უფრო ნაკლებად; შენ კი ჩემზე უფრო უკეთესად დარბილდი. აწი ხომ ისწავლი ჭკუას?

**ნადია:**—უყურე, ამ უტიფარს?! კიდევ იმას გაიძახის, რომ მე მოგერიეო!

**კოლია:**—საეჭვოა; მართლაც არ ვიცით ვინ ვის სჯობნით. განაგრძეთ კიდევ და გამოაშკარავდება!

**ნასტია:**—მოვიდეს და ისეთს გავუშლი სახეში, რომ ელექტრონი აენთოს თვალებში.

**ნადია:**—შენ ელექტრონი გახსოვს იმიტომ, რომ ჩვენზე მეტს ხარჯავთ. მთელი ღამის განმავლობაში ანთებული გაქვთ. კი ვიცი მე; როცა თქვენ დაწვებით, ჩუმად შემოვიპარები და ვხედავ ელექტრონი ანთია.

**ნასტია:**—მერე რა?! სამაგიეროთ შენ ორი „ლამპოჩკა“ გაქვს. ღამით მეშინია და იმიტომ არ ვაქრობ.

**ნადია:**—გეშინია და გლახაკი რომხარ,—ეს მეც ვიცი. ოი, „ტელას“-ი დაიქცეს და მოისპოს, თუ მას ცალცალკე დაედგა ჩვენთვის ელექტრო-მრიცხველი.

**ნასტია:**—აი, მაგაში მეც გეთანხმები. მართლაც დაექცეს ოჯახი ის რაღაც ოხრობა „ტელას“-ია.

ნეტავი ამერიკაში ვცხოვრობდე, რომ დღე და ღამეც არ მქონდეს ამისი საზიარო, თორემ სხვა რამე ღმერთმა დამიფაროს!

**ნადია:**— ჰმ! ამერიკაში?! ხა-ხა-ხა- ამერიკაში მოუნდა წაბრძანება ქალბატონს!

**ნასტია:**—რა უნდა გელაპარაკო, როცა შენთან ლაპარაკიც არ შეიძლება.

**ნადია:**—ანდა რა უნდა მელაპარაკო, როცა პირი წყლითა გაქვს სავსე?!

**ნასტია:**—შენ ყოველთვის წყალი გახსოვს,—მაშა განახე დამხრჩვალი.

**ნადია:**—დახრჩობა როგორც უნდა, ახლავე გაჩვენებ (ეცემა ყელში ნასტიას, რომელიც თავის მხრივ ასევე ექცევა ნადიას).

**კოლია:**—მოუჭირეთ მაგრად!

**მაყურებლები:**—გაუშვით ხელი ერთმანეთს, თორემ ორივე დაიხრჩობით.

**ნადია** (ძლივს ლაპარაკობს):—გამიშვას და გავუშვებ!

**ნასტია** (ესეც ძლივს ლაპარაკობს):—არა, პირველად შენ მეცი ყელში; გამიშვი და გაგიშვებ.

**ნადია** (უშვებს):—აჰა, გამიშვი ეხლა!

**ნასტია:**—ნაკლებათ გამიშვიხარ!

**ნადია:**—მომატყვილე ხომ, აბა ნახე! (დააპირებს ისევ ყელში ცემას, მაგრამ ნასტია გაუშვებს) არ გაგეშვა ხელი, განახვებდი სეირს!

**ნასტია:**—კარგია, აწი აღარ შეგეძლება ძველებურად ყვირილი, თავხედი! ამდენ წყალს ხმარობ, მაგრამ მე მაინც არაფერს გეუბნები!

**ნადია:**—რა უნდა მითხრა?

**ნასტია:**—ის უნდა გითხრა, რომ მე არ მეკუთვნის ამდენი წყლის გადასახადი, მაგრამ შენსავით მაინც ყველაფერზე არ ვწუწუნებ.

**ნადია:**—წყალს შენც კი ხარჯავ!

**ნასტია:**—კი ვხარჯავ მარა არა ისე, როგორც შენ. თქვენ სადილზე ყოველთვის წყალს სვამთ. ჩემი ქმარი კი ულვინოთ სადილს არ სჭამს.

**ნადია:**—შენი ქმარი რომ ლოთი იყოს, ჩემი რა საქმეა! ჩემი ქმარი არ არის ლოთი, ის წყალს სვამს.

**ნასტია:**—ეს იმიტომ კი არ მოსდის შენს ქმარს, რომ ღვინო არ უყვარდეს და ლოთი არ იყოს,—არამედ იმიტომ რომ ფული არა აქვს და ვერ ყიდულობს.

**ნადია:**—ტყუილათ გგონია. ჩემი ქმარი გამგის თანაშემწეა. გამგე ეხლა ავათ არის და, თუ ღმერთმა ჰქნა და მოკვდა, შეიძლება მის ადგილზე დანიშნონ.

**ნასტია:**—ჩემი ქმარი მთავარი ბუჰხალტერია. შენს ქმარზე მეტი ჯამაგირი აქვს.

**ნადია:**—სამაგიეროთ „კამანდიროვკებში“ იმდენს აკეთებს, რომ წაალილებს შენი ქმრის ჯამაგირს.

**კოლია:**—წყალის საქმე როგორ არის? წყალზე ჩხუბობდით და ეხლა ქმრებზე გადადით?!

**ნადია:**—სარეცხი მაგასაც კი აქვს, მარა მაინც ასე ლაპარაკობს.

**ნასტია:**—სარეცხიც არის და სარეცხიც. აი ეს შენი ნიფხავი! (აიღებს ხელში თავმოყრილ სარეცხიდან) რასა ჰგავს ეს?! ამას მტკვარი ვერ გარეცხავს, არა თუ ეზოს წყალი. ოცი ვედრო წყალი მაინც დაიხარჯება ამის გარეცხვაზე!

**ნადია:**—გიცხონდა სული, შენ გაცვია ტანზე უფრო სუფთა და უკეთესი.

**ნასტია:**—აი, შეხედე (აიწევს კაბას და უჩვენებს ქვემო საცვალს) დაგიდგეს თვალები, მთლად შენს იმას ჰგავს?!

**ნადია:**—მაგაზე უარესია ეს?! (ესეც აიწევს კაბას და უჩვენებს თავის საცვლებს). შეხედე მაგ დასაფსებ თვალებით! ხომ ხედავ როგორი „კრუჟევოები“ აქვს?! (ხმა ეზოდან: **„ზევით ასწით ზევით... ჩვენ უნდა შევადაროთ რომელი სჯობია“..** ისმის სიცილი და სტვენა).

**ნასტია:**—ფუი, მიტკლის ყოფილა... ჩემი ბატისტის არის. ვერა ხედავ ამ მერეჟკებს და ამ „კრუჟევოებს“? დაგიდგეს თვალები! იმის შნოც არა გაქვს მიხვდე და იცოდე თუ რომელი სჯობია (ჭოჭოლას მიაყრის).

**ნადია** (გაბრაზებული შეაყრის სარეცხს და მუშტებს ჩაარტყამს. ნასტია წიხლს ჰკრავს, შემდეგ აიღებს წყლით სავსე ვედროს და ასხამს თავზე).

**ნასტია:**—შენ მონათვლა გაკლდა და იმიტომ იყავი ასე გადარეული. აწი დაჭკვიანდები.

**ნადია** (შევარდება სამზარეულოში, გამოიტანს პურის საჭრელ დიდ დანას და დაედევნება ნასტიას, რომელიც გარბის და თავის ბინაში იკეტს კარებს):—ქალი ხარ და გამობრძანდი გარეთ! შიგანს დაგაყრევიებ აქვე!

(მაყურებლები სიცილით იშლებიან). **ისელი.**



**ქალი:**— თანახმა ვარ წამოგყვე ცოლად, მაგრამ ცრუმორწმუნე ხომ არა ხართ?

— რატომ მეკითხებით ამას?

— იმიტომ, რომ მეცამეტე ქმარი იქნებით ჩემი... ხომ იცით—ცამეტი კვიმატი რიცხვია?!

## „რღვევა“

ბევრ ალაგას დაიდგა პროვინციებში რევოლიუციონური პიესა „რღვევა“.



— სად მიეჩქარები, კაცო? „რღვევა“-ზე ხომ არა?!
— ღმერთმა დამიფაროს კიდევ რღვევას დავესწრო სადმე! ის არ მეყოფა, რაც ჩემს სახლში შვილების გადაკიდული რღვევა და ნგრევაა?!

# როგორ გავხდი ურწმუნო

არ არსებობს ისეთი ორგანიზაცია, სადაც მე წევრად არ ვიყო, მიუხედავად იმისა, რომ არსად საწევროს არ ვიხდი. მხოლოდ არ ვიცი როგორ გამომრჩა, რომ დღემდე ურწმუნოთა კავშირში არ ჩავეწერე.

ჩემი შეცდომა რომ გამომესწორებინა, ერთ დღეს გადავწყვიტე მივსულიყავ ურწმუნოთა კავშირში, დაგვიანებისათვის ბოდიში მომეხადა და მეთქვა:—სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს!

ასეც მოვიქეცი.

სამ დღეს ვეძებე ურწმუნოთა კავშირი, მაგრამ ვერსად მივაგენი. ბოლოს მილიციელს მივმართე, რომელიც ზაფხულის ტანისამოსის მიღების სიხარულით გამტერებულიყო და ეხლა ამაზე ფიქრობდა, თუ ძველი ტანისამოსი რა ფასში გაეყიდა. —ამხანაგო, ხომ არ იცი სად არის ურწმუნოთა კავშირი?—ვკითხე მილიციელს. მილიციელი მხოლოდ ეხლა გამოერკვა, თვალები მოიფშვნიტა, ისარს მარჯვნივ გადასწია და გზა მისცა ავტომობილს, რომელიც 5 წუთი მეტი იდგა და სიგნალს აძლევდა ოცებით გატაცებულ მილიციელს.

— ურწმუნოთა კავშირი გინდათ?

— დიახ, დიახ.

— მიბრძანდით პირდაპირ შენობაში, ყველა კავშირები მანდ არის.— მითხრა და მიმითითა მუშათა სასახლეზე.

— მე ჩერჩეტმა, აქამდის როგორ ვერ ვიფიქრე, რომ ურწმუნოთა კავშირი აქ იქნებოდა?!—გავიფიქრე და მილიციელს მადლობა ვერც კი გადავუხადე, დარცხვენილი გამოვბრუნდი და შეველ სასახლეში.

— რომელ სართულშია ურწმუნოთა კავშირი?—ვკითხე ერთ-ერთს, რომელიც ჯერ ჩაფიქრდა და ბოლოს უცბად მომიგო —მეორე სართულში.

აველი მეორე სართულში, მეორედან მესამეში, მესამედან მეოთხეში, მეოთხედან მეხუთეში, მეხუთედან პირველში, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ვიპოვე. ერთმა ცეკავშირზე მიმასწავლა:— ეგ კავშირი თუ იქნება, იქ იქნებაო.

ნამდვილათ იცით, რომ იქ იქნება?—ვკითხე უცნობს.

ნამდვილათ იცით, რომ იქ იქნება?—ვკითხე უცნობ ურწმუნოს და ყოველთვის იქა ვხვდები, ალბად ურწმუნოთა კავშირიც იქ არის.

რასაკვირველია, არც ცეკავშირში აღმოჩნდა ეს კავშირი, ხოლო იქ კი ისეთ კაცს შევხვდი, რომელმაც სწორ კვალზე დამაყენა და როგორც იქნა მივაგენ ურწმუნოთა კავშირს, შეველ ოთახში და ერთ-ერთს განუცხადე ჩემი სურვილი.

— კეთილი,— მიპასუხა მან,— მხოლოდ უნდა მომიყვეთ და მითხრათ თქვენი თავგადასავალი, რა სარწმუნოებისა იყვენ თქვენი მშობლები, ბებია, ბაბუა და სხვა ნათესავები, ისიც უნდა მითხრათ, თუ როგორ გახდით ურწმუნო.

ცოტა არ იყოს უხერხულ მდგომარეობაში ჩავდექი: რო მცოდნოდა, მოვემზადებოდი, ეხლა კი მეტი რა გზა მქონდა, რაც პირზე მომადგებოდა, ის უნდა მეთქვა, და დავიწყე რიხიანად:

— მე, შენი ჭირიმე, დიდათ ურწმუნო კაცი ვარ, მიუხედავათ იმისა, რომ მამაჩემი საეკლესიო საბჭოს წევრია, ხოლო დედაჩემს თავის ჯეელობაში ვიღაც მღვდელი ჰყვარებია. თუ როგორ გავხდი ურწმუნო, ამასაც მოგახსენებთ:

— გასული ზამთარი რომ ძალიან ცივი იყო, ეს თქვენც იცით. დილის 5 საათზე გამომეღვიძა. ოთახშიც ისე ციოდა, როგორც გარეთ, რადგან მთელი ზამთრის განმავლობაში ცეცხლი არ დამინთია. ჩვეულებათ მქონდა გამოღვიძებისთანავე პირჯვარი გადამეწერა სამჯერ და სამასსამოც და სამი წმინდა გიორგი მეხსენებია. მაგრამ იმ დილით ოთახში ისე ციოდა, რომ ძლივს ამოვყავ ხელი ლოგინიდან, მხოლოდ ერთხელ გადავიწერე პირჯვარი და ისევ მალე ჩავითბუნე, მაგრამ როდემდის გინდა იყო ასე ჩემბერლენივით განცხრომაში, საქმე მაქვს, მეჩქარება, უნდა ავდგე.

როგორც იქნა წამოვდექი. დავიხარე ფეხსაცმელის ჩასაცმელად, მაგრამ ფეხსაცმელი იქ აღარ დამხვდა, მოვათვალიერე— კარებთან ეყარა, კატას წაეღო.

კარები ჩემი საწოლიდან 6 მეტრით იყო დაშორებული, ხოლო იატაკი ცემენტისა იყო.

მოდი შენ და ამ სიცივეში, ამ გაყინულ ცემენტზე გაიარე და გამოიარე 12 მეტრი.

სიცივემ უფრო უარესად ამიტანა და ხელახლად ჩავწექი ლოგინში, თან ფეხსაცმელს გავყურებ და ვნატრობ მათ ხელში ჩაგდებას.

მაგრამ ვის შეეძლო მზამზარეულათ ხელში ჩაეგდო ჩემთვის ჩემი ფეხსაცმელი, თუ არა ყოვლად შემძლე ღმერთს. და მეც გულ-ხელი დავიკრიფე და შევღაღადე:

— ჰოი, ღმერთო, რომელსაც გეპოირჩილება მზე და მთვარე, ზღვა და ხმელეთი, რომელიც ყოვლად შემძლე ხარ, შენ არ გაგიჭირდება ჩემი პატარა, სულ უბრალო თხოვნის შესრულება, მოუახლოვო შენს მონა-მორჩილს თავისი ფეხსაცმელი.

შვიდი საათი შესრულდა, რომ მე ისევ ვლოცულობდი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. რვის ნახევარი რომ დაჰკრა მეზობლის საათმა, მე უკვე ურწმუნო გახლდით.

**წკეპლა.**

# შეკითხვა შეკითხვაზე



— ეი, შენ ქურდო, მანდ საიდან გადადიხარ?

— კარები დაკეტილია; მაშ საიდან გადავიდე?!



მილიციელი (მთვრალს): რა გაღრიალებს?! არ იცი რომ ქუჩაში სიმღერა არ შეიძლება?!

— ვაჰხ: ერთი ამას უყურეთ და?! მე ერთი კაცი ვარ და ჩემთვის ვმღერი! იქ ვერა ხედავ მთელი ბატალიონი მოდის და ქუჩებს აყრუებს?!

## „სანიმუშო“ კედლის გაზეთი

თელავის მაზრის ერთ-ერთ სოფლის სკოლამ ჩაატარა სანიტარია-ჰიგიენის დღე, შეამოწმებინა ექიმს მოწაფეები და შედეგი გამოაქვეყნა სპეციალურად გამოშვებულ კედლის გაზეთში, სადაც თავის სიგრძე-სიგანით ირაკვევა მასწავლებელ- რედაქტორის გონებრივი ავლა-დიდება.

„სანიმუშო“ კედლის გაზეთში სწერია შემდეგი:

**რა უნდა სჭამოს 12 წლის ბავშმა ყოველდღე.**

**1 ნახ. კილო პური,**
**300 გრამი ყველი,**
**200 გრ. ერბო,**
**2 კილო ხორცი,**
**800 გრ. კართოფილი,**
**4 კილო კომბოსტო,**
**1 კილო და 800 გრ. რძე,**
**6 კილო და 100 გრ. კიტრი.**
**200 გრ. ცერცვი.**
**200 გრ. ბრინჯი.**

ათი „ათი მცნება“, რომელიც შავი მელნით თეთრ ქაღალდზე სწერია „სანიმუშო“ კედლის გაზეთში. აქვე მაგონდება „კომპლექსისტ“ ერთი მასწავლებლის ამოცანა მესამე ჯგუფის მოწაფეებზე:

ივანე გლეხის ბოსტანში არის 876.000 ფუთი ჰია, მაია პეტრეს ბოსტანში კი 968.245-ჯერ მეტი; სულ რამდენი ჰია მაია იქნება ორივე ბოსტანში.

მთელ დედამიწის ზურგზე არ აღმოჩნდება ამდენი ჰია— მაია. მაშ, რათ დასჭირდა „კომპლექსისტ“ მასწავლებელს ასეთი სისულელის თქმა, როცა ცხოვრებაში აუარებელი რეალური მასალა არსებობს არითმეტიკული ამოცანებისათვის“.

„მაშხალა“.

ჯერ ერთი: არ არის მართალი, რომ მთელ დედამიწის ზურგზე ვითომც იმდენი ფუთი ჰია მაია არ აღმოჩნდეს, ამოცანაში რომაა მოხსენებული. რა იმ ამოცანის ავტორ მასწავლებლის ბრალია, თუ მილიონ წლების განმავლობაში, რაც დედამიწა არსებობს, აზრად არავის მოსვლია ჰია-მაია ემრავლებინა და მისი ხორცისაგან შაშხი ანუ ლორი ემზადებინა. მერწმუნეთ, ეს ლორი ახლა მეტსაც მოიწონდა.

მერეც: ყველაფერში ეს წყეული „კომპლექსია“ დამნაშავე. ალბად, იმ მაიას, რომელზედაც ამოცანისტი მასწაელებელი ოცნებობდა ამოცანის შედგენის წუთში, ამჟამად მართლაც ჰყავს ჰია, (აბრეშუმის, რა თქმა უნდა) ჰო-და იმ კეთილის მდომელ მასწავლებელსაც უსურვებია მაიასათვის იმდენი ფუთი მოსავალი... ოცნებაში წასულ კაცს ხშირად უარესიც მოსდის ხოლმე.

კომპლექს.



ᲡᲝᲤᲚᲔᲚᲔᲑᲘ (ქალაქში მიმავალს):—ეს ჩემს შვილს წაუღე ქალაქში, სტუდენტია... ეს ვანოს მიუტანე... ეს ჩემს ქალიშვილს გადაეცი... ეს ჩემს ძმასთან წამიღე... ეს...

ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ:—მეეტლევ, მოაბრუნე ეტლი,—აღარ მივდივარ ქალაქში!

# ცნობათა მიღება



**ს. მუხრანი. ოქონოვს:**

ვერავითარი ახსნა -განმარტებით თავს ვერ „მოგვაჭონავთ“ და თქვენს ლექსს ჟურნალში ვერ დაგვასტამბვინებთ. მართალია, მღვდელს ხუციშვილს (მღვდელზე გვარად ხუციშვილი —ალალი და მართებულია) გრძელი დოში დაკარგვია. ისიც შესაძლებელია, რომ ეს დოში ძელებიანად, რაღა თქმა უნდა, ან დიაკვანს შთაენთქა, ან სტაროსტას ჩაეყლაპოს. მაგრამ ყველაფერზე, რაც გრძელია, არ შეიძლება გრძელი ლექსის წერა. თუ დაზარალებულმა მღვდელმა ხუციშვილმა კი მოახერხა გრძელი ლოცვის შემოკლება, თქვენ როგორ მოგივიდათ, რომ ამ ცაცქნა ამბავს ასეთი „ჩოლოქის“ სიგრძე ლექსი მოანდომეთ!?

სირცხვილია, მღვდელი დაგვცინებს, იმან სამღვთო წერილიდან იცის, რომ „მრავალმეტყველებასა შინა არა არს ცხონება სულისა“.

**ისევ ოქონოვს:**

თუ ძველი დროის ნაყარ-ნუყარმა საქეიფო და კბილის მოსაკრავი რამე კი იშოვა, დეე, იხეირონ, თარზედაც დაუკრან, დაალიღინონ კიდეც ზედ რაც უნდათ... მათი ხვედრი ამ „ბედშიაც“ კი არაა სახარბიელო. ჩვენ მით უფრო გვეინტერესება—თქვენ ხომ არ შეგშურთ?

**ქუთაისი. დ. ტუკვაძეს:**

**თქვენი სცენის შესახებ ბრძანა პოეტმა:**
**ტუკვა გმართებს სცენის მწერლის**
**ვინც ასეთი სცენა სჩმახოს.**
**სხვად ვერ მთქმელმა ვერაფერის,**
**თავის თავი გაიბახოს...**

**აქ. ვასო პანკულას:**

მივიღეთ თქვენი იუმორისტული ნაწარმოები: „ჩალა-კნიაზი“. აი, სწორედ ამაზედ იტყვიან:

„სიცოცხლე ჩალად არა ღირს“-ო.

**ბოთლს:**

შრომის მოწაფეთა უჯრედის მდივანი, ტანად მაღალი ალექსიც, რომელსაც თქვენ უძღვენით ეს ლექსი, ალბად, იმიტომ ითვრება, რომ ახლა თქვენთან. მთვრალს თუ გაასწორებს ისევ ბოთლი. იხმარება ბევრნაირად. ცხონებულმა ესტატემ დაკვრა იცოდა იმისი თავში, (რა თქმა უნდა, სხვისთვის) ესტატემ ლექსიც იცოდა:

**„უჯრედის მდივანს ვეძებდი,**
**ვერ ვნახე დაკარგულიყო,**
**სოფელ შრომის სკოლასთან**
**„ბოთლებში“ ჩამალულიყო...**

**პროლეტარს:**

ბენო და სარა თუ შიმშილობენ და მაინც მასწავლებლობენ ავად, თუ კარგად, ვერ დავძრახავთ. ვერც იმაში დაგეთანხმებით, რომ ვითომც ქალებით ზარალობდეს ჩვენი რესპუბლიკა. ლექსის მწერალს ევალება ცოდნა, რომ „ლეკვი ლომისა სწორია“... რაც შეეხება მათ ქმრებს, თუ სამსახურში მართლაც მანკიერობენ, არ მოვერიდებით...

კოტე მახარაძეს თუ წვიმიან დარში გზაზედ ფეხი აუცურდა და დაეცა, თქვენ უნდა წამოგეყენებიათ.. მაგრამ, ალბად, თქვენი კბილების სითეთრემ მოსჭრა თვალი ხანში შესულ კაცს.

რაც შეეხება თქვენს იმედიან შეპირებას:

**არ იფიქრო, ტარტაროზო,**
**რომ ჯერ ვსწყვეტდე მე აქ ლექსებს,**
**სათქმელი ჯერ ბევრი მაქვს,**
**მოგაწოდებ უკეთესებს“-ო.**

ჩვენ ამ შეპირებას ვლბეულობთ, მხოლო რაც შეეხება თქვენს დიპლომატიას:

**ამიტომ გთხოვ, არ გაჯავრდე,**
**ამ ორ დღეს მეც გამიტანე::**
**ეს ლექსი შენს დიდ ჟურნალში**
**მიიღე და გამიტარე“-ო.**

გატარება სიტყვა „ტარანი“-დან კი არ წარმოსდგება, იგი მოდის სოფლიდან, ქალაქისაკენ, აღწევს რედაქციის ზინამდის, აქ ტარდება რეგისტრაციაში, ხოლო აქედან კი მიემართება.... ზოგიც კი სარედაქციო გოდოსაკენ..

# „სირინოზი"

მაკდონალდი, ისე როგორც მეორე ინტერნაციონალის ყველა ლიდერები, ატყუილებს ინგლისის მუშათა კლასს კარგი დაპირებით, მაგრამ მისი „ტკბილი ჰანგები" უკვე არც ერთ მშრომელს აღარ სჯერა,

(გაზეთებიდან).



მაკდონალდი: — გამომყევით... მე მიგიყვან აღთქმულ მხარეს სანეტაროს,—
თორემ თქვენ მას ვერ მიაგნებთ. თუ გინდ ბევრიც რომ ეტაროთ.
მაზღვაურნი: — იქით, იქით გაგვეცალე,—ვიცით ჩვენი გზა და კვალი.
ვერ მოგვხიბლავ ტკბილ ჰანგებით,—გიცნობთ რომ ხარ შენ ზღვის ალი.

პოლიგრაფტრესტის მე-1-ე სტამბა, კამოს ქ. № 88

კვირა. 17 ივნისი 1928 წ. № 157 ყოველკვირეული ჟურნალი ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## აბრეშუმის მოსავალს კარგი პირი უჩანდა..



მეაბრეშუმე ქალი: — რაღაც წელს კი ახვევს ჩემი ჭია პარკს, მაგრამ ძაფი კი საიმედო სჩანს,

გაგრძელება მე-16 გვ.

# „საქმიანი“ დარდიმანდიძე

(აზრი აღებულია)

პირველად, რა თქმა უნდა, ყველას უკვირდა, როცა სრულიად უცნობსა და უმნიშვნელო პიროვნებას, დიტო დარდიმანდიძეს მიანდვეს ჩვენი საბჭოთა აღმშენებლობის ესოდენ საპასუხისმგებლო მთელი ერთი დარგი.

მაგრამ თითონ დარდიმანდიძეს, რუსები რომ იტყვიან: „მორე პო კოლენო“-ო. ისე ეჩვენებოდა თავისი პასუხისმგებლობისადმი დამოკიდებულება. მან იმ თავიდანვე აართვა ალღო ერთ რამეს, სახელდობრ: „თუ მონდობილის ხანგრძლივ შენარჩუნება გინდა, უნდა აპარატი ისე „მოქნა“, რომ სავსებით ხელში გყავდეს და გემორჩილებოდეს“;

და აი, დარდიმანდიძეც შეუდგა „ენერგიულ“ საქმიანობას: მოხსნა ერთი. მოხსნა მეორე, მოხსნა მესამე, ამას ჩაჰკრა, იმას გამოჰკრა და, რაღა თქმა უნდა, აპარატიც მალე გამოჰქნა: მის „სამეფოში“ ჩამოდგა სრული სიწყნარე-მოსვენება, მშვიდობა და მორჩილება.

მაგრამ... ამბობენ, რომ „ზოგი სიწყნარე მეხის გავარდნის მომასწავებელია“-ო.

ასეც მოხდა: „ჭირმა თავი არ დამალა“ და დარდიმანდიძის ახმაურებულ საქმიანობის პირ-სარჩულიც ერთ მშვენიერ დღეს სავსებით გამოშარდაშარდა.

დანიშნულმა სპეციალურმა კომისიამ ყველაფერი გამოიკვლია, დაწვრილებით გაეცნო დარდიმანდიძის მთელ საქმიანობას და აი, ახლა უკანასკნელად შეიკრიბა ის აქ, დარდიმანიძის კაბინეტში დამნაშავის დასაკითხავად და თავისი მუშაობისათვის დასკვნის მისაცემად.

— ამხ. დარდიმანდიძე! აი, ესა და ის, ისა და ეს რა მოსაზრებით გააკეთეთ ასე და არა — ისე? — ეკითხება დარდიმანდიძეს კომისიის თავმჯდომარე.

დარდიმანდიძე სდუმს.

— მოქ. დარდიმანდიძე! ბუჰგალტერი მშვიდობაძე რომ მოხსენით და მის ადგილზე ყალთაბანდიძე რომ აიყვანეთ, საქმის ინტერესით იყო ეს გამოწვეული, თუ... — ვეღარ დაათვა კომისიის ერთმა წევრმა.

დარდიმანდიძე იკუმშება, იფუყება და არას ამბობს.

— ბ. დარდიმანდიძე! გვითხარით, ღვთის გულისათვის, მემანქანე კოპწიაშვილი რომ ორმაგ ჯამაგირს ღებულობდა, იმდენად საქმეებით იყო დატვირთული თავის საღამოო მუშაობაში, თუ სხვა რამ აწვებოდა მას იმ დროს?

გესლიანად შენიშნა კომისიის მეორე წევრმა.

დარდიმანდიძის სახე თონედან ახლად გამოღებულ ვერდებ-შემწვარ თიხის ქოთანს დაემსგავსა.

ყველაფრიდან სჩანდა, რომ საქმეს ცუდი ბოლო მოსდევდა. მაგრამ დარდიმანდიძის პირველმა დაბნეულობამ მალე გაფანტვა იწყო.

უცბათ, გულში თითქოს რაღაც იდუმალმა წკირამ ჩამოჰკრაო, თავისი ტელეფონის ყურ-მილს აუღელვებლად მისწვდა და...

— ალლოო!.. — განგებ ისე გააჭიანურა კბილებში, თითქოს ქვაფენილზე მიმავალმა დინჯმა და გრუზა ტანის მოქალაქემ რაღაც ლიპიანს, მაგრამ რეზინივით რბილს და მოქნილს საკმაოდ მოზრდილ საგანს დაადგა ფეხიო...

— ცენტრალნაია?! მომეცით: ადინ, ნულ, ადინ!..

კომისიის წევრებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ამხ. ასფუთიანიძე სახლშია? ახ, სტეპკო, შენა?! ამხ. სტეპკო, იცით რა: ამ საღამოს ცხრა საათზე ხომ სახლში ხართ? უეჭველად შემოგივლით... საყურადღებო რაღაც მაქვს თქვენთვის გადმოსაცემი!..

რაღაც დემონიური გრძნებით ამბობდა ამას დარდიმანდიძე, თვალებს რაღაც განუსაზღვრელი სისხლის მოყვარულობით აბრიალებდა და გამარჯვებული ყვინჩილას რიხით გადაჰყურებდა მის წინაშე გაოგნებულ კომისიის წევრებს...

კომისიის წევრები — ზოგი კითხვითი, ხოლო ზოგიც — გაკვირვებითი ნიშნებად გადაიქცენ და დაფეთებულებივით, თანაც მოწიწებით მიშტერებოდენ დარდიმანდიძეს...

— ამხ. დარდიმანდიძე, მგონი, სადღაც მიეშურებით?.. უხერხულია... ბოდიშს ვიხდით, რომ შეგაწუხეთ, მაგრამ მოგეხსენებათ, დავალება.

ძლივს გაბედა ბოლოს კომისიის თავმჯდომარემ, სიტყვა ვეღარ დაათავა და მუხლების ცახცახით ზე წამოდგა. კომისიის დანარჩენი წევრებიც წამოიშალნენ. მდივანმა ქაღალდები სასწრაფოდ აჰკრიბა და კაბინეტიდან მიმავალ კომისიის უკანასკნელს წევრს ზურგში ჩრდილივით აედევნა..

ქუჩაში ავტო აქაქანდა და ამ რამდენიმე წუთის წინ ისე შევიწროებული დარდიმანდიძე ეხლა გალიიდან ახლად გამოშვებულ ჩიტივით საითკენღაც ჩვეულებრივ ისევ გაქანდა...

ამ საღამოს ცხრა საათზე დარდიმანდიძე ფეხ-აკრეფით შესრიალდა ასფუთიანიძის ბინაში და მოკრძალებით გაუწოდა ამ უკანასკნელს თავისი უწყების მიერ ახლად გამოცემული საკმაოდ სქელი ჟურნალი, რომელშიაც ციფრების უამრავი ცხრილებით ტალმუდივით იყო დამტკიცებული იელოვას უპირატესობა დანარჩენ ღმერთებზე, ე. ი. დარდიმანდიძის ნირშეუხრელი დარდიმანდობა და მტრედივით სისპეტაკე.

დილის 11 საათზე ასფუთიანიძის კაბინეტის კარი გამოცდილი ქურდის სიფრთხილით შეაღო კომისიის თავმჯდომარემ და გადასცა გუშინდელი სხდომის ოქმი, რომლის ბოლოშიც შავით თეთრზე ეწერა:

„დარდიმანდიძის მუშაობას კომისია სცნობს სავსებით დამაკმაყოფილებლად და მისი აღნიშნულ თანამდებობიდან მოხსნა, თუნდაც მისი სამსახურში წინ-წაწევის მიზნით, მიაჩნია მისი მეოხებით ფეხზე დაყენებულ საქმისათვის საზიანო მოვლენად“.

ონისიმე.



— შენისთანებს აქვს ბედი... იცოდეს მაინც, რომ საცხოვრებელი ოთახიც არა გაქვს.

— სწორედ ამიტომაც დავსდევ, რომ ამას აქვს კარგი ოთახი.

## რკინისგზელის სიყვარული

შენსკენ მოვქრივარ
ვით ორთქლმავალი
და გულს—რონოდას
წვავს ცეცხლის ალი.
ჩემი სულია
მატარებელი,—
შენ კი მგზავრი ხარ,
ბარათ მტოლველი
მატარებელში
ჩვენა ვართ ორი:
შენ, მგზავრი ქალი,
მე—კონდუქტორი...
ო, რა ტურფა ხარ,
რა მშვენიერი,
შენს მკერდს ამშვენებს
ორი ბუფერი.
შენი თვალები
მფრქვევია ცეცხლის,
ვით სემაფორი
ბნელში შუქს რომ ცრის.
მიყვარხარ, ტურფავ,
გული შენთვის ძგერს
ვით წყოსზე გააქვს
ტიკ-ტიკ-ტიკ-თითებს...

წიწაკა.



შვილი:—მამილო, ყველა რომ პიონერში ეწერება, რატომ მე არ ჩა-მწერე?
მამა:—ცოტა კიდევ, შვილო, და მერმე შენ კი არა მგონი მეც ჩავეწე-რები.

# თემალმასკომის თავმჯდომარე
## თუ მმაჩის გამგე

გათენდა გაზაფხულის ჟინჟლლიანი დილა. სოფელ ვარდისუბნის გლეხმა— მოსემ, 65—70 წლის მოხუცმა, მაგრამ კახური ღვინო-პურით გაძღუებულმა, ბოსლიდან გამორეკა კამეჩები, უღელი გადაადგა, იქვე ეზოში გუთანს გამოაბა ჯაჭვი და ღრიტინით გასწია მინდვრისაკენ.

კამეჩები შეაჩერა ნახნულებ შუა მდებარე ქვრივი ქალის ლეგაშვილის მოუხნავ მიწაზე: ახსენა გამჩენი, გუთანი მოიმარჯვა, სახრე გადაუტყლაშუნა კამეჩებს გავაზე და ღიღინით შეუდგა მიწის მოხვნას.

საღამომდე ხოპანად დარჩენილი მინდორი, რომელიც იბოლ იხეროვით იყო მიგდებული, უკვე შავათ გადაიპენტა და, დაღლილ-დაქანცული მოსე თავის კამეჩებით ბრუნდებოდა სახლისაკენ, როცა მას თავის სახლის ეზოსთან შეეჩეხა მიწის პატრონი ქვრივი ლეგაშვილისა, რომელმაც მთელი ორომტრიალი აუტეხა მიწის მოხნისათვის.

მოსემ დარბაისლურად ჩაიქნია თავი და უთხრა:

— „რა გაბრაზებს, დედაკაცო? მიწა მოგიხანი, საკეთე გიყავი, ამით შევასრულე ჩვენი მთავრობის ბრძანებაც. ხვალ კიდეც დავთესავ. თუ უკმაყოფილო ხარ, მიბრძანდი თელავს და თემალმასკომის თავმჯდომარე, ჩვენ დაკასთან მიჩივლე, სთქვა და გასწია შინისკენ.

მეორე დღეს გაწიწმატებული ლეგაშვილი უკვე შესჩიოდა თემალმასკომის თავმჯდომარეს მოსეს მიერ ჩადენილ საქმის შესახებ.

მალე მოსეც დაიბარეს.

მოხუცი მოსე დინჯათ მიესალმა თავმჯდომარეს, მოიწმინდა ოფლი და თვალები მიაპყრო ისაკს. რომელმაც დაწვრილებით აუხსნა ლეგაშვილის ქვრივის საჩივარი.

— ვიცი, ჩემო ისაკ, ვიცი, მაგ დედაკაცს რაც აწუხებს, ისიც კარგად ვიცი, თუ რისთვის მოვხანი მიწა; მაგრამ ის კი ძალიან მიკვირს თუ მაგ დალოცვილს რა აწიწმატებს: ეგეც ქვრივი, მეც ქვრივი, მიწა მე რომ არ მომეხნა, აბა, ვინლა მოუხნავდა. ადგეს ეგ დალოცვილი, გადმობარგდეს ჩემთან და საჩივარიც თავისთავად მოისპობა.

თავმჯდომარეს ერთი გულიანად ჩაეცინა მოსეს ასეთ წინადადებაზე, შეხედა ქვრივ ლეგაშვილისას, რომელსაც სიხარულისაგან სახე უბრწყინავდა და მიაძახა:

— „თქვენ, ჩემო მეგობრებო, აქ კი არ უნდა მოსულიყავით, არამედ მმაჩში, მე თემალმასკომის თავმჯდომარე ვარ და არ მმაჩის გამგე.“

„მაშხალა“.




ერთა ლიგის სამდივნომ გადასწყვიტა:

ლიგის სასახლის საზეიმო დარბაზში გამოჰკიდოს ყველა გამოჩენილ მოღვაწეთა უკანასკნელი ფოტოგრაფიული სურათი.

„ტარტაროზის“ წარმომადგენელი დაესწრო ზოგიერთ მოღვაწის სურათის გადაღების მომენტს მოგვყავს ფოტოგრაფის უკანასკნელი შენიშვნები, როცა სურათის გადასაღებ პატივცემულ პირებს აძლევდა საბოლოო პოზას.

—:—

**აპარატის წინ: პუანკარე**

ფოტოგრაფი: მუსიო პუანკარე! ერთხელ კიდევ გთხოვთ: ორი წუთი დაივიწყოთ არჩევნების შედეგები და ძალიან ნუ იცინით! საკმარისია მხოლოდ ღიმილი! უამისოდ სურათი გაფუჭდება... კიდევ დაუკელით სიცილს, კიდევ! რადგან მეტი აღარ შეიძლება, მაშ ვიღებ...

ერთი! ორი! სამი!

მზათ არის

გმადლობთ.

—:—

**აპარატის წინ. ბრიანი**

ფოტოგრაფი: მუსიო ბრიან! როგორც ეტყობა ეგ სკამი დანჯღრეულია, სწორე ვერ ჯდებით. სხვა სკამზე დაბრძანდით!.. ეგრე! ნამეტანი მეოცნებე იერი გაქვთ! სჯობია, ცოტა ჩვეულებრივი სახე მიიღოთ!... ვერ ახერხებთ?.. მაშ ორი წუთით ფარდას ჩამოუშვებ საფრანგეთ-გერმანიის კავშირზე!...

ჰო, ეხლა საუცხოვოა! ბუნებრივია!

წყნარად!

ვიღებ!

მზად არის!

გმადლობთ!

—:—

**აპარატის წინ: მუსოლინი**

ფოტოგრაფი: ბუონისსიმო „დუჩე!“ გთხოვთ — ერთის წუთით წყნარად დაბრძანდეთ!... მუშტებიც გაშალეთ! შუბლიც! სურათში ვერ გამოვა კარგად!.. სამხრეთ-სლავიისაკენ ეგრე ძალიან ნუ იცქირებით, ბრუნდეთ გამოგივათ კისერი!... ცოტა აქეთ, მოიხედეთ! ცოტა კიდევ!.. ცოტაც ღიმილი!

ვიღებ!

მზათ არის!

გმადლობთ!

—:—

**აპარატის წინ: ჰინდენბურგი**

ფოტოგრაფი: ჰერ პრეზიდენტ! საუცხოვო დინჯი პოზა გაქვთ! ღიმილიც მშვენიერია! ბუნებრივია!... მხოლოდ მარტო სოციალ - დემოკრატებისაკენ ნუ იცქირებით!.. ცოტა სივრცეში გახედეთ, სივრცეში!. ეგრე!

წყნარად!

მზათ არის!

გმადლობთ!

—:—

**აპარატის წინ: მიულლერი**

ფოტოგრაფი: ჰერ მიულერ! თქვენი სურათი ფრთხილად უნდა გადავიღო, რადგან ყველა საგანგებოდ გასინჯავს — როგორც ახალი კანცლერისას და ისიც სოციალ-დემოკრატი კანცლერისას! ფრაკს აღარ უნდა გასწორება! კარგად არის! მანჟეტებიც სწორეა, ნუღარ აწვალებთ ტყუილად!.. მხოლოდ ცოტა მოიღუშეთ! ცოტა მოიღუშეთ!.. კიდევ! კიდევ! ბოდიშს ვიხდი — თქვენი სახე რაღაც სულელურ კმაყოფილებას გამოხატავს!... ვერ ახერხებთ?. აუცილებლად საჭიროა ცოტა სერიოზული სახე!.. მოახერხეთ როგორმე!... თქვენს მარცხნივ რომ ორმოც და თექვსმეტი კომუნისტია — იმათ მაინც გადახედეთ ერთის წუთით!.. ჰო, ეგრე!.. ეხლა კარგია! საკმაოდ სერიოზულია! ერთ წუთს მოითმინეთ ეგრე!

ვიღებ!

მზათ არის!

გმადლობთ!

—:—

**აპარატის წინ: ჩემბერლენი**

ფოტოგრაფი: მისტერ ჩემბერლენ! სრულებით არ შეგფერით ეგეთი შეშფოთებული იერი! ცოტა გულგრილობა და სიმშვიდე მიიპოვეთ!... ეგრე სრულებით არაფერს ეგვანება თქვენი სურათი!... ერთი წუთით აუცილებლად დაივიწყეთ მომავალი არჩევნები! დაივიწყეთ საბჭოთა კავშირის ხსენებაც!. იფიქრეთ მხოლოდ ისეთ რამეზე — როგორც „ზინოვიევის წერილი“! მოახერხეთ?.. საცსებით ვერა? რადგან მეტი ველარ ხერხდება, მაშ ეგრე მაინც გადაგიღებთ!

უკვე მზად არის

გმადლობთ!

თუმცა იმედი კი არა მაქვს, რომ ეს სურათი ეგვანება რამეს.

—:—

**აპარატის წინ: ზალესკი**

ფოტოგრაფი: პან ზალესსკი! რა უბედურებაა, თქვენ უნდა ჩემბერლენივით გამაწვალოთ! რაა? საგარეო პოლიტიკაზე სიტყვა გაქვთო სათქმელი?.. მხოლოდ ერთი წუთი!... აღმოსავლეთიდან „ინტერნაციონალის“ ხმები ძარღვებს გიშლითო?.. ერთი წუთით გაჩუმონ მაინცაა!.. არ მოხერხდება?.. ცოტა ხნით ბამბები მაინც გაიკეთეთ ყურში! ჰო, ეგრე! ნურც წაღმა-უკუღმა იცქირებით! ერ-



მიკიტანი: — სულ ოთხი მანეთი!..

მუშტარი, (რომელმაც ეს ესაა „ზაკუსკა" მიირთვა:) — რაო!? თითქოს ოთხფეხი რამ შემეჭამოს! ეს ხომ მოყოვნებული წიწილა იყო, სულ ორი ფეხი ჰქონდა და ისიც ,,სპიჩკის" ლერების ოდენა!

მიკიტანი:—ეხლა, ფრჩხილები რამდენი ება და!..

თის წუთით აქ უყურეთ, აპარატს!... ეგრე!

ვიღებ!

მზათ არის!

გმადლობთ!

ვაი, თუ ამ სურათის გადაღებაც ხელმეორედ მომიხდეს!

—:—

აპარატის წინ: კელოგი

ფოტოგრაფი: სიორ კელოგ! თქვენ გნებავთ უეჭველად ეგრე გადიღოთ სურათი?... ნამეტანი ნატურალისტური გამოვა!... რას ეგვანება: ცალ ხელში სამშვიდობო პაქტი და მეორე ხელი კი დრედნოუტის ზარბაზანზე გადაგიხვევიათ!.. ცოტახნით მოსცილდით ზარბაზანს და დაკმაყოფილდით მარტო სამშვიდობო პაქტით!.. ერთი წუთით! სანამ, სურათს გადავიღებდე! მეტი არ არის საჭირო!.. ეგრე!

წყნარად!

მზათ არის!

გმადლობთ!

ეს საუცხოვო სურათი იქნება! მართლადაც დაამშვენებს ერთა ლიგის საზეიმო დარბაზს! რა ვუყოთ რომ წევრი არ ბრძანდებით! არაფერია! ამ შემთხვევაში მე ვამჯობ ფოტოგრაფის კომპეტენტურ აზრს.

მზათ არის!

გმადლობთ!

—:—

აპარატის წინ: ვოლდემარასი

ფოტოგრაფი: ბატონო ვოლდემარას! აბა როგორ გადავიღო სურათი, თუ ერთ წუთს არ მოისვენებთ! რა დაგეკარგათ, რას ეძებთ? ბურთს ეძებთ? ხმალს ეძებთ?. ვილნოსა?! მერე ერთა ლიგის სკამებ ქვეშ რა უნდა!.. მოითმინეთ ერთ წუთას! ზალესსკის ნეგატივი გაღელვებთ აქ რომ მიძევს? აჰა, გავიტან მეორე დარბაზში!... ეხლა, ხომ მოისვენეთ?.. მარტო ერთი წუთი, დიაღ! მეტი არ მინდა!

წყნარად!

გმადლობთ! უკვე მზად არის!

—:—

აპარატის წინ: ტანაკა

ფოტოგრაფი: გთხოვთ ერთის წუთით მომაქციოთ ყურადღება! არა გცალიათ? განკარგულებებსა სწერთ ჩინეთში ჯარების გაგზავნაზე? ამუნიციის გადაზიდვაზე?.. მანჯურიაში სხვადასხვა ხრიკების მოწყობაზე?.. კიდევ მოასწრებთ! სად წაგივათ?... გინდათ ისარგებლოთ ყოველი წუთით? ეგ ყველაფერი კარგია, მაგრამ ერთი წუთი მეც მაჩუქეთ, ერთა ლიგის ხათრით!.. დიაღ მარტო ერთი წუთი!.. გაუშვით კალამი ხელიდან! მანჯურიას რუქაც! ერთის წამით ნუღარ იცქირებით ჩინეთისაკენ! ბრუნდეთ გამოხვალთ! ეგრე!..

მზათ არის!

გმადლობთ!

მე მგონი არა უშავს რა!

—:—

ფოტოგრაფის უკანასკნელი აზრი;

ნეტავ პატრონები იცნობენ თუ არა თავიანთ სახეს ჩემ გადაღებულ სურათებზე, თუ არ წაეაწერ იმათ ხელებს!

ნადირი.

# გადამდები სენი

(სატირა)

ძლივს დღის შუქი გავარჩიე ღამიდან,
ჩავაბარე არხივს ბნელი, ჟუჟუნი
და მაინც ვერ მოვიშორე თავიდან
პაპიროსი, ჩიბუხი და თუთუნი.

სულ მოვლახე: ფოთი, განჯა და ბაქო,
თან ვატარე ჩემი საბან-საწოლი,
ყველგან ცხვირში ამიბოლეს თამბაქო,
ნესტოებში გამიჩინეს მაზოლი.

ევროპაშიც თურმე ასე ყოფილა,
დედამიწას მოსდებია წყეული,
ნუ თუ ყველა თავის სამტროდ შობილა
ხასიათით ტანჯული და სნეული?!

რას მიქვიან არხეინი გართობა?
დაობდება ფერდი გვერდზე წოლითა,
ვით მავნეა ღვინო - არყით დათრობა,
ისე პირის აყროლება ბოლითა.

ზოგს უთუოდ სახეში აქვს შენება,
ხახელმწიფოს კარგი მონოპოლია, —
მაგრამ უნდა იყოს შრომის მშვენება:
ბურნუთი რა თეთრი ფქვილის ტოლია?!

ქვეყანაზე ვინ იცის რამდენია
შეპყრობილი ქეცითა და მუნითა;
პაპიროსიც გადამდები სენია
და ფილტვების ამომშრობი სუნითა.

თუმცა გვიყვარს სხვების წახედულება —
ეს ცხოვრების ადათი და წესია,
მოვიშოროთ მავნე ზნე-ჩვეულება
თორემ შავ ბოლს ბევრი აუკვნესია.

გიგო ხერხუაშვილი.



— როგორ ატარებ დროს?
— საუცხოოდ! იმდენი მოარშიყეები დამდევენ, რომ მოსვენება არა მაქვს.

# ხუტუიას სული

სიკვდილის შემდეგ, ულმერთოთა ჯგუფიდან ერთ - ერთ წევრის, ხუტუიას სული მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. მას არავითარი წარმოდგენა არ ქონდა იმისი, საით უნდა გაფრენილიყო, რა ექნა, როგორ მოქცეულიყო.

ხუტუიამ კარგად იცოდა, რომ იმ ქვეყნად არ არსებობს არც სამოთხე და არც ჯოჯოხეთი. ასე რომ ფიქრი იმაზე, რომ საცაა გამოჩნდება ანგელოზი ან ავი სული და ხუტუიას სულს შესაფერის მიმართულებით გააქანებს, სრულებით ზედმეტი იყო. არავისგან და არსაიდან არავითარი ხელმძღვანელობა არ იყო მოსალოდნელი. საჭირო იყო საკუთარი ინიციატივა და ენერგია.

ხუტუიას სულმა ერთხელ კიდევ დახედა სარეცელზე იმ გვამს, რომელშიდაც ასე ბორძიკობდა ამდენი ხნის განმავლობაში და რომელსაც ეხლა დედა დამწარებით დასტიროდა.

— შე უბედურო, შენ... რავა დეიღუპე სული... რავა ჩეიგდე თავი კუპრში... რომ ვეუბნებოდი იზიარე ბიჭო თავი სააღდგომოდ... შენ კი იძახოდი: სიშობოდ ვიზიარებ, მანამდი კიდევ ბევრი ცოდვები მომემატებაო და მერე ყველას ერთად მოვიშორებო... ეხლა რაღას აპირობ, ბიჭო? ა? ხომ მოკვდი უზიარებლად!..

ხუტუიას სულს უნდოდა კიდევ ცოტა ხან დარჩენილიყო სარეცელთან, მაგრამ როდესაც შეგვიანებით მოსულმა ხუცესმა გვამს მუჭში ვერცხლის ფული ჩაუდვა სამოთხის მეკარისათვის ქრთამის მისაცემად, აღშფოთებული ერთი შეტორტმანდა და ფანჯარაში გამოფრინდა საჩქაროდ.

მაგრამ ხუტუიას სულს ჯერ კიდევ მაინც ვერ გადაეწყვიტა საით გაფრენილიყო, ამიტომ ამ საკითხის მოსაფიქრებლად, იგი შეფრინდა სახლის თავზე სადაც რადიოს ანტენა ქონდა გაჭიმული და ერთ-ერთ ანძის ძირში ჩამოჯდა მოწყენილი.

ღამის 10 საათი იქნებოდა. ზევით ცა გაჭედილი იყო ვარსკვლავებით, ქვევით კი მიწა — ტელასის წერტილებით.

თავის პოსტიდან ხუტუიას სული მის წინ გაშლილ ქუჩებს აცქერდებოდა, ყველაფერი რიგზე იყო. გამვლელები მიდიოდენ კენტად, მიდიოდენ ჯგუფებად. კენტად მიმავალნი ჯგუფებად მიმავალთან შეხვედრის დროს, გადადიოდენ უეცრად მეორე მხარეს და უმატებდენ ნაბიჯს. მხოლოდ წყვილად მიმავალნი კი იმალებოდენ „პოდიეზდებში“ და მაგრად ეკვროდენ ერთმანეთს, სანამ ჯგუფად მიმავალნი მახლობელ მოსახვევში არ მიიმალებოდენ.

ხუტუიას არ გაჭირვებია ჯგუფებად მიმავალში თავის ძმა-ბიჭების ცნობა.

ერთ - ერთ კენტად მომავალში კი ამბულატორიის ექიმი იცნო, რომელსაც ორი დღეა იმედით ელოდენ ავად მყოფ ხუტუიას სახლში და რომელიც მხოლოდ ეხლა მიეშურებოდა იქ ნელი ნაბიჯით.

ნომრის გამოსარკვევად იგი ხუთმეტ - ხუთმეტი წუთი იდგა ყოველ სახლის წინ, რომ გამოეცნო სახლზე მიკრულ სამ ნომრიდან, რომელი იყო მიკრული ნიკოლოზის დროს, რომელი მენშევიკეშის დროს და რომელი უკანასკნელ დროს, ე. ი. სწორი.

თუმცა ხუტუია უკვე ამ ქვეყნის აღარ იყო და არც ამ ქვეყნიური აინტერესებდა რამე, ექიმის დანახვაზე მაინც მხიარულ გუნებაზე დადგა და



**დიასახლისი:**—რა ჭირი გაგიჩნდა, ქათამო, რომ ერთი თვეა ერთი კვერცხიც აღარ დასდე?

**ქათამი:**—შენ რომ ღვთის წყალობას არ მაკლებ... ერთი თვეა ერთი ჭიანი მარცვალი საკენკიც კი არ წამოგიგდია ჩემთვის!...

ის იყო მისკენ უნდა გაქროლებულიყო საოისოდ, რომ უეცრად ანძიდან ხრინწიანი ხმა მოესმა:

— ალლო!.. ალლო!.. ლაპარაკობს თბილისი!...

— ლაპარაკობს თბილისი 1070 მეტრიან ტალღაზე.

ხუტუიას სული ისევ მოწყვეტილი დაეშვა ანძასთან. თურმე ხუტუიას მდგომარეობაში ეხლა საჭირო აღარ იყო არავითარი მიმღები მოწყობილობა. ეს მით უფრო სამწუხარო იყო, რომ სანამ ხუტუია ცოცხალი იყო, მისი მიმღები მხოლოდ მაშინ მუშაობდა, როცა გუნებაზე იყო და არავითარ ანგარიშს არ უწევდა ხუტუიას გუნებას.

მხოლოდ ბოლოს დროს დაამყარა ხუტუიამ მჭიდრო მეგობრული კავშირი თავის მიმღებთან, როცა ერთ თავის ამხანაგს რჩევა - დარიგებებს დაუჯერა.

ამ რჩევის მიხედვით, ხუტუია სანამ მიმღებს მომართავდა და ყურმილს გაიკეთებდა, უნდა ხელი მოეკიდებინა ერთ ადგილას. შემდეგ სამჯერ შემოტრიალებულიყო მარცხენა ფეხზე და თან ჩუმად ერთი საიდუმლო სიტყვა ეთქვა, შემდეგ გაეფურთხებინა მარჯვენით, ერთი ორჯერ დაემთქნარებინა, თითქოს უფრო ძილი უნდოდეს, ვიდრე რადიოს მოსმენა, შემდეგ ერთხელ კიდევ შემოტრიალებულიყო მარცხენა ფეხის ცერზე, უეცრად გაეშვირა ორივე ხელები სივრცეში და მრისხანე გამომეტყველებით ეძახა: „რადიო!.. რადიოო!.. ე. ი. რადიო მოდი... მართლაც, ასეთ რიტუალის შემდეგ მიმღები ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლად მუშაობდა.

ეხლა კი აღარ იყო საჭირო არც ეს რიტუალი და არც მიმღები.

ამასობაში ანძიდან ხრინწიანი ხმა განაგრძობდა ცნობების გადმოცემას ჩინეთისა და ამიდის შესახებ. მალე ხრინწიანი ხმა მომაკვდავის ხრიალში გადავიდა და ხუტუიას სული სახურავიდან სივრცეში გადაეშვა, ოღონდ ეს ხრიალი არ მოესმინა.

დიდხანს დაფრინავდა ხუტუიას სული ქალაქს ზევით და მაინც ვერ გადაეწყვიტა საით გაფრენილიყო. ერთის წუთის განიზრახა რუსთაველის გამზირზე ჩამოშვებულიყო და მოსეირნე საზოგადოებას შერეოდა, მაგრამ გადაიფიქრა.

— რა კარგია, — თქვა ხუტუიამ, — რომ ამ ხალხს აქვს გასართობი, თორემ მალე მახათების კრიზისი დადგებოდა!..

ხუტუიას სული განაგრძობდა ფრენას. უცბად შენიშნა ერთის განათებულ ბაღის „ზაბორზე" შავი ჩრდილები მიფორთხავდნენ და ბაღში გადადიოდნენ. ხუტუია მიხვდა, რომ ეს ის საზაფხულო ბაღი იყო, სადაც ბლომად დაიარებოდა განათლებული საზოგადოება და უყოყმანოდ დაეშვა ბაღში.

ათი წუთის შემდეგ ხუტუიას სულს ტკბილად ეძინა სიმფონიურ კონცერტის მსმენელთა რიგებში და რადგან უჩინარი იყო, არავის შეუწუხებია.

დილას ხუტუიამ განიზრახა სამსახურში შეფრენილიყო ცოტა ხნით და კიდევაც გაქროლა იქით.

რამდენიმე წუთში დაიარა ყველა განყოფილებები, მაგრამ არავინ ფიქრობდა გვირგვინისათვის ფულის შეკრებას...

— სიცოცხლეში კი მე რამდენი შევსწირე ამ გვირგვინებს, — წამოიძახა ხუტუიას სულმა და გამგის კაბინეტში შეიჭრა, რადგან დარწმუნებული იყო გამგე ნაწყენი იქნებოდა ერთგული მუშაკის სიკვდილით.

გამგე ცოლის ძმას ელაპარაკებოდა:

— ჩაძაღლდა როგორც იქნა... ხვალ შენ უკვე შტატში ჩაგრიცხავთ...

ხუტუიას სული დამწუხრებული გამოფრინდა კარში და დიდხანს, დიდხანს დაფრინავდა ჰაერში. ქვევით ჩვეულებრივად ხმაურობდა ქალაქი და სჩანდა, როგორ ეხეთქებოდა ერთიმანეთს ტრამვაის ვაგონები და მტვერის ნისლი ეფინებოდა ვერის დაღმართს.

მხოლოდ მეოთხე დღეს გადაწყვიტა ხუტუიას სულმა საით გაფრენილიყო. დაღლილმა და დაჭანცულმა გაეშურა პეტრე-პავლეს სასაფლაოსაკენ, დიდი ძებნის შემდეგ მონახა, როგორც იქნა, თავისი საფლავი, გაიხსენა, რომ ის სიცოცხლეში უღმერთოთა კავშირის წევრი იყო და მაშასადამე მისი სულის არსებობა ეხლა რაღაც გაუგებრობა უნდა ყოფილიყო, ერთი მაგრად ამოიოხრა და შვებით ჰაერში გადნა.

**ხინემატო.**

# სცენები ქ. ლანჩხუთის ქუჩებში




1. ღორები ტარანებს იტაცებენ დუქნიდან. 2. ბატები ბალს იტაცებენ დუქნის წინ დადგმულ თაბახიდან (გობიდან). 3. თხები დუქნის ყაფასაზე გადი-ჩამოდიან და 4. ძაღლები ქუჩაში გამვლელს ალყას არტყამენ.

# გაქანების ექსტაზში

— უმუშევარი რომ ვიყავი, მაშინაც სწორედ ასე დავწანწალებდი ამ ქუჩებში როგორც აი ახლა... მხოლოდ ახლა...





ასეთი არიან ესენი ჩვეულებრივად... და... ასეთები არიან როცა ერთმანეთს ქათინაურს ჭუბნებიან.

# კომსიდედრი და პარტეთიკა!..

თავთხელაძის სიდედრი მოხერხებული დედაკაცი იყო; მან კარგათ იცოდა, რატომ ითხოვენ ზოგიერთებს პარტიიდან, და ამიტომ სიძის ოთახიდან თავიდანვე გაიტანა ხატები, მაგრამ, როდესაც სიძე სამსახურიდან დაბრუნდა, მკვახეთ მიაძახა:

— ქუდი მოიხადე, შენი ოთახი არ გეგონოს — აქ ხატებია!

— სალოცავი ხომ არაფერი გაქვს?—ხუმრობის კილოთი უპასუხა თავთხელიძემ და ცარიელ ლიპზე დაისვა ხელი.

— გინდა მამილო ზეპირათ „მამაო ცვენო“ ვთქვა?!. დღეს დიდედამ მასწავლა. დედამ ახალი კაბა სეიკელა, მალალიცხი ხაჭაპური და წენგოს მულაბა ვჭამეთ და სენკი ალა სეგინახეთ; დედიკომ თქვა კომუნისტებს ალ ეწმევათო — სიხარულისაგან ალტაცებით მიეგება მამას თავთხელიძის პატარა გოგო — მაია.

— მამა უცხონდება — ბორში კი არ ეკადრება! სთქვა სიდედრმა და სიძეს დაუდგა წინ ჯამით რაღაცა მღვრიე სითხე.

— ერთი კოვზი და საინი!..

— სუფრა - სალფეთქი და დანა - ჩანგალი ხომ არ გნებავთ მოგართოთ? — შეაწყვეტინა სიტყვა სიდედრმა.

— ქალბატონო პელაგო!!..

— ოფიციალობას თავი დაანებე, თქვენ პროგრამაში ეს არ შედის და, რაც შეეხება ჭურჭლის რეცხვას, გმადლობთ, კმარა, ბატონყმობა მოისპო. იმის მაინც გრცხვენოდეს, რომ კრებებზე ქალების უფლებებზე საათობით ლაპარაკობ, პირზე ქაფი მოგდის და ოფლ'ში ის'ურები ხოლმე და სახლში კი ცოლს და სიდედრს იმონავებ. კოვზს და საინს შემდეგ გარეცხვა უნდა და შენ კი ამისათვის თავს არ შეიწუხებ...

— ლეო! — ეს მეტის-მეტია და კომუნისტს არ შეშვენის — გუშინ კიდევ „სავეცკი“ გიყიდნია, მოაძახა მეორე ოთახიდან შემოსულმა ცოლმა, რომელსაც ხელში გახურებული შამფური ეჭირა და ზედ გულმოდგინეთ თმას იხვევდა, — მე ექვსი შაური არა მშურს შენთვის, მაგრამ ეს მაინც ხარჯია და საერთოთ არც მოგიხდება პარტიულ კაცს დიდკაცობა.

— წვენი, მგონი. ცივი უნდა იყოს... სთქვა თავთხელიძემ და ადგომა დააპირა.

— არისტოკრატს დამიხედეთ—სადილს იწუნებს—ცივიაო — რა გნებავთ მოგართოთ: ანტრეკოტი, ბივშტექსი თუ „ასეტრინა“?! მკვახეთ მიაძახა სიდედრმა და დოინჯი შემოიყრტყა.

— სადილი ცივია მეთქი; სხვა ხომ არაფერი მითქვამს?!

— „სხვა ხომ არაფერი მითქვამს“! გააჯავრა სიდედრმა. — არაფერი გითქვამს. მაგრამ გულში ხომ მაინც გაიფიქრე: — ჩემი ცოლი თმას იხვევს, დღეს ახალი კაბა შეუკერია, ჩაიცვამს და საღამოზე კინოში წავაო... — კიდევაც წავალთ და არც არავინ დაგვზრახავს, ჩვენ უპარტიოები ვართ, შენ კი, შე უბედურო, შენა, არ მოგიხდება არც „სავეცკი“, არც ახალი ხალათი, ამ ხამთარს რომ შეი-

ქერე, და არც სხვა: შენ მეთვრამეტე წელი არ გეგონოს, როდესაც ყველაფრის გაკეთება შეგეძლო და კრინტსაც კი ვერ დასძრავდა ვინმე შენს წინააღმდეგ... — ის დრო მოკვდა — წავიდა, ყურები გამოიფხიკე და დააკვირდი ცხოვრებას... რათ არ მიირთმევ სადილს?

— გმადლობთ, არა მშია!.

— არა შია ვაჟბატონს!!! ვიცით, როგორც არა გშია. არ გეჰაშნიკება, განა, თამროს ახალი კაბა!.. ოთახში ნუ სწევ პაპიროსს...

— მართლაც ლეო, შენ ძალიან უსუფთაო ხარ, — დაუმატა ცოლმა: — შენ გამო, ირგვლივ სულ თუთუნის ნამწვები, ფერფლი და ქაღალდებია, დროა, შეიგნო, რომ ცოლი შენი მოახლე არ გახლავს... დავიქირავოთ მოსამსახური... რას იბღვირები?!.

— სრულებითაც არ ვიბღვირები და ის ცილი, რომელსაც თქვენ მე მწამებთ, სრულებით უსაფუძვლოა...

— ერთი ამ ვაჟბატონს დამიხედეთ: „ცილსა მწამებთო“!.. საწყალი. უბედური კაცი!.. გჩაგრავენ, განა?! — ჯიცოფდა სიდედრი. — ერთი ეს მითხარით, პატივცემულო სიძევ. თქვენ არ ბრძანდებით ამ ჩვენი ურთიერთობის მიზეზი?! განა, აღარ გახსოვთ, იმ დღეს შემთხვევით კავერკოტის საზაფხულო პალტო რომ იყიდებოდა, და უარი სთქვით ყიდვაზე!?!

— კი, მაგრამ ფული რომ არა მქონდა, რა იხრობით მეყიდნა?!

— „სავეცკი“ პაპიროსისათვის და ახალი ხალათისათვის ხომ მოგეპოვებათ ფული?! იმ დღეს თეატრში დასახარჯათ ხომ მონახე თხუთმეტი შაური?! ხა-ხა-ხა-ხა... არ მოგწონს, განა, ჩვენი ლაპარაკი?! მიბრძანდებით?!! მიბრძანდით! — მიბრძანდით — სადმე მოხსენება გექნებათ გასაკეთებელი — ალბათ, ქალთა თავისუფლებაზეც ჩამოაგდებთ სიტყვას!.. ეს არის თქვენი პარტ-ეტიკა???—კომუნისტი ვარო!!! კომუნისტი თუ ხარ, მეტი-ყურადღება უნდა მოგვაქციო უპარტიოებს და ისიც — ქალებს.... ჩვენ არაფერი მოგვეთხოვება და, თუ მოგვეთხოვება, ისევ შენ პარტ... — ააა მობრძანდით???.

სიდედრის სახეზე სიხარული ალიბექდა, უცბათ შემოტრიალდა და მიმართა ქალიშვილს:

— თამრო, საქმე გაჩარხულია! თუ ეხლაც არ გიყიდა ლეომ კავერკოტის პალტო, მე „პარტ-ეტიკის“ საკითხში ბითური ვყოფილვარ!..

ქინკა.

# თავისებური შედარება



— ვაჰრებს სდევნიან, და აქ კი სპეკულიანტი ქალი გამოუხატავთ სასწორით ხელში./

# გამოცანა

(ჭიათურისათვის)

ბობჩინსკ-დობჩინსკს მოგვაგონებს
ჩვენში, ვინმე, ორი „ვაჟი“,
თავადებთან ლაქიობის,
აქვს ორივეს დიდი სტაჟი.
კნეინებს და „დიდკაცობას“
ფეხებს ჰბანდნენ აიაზმით,
ნახევარი საუკუნე
მათ გამოვლეს ამ ხან-დაზმით!..
„სოციალისტობდენ“ კიდეც
(მოდა იყო ძველათ დიდი),
თავი ეღოთ ხალხის მხსნელად
ისე, როგორც გზა და ხიდი!
მერე, როცა კაპიტალმა
მოიმაგრა ჩვენში ფეხი,
ამათაც მყის ლაქიურად
შეაბრუნეს უცებ კეხი!
თავადების შესუსტება:
არ ეამათ, იწყეს წყენა,
მაგრამ მაინც ჩვენს მრეწველებს,
მათ დაუწყეს კუდის ქნევა!
რომ მრეწველნიც შეიფერთხნენ,
კონცესია სხვას მიეცა,
ეს ჩვენ ბობჩინსკ-დობჩინსკებსაც
ლახვარივით გულში ეცა!
მაგრამ მალე მიცუნცულდნენ,
ამერიკელს მიუჩოჩდნენ,
მისი მეტის-მეტი ქებით,
რაღა ენით, არ იცოდნენ...
დონსკი, ძველ გამოსარჩენს რომ
შეამჩნიეს კონცესიას,
დაეძებენ. ვით უწყის დრომ,
ახალ ორიენტაციას.
„დიდი კაცების“ ძებნაში,
ამოუღიათ მუდამ სული,
და ამრიგად მათი საქმე
არის მუდამ დათარსული!..
საცმარისად დაგიხატეთ,
ვფიქრობ, რომ თქვენც მიხვდით. მე...
ნი.

აშკარაა! ყველამ იცის
აგი ორი ვაჟბატონი.

ფირქინბაძე.

# შ ა რ ა დ ა

დიდი ხანია, შარადა
არ მიწერია, აღარა,
დამთოვა მთად და ბარადა,
სიბერემ შუბლი დაღარა.

და ბოლოს ისევ ამიტყდა
ჩემი ბებერი კალამი!..
მაში, ხიდი თუ არ ჩამიტყდა,
შარადას — ჩემი სალამი!.

—:—

მონახეთ სიტყვა პირველი,
თუ გაქვთ ქადილიც მადისა,
საქმეა გაუქირველი,
წევრია წელიწადისა.

მეთორმეტეზედ ზრუნვაში
ვართ იმის სამი ბგერითა;
მოქმედებითი ბრუნვაში
სთქვით ის ოთხ ასოს წერითა.

ხილეთ ასე, რომ დასდოთ
შარადას თავში მრთელადა,
რომ შემდგომ გაიანაზდოთ
სხვა სიტყვის საპოვნელადა...

ამა მეორე სიტყვისთვის
ჩვენ ძნუწი კაცი გვჭირდება,
„ძუნწს" გავსცემთ იმ მეორისთვის,
ფასი არა გაგვიძვირდება!..

შვიდი ასოთი დასაწერს,
უშნოს და დაჭმულს ჟანგითა.
პირველ სამს ვსტაცებთ ჩვენთვის ხელს,
სხვას კი მოვძებნით სხვაგნითა;

ტყავია, სითხის მშობელი,
დამდგარი ყირამალასა,
არ რჩება დაუთრობელი,
ვინც მას დაატანს ძალასა.

ოთხი ასოთი დასაწერს
ბოლო მოჰკვეცეთ დანითა,
ინი ანს ითხოვს. სხვა ნაჭერს,
თითონვე შეიცანითა....

ამით ეს სიტყვაც მკვიდრდება,
ესეც შვიდ ასოთ საწერი.
ის მთლად შარადას სჭირდება,
როგორც მეორე ნაჭერი.

სიტყვა არ არის ქართული
არც რუსულია სრულადა.
ყოველს ენაში ჩართული
ყოველს აზრს უბღვერს მტრულადა!..

ხშირად თვით სიტყვაც არ რჩება,
კბილ-გაუკრავი მწვავეთა:
ზოგზე რომ დაიფარჩება,
ზოგს ხვდება სასიავეთა.

ადამიანის საქმეზეც
ასევე მიდის ფხიანად:
ზოგს რომ აქებს და აქეზებს,
ზოგს ანიავებს მთლიანად.

გაზომავს კიდე-განიდან,
გულს გაუსინჯავს, მაჯასა,
ცარს დაუკეტავთ, ბანიდან
შევა, არ ზოგავს აჯასა...

არის საზომთა საზომი
და სიჯანსაღის წამალი,
რჩეულიც იყვეს რაზომი,
ვერ ჰპოოს მისგან სამალი!..

ახლა პარტიამ ლოზუნგათ
წამოაყენა, თავისად,
სენის ამოწვა რომ უნდათ
თვით ცეცხლზეც უფრო მწვავისად!

ეს ორი სიტყვაც მთლიანად,
რთულ სიტყვად ერთად საწერი,
ამ ლექსში თავაზიანად
შარადათ არის ნაკერი!

აწ მომარჯვება მის ხელში
ჩვენ ყველას გვადევს ვალადა,
მტრებს ჩავაყენებთ სიცხეში,
რომ მოყვრებს არგოს კვალადა...

აგშორდეთ ყველას იმისა
კბილი, ბასრი და ფხიანი,
თორემ... ვაჰ. თვალის ჩინისა
წარმლა, წარხდენა, ზიანი!..

ენუქა.



ქალი: — თქვენი ძაღლი მთლად თქენი ასლია!
— სწორედ ისევე, როგორც თქვენ თქვენი ძაღლის ორეული ხართ.

# ყოფილი მოსამართლე

ჩემი პირი გითხრათ, ძმებო, დამაცათ,
ბედმა ჩემზე როგორ გაიმამაცა.
წინეთ ვისიც იყო ტკბილი ცხოვრება
ისინი დღეს ქცეულან მათხოვრებათ.
დრონი რომ მეფობს, და არა მეფენი
ეს მე კარგად ვიცი, ჩემო ეფენდი.
ეხ! დროებავ ვინ რა იცის რა ხარო,
ერთსა მოჰკლავ, რომ მეორე ახარო;
ოქტომბერის ქარიშხალმა დაჰბერა,
სხვებთან ერთად მეც დამცა, დამაბერა.
დღეს რაღა ვარ, სულ სხვა ვიყავ წინადა,
ჩემი მკერდი ოქრო-ვერცხლით ბრწყინავდა.
დიახ! გახლდით, ჩინოვნიკი კაცია,
მოსამართლე ულმობი და მკაცრია,
დატრიალდა სხვანაირი დროება;
მეც დამენგრა სიმშვიდე, მყუდროება.
რაც დაამხვეს ტახტი დიდი მეფისა,
დრო დამიდგა მას აქეთ წამებისა,
ქუჩა-ქუჩა დავალ მე ვით ეული
და ვგონივარ ბევრს ჭკუა - შერყეული.
არ მხურავს და არ მაცვია ტანზეა
და მიტაცებს კვლავ მკვდარი ფანტაზია
როს ვიდოდი პალატაში მეფურათ;
ვაბრუნებდი ქვეყანას ჩემებურათ.
ვიყავ მჰრელი კანონ - სამართალისა
მტყუანის მხსნელი, დამსჯელი მართლისა;
ჩემს „ზაკონებს" სხვა „ზაკონმა უწია,
ჩამამწარა დღენი რევოლიუციამ.
ამ დროებამ წელში ხუთათ გამღუნა
სიბერემაც დამცა, დამაძაბუნა,
ეხ! დროებავ! ვინ რა იცის რა ხარო,
ერთსა მოჰკლავ, რომ მეორე ახარო.

დონ—კიხოტი.



ქალი:—თუ შეიძლება პროტექცია გამიწიეთ გამგესთან, რომ...
— ჰმ! კარგია! მიუხედავად იმისა, რომ პატივს გცემთ, თავის გაწირვა მაინც მეძნელება თქვენთვის!

# რადიო ზოგიერთ სოფელში



# სამტრედია

## ნაჩხეტაური

მრავალჯერ, ძმაო ტარტაროზ,
ეს საქმე მე შენ გაცნობე,
ვასოს დუქანში ქეიფსა
ღვინო-დუდუკში აჭრობენ.
ბოლოს მთლად გაკადნიერდა
ვასუა თავის გმირებით,
ტარიელობა მისი ხტის
სოფლის თავს გადაჭირებით,
ამას წინ მიხა დოლიძე
აქ ქეიფობდა აშქრებით,
ისეთი დათვრა საბრალო
რომ სულ დაებნა დავთრები.
წამოიშალა სუფრიდან
იგი ძმა-ბიჭებიანი
და გლეხებს მუშტი-კრივით
გაუმასპინძლდა სვიანი.
მერმე რევოლვერს ულერდა
გზაზე გამვლელებს, ყველასა,
ხალხი კი სადღაც გარბოდა,
შიშით ითხოვდენ შველასა.
ტარტაროზ! გვიხსენ, გენაცვა,
თორემ აგვიტყდა კანკალი,
ჩამოდი, ჩამოიტანე
შენი პირმწველი ჩანგალი.

პ. კ—ძე.

# ცნობათა მიღება



**ზვანელს**

მოვისმინეთ თქვენი ლექსი,
თქვენი სტუმრის ვითარება,
რედაქტორმა დაჰყნოსა და
არ ინება მიკარება.
თუ ის კერძო ჩარჩი არის,
პურს ტარანს და ლურსმანს ადებს,
მოუხთება ასეთები
ზვანელის მსგავს დარდიმანდებს!..
რათ არ ხსნიან „ეპოს“ დუქანს?
და თუ „ეპო“ ამას სჩადის,
ოზურგეთიც ხომ ზვანს აკრავს,
იქ ზვანელი რათ არ ჩადის?!
რაც ეხება იმ სტუმრის ცოლს
და მის აშიკს დათიკუნას,
ბაემანზეც თუ ალორებს,
აფერ ქალო!. სჩანს, ცეტს ჰლუნავს!..
უკაცრავად და ჩვენს ჩანგალს
ასეთ ქალზე ჩვენ არ ვხმარობთ
ჩვენ პატივს ვსცემთ კორესპონდენტს,
ზოგს კი ვიგდებთ სამასხაროთ!..

**მასხარა.**

**ზახამშრალს**

ნუ გვდებთ ბრალს,
თუ ვართ ვარს!..

ერთი ორი შაური ხარჯი ბარემ კიდევ გასწიეთ და გვაცნობეთ, თუ რომელ აღდგომას ეხება ეს თქვენი სახუმარო აშბავი: წრევანდელს, შარშანდელს, თუ იგი საზოგადოთ ყველა აღდგომისათვის ისევე გამოდგება, როგორც. მაგალითად, ჩვენი სარედაქციო... გოდორისთვისაც?!

**გოდ.**

**ტენტერ ჩუტაძეს.** რა კარგი სახელი და გვარი გქონიათ! განა. ამათ კაცი იუმორისტულ წერილზე მოსაწერათ გაიმეტებს?!. ეჰ, რა ვუთხრა დროს, თორემ თქვენ რომელიმე ტრესტის თავმჯდომარეთ უნდა იყვეთ. მაგალითად, ღვინის ან სპირტისა. თუ ესენი არა. უბრალო ტიკების დამმზადებელ ქარხნის დირექტორობას მაინც რაღა თაკი სტკივა? თემაც ჩინებული აგირჩევიათ: „მიხოს უბედურება“. მიხოს კი არა. ეს „უბედურება“ ჩვენც საკმაოდ შეგვეხო!.. ეს ერთი წეეერიიილიი ძლივ ჩავიკითხეთ ბოლომდის და გიფიცავთ როგორც საქამიას, ისე უქამიას სერს, რომ ჩვენ მიხოზეც უფრო უბედურები ვართ, თქვენზეც და საზოგადოთ ყველა მკითხველზეც. თქვენ კი სამ ასეთ წერილს კიდევ სწერთ და ისიც ყველას — ჩვენთვის!..

იწამეთ ღმერთი და გვაკმარეთ ესერთი!..

**ჰაზირა.**

**კომბალს:** აი, კომბალიც შენა თავში და თავკომბალაცა!.. შე კაი კაცო, ჩემბერლენს და ერთა ლიგას რომ ეპოტინები, „დრენდოუტი“ მაინც მოგეწერა ამ შენი პოეტური ლექსისთვის ფსევდონიმათ, თორემ „კომბალი“-ს ფსევდონიმით ხომ ყველამ გიცნო, რომ შენ ქართველი ხარ!..

**ხიკსი.**

**აქსიომას**

აქსიომაა ის, რომ თქვენი ლექსი მთლიანად მიულებელია. თუმცა შიგადაშიგ არის ჩინებული ადგილებიც. მაგალითად:

„ბუუუზე უკვე რომ დაიწყეს ბოგა,
რა თქმა უნდა, პროგრესის სიმბოლო,
მაგრამ წინსვლა არ ეტყობა მაინც:
დამთავრებას აღარ უჩანს ბოლო!“..
გვესმის თქვენი თქმა და ჰა, ჩვენი ხმაც:
სამაზრაღმასკომო!
ისმინე ეს სოლო:
გაახილე თვალი,
არ გაგამონ ლოლო!..

**ლო-ლო.**

**ლაყუჩას**

თქვენს ლაყუჩზე რომ ხელი მოგვიწვდებოდეს, გაზლევევინებდით იმ დროს. თქვენი იუმორისტული ამბის კითხვაში რომ დრო დაგვალუპვინეთ. რა დროს ზღაპრებია. თქვენს სინამდვილეზე მოგვიყევით რამე, თუ შეგიძლიათ.

**კვესი:**

**კუკუშას**

ასეთია თქვენი დარიგებისათვის რჩევა:

ჩემს ცოლს სანამ შევირთავდი, ქვეყანას მიმტკიცებდა და რომ შევირთე, ჯამაგირის ერთ მეხუთედის მეტს არ მიტოვებს სახარჯოთ. თუ არ წარუდგინე სახლში მისვლა არ მიწერია და სახაზინო ფულის გახარჯვას ვერ ვბედავ. როგორ მოვიქცე?

**ჩვენი პასუხი:**

აილეთ და ის მეხუთედიც ცოლს ჩააბარეთ...

## „გიგანტიური ნაბიჯი“

„ოზურგეთის წითელ სასადილოებში ბედნიერი კაცი მოუსწრებს სადილს—პირველს საათზე სადილი უკვე გათავებულია“ ——— **თაჩი.**



— გამოიქეცი დაუჩქარე ნაბიჯს, თორემ სადილს ვერ მოუსწრებთ!
— არა მაქვს იმედი... უკვე ტორმეტი საათია!



— გიგა, წავიდეთ ქალაქიდან, თორემ თუ უფრო დაცხა ...

**გესლს**

რომ ყოფილხართ, ვხედავთ, გესლი,
თუ[illegible]ც არ გწყალობს ლექსის თესლი;
თუ მიჯნური მიჯნურს უყვარს,
ამ პირობას შენ ვერ შესცვლი!..

**თესლი.**

**ქეთოს**

თუ დაიკო არშიყობდა,
ნება ჰქონდა ამის სრული,
თქვენც ხომ—ეშხით არ ბრძანდებით
ბუჰგალტერზე გაბასრული?!
ცოლი თუნდა ათიცჰყავდეს,
თუ ბარიშნებს კაცი უნდათ
მათ ნება აქვთ მიესიონ
როგორც ცალკე, ისე გუნდათ!..
ჩვენი ამ მხრივ ვერ გიშველით
ვერც ჩანგალი და ვერც ფარცხი
თქვენ ისა სთქვით: სალაროში
ხო მარა აქვს რამე მარცხი?!.

**ცხი.**

**ვალ იას**

კოწიას და ვალოდიას ხვედრი თქვენ თუ, გშურთ თორემ ჩვენ სრულებით არ გვეინტერესება. არც ის გლეხებია მოსანალვლი, რომლებიც, მარტო გალსტუკისა და წითელი გეტრების შიშით, თავიანთი ალმასკომის თანამშრომლებით ვერ სარგებლობენ. არა გვგონია, რომ ასეთი სუსტი ხასიათის გლეხები იყვენ თერჯოლაში. რაც შეეხება პუდრის საკითხს, ეს კი ქალების სისუსტეს მიეწერება, მაგრამ ვინაიდან ჯერ მათი სავსებით გასწორება ძნელი ამოცანაა, ამიტომ ჩვენც უნდა შევურიგდეთ, როცა ისინი თითონ ცდილობენ პუდრით თაიანთ სახეების ოდნავ მაინც შესწორებას.

**შანთი.**

**ოზიელეს ავიას**

თუ ქიშვარდი ნარდს თამაშობს,
ზედ ათენებს ღამეებსა,
შარადის წილ, შენ თვით მაზედ
მოგვწერდი ჩვენც რამეებსა.

**რემ.**

**შ. აბზიანიძეს**

თქვენ კი გეგონათ, რომ თქვენს გამგეს სამაგიეროს გადაუხადეთ, მაგრამ „ფონი გასავალს დალოცეთ", როცა თქვენი იუმორისტული ნიჭის ნაწარმოები ნახოთ ჩვენს ჟურნალში ასეა, ჩემო ძმაო, „მჯობნის მჯობნი ამ ქვეყნად არ ილევა"!..

**სალი.**

**ანდრუშას**

თქვენ მიერ ალზულ თემას არ უშავს!.. სავსებით ვეთანხმებით თქვენი ხუთგვერდიანი პოემის ბოლოს:

„ყველას ეს ბედი ეწევათ
გამსახლისკენ წაბრძანდება
დაუდგებათ (გაუსქდებათ კიდეც) შიშით გული
ვინც გაფლანგა ტრესტის ფული"... (მართლწერა თქვენია!) შეგნებული კორესპონდენტი ბრძანებულხართ: თვით ასეთი და ამ სიგრძე ლექსის დაბეჭდვა საბჭოთა ქაღალდზე, თვით ამ ქაღალდის სულგრძელობაზე რომ არაფერი ვსთქვათ, უდრის საზიზღარი გამფლანგველის დანაშაულს!..

**საბპრობკა *).**

**მაჯლაჯუნას**

ამ შარადას, ასე ფხიანს,
რიკამ თავი აჯაჯგუნა,
ტყავი გაძვრა ადამიანს
და დაბეჭდვა ვერ არგუნა!..
თუ შარადა ვერ დავბეჭდოთ
(ფულს ვერ გავსცემთ ასეთ გონჯში!)
თვითონ ლექსი, ვსთქვათ, გავბედოთ
და გავგზავნოთ დამწვართ ფონდში?!.

**რიკა.**

*) საბჭოთა პროკურორთა ბიუროს კანტროლის ალმას იულებელი.

**ვარადა.**

# ხოლო, როცა მოსავალი მოვიდა...




მშრომელი ქალი.—საჩქაროდ გამობრძანდით, მოქალაქეებო, [illegible] [illegible] არ გამოსცვივდეთ...

[illegible] № 68

კვირა. 24 ივნისი 1928 წ. № 158 წლიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## სიმართლის მთქმელს—შეკაზმული ცხენი...

„მირბის მიმაფრენს უგზო-უკვლოთ ჩემი მერანი!“.

მიუხედავად პარტიის მტკიცე დირექტივისა თვით-კრიტიკის ფრონტის ფართოდ გაშლის შესახებ, ზო-გიერთი ადმინისტრატორები განაგრძობენ ნაკლუ-ლოვანებათა მხილებაში შენიშნულ მუშების დევ-ნას.
გაზეთებიდან.



— რა გასაჭირი ადგია, თუ იცი?..
— ალბათ, თვითკრიტიკა თუ აწარმოვა სადმე „ქვევიდან“— ზევით!.

# დაკვრითი წესით!

მიქარავენ ამერიკელები, ინგლისელები, ფრანგები, გერმანელები და, ასე გასინჯეთ,— რუმინელები და ჩეხო-სლოვაკელებიც კი, რომ ისინი მდიდრები არიან, ჩვენ— ღარიბები და, მაშასადამე, მათ აქვთ უფლება ჩვენ მედიდურად გვიცქირონ.

მიუხედავათ იმისა, რომ ყოველგვარი მედიდურობა, სიყოყოჩე და, თუ გნებავთ,— სიყეყეჩეც იმ თავიდანვე დაჰგმო და შეაჩვენა ამხ. ლენინმა, რასაც შემდეგ ასე დაჟინებით იმეორებენ ჩვენში ყოველი მდივანი, ყოველი პარტიული თუ ყოველი კომკავშირელი, რომელთაც კი ეს სიყოყოჩე და მედიდურობა მთელ სიცოცხლეში აწევთ გარდუვალ სიმძიმეთ ან და წუთით მაინც განუცდიათ ყველა რბილში იმისი ცხოველმყოფელი დენი, ჩვენ მაინც შეგვფერის ერთგვარი მედიდურობა, ერთგვარი სიამაყე, რომელსაც სამართლიანად უნდა განიცდიდეს ყოველი ჩვენგანი იმიტომ, რომ ჩვენ უზომოთ მდიდრები გახლავართ!..

დიახ, მდიდრები!..

რევოლიუციამ იმდენი მონაპოვარი გი მოგვცა, სხვა ბურჟუაზიულ კლასისგან მიღებულ სამკვიდროს რომ თავი დავანებოთ, იმდენი ახალი და მტრის თვალის დამაბრმავებელი ღირებულება კი შექმნა, რომ ჩვენ სიამაყით შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენს ამაყ წინაპრებთან შედარებით ჩვენი აშკარა უპირატესობის გამო სიმდიდრის ამ სფეროში!..

რევოლიუციის მონაპოვართა და მერე რომელი ერთი?!

— რევოლიუციის მონაპოვართა შორის... იწყებს ჩვენი პოლიტგანი ლიკტკბილაძე, როცა ის ესწრება „წერა-კითხვის“ საზოგადოების ფილიალის გახსნას, რომელიმე „მუხაჯიროვში“ ან „ჩიტიკურკანტელში“ და უსაზღვროთ ასხამს ხოტბას მთლიანად ამ საზოგადოებას. თუ მის ფილიალს, როგორც ყველა მონაპოვართა შორის უძვირფასეს საგანძურს.

— რადიო ერთი უძვირფასესი მონაპოვარია რევოლიუციის ყველა მონაპოვართა შორის!.., იჩემებს „რადიო მოყვარულთა“ საზოგადოების თავმჯდომარე, იერიქონიძე, როცა ის აუცილებლად ესწრება რომელიმე ქოხსამკითხველოსთან რადიო-აპარატის ამუშავების საზეიმო გახსნას თუ რომელიმე რადიო. მოყვარულთა წრის რომელიმე სხდომას.

— საბწკინო!.. აცხადებს ეგრედწოდებულ „გოსკინპრომის“ წარმომადგენელი, როცა სიტყვას ადებს საბჭოთა კინო-წარმოებაზე, ხოლო სიიოლისათვის წარმოების გამომსახველ ინიციალს „წ“-ს მოხერხებულად აქცევს „საბ“-სა და კინოს შუა, რითაც ერთად იჭერს სამს მწევარს. უკაცრავათ, „კურდღელს“-თქვა მინდოდა მეთქვა, მაგრამ ამას წინად ბაღ „არტო“-ში ჩატარებულ ჯიშიან ძაღლების გამოფენაზე დაზიანებულმა მიმენელებოს აპარატმა მიღალატა და „კურდღლის“ ნაცვლად, მწევარი წამომცდა. არა უშავს, საკითხს თუ კომპლექსიური მეთოდით მივუდგებით, მწევარიცა და კურდღელიც ორივე თანასწორ-უფლებიანი საბჭოთა ცხოველია და „კულაკისაგან“, ამ შემთხვევაში— მონადირისაგან ორივე ისევე შევიწროებული, როგორც ღარიბი (—კურდღელი) და საშუალო (—მწევარი) გლეხობა.

მაგრამ საგანს ავსცდი და სადღაც კუმიზნოთ გადავუხვიე, როგორც ეს უთუოდ მოსდის ხოლმე ყველა ჩემსავით ენა-ხვავრიელ მომხსენებელს.

დიახ, მე მოგახსენებდით ჩვენს სიმდიდრეზე რევოლიუციის მონაპოვართა დარგში... და მოგახსენებდით ეგრედწოდებულ სხვადასხვა რევოლიუციონურ გამოთქმათა სიმრავლესა და სიმრავალფერეზე.

მართალია, კაი ხანია, რაც წარსულს ჩაბარდა ეგრედწოდებულ „შაბათობათა“ ხანა, როცა ჩვენ „დაკვრითი წესით“ ვასუფთავებდით ათწლობით დაუგველ ქუჩებს, ვსჭრიდით ტყეში ცხვირზე მოყუდებულ ზამთრისათვის აუცილებლად საჭირო შეშას თუ სწორი მიმართულებით გაგვყავდა რომელიმე სოფლის გინდ ქალაქის ბობოლას. მიერ ღარიბ მზეობლის დაჯაბნებით გამრუდებული სოფლის შუკა თუ ქალაქის ქუჩა, მაგრამ, აბა, კარგათ მოიგონეთ, თუ გამოთქმა „დაკვრითი წესით“ შემდეგ რამდენ სხვა ახალ-ახალ „კამპანიებს“ გამოვაბით კუდში თუ თავში ენერგიის შთამნერგავ ეპიტეტათ!..

— ეს მუშაობა „დაკვრითი წესით“ ჩაატარეთ! იწერებოდა რომელიმე სახკომი ან გლეხკომი.

— წერა-კითხვის უცოდინარობა „დაკვრით წესით“ უნდა იქნას აღმოფხვრილიო, ბრძანებდა თავის დროზე სამაზპოლიტგანი. მართალია, სიტყვა „უცოდინარეობა“ მას ბევრჯერ გამორჩენია როგორც ზეპირ, ისე წერილობით ბრძანებაში და ამრიგათ გამოსდიოდა ბრძანება წერა-კითხვის აღმოფხვრის შესახებ, მაგრამ, ესეც ხომ „დაკვრითი წესის“ წყალობით მოსდიოდა მას.

ცნობილი მარელისის ქარხანაც ხომ „დაკვრითი წესით“ ავაგეთ, ტრამვაის მუშათა ბინაც და სხვა მრავალი.

წელს გაზაფხულზე, მაგალითად, მე მიწაზე ერთი თოხის დაუკვრელად თითქმის მთელი ორი თვის განმავლობაში ენერგიულად „დაკვრითი წესით“ ვაწარმოებდი ეგრედწოდებულ „თესვის კამპანიას“ და ვერც თესლის, ვერც მუშა საქონლის თუ სხვა რამ საჭირო ინვენტარის უქონლობამ, ვერც გვალვამ, ვერც ქყიჟორმა და ვერც წყალდიდობამ ვერ შემიშალეს ამაში ხელი.

ამჟამად ეგრედწოდებულ თვითკრიტიკასაც „დაკვრითი ანუ „დაცხე“-ს წესით“ ვაწარმოებ, მხოლოდ, რაღა თქმა უნდა, სხვების წინააღმდეგ და არა თავისი თავისა.

ამას წინად ჩემ მეზობელ ქალთან მომიხდა გასაუბრება, ისე ნამდვილად —„დაკვრითი წესით“. ამ ქალს მე დიდი-ხანია ვიცნობ. მან დიდ ხანს, ზომაზე გადაჭარბებით ატარა დღენი და თითქმის წელნიც კი თავისი სიქალწულისა, რომ ბოლოს ერთ მშვენიერ დღეს, სრულიად მოულოდნელად, სწორეთ „დაკვრითი წესით“ გაჰყვა თავის ეხლანდელ ქმარს, ეგრედწოდებულ— „მმაჩ“-ში, ეგრედწოდებულ —„ხელის მოსაწერად“, ქორწილშიც გიახელით. და რადგან მას შემდეგ დიდი ხნით არ მენახა, ვკითხე: „როგორ შეეთვისე ახალ ყოფას, როგორ ცხოვრობთ თქვენს ქმართან?!“

— იცით, „დაკვრითი წესით“, დარცხვენით მომიგო მან.

— როგორ თუ „დაკვრითი წესით“, არ მესმის, გავიოცე მე.

აღმოჩნდა, რომ ყოველდღე სამსახურიდან დაბრუნებული, ახლობელ სარდაფში გამოვლით, ეგრედწოდებულ „დაკვრითი“ იგივე „გადაკვრითი წესით“ დამძიმებული იმისი ქმარი უიმისოდაც მოშეტებულის სიმძიმით აღმართავს თურმე მის თავზე დამაშვრალ მარჯვენს, ხოლო თავისი სავარჯიშოს „დაკვრითი წესით“ შესრულების მიზნით, მარცხენასაც ზედ დაატანიებს თურმე „დოვეჯკასავით“...

მეწყინა.

— ადექით და თქვენც „დაკვრითი წესით“ განშორდით თქვენს უდიერს ქმარს- მეთქი, ვურჩიე მე „დაკვრითი წესების“ ამ ყოვლად უდანაშაულო მსხვერპლს.

მაგრამ, ეჰ რამდენს უნდა გახდეს წამლად ჩემი ასეთი რჩევა?!.

ონისიმე.

# კულტურული ზედმოქმედება



— ხედავ?
— რა არის? მამა სცემს თავის შვილს!..
— რა არის და, როგორც ჩანს, ჩვენ რომ ვფიქრობდით, იმ გზით არ მიდის კულტურული რევოლუცია!..

## „პრიპადკა“

რა ვქნა უმუშევარი ვარ, მომკლა პოლზე წოლამ;
„აგარაკზე გამგზავნეო“ დამიჩემა ცოლმა:
— ხომ ხედავ, რომ სიცხიანი დღეებია ერთობ,
აგარაკის ნაძვნარებში, მინდა, რომ გავერთო.
(სად მაქვს „ჩეთი“ კაპეიკი, დამიფარე ღმერთო).
ვაჟბატონო, ეგ შენს ხელში კარგი რა მინახავს,
ხიმშილი და სილატაკე შენ მუდამ თან გახლავს.
მუდამ უმუშევარი ხარ, ავადმყოფიც თანა,
შავმა მიწამ ჩაიტანოს ქმარი, შენისთანა...
(თითქო არაფერი მესმის, ჩუმად ვზივარ სკამზე,
და მინდა, რომ ფიქრი ჩემი გადვიტანო სხვაზე,
ცალი თვალით ცოლს ვუცქერი, ჯოხს არ სტაცოს ხელი,
ცარი გადარაზულია და თავს ვერ უშველი).
— კაცო, მე შენ გეუბნები, რას უყურებ, რასა?
ხომ არ გინდა მაგ ბრიყვ თავზე, რომ დაგაკრა ბრასა?!
(ოხ, თბილისო, უმუშევრებს რას გვაბრუნებ, რასა?!).

აისესხე სადმე ფული, ოც თუმნამდე ერთად,
მეც მინდა, რომ ამ ზაფხულში გამოვეწყო ოთრად,
მსურს წავიდე აგარაკზე, დავისვენო მინდა,
(იანვარში, ნეტავ მაინც მოექსოვოს წინდა!)
აღარ ყოფნის მოთმინება, ვხედავ: ღელავს ქალი,
თავზე თურმე ჯოხს მიმიზნებს, ვერ მოვკარი თვალი.
და როდესაც მე ამბავი წამოვიწყე სხვაზე,—
რაც ძალა და ღონე ჰქონდა ჯოხი დამკრა თავზე;
უსულოდ ძირს გავიშხლართე; სისხლმა ითქრიალა,
ცოლმა რომ სისხლს მოჰკრა თვალი, მწარედ იღრიალა,
შემოცვივდენ მეზობლები: ეგვიპტო და ტასო,
ჩემმა ცოლმა თებრონიამ, მოახსენა ასე:
„პრიპადკით“ მყავს ქმარი ავად, მწარე ცრემლი ვღვარე,
თავი უცებ კედელს არტყა, მოდით მომეხმარეთ!

იანო.

# „ახალი გეოგრაფია“



მასწავლებელი:—როგორ უნდა დაამტკიცო, რომ მიწა მრგვალია?

მოწაფე:—მაგალითად: თქვენ გინდათ რომელიმე დაწესებულებაში მიილოთ რაიმე ცნობა; შეხვალთ ერთ ოთახში, იქიდან წახვალთ მეორე ოთახში, მეორედან—მესამეში, მესამედან—მეოთხეში... ასე ივლით, ივლით და ბოლოს, როცა მთელ დაწესებულებას შემოივლით, ისევ პირველ ოთახში დაბრუნდებით. აქედან—ცხადია, რომ დედამიწა მრგვალი ყოფილა!

# „დაწინაურება“

„თუჯფოლადრკინი“-ს სამჭედლო განყოფილების მუშებს თავი მოეყარათ ქარხკომის ოთახში და ხმამაღლა ემუსაიფებოდნენ ახალგაზრდა კომკავშირელს. ეტყობოდათ, რომ ამ ახალგაზრდას რაღაცას ულოცავდნენ, ერთმანეთს ლაპარაკში ეცილებოდნენ, იცინოდნენ და ოხუნჯობდნენ.

— „დღეიდან კოტემ უნდა იზრუნოს სამჭედლო განყოფილებაზე, მას უნდა დავაკისროთ ადმინისტრაციასა და მუშებს შორის მჭიდრო კავშირის გაბმის საკითხი, რადგან დღეიდან იგი ჩარიცხულა პარტიის წევრად და მის სიტყვასაც მეტი მნიშვნელობა ექნება“. ლაპარაკობდნენ მუშები.

— „კოტე არ დაგავიწყდეს, საწარმოო თათბირზე დასვი საკითხი „სპეც - ტანსაცმელზე“. — განყოფილებაში პირსახოცები არა გვაქვს. კოტე, ეს საკითხი შენ უნდა მოაგვარო! — უჯრედში კოტეს უთხრეს:

— აბა, კოტე, მოგვილოცნია!, დღეიდან შენ ხარ პარტიის წევრი და მისი ავანგარდი. ეხლა უნდა დაამტკიცო შენ, შენი პროლეტარული სოლიდარობა, გაამართლო შენზე დამყარებული იმედები. გაცხოველებული ბრძოლა აწარმოვო კაპიტალიზმის, ბიუროკრატიზმის და დანარჩენ ყოველგვარ „იზმების“ წინაალმდეგ. გაილაშქრე ბურჟუაზიის წინაალმდეგ, დროა გადავიდეთ სიტყვიდან საქმეზე!...

ქარხკომის მდივანმა აღფრთოვანებით ჩამოართვა ორივე ხელი კოტეს, აკოცა შუბლში, მოიწმინდა გალსტუკით ცრემლი და აკანკალებული ხმით უთხრა:

— მე მუდამ დარწმუნებული ვიყავი, რომ შენში არ მოვსტყუვდებოდი. დღეს ეს იმედი შენ გამიმართლე და, ვფიქრობ, რომ შემდეგში შენ, როგორც პროლეტარული მასების წარმომადგენელი, მუშის და გლეხის შვილი, ერთგული და ფხიზელი დარაჯი იქნები პროფესიონალურ კავშირისა, მის იდეიას და მიზანს არ უღალატებ და მტკიცეთ დაიცავ მის ხაზს. კოტეს ყველა ულოცავდა დაწინაურებას. მხოლოთ ცოლს არ მოსწონდა ეს ამბავი. — აქამდე სახლში მხოლოდ საღამოობით გხედავდი — ეხლა, კი იქნება სულ მთლად გადაივიწყო ოჯახი,—უთხრა მან და მორთო ტირილი.

მეორე დღეს უჯრედის მდივანმა გაიხმო კოტე და უთხრა:

— აბა, კოტე, როგორც მოგეხსენება, ჯერ-ჯერობით მსოფლიო პროლეტარიატს სავსებით არ დაუმარცხებია დასავლეთ ევროპის კაპიტალისტები და დროებით ბურჟუაზია მაინც განცხრომაშია, ამიტომ უჯრედმა ხმის უმრავლესობით ერთხმად დაადგინა, ჩაგაბას რემედასავიაქიმის მუშაობაში. ამასთან ერთად, უნდა უხელმძღვანელო კედლის გაზეთს, მოაწყო ისტორიული ექსკურსიები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — მტკიცეთ უნდა ჩაატარო მუშაობა ქალთა შორის. „ქენორგანიზატორი“-ს მოვალეობას, უჯრედის აზრით, შენს მეტი ვერავინ შესძლებს.

იმდენად, რამდენადაც თქვენ უჯრედის მიერ დანიშნული ხართ „ქენორგანიზატორის“ თანამდებობაზე, — უთხრა ქარხკომის მდივანმა, — და ჩვენს ქარხანაში კუ

თითქმის ყველა ცოლები უპარტიო და წერა-კითხვის უცოდინარია, თქვენ წილათ გხვდებათ იყვეთ მათი დელეგატი. გირჩევთ „დელეგატკათ“ ხმების უმრავლესობით ერთხმათ“.

— შენ პარტიული კაცი ხარ, ქარხკომშიაც ქალებმა „დელეგატკათ“ აგირჩიეს, ყველა ანგარიშს გიწევს, უთხარ შრომის დაცვის კომისიას ფანჯრებში მინები დროზე ჩასვან, სანამ არავინ გამხდარა ავად — ეუბნებოდენ მუშები კოტეს.

ცოლმა კოტეს მეორე დღესვე განუცხადა:

— ქალებით!... აი რიგა ხარ შენ დატვირთული ქარხანაში. ამიერიდან ამ ქალებმა მოგიმზადონ სადილი; მე კი თავი დამანებე. —რა ჭირათ მინდა ქმარი, რომელიც კვირაში ერთხელ შემოდის ოჯახში და, ამასთან ერთად, „დელეგატკაა“?!..

— ჩვენ მოგვდის ცნობები, — უთხრეს კოტეს უჯრედში, — რომ თქვენ კვირა-უქმე დღეებს სახლში უნაყოფოთ ატარებთ!

— მართალია, მაგრამ, ეს ხომ დასასვენებელი დღეებია?!! სცადა თავის მართლება კოტემ.

— რას მიქვია დასასვენებელი დღე? — არავითარი დასასვენებელი დღეები არ არსებობს პარტიის მუშაკისათვის მანამდე, სანამ ჩვენს წარმოების ნაყოფიერებას არ აწევთ საჭირო დონემდე!

დამატებით კოტე მოამაგრეს კომკავშირის უჯრედს. კომკავშირმა გამოყო იგი პიონერთა მე-18 ჯგუფის მეთაურათ. პიონერებმა დანიშნეს საბავშო ბაგაში „საპატიო ძიძათ“ და ბაგამ კი კოტე აირჩია „საპატიო ბებიათ“.

კოტე ხშირათ პიონერთა ჯგუფს უძღვებოდა წინ და გულმოდგინეთ ურტყამდა დოლს. მართავდა საბავშო ბაგაში საერთო კრებებს, დაჰყავდა ექსკურსანტები სხვადასხვა მუზეუმებში, ესწრებოდა მრავალ კომისიების სხდომებს, კონფერენციებს, ყრილობებს, საერთო კრებებს, თათბირებს და სხვადასხვა.

ჩამოდნა კოტე სანთელივით. ამხანაგები და მეგობრები ველარ სცნობდენ მას. ღამის თორმეტ საათზე სახელდახელოთ გადაყლაპული ორიოდე ლუკმა იყო მისი სადილიც, საუზმეც და ვახშამიც...

ჩაფიქრდა....

ერთხელ, როდესაც, მუშაობის შემდეგ, დაქანცული, დამაშვრალი და მოშივებული კოტე მუშების ერთ ჯგუფს უნდა გაჰყოლოდა მუზეუმში, ქარხნიდან გამოსვლისთანავე მიანება თავი ჯგუფს და სახლისაკენ მოჰკურცხლა. გზადაგზა კოტე თავის-თავს ესაუბრებოდა და ხელებს უსიამოვნოდ იქნევდა. გამვლელებს კოტე შერყეული ეგონათ და განზე იწეოდნენ. კოტემ ვერც კი მოასწრო მოსაზრება, თუ როგორ მივიდა სახლში. სული მოითქვა მხოლოდ მაშინ, როდესაც სახლში ბავშის ტირილი მოესმა და მაგიდაზეც დიდი ჯამით ცხელი კერძი დაინახა. მოუჯდა მაგიდას და ხმამაღლა წამოიძახა:

— მორჩა!.. გათავდა!.. გადავწყვიტე... ცოლი თითქოს მიხვდა ქმრის სიტყვების მნიშვნელობას, სიხარულის ცრემლი მოერია, დაუდგა ქმარს წინ დიდი ჰიქით ღვინო და გაექანა სამზარეულოსაკენ კოტესთვის ხაჭაპურის გამოსაცხობათ ასეთი მნიშვნელოვანი დღის აღსანიშნავად.

ჭინკა.



— ერთმა ქადაგმა მითხრა, რომ მალე დაგიჭერენო!
— ალბად გაუგია, რომ შენ ფულები გაქვსგაფლანგული.

# იმედი



კლიენტი (მხატვარს):—უი! განა ასეთი საშინელი ვარ?

— თანამედროვე ახალი მხატვრობა ასეთია!

— კარგი მხატვრობა ყოფილა, კარგი შენ მოგივა!




— ეგებ ეხლა მაინც მეღირსოს ოთახი... რაღაც თვალ ცრემლიანები ბრუნდებიან სახლის პატრონები.

## ნასწავლი შვილი

— „ენაცვალოს მამა ჩემ კოლიას, სულ მთლად მოიარა რაც საქართველოში კლასები იყო. შარშან უნივერსიტეტშიაც შესულიყო, მარა სხვებსავით კი არ დაბერებულა შიგ, იმ დღესვე გამოსულიყო ისევე. ეხლა მითვლის ამ ორ კვირაში ცხრაწლედს დავამთავრებო, კიდევაც გახდება 25 წლის. იმისთანა თეთრი საყელო და „გალსტუკი" აქვს გაკეთებული, რომ ვერ იცნობ, თუ ეს 'კოფელელიაო. ყოველ კვირაში ფულს მითვლის, ახლა შემომითვალა: — მამა ჩემო, ხარები გაყიდე და გამომიგზავნე ფული. მე, რომ ჩამოვალ, მაშინ ტრაქტორს ჩამოვიტან და ტრაქტორში მაგისთანა ფიცხი ხარები მაინც ვერ იმუშავებენო.

„ავშენდი კაცი, რავა დავზოგავ ფულს, ორი კვირის შემდეგ რა შვილი მეყოლება! ულვაშებიც მოპარსული აქვს, ერთი სიტყვით იყო ყოფილა, თუ ჩემი შვილია, ისიც უნდა იყოს. „ის ურჩევნია მამულსო, რომ შვილი სჯობდეს მამასო" — ჩემი შვილი კი მამას კი არა, ბიძასაც სჯობია! — ასე ლაპარაკობდა თავის სახლში სოფლელი გლეხი, ივანე რომელსაც შვილი სასწავლებელში ჰყავდა და ტყავს იძრობდა მისი სწავლისათვის.

### ივანეს შვილი კოლია სასწავლებელში

აბა, კოლია ჩერჩეტიშვილო, ადექი; საქართველოს ეკონომიურ გეოგრაფიაში მაინც მიიღე კარგი ნიშანი; სირცხვილია, რომ ამ საგანშიაც ცუდი ნიშანი გქონდეს. ხომ იცი ეხლა უკანასკნელი გამოძახებაა.

— მივიღებ, ბატონო, რავა არ მივიღებ თუ კი დამიწერ!

— აბა დამისახელე, მტკვრის შენაკადები?

— მტკვარს ერთვის, ბატონო, რიონი, ცხენის - წყალი, აჯამეთი; ყვირილა, ზესტაფონი.

— რას ამბობ კაცო! თითქმის ჩემი ხნის იქნები და ნუ თუ ის არ იცი, რომ აჯამეთი მდინარე არ არის? რიონი დასავლეთ საქართველოშია მტკვარი კი აღმოსავლეთში.

— ყოველ შემთხვევაში, ბატონო, ნათესავები მაინც არიან; ელსადგური რიონზედაც კეთდება.

— დეიღუპოს შენი ნათესავები, აბა, თბილისში რამდენი მცხოვრებია მითხარი?

— არ დამითვლია, ბატონო, და ქე იქნება ერთი ოცი მილიონი.

— კაცო საქართველოში სულ რაღაც ორ მილიონ ნახევარი მცხოვრებია და თბილისში საიდან იქნება ოცი მილიონი? შენი დედ-მამაც იქ ყვის შვილო მყავსო! ეს იქნებ იცოდე — მიჩვენე ქუთაისი რუქაზე.

ფიქრის შემდეგ კოლია უცბად წამოიძახებს.

— მართლა ბატონო ქუთაისი 10 მაისს ქე არ დეიწვა! სადღა იქნება ქარტაზე?

---

წლის ბოლოს კოლიას შესახებ ბევრი იმსჯელეს და დაბოლოს გა-

დაწყვიტეს — მიეცათ მოწმობა, რომ გან ისევ ჩვენ შეგვაწუხებს, თავის უცოდინარობითო. კოლიამ კი ეს ამბავი სწრაფად აცნობა თავის დედმამას და შეუთვალა, რომ მოკლივარ ამა და ამ რაცხვში და ერთი კარგი ფამპანია მოამზადეთო.

დიდი ლხინი გადიხადა ივანემ შვილის ჩამოსვლის გამო.

— რამდენი კლასი გაათავე ბიძია ყოლია? — მორიდებით შეეკითხა ერთი გლეხი.

— ეხლა ბიძია კლასები აღარ არის, ახლა არის წლედები, და მე გავათავე: ჯერ ოთხწლედი, შემდეგ შვიდწლედი, ხოლო ეხლა კი ცხრაწლედი, ე. ი. სულ ოცწლედი; რომ კარგად არ მემაცადინებია, თვრამეტ წელიწადში ოცწლედს ვინ დაასრულებს?!

— შენ გენაცვალოს ბებია, რა გენიოსი და ფილოსოფოსი ყოფილხარ! — უთხრა ბებიამ და მოეხვია ყისერში.

ძგმუნტი.

## როგორ გაკოტრდა არტო

იმ ქუჩაზეა არტო,
ქონდა ლამაზი დუქანი.
იგი ვაჭრობდა მარტო,
მიტომაც იყო მსუქანი.
როს გაიგონა ერთ დღეს
მან ინტერნაციონალის მოტივი..
მალე გაუხსნეს გვერდზე
წითელი კოოპერატივი,
ჯერ კოოპერატივს, როცა
არ ჰქონდა ბევრი ფული,
ის იყო მეტად მორცხვად
არ მოსდიოდა გული.
მაგრამ უყურეთ დუქანს
სულ უკან მოსდის ბედი
და ჩვენ არტოსაც მსუქანს
ძვლებზე მიახმა ფერდი.
მალე ამოჰკრეს კუდში.
დააგდებინეს დახლი.
ეხლა კი მას „ეილ-სუდში“.
სულ ჩამოართვეს სახლი
ეხლა. ქუჩაში დადის
და განუწყვეტლივ ტირის,
ის თავის ბედს უქადის:
სემიჩკას, კრემს თუ ირისს!..

მილტონ.

## ჭიათურა

ქალაქის თეატრს მოაწვა
თვალუწვდენელი ჯარია,
წარმოდგენას სდგამს სუყველა:
მაქსიმე, პეტრე, დარია!
თეატრის საქირაყებლად
ხალხი სდგას „ოჩერედშია“,
ბილეთებისა წიგნაკი
ყველას უჭირავს ხელშია!
შემოგესევა კისკისით
ქალების ლეგიონია:
უკან დახევა უარი,
გაგივა, ვითომ, გგონია?!
უმუშევრობა მძვინვარებს,
ერთობ სჭირს პურის ფულია,
ამდენ ბილეთის ყიდვითა,
ძმავ, ძალა წაღებულია!
ქუჩები არის შეკრული.
მოგდევენ ფეხდაფეხადა,
გულით გინდოდეს ძალიან,
ვერ დაემალვი ვერსადა!
„სობესი“ გახდა თეატრი,
არვინ დაგიდევს არასა,
ქალაქს კი რა ენაღვლება,
პროცენტებს იღებს, ფარასა!
წარმოდგენები მასხრული,
ხალტურა ერთობ ხშირია,
ფუი, ასეთსა ყოფნასა,
მას დიდი დაგვა სჭირია.

ძე.

## ქალაქის სანიტარიისათვის



— აბა, გამოიცან—სანაგვეა თუ სანამწვავე?
— არც ერთი და არც მეორე... სალვინე უნდა იყვეს.
— საიდან სჩანს, რომ სალვინეა?
— ვერა ხედავ—გზის პირში რომ გადაჩეხილა და ისე განისვენებს!

## ცოლის „სოკრაშჩენიე“

ჩემი ცოლი გახუნდა,
მომეწონა ქენია;
ოჯახში კი შემექნა
ცუდი „პალაჟენია“,
გადავწყვიტე ეშმაკად
ცოლის—„საკრაშენია“
მალე ვპოვე მიზეზიც,
ცხონდა მამაშენია.
ერთ დღეს რილაცისათვის
დაეხარჯა ფულია;
შევუყვირე ხმამაღლა:
„რას ჰგავს? რა მორთულია?
კაცმა უნდა ამოგდოს
პირში მაგრად ვოქები.
„მამამ კარგად დაგტოვა“,
ფლანგე ჩემი გროშები.
დღეის იქით მე შენი
აღარა ვარ, იცოდე;
ხელსაც აღარ წაგავლებ,
ცეცხლშიაც რომ იწოდე.

—:—

**მეორე** დღეს პოვესტკა
მომივიდა ბინაზე:
„ქენადელი“ მიბარებს
ჩემი ცოლის ქინაზე...
**გამოვცხადდი.** კოდექსი
თვლაწინ გადმომიფურცლეს,
ყველა პუნქტი გამაცვნეს,
თვალი ამომიკურცხლეს.
ჯამაგირიც გამიგეს
და გამოჰკრეს ფრჩხილები
მესამედი წაიღეს
ჩემი ნაცოდვილები..
ასე ცუდათ გამიხდა
ცოლის „სოკრაშენია“:
ძველი ცოლი გამშორდა
და სხვას გაჰყვა ქენიაც...

ძნელოლლო.

# თანამედროვე სერობა
## ანუ
# თანამედროვე მწერლობა



„სუვით ამისაგან ყოველთა ცხოველი, რამე თუ ესე არს „სასუმელი" ახალი, ტიკისაგან ძველისა, მოსაპოვებლად „ცოდვათა"...

# წრეს გადასული-თარსული ლხინიც კი მოსაწყენია



— არ ვიცი, ღმერთმანი, ამ ხალხისა ვერა გამიგია რა. ასეთ სუფრას, განა კაცი მიატოვებს?!
— ეჰ, შენ რა გაგეგება ეკონომიურ პოლიტიკისა კულტურულ რევოლიუციაში. ესენი ძველ სუფრას თავს ხსე არ დაანებებდენ, უკეთესი ახლის სუნი რომ არ მოს დიოდეთ..

# დიალოგი „მეშჩანობაზე"



— ხედავ? აი ნამდვილი მეშჩანობა!..
— მაშ შენ...
— მე მარცხენა ხელით რევოლვერს უჩვენებდი, ხოლო მარჯვენათი — საკუთარ საწოლს.

# შ ა რ ა დ ა

ხელმწიფე და თვითმპყრობელი
წაუღია ეშმაკს ყველა,
არის ბნელ ძალთ მიმხრობელი,
რომ განაგრძოს ხალხის წველა..
ბოროტების ტახტზე იჯდეს,
რომ ქვეშევრდომთ წელში ზნექდეს.
მის რისხვაზე ცა განრისხდეს,
მის ჰექაზე მეხი სჭექდეს!..
მე ხელმწიფე მძულდა და მძულს,
ეს არ არის ბოდვა კვეხნის,
თავს ვევლები ყველა კუნძულს
და დარდი მაქვს ყველა ქვეყნის,
და თუ სადმე კი შევნიშნე
მეფობა თუ მეფის ტახტი.
ალმფოთებით ხელს მივიშვერ,
ალმართული მიმაქვს ლახტი,
რომ ძირიან-ფესვიანად
ამოვაგდო ტახტის ძირი,
რომ ხალხს ეპყრას ბჭე სვიანად,
ერთი იყოს მისი პირი!..
მაგრამ.., მაგრამ შარადისთვის
არას დავდევ მეფის სახელს,
სპარსეთშიც წაგიყვანთ მისთვის,
ორის ერთად გაგხდით მნახველს;
ერთია და სტუმარია,
რთულ წოდების მოგვცეს ბოლოს;
მასპინძელიც იმ გვარია,
მანც წოდება დაგვთმოს, ხოლო!..
ფუი ეშმაკს!.. მხოლოდ მათი
წოდება თუ შტამპის აზრა,
ოთხხმიანი ქეთავათი
იპოვნა და გაიძაგრა!
ახლა თავიც წავასხეპოთ,
თავი, ბოლოთ, რომ უგიაჭ
თუ სხვა ეყვის საარსებოთ,
მეფის ეს რა აუგია.

# საქმის „გამჭიანურებელი"



— ბალიეე... ბალიეეე... დუსიატ კაპეი ჩერეშნი-ეეეე...

რომ ფეხები თავად ეწყოს,
თავიც —ფეხათ, საწყის—ფუძეთ!.
საზღაურიც აწ მიეზღოა:
აიღეთ და წააქუცეთ!
ხოლო თავი სამი ასო
ჩვენ შეგვრჩება, ის ჩვენ გვინდა!
ახლა, თვალი თუ შეასწრო,
ნახე, ხიდან რა გაფრინდა?
შივილითა და ხივილით
თავს რომ ესხმის იმის შტოებს,
ჩინჩახვს ივსებს მწიფე ხილით
ბუკენკავს პურს არ სტოვებს;
საშინელი ქურდი არის
აბეზარი გლეხის ყანის,
ბაღის, თუ მხლის მხმოიარის
ბეღელის თუ სახლის ბანის.
ესეც ოთხი ასოთია
საწერი თუ საკითხავი,
მაზეც ბლიაქოთია:
ჩამოსხეპეთ მასაც თავი,
და დანაშთი ორი ანბნით
ჩვენ შარადაც დავათავეთ..

ყურადღებაც თქვენი სხვაგნით
მოიღეთ და მოიმკლავეთ!
დონის პირა რაიონი
დღეს ასეა დანარქმევი,
საიდუმლო და „იოლი"
ხერხით სპეცთა გამომრჩევი.
ახლა დიდი პროცესია,
ჩვენში, მასზედ რომ სწარმოებს!
არ გეგონოთ კონცესია,
ესჯით იქ სპეცთა მუხთალ ბრბოებს,
რადგან მათაც მეფის რეჟიმს
თუ მტერს მისცეს სული—ფულში,
ჩვენც მოვუხმეთ დაცდილ ექიმს
გავუსინჯეთ ზრახვა გულში,
და რომ საქმეც არ ჩაეკლათ
იმ გულიდან ღვარძლის ნთხევით..
მივიჩნიეთ თვალში ეკლათ
ხელიც ოხრად დავადევით!
აწ თავის თავს დააბრალონ
რაც მოიმკონ დანათესი;
ბნელი საქმე თუ დამალონ,
მაშინ დაჰგმონ ჩვენი წესი!...

ეწუქა.

# ქ უ თ ა



ავდარში

## საჭილაო

აგური და ქვაო,
საჭილაომ სთქვაო:
ჩვენსა თავმჯდომარეს
უყვარს ღვინის სმაო.
და მდივანი მისი,
არის ვაჭრის ხელში —
სახაზინო ფულებს
აძლევს პროცენტებში.
და დადიან ერთად
ორი ძმა და „გმირი!“
თუ არ დაუგრძელა
ამ წერილმა ცხვირი.
ფოსტის გამგეს ვკაოროთ
სიტყვა ორჯერ ორი!
კაცო, ამ წერილებს
ვინ ხსნის — მითხარ, სწორი.
რედაქცია ასე — —.
თუ გაშინებს ძმაო,
ფოსტის ნაცვლად ზიდე
აგური და ქვაო.
„ეპო“-ს გამგე ათჯერ
მოგზაურობს თვეში!
ხალხის საწყალ ფულებს
(სისხლი მოსდის ხელში)
წავა—ცარიელი
დაბრუნდება ისევ!
სეირნობის არის
დიდი მოხალისე.
აირია ირგვლივ,
მგონი ყველაფერი!
ზოგი ალთას მიდის,
ზოგი ასე მღერის:
მოგვევლინა „სპეცათ“,
ვიღაც ბუღალტერი!
მუშურ ქარხანაში,
არის მუშის მტერი.

შანგელი ბზიკი.

## ბათომი

გახლავთ კბილის ექიმი
ეს პოპოვას ქალია.
მის ბინაზე ღამ-ღამით
ვის არ ნახავთ—მთვრალია:
ვაჭარ - კონტრაბანდისტებს,
გაქნილ კალანდიასა
და პოპოვას „ტარიელს“
—ექიმ ასათიანსა.
თქმა სჯობს უთქმელობასა,
რაღა დასამალია.
ყველას მახეს დაუგებს
ეს პოპოვას ქალია.
ყავახანის ვაჭარი
მისი სახლის - პატრონი
ყველაფერში ხელს უწყობს
(სარგებელიც აქვს მგონი!).
ქეიფი, დროს-ტარება
მუშტი - კრივით თავდება;
მიჰყავთ მილიციაში
თუ საქმე გამწვავდება,
მაგრამ მუდამ ფარველობს
პოპოვას კალანდია!
(ქალსა ეკურკურება,
კაცი დარდი - მანდია).
ორ ალაგას მსახურობს
კალანდიას წყალობით..
ეხლა დროა მივადგეთ
ასათიანს გალობით,
ასათიანს ექიმსა
ქირურგად წოდებულსა,
ხშირად ნახავთ ამ ქალის
ცეცხლით აღმოდებულსა.
ჩაჯდებიან ეტლში და
(ეტლი სახაზინოა)
მიჰქროლავენ იქეთკენ
სადაც ქეიფი ღვინოა.

ზვლიკა.

# ისი



კარგდარში

# ლანჩხუთი

არიქა, ვერ მოვითმინე
არ ამემღერა სტვირია;
ტარტროზ, შენი ჩამოსვლა
აუცილებლად გვჭირია.

—:—

ნურც დააყოვნებ ჩამოდი,
საქმე გვაქვს გასაჭირია,
რომ წამოხვიდე, გეთაყვა,
ჩანგალი,ცოცხიც გვჭირია.

—:—

ჩანგალი გამოგვადგება
მავნე პირების საჩხვლეტად,
და რკინის ცოცხი გვჭირია
ზარმაცთა გამოსახვეტად.

—:—

სულ ყოველ დარგში შევიდეთ
ყელმოღერილი სტვირითა,
და ვათქმევინოთ სუყველას
ცოდვები თვისი პირითა.

—:—

ჯერ შევიაროთ გლეხკომში,
მოვინახულოთ ყველაო;
მგონი გაიგო შალიკომ,
უკვე აუტყდა ხველაო.

—:—

გვითხარი, ჩემო შალიკო,
როგორ მზრუნველობ ხალხსაო
ქვრივ-ობლებს რომ არ ეწევი,
ამას სჩადიხარ რასაო.

—:—

ფული ღარიბებს ეკუთვნის
და რათასესხე მდიდრებსო,
ვაი, რომ ასეთ საქმეში
ძაინიც ტოლს არ გიგდებსო.

—:—

აღმასკომშიც შევიაროთ,
რომ არის იქვე ახლოსო,
დიდ კაცისავით მჯდომარეს
ვნახავთ სევერის ვასოსო.

—:—

საშკითხველო რომ მიკეტეთ
და აღარ ფიქრობთ გაღებას,—
ეგებ აპირებთ ლანჩხუთის
სხვა სადმე გადალაგებას.

—:—

კოოპერატივსაც ვესტუმროთ
(თუ რომ ეს სტვირმაც ინება),
აპოლონ ვნახოთ და ვკითხოთ:
—რად იცი ხალხის გინება.

—:—

ეხლა ჩავიდეთ ბაზარში,
დომენტი ვნახოთ ჩვენია.
საბრალო ქალის დაჭრისთვის
მგონი აღარც კი სცხვენია.

—:—

ბევრი სხვა მსურდა შემემკო,
რადგან ვიმდომე შემკობა,—
მაგრამ სხვა დროსთვის გადავდოთ
და დღეს კი ესეც მეყოფა.

გრ. ლაშის-ღელელი.

# ცნობათა მიღება



## ნალვერდალს

თქვენი ლექსი „გაბედნიერებული“ არ იქნებოდა დასაწუნი, რომ ცოტათი მაინც ენა იყვეს სუფთა, თანაც მოკლე. თემა კარგი გაქვთ აღებული: ცოლის თხოვნას „ნახვა“ და „ნახვას“, რომ ხარჯი მოყვება, მავნებელი ჩვეულებაა. გეთანხმებით. გურულ სცენად უფრო მოკლედ ეს კარგი იქნებოდა. ლექსად ისეთი აღარ გამოდის. საინტერესოა შემდეგი ადგილი:

„დაკაპასდა ჩემი ცოლი, დაწყევლილი მარიკაი,
წინდლით ყველა ამოსწყვიტა: გოჭი, ბატი, ვარიკაი“...

მხოლოდ ცოტა ეჭვი გვეპარება ინდაურის შესახებ. ნუ თუ ეს საპატიო სულდგმული, ინგლისური სიჯელტმენითა და ისეთივე სიტლანქით სავსე, აკლდა თქვენს სუფრას?!.. თქვენ ჰო, მაგრამ მარიკას ეს რაღაც არ შეშვენის.

ცა.

## ზვანელს, ოზურგეთი

### კომკოლიკს

ზვანის სკოლის კომისიას სძინებია; ჩამორეკეთ სკოლის ზარი!

„შესალობათ ეზო გასცეს
და მონახეს იაკინთე,
კვირაში ექვს დღეს ქეიფობს?“...
შენც მეშვიდეს მიაკითხოთ:
„აივანს თუ თხები სვრიან“,
იაკინთე შენ თვით ითხე!...

სითხე.

## ხიდისთავში

თქვენ, ჩემო ხლუსტო, ხბოის თავო, ღხონდორიკო,
„მომხმარებელს ეშინია,
ხაქონლის რომ ჰკითხოს ფასი,
ვაჭრებს ფართალს უსაღებენ,
იქ (კოოპერატივში) ყველაფერს ეკვრის ხავსი“-ო.

წყალწაღებულისათვის ხავსიც დიდი ნუგეშია. და ქვევით თქვენ განაგრძობთ თქვენს ამოცანაში:

„ყველასათვის ცნობილია
მუდამ არის იგი მთვრალი
უხეიროთ იცის კვანწვა
და სახეზე აქვს მას ხალი“-ო.

ჩვენც სწორედ ამ ხალს მოვერიდეთ, თორემ გამოცანას უეჭველად დაგიბეჭდავდით. განაგრძეთ წერა.

სოქალი.

## ხლუსტს და ოხონდორიკს

### აგარაკი ორკე (ოზ. მაზრა)

თქვენ, ჩემო ხლუსტო, ხბოის თავი, ოხონდორიკო,
„ხართ უსინდისო, უნამუსო, ურცხვი, წყეული
შელვრებათ შორი, თავპირიდან გადმორწყეული,
თქვენშივე რჩება შავი იშტა, უთადარიგო!...
გიყვართ მუდრეგი შავი დაფა, ზიზლის ბარჯგებით,
ლაფი თუ ნახეთ, შიგ თავს ჩარგავთ, შემდეგ—ჩასხდებით;
რამდენი გახსოვთ ნიგვზის ხესთან მისვლა ჯიქურად,
სადაც თქვენ თავი გაგიხდიათ თქვენვე ბითურად?!..
გაქვთ ორი პირი გალებული, წუმპის ბარგული,
იქნებ ერთია, თავიც ერთი, ზედ თმაც წითურად,
რაა თვალები! ბაყაყსაც აქვს გადმოკარკლული,
თავში კი ტვინი შვრიად არ ღირს ერთ სათითურად!..
თქვენ თუ შენ, დღეს ეს სონეტი გაახლეთ, ნაცვლად,
და თუ ქაობით შადრევანი კვლავ ითქრიალებს,
არც ჩვენ დაგხვდებით ვალდებული შაქრად თუ თაფლად,
რადგან ქვეყანა, ჩემო ხლუსტო, ნიჭზე ტრიალებს!...“

ავტაროხი.

## შაკოს.

თქვენს „ცოლი აგარაკზე“-ში კარგია:

„რა მეთქმოდა: ერთი თვე
ჩიხოტკა გამიჩინა.
ის დაჩაზე მე კი აქ
გავხმი, როგორც ვიჩინა“...

ყველაფრიდან სჩანს, რომ ეს ვიღაც ვი-ჩი-ნაა, ჩინებულია. სასურველი იყო მისი სურათიც გამოგეგზავნათ, რათა სიგამხდრისა და სიგამხმრის ეს ძლიერი გამოხატულება ჩვენი მკითხველებისთვისაც დაგვენახვებინა. უამილიუსტრაციოთ ვინმე დოყლაპია აიღებს და თქვენ „ვეტჩინას“ ანუ მსუქან ლორს მიგამსგავსებს.

ლორდი.

## დათო დუდუჩავას

გეტყობათ, რომ მღვდლების დიდი ჯავრი გჭირთ; მაშ, ამ ახალი „საღვთო წერილის“ ნაცვლად, მოგვწერეთ რამე თანადროული და საინტერესო მღვდელთა და მათ ამყოლ-დამყოლთა შესახებ, მათი ცოცხალი მოქმედებიდან, მათი ახალი პირობებისადმი დამოკიდებულების შესახებ.

იქს.

## „ტანკას“

თქვენ იწერებით: „მინდა მოგწერო ამ ჩვენი კუთხის ავი და კარგი, თუ რას აკათეპს წარმოების სხვადასხვა დარგით“. სურვილის წინააღმდეგ რა გვეთქმის, მაგრამ ამ ლექსში კი ეს არა სჩანს. აქ ლაპარაკია ს. ბოხვაურში ცეცხლის გაჩენის ერთ - ერთ შემთხვევაზე. რაც უნდა ძლიერი არ ყოფილიყვეს ხანძრით მიყენებული ზარალი, როცა ცეცხლისმქრობელი რაზმის უფროსი ასე მსჯელობს:

„რა გვეჩქარება, ხეზედ ავიდეთ და უთვალთვალოთ,
თუ ცეცხლი თითონ როგორ ჩაქრება“-ო.

ჩვენ მაინც მიზანშეუწონილად მიგვაჩნია ლექსის მოთავსება, ვინაიდან ამჟამად ცეცხლი, ალბათ, უკვე ჩამქრალია. რაზმის უფროსი თუ იმ წუთს მთვრალი იყო და „ცეცხლი“ თითონ ეკიდა, ესეც შემთხვევით აიხსნება: სტიქიამ, ალბათ, პირი შეჰკრა შეგნებულ მეთაურობის წინააღმდეგ. საყვედური ეკუთვნის თვითონ რაზმს, რომელიც ცეხლის შორიდან შემყურე ადგილიდან არ იძროდა, და რომელიც, რაც უნდა იყვეს მაინც კოლექტივია. არ ვიცით მხოლოდ, გაკვირვებაში რისთვის ჩავარდა მასა? თუ ეს მასა მშრომელი გლეხობა იყო, რომელსაც ზარალი მოუღლოდა ცეცხლისაგან, გასაკვირი რა ჰქონდა? ხელი უნდა გაენძრია და საქმეს მიშველებოდა. ანდაზაა: ჰღმერთი რას გიშველის, თუ თითონ ხელს არ გაანძრევ“. ეს ანდაზა ახლა ასე უნდა შევსცვალოთ: „ცეცხლისმქრობელი რაზმი,




გასწი, გაფრინდი მუშკოოპის ცხენო,
გადამატარე ყველა ქუჩები;
ხომ ნაცადი ხარ, მერანო ჩემო,
რომ ერთ წუთითაც მე არსად ვდგები.



რად გავაჩერო ხუთი კაცისთვის,
როცა იქ ყველა ერთად გროვდება?!
გასწი მერანო, ალთქმულ ადგილას,
ნავთი იქ უფრო კარგად საღდება;

---

მით უფრო —მისი უფროსი რას გიშველის, როცა ის კიდევ მთვრალიცაა იმავე დროს, თუ ხელს არ გაანძრევ?!"„

ბოხი,

## მელა-კუდას

მაგ თქვენ ლანირ-ჭაგანში თუ ყველა ისე ცუდია,, თქვენ რა წითელი კოჭი ბრძანდებით. თუ წერა გინდათ მოგვწერეთ კონკრეტიული შემთხვევათა შესახებ რაიმე ცოცხალი ცნობა.

ცოცხი,

## ტუზს

რამდენადაც ჩვენ ვიცით, ტუზის საქმე სულაც არ არის შარადების წერა. მისი სამოღვაწეო ასპარეზი ჩვენს დროში მხოლოდ კაზინოებით განისაზღვრება, თუ, რა თქმა უნდა, კოზირებთან არ დაურჩა საქმე. ის „ტუზები" კი, რომლებიც მოქმედების გარდა, სხვა ხელობასაც მისდევდენ, ხოლო ამ შემთხვევაში კოზირებსაც კი თავიანთ გემოზე აცუნდრუკებდენ, ჩვენ გვეგონა, საუკუნოთ გადაშენდენ. თურმე, ნუ იტყვით, გარდაბანში ჯერ კიდევ დარჩენილან ამ ჯიშის ცხოველები, რომელთაც, უსაქმობისა ან მოახლოებულ ზაფხულის სიცხის გამო, ალბათ, „თავი სტკივათ და ტვინი უდუღთ"... ეს სნეულება მუდამ ტვინის ღრმობით თავდება. ჩვენი რჩევა ტუზს.

თუ შარადის წერის მიტოვებით ტვინის ღრმობას ვერ გადარჩებით, აიღეთ და მიატოვეთ.

ტო.

## მასვე

თქვენ მამაცხონებულო, ის თუ იცით, რომ სცენის აბუჩად აგდება არ ვარგა, ჩვენი ჟურნალი რა დაბალ ლოზედ ნახეთ, რომ ასე აბუჩად იგდებთ თქვენი „პოეტური" განცდებით?!.

ბით,

## თალა ძირულელს (აქ)

რედაქცია მუდამ ღია ღიაა, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. წყალში თევზი ვის შეუფასებია. ჩვენს მისამართს კი აღარ გწერთ, თქვენ უკეთ გცოდნიათ.

## აჭარელ ხუსიას

მაინც ვერ გავიგეთ, თუ დათიკო ხონელიას, რისთვის უნდა მოხვდეს ჩანგლის წვერი. თუ ის დარაჯია და წყალი დააქვს, თქვენ საიდან იცით, რომ რცხვენია. წყალის ზიდვა და დარაჯობა სრულიად სასირცხვო ან საძრახი საქმე არ არის. აი, ზოგი ლექსის წერა კი არ არის მაინცა და მაინც წასაქეზებელი ხელობა, მით უფრო, თუ ადამიანი ამ ხელობას ასე გამქცევივით უყურებს, როგორც თქვენ:

„აწი ვინც უნდა, ეძიოს",
„თათარი" ვარ თუ „რუსია",
ხინამდვილეში დამწერი

## ვარ „აჭარელი ხუსია"-ო.

თქვენ არც აჭარელი ხართ, არც ხუსია და მით უფრო— არც პოეტი.

წამუეტი.

## „ბუტუა"-ს. (აქ)

თქვენ გვწერთ: „მიყვარს პოეტობა-"ო. თქვენ კაცო, ხოლო ჩვენ უკეთესნო, მარტო თქვენ რომ გიყვარდესთ, რა ვაჟკაცობაა. პოეტობა შენ ისეთი მითხარი, როცა ის მკითხველ საზოგადოებასაც უყვარს. თქვენი ლექსის მიხედვით კი, არც ესა სჩანს და არც ის, რომ თუნდაც აი, თქვენ თითონ მაინც მართლა გიყვარდესთ თქვენი პოეტობა. ამის დამამტკიცებელია თქვენივე ლექსის ბოლო

„გულზე ვსკდები ბიჭო,
არც „ქრთამი" ეწყობა;
პოეტური ნიჭი
არც ამ ლექსს ეტყობა"-ო..

მიიღეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა!..

უბუ!...

## უპ—ო—ს.

მე, როგორც შარადის „სვერხ-სპეცმა", გამოვიცან თქვენი შარადა, თუმცა, გამოგიტყდებით; სიჭა გამძვრა!

კარგია თქვენს შარადაში ეს ადგილი:

„უხუცესი მწერალია
რკინის გზაზე ის ჯეელი
თან ატარებს დე-ზე ფორმას
ხანჯალ ჩამოკიდებული"-ო!..

უნდა მოგახსენოთ, რომ, სოლომონ ზურგიელიძის შემდეგ, ასეთი გამოთქმა ჯერ ქართველ პოეტს ბედათ არ ურგებია. მერე და ეგრედწოდებულ „ემოციანალური გაბრუჯვნის (გამოთქმა პროლეტარულ პოეზიის ერთ- ერთი ანუ ერთად ერთი უგენიალესი კრიტიკოსისაა!) რა უძირო შესაძლებლობაა ამ ოხერში:

„ფორმა დე-ზე,
ხანჯალი—წელზე!"..

კიდევ შეიძლებოდა განგრძობა, მაგრამ სარედაქციო გოდორი არ ითმენს,

ზეზე.

## ზემო დაფნელს

თქვენი „რომანი" და „პოემა", იგივე რომანი, პოეტურ ფორმაში „ჩამოსხმული", მივიღეთ, დაბეჭდვაც გადაწყვეტილი გვქონდა, მაგრამ ეგრედ წოდებულ „თვითკრიტიკის" ჩატარების მიზნით თქვენი მისმართი რომ განვიხილეთ, სახელს თოლად გაქსცდით, ხოლო გვარზე რომ გადავედით და იქ „ჭკუასელი" ამოვიკითხეთ, შევჩერდით. ამ „საბუთებიდან" არა სჩანს, რომ რასაც თქვენ ელით, ის უკვე მიგიღიათ.

ულო.

# ვირის ჭკუა
## ანუ
## ფუჭი იმედი



— რა ამბავია, რა გაღრიალებს, შე სამგლე, შენა?!..
— არ გესმის, შახტის კონტრ-რევოლიუციონერებს როგორ ასამართლებენ ნახშირის გულისთვის?!.
— მერე შენ რა?
— მეც აი, ამიტომ ვღრიალებ: იქნებ შემნიშნონ, რომ ნახშირი მიმაქვს, დამიჭირონ და გამასამართლონ..
— მერე და ხომ დაიღუპე, შენ მართლაც ვირო, შენა!..
— მე რათ უნდა დავიღუპო, ხოლო შენ კი ჩავარდები, როგორც ტყის ქურდი!..

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 28

კვირა. 1 ივლისი 1928 წ. № 159 წელიწადი მეხუთე ფასი 15 კაპ.

# ტარტაროზი

## დიდი კოალიცია ანუ გაქირი პრემიერი



ჰინდენბურგი:— მობრძანდით.., დაბრძანდით... ჰერ!

მიულლერი:— მაპატიეთ, თქვენო აღმატებულებავ! ერთად ამდენზე არ შემიძლია; მე მხოლოდ ორ სკამზე ჯდომას ვარ ჩვეული!

# იუბილე

ფილიმონ ბილიხოძე სირბილაურის რდესმე უმნიშვნელო აზნაურთა გვარის ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ.

„გახლდათ—თქვა“, რომ ვამბობ, არავის ეგონოს, რომ ფილიმონი ამჟამად უკვე თავის ყოფილ წინაპართა „გზამართალს“ იყვეს დამდგარი. არა, ფილიმონი აქ განისვენებს, ამ ცოდვილ ქვეყანაზე და ამ შემთხვევაში „განისვენებს“ უნდა გავიგოთ, როგორც ერთნაირი მოსვენებული, სიამ-ტკბილობით სავსე ცხოვრება

იაფად არ დაჯდომია ფილიმონს ამ „ცხოვრების მოწესრიგება“. თუმცა ვერაფერ დიდი რაიმე მომწესრიგებელის ნიჭსა თუ უნარს დაიკვეხნის ფილიმონი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იმ რეალურ მდგომარეობის მიხედვით, რომელიც დღეს მას მოეპოება, საკუთარი „ყოფის“ სახით, იგი მაინც საკმაო მომწესრიგებლობითი ქება-დიდების ღირსია.

ვინ იყო ფილიმონი წარსულში?

იგავი კუდა-ხარის შესახებ ჩვენში, საქართველოში საკმაოდ პოპულიარული იგავია. საქართველოში რევოლიუციონური ბრძოლაც იმდენათ პოპულიარულია, რომ თითქმის ყველა მასში აქტიურ მონაწილეობს ჩვენში, ასე ვსთქვათ, „ზეპირად“ იცნობენ.

ხალხის მეხსიერებაში განმათავისუფლებელ მოძრაობის გამოჩენილ თუ მეორე და მესამე ხარისხოვან მოღვაწეთა რეგისტრაცია უკანასკნელ ხანებამდე მუდამ ზეპირად სწარმოებდა. „ხე ნაყოფით იცნობებისო“, ნათქვამია და ამ „ხეებსაც“ მშვენივრად იცნობდა ხალხი მათი „ნაყოფიერების“ მიხედვით.

წერილობითი რეგისტრაცია, ცნობები, მოწმობები თუ სხვა რამ ოფიციალური საბუთის ქაღალდები, დიდი ხანი არ არის, რაც წესათ დამკვიდრდა. უწინ არც „სტაჟი„-ს ხსენება იყო და საქმეში პირველობისთვის ბრძოლა თვით საქმის შესრულების შემდეგ კი არ სწარმოებდა, როგორც ეს ხშირად დღეს ხდება ხოლმე, არამედ საქმის წინ და ეს „ბრძოლაც“ პირველობისათვის სრულიად არ ატარებდა იმ ელფერს, რომელსაც, მაგალითად, ეხლა ატარებს დავა იმის შესახებ, თუ ვინ შეასრულა ესა თუ ის ისტორიული აქტი და ვის ეკუთვნის დაფნის შტო თუ არა, მისი ერთი ცალი ფოთოლი მაინც ამა თუ იმ სახალხო საქმის წინაშე დამსახურების საზღაურად.

ფილიმონის შესახებ ხალხის მეხსიერება ერთობ ძუნწი აღმოჩნდა. აქა-იქ კანტი-კუნტად ახსოვდათ, მხოლით, თუ ფილიმონ ბილიხოძე როგორც კუდახარივით ერეობოდა რევოლიუციაში და თუ კუდახარსა და მას შორის არსებობდა რაიმე განსხვავება, ეს მხოლოდ იმ მიზართულებით, რომ ფილიმონის კუდი ყველას ფეხებში ებანდებოდა და ხელს უშლიდა. ამის გამო, ფილიმონის შესახებ მაშინ, ერთობ ცუდი აზრი იყო გავრცელებული. მას რევოლიუცია ემუქრებოდა სულ სხვა მხრიდან, ვიდრე ჩვეულებრივ რევოლიუციონერს.

ღმერთმა უშველოს მაშინდელ მთავრობას, რომ ერთ რევოლიუციონერისთვის საკმაოდ სამარცხვინო საქმეში ფილიმონი გაძაგრეს, განსაჯეს და კატორღაში უკრეს თავი.

რევოლიუციამ ძველი მდგომარეობა ყირამალა გადაატრიალა. ბევრი ძველი ამბავი დავიწყებას მისცა. ბევრი სრულიად ახალი ვარიანტითა და სულ სხვა ელფერით მოევლინა ქვეყნიერებას.

ფილიმონი დაბრუნდა სამშობლოში ხელში პორტფელით და გულში უსაზღვრო სიხვიადით.

— „სლეპცოვკაში რომ შემოგვიტიეს!... „უტკინოში რომ „დავცხეთ“... „ცარიცინში რომ გადავედით შეტევაზე“... „ყაზანთან რომ ალყა შემოგვარტყეს“... „ტაგანროგთან რომ მივაწყვეთ“... აი, რა სიტყვებით იწყებდა ფილიმონი თავის თავზე ტრაბახს.

მაყურებელში ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მთელი სამოქალაქო ომის სიმძიმე ფილიმონს თავის ზურგზე გადაეტანოს.

ნამდვილათ კი....

მაგრამ ეს რა ჩვენი საქმეა. ჩვენ ვიცნობთ ფილიმონ ბილიხოძეს, არა როგორც უწინდელ „კუდა-ხარს“ და ამაზე ცოტათი უარესსაც, არამედ როგორც დღევანდელ „საბჭოთა მოღვაწეს“, ხანში შესულს, მაგრამ მაინც დარდიმანს, მუდამ საქმიანს, მუდამ მოწინავე ხალხში მოტრიალეს, მათან ახლო მდგომს, ახლო-მყოფს და საკმაოდ პოპულიარულს, ყაზანში, უტკიანოში თუ სხვაგან სამოქალაქო ომის ცეცხლით ნათელ-ღებულს, რა თქმა უნდა, მისივე საკუთარი განცხადების მიხედვით მხოლოდ..

ყოველივე ამას შედეგათ მოსდევს ისეთი ცხოვრება, რომელიც ფილიმონის უმთავრეს მიზანს შეადგენდა მუდამ და დღესაც შეადგენს.

— ორმოცდა-ათი წელიწადი ერთობ დიდი დროა რევოლიუციონერისათვის. წარმოსთქვა ერთხელ ფილიმონმა თავის „ხელქვეით“ თანამშრომელთა წრეში საკმაოდ ორ-აზროვნად.

— რა ორმოცდა-ათი, რის ორმოცდა-ათი?..

— რამდენი წლის ბრძანდებით ახლა, ფილიმონ?, შეეკითხა ვიღაც.

— სრული სამოცდახუთის, იყო ფილიმონის პასუხი,

— ძალიან ადრე დაგიწყიათ რევოლიუციონური მოღვაწეობა!...

— ეჰ, ჩემო ძმაო, ახლანდელმა „კომსომოლებმა“ არ დაიკვეხნონ ჩვენოდენი თავდადება... მე თოთხმეტი წლისა უკვე ორგანიზაციაში „აქტიურად“ ვითვლებოდი. მართალია, ბევრნი არ ვიყავით იმ დროს, მაგრამ არც ვიყავით, ისინი კი სულ დარჩეული რევოლიუციონერები გახლდით.

— ბიჭო, მაღარიჩი ეკუთვნის ჩვენს ფილიმონს, იხუმრა ვიღაცამ.

— დიახ, მაღარიჩი მოსთხოვე ეხლა კაცს, რომელსაც ნახევარი საუკუნე საქვეყნო საქმისთვის შეუწირავს. მაღარიჩი კი არა, იუბილე უნდა გავუმართოთ ჩვენ ფილიმონს საკმაო წყრომით მოუჭრა მეორემ.

— ბიჭოს, მართლაც... იუბილე ჩვენს ფილიმონს!.. გაისმა იქით-აქედან და ერთ წუთს საქმეც გაიჩარხა: შესდგა კომისია, შეგროვდა ფული, დაინიშნა დრო და ადგილი.

და ერთ შაბათ საღამოს ფილიმონის საგრძნობლად ფართო ბინაზე შეიკრიბა ნაცნობ-მეგობართა საკმაოდ მრავალრიცხოვანი კამპნია. ისეთი სუფრა გაიშალა, რომ, მგონი, „ჩიტის რძეც“ კი არა ჰკლებია. თამადამ ზეიმი გახსნილად გამოაცხადა და პირველი სიტყვა თითონ იუგო. სადღეგრძელოებს თან სდევდა იუბილიარისთვის სხვადასხვა სიდიდისა, სიმძიმის და ღირებულების საჩუქრების მირთმევაც. ერთი სიტყვით, სადღესასწაულო სუფრას შარავანდივით მოეხვია ნამდვილ იუბილეს გამოუკლებლივ თითქმის ყველა ატრიბუტი.

სუფრის თავში კი ჭაღარა წვერით, მაგრამ მაინც ძალზე წამოჭარხალებული სახით იჯდა თვითონ იუბილიარი და ჩრდილოეთის კაშკაშეთივით ბრწყინავდა..

მაგრამ სწორეთ ამ ჩრდილოეთის კაშკაშეთის ხსენებაზე უცბათ მოხდა ნობილეს ცნობილი ავარიის მსგავსი მარცხი.

ზეიმზე საიდანაც შემომტყვრალიყო ერთი გარეშე პირი, ფილიმონის ძველი ნაცნობი და დიდი ამხანაგი, უკეთ—ნაამხანაგევი, როსაპა. ზეიმის შუაზე ექსტაზში შესულმა როსაპამ უცბათ წამოავლო ღვინით სავსე ვეებერთელა ჭიქას ხელი, დაესო ფილიმონის წინ და დაიწყო:

„ მე „რეჩი“ არ ვიცი, ჩემო ფილიმონ, მაგრამ თითქმის დაბადებიდან კი გიცნობ. რამდენი „ბარდი გაგვ

# ჩვენი კორექტორები




ლეტია" ერთად, რა არ გვინახავს, რა არ გამოგვიცდია..

ფილიმონს სახე კიდევ უფრო აეწვა. მაყურებლებს ასე ეგონათ: სიხარულისაგან მოსდისო.

— „მე როგორც გუშინ, ისე მახსოვს, განაგრძო როსაპამ,—მანთაშოვის უპრავლიაუშის რომ ფულის მოთხოვნის ზარათი მივუტანე, შენი ხელით დაწერილი. მეტი შიშის მოსაგვრელად, კუბოც კი გამოხატე ზედ. ყველაფერი ეს გუშინდელსავით მახსოვს. მართალია, ამ საქმეზე შენ ჩავარდი და სასტიკად დაისაჯე, მაგრამ დაუსჯელად არც ის ჩვენი მტერი გაგვიშვია: ფულიც ავაგლიჯეთ და სულიც ზედ ავართვით. შური ვიძიეთ შენი გულისთვის, ჩემო ფილიმონ! სამაგიეროთ, დღეს ამ შენს სიმოხუცებულეში ხომ მაინც მიესწარი ასეთ კაი დღეს, როცა ყველა მდიდრები და ჩვენი მტრები მიწაზე და კიდევ იმას ქვეშ არიან განართხული და განადგურებული, ხოლო შენ კი ასეთ ცხოვრებაში გიდგია ფეხი. მე ვმადლობ „გუნებას" და „ახალღმერთს", რომ მებრძოლ კაცს არ უკარგავს თავის ნამსახურობას. ფული და კაი ცხოვრება არც უწინ გაკლდა. ის კი არა, შენი წყალობით არც ჩვენ ვემდუროდით მედს. რომელი მდიდარი გაბედავდა შენს ურჩობას და შენ მიერ მუქარით მოთხოვნილ „სუმას" დანიშნულ ვადაზე არ წარმოუდგენდა?!. დიდი იყო მაშინ შენი სახელი და ხსენება და ახლაც დიდი სახელი და გავლენა გაქ. იყავი და იდღეგრძელე, ჩემო ფილიმონ, სანამ შენს როსაპას სურდეს, ნუ გენაღვლება აი დამიწყევლისარ"!.

დაათავა როსაპამ და გამარჯვებულ ყვინჩილასავით ჩამოჯდა თავის ადგილს. იუბილეზე დამსწრეებმა ერთმანეთს გადახედეს. შემთხვევით იქ დამსწრე საკონტროლო კომისიის თანამშრომელი, რომელიც როსაპას „რეჩს" ამდგარი უსმენდა. უცბათ ჩაჯდა და თავი ჩაქინდრა.... ჩრდილოეთის კაშკაშეთი სქელმა ნისლმა და ლეგა ღრუბელმა დაჰფარა..

ერთი კვირის შემდეგ კი, როცა საკონტროლო კომისიაში ირჩეოდა ფილიმონის საქმე, გამოირკვა, რომ ამ უკანასკნელის წარსული ისეთივე ფუჭი კაკალი იყო. როგორც მისი ტრაბახი სამოქალაქო ომში მისი მონაწილეობის შესახებ, როგორც მთელი ეს იუბილე და ამ იუბილეზე—როსაპას „თალხი რეჩი".

ონისიმე.



დოყლაპიაშვილი თორმეტ საათზე მობრძანდება დაწესებულებაში. ეს სწორედ ის დროა, როცა ბუზები სიცხისაგან მის კაბინეტში ფარავენ თავს.

— მოვიდა; აწი აღარ მოგვწყინდება; ხოლო ფრთხილად იყავით, ბიჭებო, არ ჩაუვარდეთ ხელში; ეხლა დაიწყებს ჩვენზე ნადირობას. როგორც კი ხელი გააქანოს, და პეშვი მოამზადოს, — თავს უშველეთ, თორემ, თუ დაგიჭირათ, ხომ იცით, რა დღეს დაგაყენებს! ჯერ ცალ ფრთას დაგაძრობს, შემდეგ მეორეს და გახტუნებს თავის მაგიდაზე; ამით იგი ერთობა და სიამოვნებით ხარხარობს, ხოლო თქვენ კი იტანჯებით. შემდეგ, როცა ეს მობეზრდება, გაუქნევს ასანთს და ცეცხლში დაგწვავს!—აფრთხილებს და არიგებს უფროსი ბუზი სხვა ბუზებს.

— სწორედ მასეთი წამებით მოჰკლა მაგან გუშინ დედაჩემი; მაგრამ დღეს სამაგიეროს გადავუხდი. წავალ, სადმე ხოლერის ბაცილებს ვიშოვი და მოვწამლავ! — ცხარობს ობოლი ბუზი.

— დაიცა, რა გაჩქარებს? —ამშვიდებენ და აკავებენ მას მეგობრები.

—:—

— ეს ოხერი რამდენი შემოსულა!—უკმაყოფილოდ ამბობს დოყლაპიაშვილი და იგერიებს ბუზებს, რომლებიც თავზე დასტრიალებენ და გარშემო ეხვევიან, თითქოს უხარიათ გამგის მოსვლაო.

— რა ამბავია! წადით თქვენ დასაღუპავებო და აყროლებული ლეში მონახეთ სადმე!—უქნევს ხელს და ოქშის ეუბნება გამგე.

— შენზე უკეთეს ლეშს სად ვნახავთ!—მოსწრებულად მოუჭრა ერთმა ხუმარა ბუზმა და მის თქმაზე ყველა ბუზები აზუილდენ.

—:—



დოყლაპიაშვილი მიეყრდნო სავარძელის ზურგს და ცქერა დაუწყო ჭერზე ბუზებს.

— ერთი... ორი... სამი; ოთი;;; ოცი; ; გაჩერდი შენი მამისული!—აგინებს ბუზს, რომელიც სხვა ადგილზე გადაჰხტა.

ამ დროს შემოვიდა ბუჰალტერი.

— აბა, რამდენი ბუზია ამ ჩემს კაბინეტში თუ კი ამას გამოიცნობ, „ბალანსის შედგენა"-ში ორასი მანეთით მეტს გამოგიწერ!—ეუბნება ბუჰალტერს გამგე.

— ჰე, ჰე-ჰე... კარგია ორასი მანეთი, მაგრამ ეს ბუზები როგორ დავითვალო?!—იფერებს გამგის „ხუმრობას" ბუჰალტერი და იწყებს ბუზების თვლას საანგარიშო სჩოტზე, რომლითაც შემოვიდა გამგესთან.

— არ შეგცდეს კი, თორემ...

— არა, ბატონო; უკვე დავითვალე, ორას სამოცდა შვიდია...

— მართალია!—უდასტურებს გამგე. სწორედ მაგდენია. მე ეს ბუზები მოშინაურებული და დათვლილი მყავს!

ბუჰალტერს უხარია, რომ მისი ვარაუდი გამართლდა; გამგეს კი სჯერა, რომ ბუჰალტერმა სწორად დაითვალა.

— თითო ბუზზე თითო მანეთი!—საჩუქრებს გამგე ბუჰალტერს, რომელიც მოკრძალებისაგან წელში მოხრილი ასწლოვან მოკაკვულ მოხუცივით გადის.

—:—

— მანდ რომ ხართ ჭერზე, ჩამოდით აქ მაგიდაზე და გაყურებიებთ სეირს: არც ერთს არ გაგიშვებ, ყველას დაგიჭირავ!

— ხედავთ, გვიწვევს! აბა, ხტუნია,—ეუბნება უფროსი ბუზი ობოლ ბუზს, რომელსაც გამგემ გუშინ დედა მოუკლა. — წადი და ზედ სამელნე ბოთლზე დაფრინდი; იქიდან ფეხი არ მოიცვალო; გამგე წამოგეპარება, მაგრამ გაუფრთხილდი!

ხტუნია ბუზი მოსწყდა ჭერს და გამგის ცხვირის წინ დაიწყო სარტომორტალის გაკეთება, რომ ამით გამგემ გაიგოს მისი მისვლა.

გამგემ შენიშნა და თავი მოიკატუნა.

ხტუნია ბუზი დაჯდა სამელნეზე.

დოყლაპიაშვილი უცქერის და არ ინძრევა; უცდის თუ, როდის გადმოვა ბუზი სამელნიდან მაგიდაზე, სადაც ადვილად შეიძლება მისი შეპყრობა. მაგრამ ხტუნია ფეხსაც არ იცვლის. ;

— არ შეგეშინოს. მაქედან ფეხი არ მოიცვალო!— ამხნევებენ ხტუნიას ამხანაგები.

— ჩამოდი მაქედან!—ბრაზით, მაგრამ ჩუმად ეუბნება დოყლაპიაშვილი ბუზს.

— არ ჩახვიდე, გატყვილებს!—ჩამოსძახიან ამხანაგები, რომლებსაც ნერვები თახდათან ექიშებათ.

— გიჟი ვარ!?—აიმედებს ხტუნია თავის ამხანაგებს.

— ხომ არ ჩამოდიხარ? მაშ კარგი! დედას გიტირებ! —და გამგეს მომზადებულ პეშვით ხელი მიაქვს ხტუნიასაკენ.

— აბა, ფრთხილად! მოდის!—სამარისებურ სიჩუმეში გაისმა ნელი ხმით უფროსი ბუზის სიგნალი-ძახი-

ლი, რომელსაც აჰყვა ყველა ბუზებისა და გამგის დაგა-დუგი.

— ჰაჰ!—დაიძახა გამგემ და ხელი მოიქნია. სამელნე ჯერ გამგის შარვალზე გადმოყირავდა და შემდეგ იატაკ-ზე დაიფშვნა.

— კი დავისვარე, ეს შარვალი წამიხდა და კი გამიტ-ყდა სამელნე, მაგრამ შენ ხომ ჩემს მუჭში ხარ?—ემუქ-რება გამგე ხტუხიას და ნელ-ნელა შლის მუჭს, მაგრამ....

შეშინებული, ეშმაკი ხტუნია ფანჯრის მინებს ეხეთ-ქება გარედ გასასვლელად.

— აქეთ,კენ გამოფრინდი, მანდ რა გინდა!—მიაძახეს ჭერიდან ამხანაგებმა.

ხტუნია გონზე მოვიდა და...



— ოი, შე მამაძაღლო. გაძექეცი ხომ?! გაყურებიებ სეირს!—დოყლაპიაშვილმა ხელი წამოავლო მეორე სა-მელნეს (წითელი მელნისას) და მთელი თავისი ძალ-ღონით ესროლა ხტუნიას ფანჯრის მინებზე.

ჩაიმტვრა ფანჯარა.

გარედან ყვირილი და „ვაი დედავ" მოისმა. (თურმე გამვლელს დააცვივდა დამტვრეული მინები და თავში მოხვდა სამელნე. თავგატეხილი საავადმყოფოში წაიყვა-ნეს საჩქაროდ გამოძახებულ „სასწრაფო დახმარებით", რომელიც ოთხი საათის შემდეგ, მოვიდა).

მეკარემ გააგებინა თანამშრომლებს გამგის ამბავი და ამიტომაც ვერავინ გაბედა გამგესთან შესვლა.

— თქვენი მამ-სული! დაიცადეთ, ვიყიდი „მუხამორს" და ყველას ამოგწყვიტავ!—ბრაზობდა დოყლაპიაშვილი და ბოლთას სცემდა.

— ჩვენ რომ ამოგვწყვიტო, მერე რითი გაერთობი? ნუ გეშინია საქმე არაფერი გაქვს და თავს იმით ირთობ, რომ ჩვენზე ნადირობ. მადლობის ღირსი ვართ შენგან და შენ კი... უმადურო!

დოყლაპიაშვილი დამშვიდდა. ისევ ჩაჯდა თავის სავარძელში და....

ჩასთვლიმა.

— უყურეთ ამ ძილის-გუდას?! კიდევ ეძინება!—გა-უკვირდა ერთ ბუზს.

— ეს იმიტომ, რომ წუხელი 4 კლუბში გაათენა, ქა-ლებთან ქეიფობდა.

— როგორც ეტყობა ცოტათი კიდეც გაციებულა, სურდო დამართია. დაცხინკება უნდა, მაგრამ ვერ აცხინ-კებს, ცხვირი აწყვილებს!

— მადლი ჰქენით და შეუფრინდით ცხვირში, ეგებ დააცხინკოს. ეხლა საშიში არ არის, ვერ გვხედავს! —ურჩია უფროსმა ბუზმა ორ ჯეელ ბუზს.

ორი ჯეელი ბუზი შურდულივით წამოვიდნენ, შე-ვარდნენ გამგის ცხვირის ორივე ნესტოში, გაინავარ-გამოი-ნავარდეს და აბზუილდნენ შიგ.

გამგე უცბად ზეზე წამოვარდა და სამჯერ ზედი-ზედ ისე მაგრად დააცემინა ცხვირს, რომ, თითქოს მიწა ინძრაო, შუაზე გამოკიდებულმა ლუსტრამ ქანაობა და-იწყო; ხოლო ის ორი გაბედული ბუზი ცხვირის დაცემი-ნების გაზის სიმძლავრემ ისე მაგრად დაანარცხა იატაკზე, რომ კინაღამ ზედვე დააკვდნენ. მაგრამ არ დაიბნენ, ძალა მოიკრიფეს და შეცოცდნენ მაგიდის ქვეშ...

ტყვილად დაურჩა გამგეს ფეხი მომართული მათ გასაჭყლეტად.

— აი, ეს კი კარგი იყო; ამისათვის მადლობის ღირ-სი ხართ... მაგრამ წეხან რომ საქმე მიყავით, იმას არასო-დეს არ გაპატიებთ!—მაინც ემუქრებოდა ბუზებს დოყ-ლაპიაშვილი.

—:—

და რომ როგორმე შური ეძია ბუზებზე, ისევ ჩაჯდა სავარძელში და უსაქმობის გამო დაიწყო მთქნარება.

— ხედავ ჩვენს გამგეს რამოდენა პირი აქვს—ყურის ძირებამდეა პირი მისული.

— ო, რამოდენა ლუკმების გადაყლაპვა ეცოდი-ნება!?

— მუდამ ჭამს და ილუკმება; გაეზრდება პირი მა, აბა, რა ოხრობა მოუვა!?

— თქვენ გგონიათ, რომ ეს ჭამისაგან არის, რომ ასე დიდი პირი აქვს? სპეცებიც კი სჭამენ ბევრს, მაგრამ ასე დიდი პირი როდი აქვთ!?

— აბა საიდან აქვს ასეთი დიდი პირი?!

— საიდან აქვს, და,—უსაქმოა. მთელი დღე ტყვი-ლად ზის: ამთქნარებს და მეტს არაფერს აკეთებს... და აი სწორედ ამ მთქნარებისაგან გაეზარდა ასე დიდათ ყურე-ბის ძირებამდე პირი.

— მართლაც რომ ასეა!

— ეს ჩვენთვის უკეთესია.... გუშინ, როცა ჩამოეძინა და დაამთქნარა, შევუვარდი უცბად პირში, რომელშიაც

## მხატვარი „ნატუ[illegible]შ[illegible]იცას" მოლოდინში



— აიბობენ:: შემოქმედებას თავისი ღმერთა ჰყავ-სო!.. მე კი, ამდენი ხანია ველოდები ჩემს ბერტას, მაგრამ ამაოდ!..

ასეთი მშვენიერი მყრალი სუნი იყო, რომ ასე გეგონებოდათ: მუცელში რაღაც დალპობიათ. დიდხანს დავრჩი შიგ და როცა მაგრად გამოვძეხი მყრალი სუნით, არხეინად, ნელნელა გამოვედი გარედ. ნუ გეშინია უცბად ვერ დახუროს მისი პირის ალაყაფის კარები.

— აბა, რომელი ხართ ვაჟკაცი და ეხლა რომელი შეუფრინდებით პირში, რომ ძილი დაუფრთხოთ და გულიანად გადეიხარხაროთ!

— მე!

— მე!

— მე!—ერთმანეთს ეჯიბრებოდენ ბუზები.

— არა, მე უნდა წავიდე!—დაიჩემა ხტუნია ბუზმა.

— შენ წეხან იყავი, წეხან შენ დაამტვრევინე სამელნე და ფანჯრის მინები; ეხლა ჩვენი რიგია. შენზე გულმოსულია; თუ ხელში ჩაიგდო ტყავს გაგაძრობს.

— ნუ გეშინია. მე მინდა შური ვიძიო. მაგან გუშინ დედაჩემი მოჰკლა საშინელი წამებით!.

— სსს... ჩუმად!— გაისმა უფროსის ხმა.ყველა დაჩუმდა.

გამგეს ყავა მიართვეს.

— აბა, თუ შეგიძლიათ, ვინაც უიმედოთ გამიჯნურებული ხართ და თავის მოკვლა მაინც გადაწყვეტილი გაქვთ, — ჩაუვარდით გამგეს ცხელ ყავაში!—შემოიტანა წინადადება უფროსი ბუზის თანაშემწემ.

ერთხანს ყველა გაჩერდა, შემდეგ გამოვიდა ერთი მოზრდილი ბუზი და განაცხადა:

— მე ვარ!—დაიძახა ერთმა.

ის-ის იყო გამგეს პირზე უნდა მოედო ფინჯანი, რომ თავგანწირული, გამიჯნურებული ბუზი, ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე, შიგ ფინჯანში ჩაყურყუმალდა და წყალქვეშა ნავივით ერთხანს სიღრმეში წავიდა, ხოლო შემდეგ დამხრჩვალი ისევ ზევით ამოტივტივდა.

ფუი, შეგარცხვინა ღმერთმა!—წააფურთხა გამგემ და მეკარეს გაატანინა ყავა.

—:—

გამგემ იმავე პოზა მიიღო სავარძელში, როგორიც ყავის შემოტანის დროს ჰქონდა, ე. ი. ხახა დაღებულმა თვლემა და მთქნარება დაიწყო.

— რაკი შენ გირჩევნია, აბა წადი ხტუნია და შიგ პირში შეუფრინდი გამგეს!—უთხრა უფროსმა ხტუნიას.

— მადლობ თანაგრძნობისათვის!—მადლობა გადაუხადა გახარებულმა ხტუნიამ უფროსს და მყისვე ტყვიასავით შევარდა გამგის დაღებულ ხახაში.

დოყლაპიაშვილი ინსტიქტიურად წამოვარდა ზეზე და ორივე ხელებით დაიფარა პირი, რომ ბუზს არ მოესწრო იქიდან გამოსვლა.

ბუზებში ჩოჩქოლი შეიქნა. მიხვდენ უბედურებას.

საწყალმა ხტუნიამ დაიფრთხიალა და მორთო ბზუილი გამგის პირში, მაგრამ დოყლაპიაშვილის ტუჩები ერთმანეთს მიეკრენ და... დაიკეტა ალაყაფის ზანტი კარები.



— ეხლა სად გამექცევი?!—დაიბუტბუტა გამგემ, პირში ნერწყვი დაიგუბა და შემდეგ ერთ ყლაპზე იოლად გადაყლაპა საწყალი ხტუნია.

— იგი შენ! აწი იეშმაკე მანდ ჩემს მუცელში!—ნიშნის მოგებით უთხრა დოყლაპიაშვილმა ხტუნიას, რომელსაც არც კი გაუგონია ეს დაცინვა, რადგან მაშინვე განუტევა სული, როგორც კი გამგის ხახას გასცილდა,

ისელი.



— პირველად თქვენი ცოლი სად გაიცანით?
— მატარებელში!
— ჰო-ო, საერთოდ რკინის გზებზე ხშირია უბედური შემთხვევები.

# „მოტივი"

ჱ. ა. ლ. კ: კ: ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს განზრახული აქვს შექმნას ნებაყოფლობითი საზოგადოება — ლოთობასთან მებრძოლი ლიგა.

(გაზეთებიდან)



— როგორ დამთვრალხარ! არა გრცხვენია?
— ეს იმიტომ, რომ ლოთობასთან მებრძოლ ლიგა ში ჩავწერე და მისი მალარაჩი ვყო!

# ცხელა...

ცხელა, ცხელა, ისე ცხელა, გული მიმდის რალა;
ნახევრაჯერ მშიერი ვარ, კუჭი დამედალა...
ყველა ჯურის ბიუროკრატს აუწიეთ ყური.
გაზაფხულზე მქონდა ერთხანს „რედისკა" და პური!
მაგრამ ეხლა არც ესა მაქვს, კუჭს კი უნდა რამე;
ჩემთვის შავი ჯოჯოხეთი არის ჰოელი ღამე.
გახდილი ვარ, ვწევარ, ცხელა, თან მდის ოფლის ღვარი;
და მესევა უსირცხვილო ბაღლინჯოთა ჯარი.
ყოველ ღამით მე მათთან მაქვს საშინელი ბრძოლა,
სადაც არის, მომბეზრდება ჩემს ოთახში წოლა,
ცხელა, ცხელა, ისე ცხელა, თითქო იწვის ქურა
როგორც ვატყობ ეს წვალება არ ღირს ნიახურად!

სამსახურმა ჩემზე უკვე კბილი გაილესა.
ჩემი საქმე არის ახლა ბაღლინჯოთა სრესა.
ნეტავ, ვიყო ბუღალტერი ან და გამგე მაინც
რომ პორტფელით ვატარებდე ათიათას მანეთს.
ან მეც მყავდეს ერთი ავტო, მსუბუქი და ჩქარი,
მეც დავქროდე ქუჩებში და მცემდეს გრილი ქარი.
ყველა ბარგს კრავს, ყველა მიდის, შორდებიან ქალაქს,
ვესალმები შემწვარ დღეებს, მეკიტრეს და დალაქს;
დილა არის და ქუჩაში ქილებით დგას ვირი.
ეხლა თბილისს ვაუშნოებთ: მე და ჩემი ცხვირი!..

თანო.

# ბიუროკრატი კერკიტაძე

(რუსულიდან)

უდაბურს ადგილს ერთმა ყმაწვილმა
ბიუროკრატი შეჰჩერა ერთი.
განძარცვა, ტანზე რაც კი ემოსა.
მას ხელში დანა ეჭირა მკვეთრი!..
და განრისხებით, რა გადახედა,
ბიუროკრატის აყბედდა ბაგე::



— „მორჩი შენ საქმეს
და დაიკარგე!“.

—:—

მაისის ღამეს. ერთხელ, შედეგათ
ამაისებულ აღფრთოვანების,
მას მოსახვევნად ეკვეთა ცოლი,
იწოდა ცეცხლით „მაჩი“-ს და ვნების!...
და განრისხებით, რა შეხედა მას,
ბიუროკრატს ეს აღმოხდა ყელში:
— შემომიცადეთ...
მისაღებელში!“..

—:—

მზე გაზაფხულის არის მცხუნვარი
და თან ურიდოც, ვით კომსომოლი;
ერთ დილით სარკმელს ბიუროკრატის
ეკვეთა ეს მზე, როგორც ფუტ-ბოლი!
მაგრამ, შეხედა რა მზეს მრისხანედ,
ბიუროკრატმა შენიშნა მტკიცეთ:
— „მოუხსენებლად....
არ შემოხვიდეთ!“.



— შემომიცადეთ მისაღებელში!.



— მოუხსენებლად არ შემოხვიდეთ!..

—:—

ბარათი თავის „გულის ვარდისგან“
ბიუროკრატმა მიიღო თრთოლით.

მაგრამ წეიკრა უცბათ კოპები,
და იმ ბარათის უკანვე ლტოლვი
ერთი მრისხანედ გაჰხედა განზე
და მყის ეგ სიტყვა მოადგა პირზე:



— „მარკა არ აკრავს...
თავის ადგილზე!"...

—:—

რაც რომ კაცს არგებს, არ არის ცუდი!
მაშ, ბიუროკრატს ვინ დასდებს კილსა?!
ერთხელ ბუნებრივ მოთხოვნილებამ
შეხიზნა იგი ფეხისადგილსა
მაგრამ ჩუ! კარებს მოამტვრევს ვილაც...
და ბიუროკრატს რისხვა სძლევს ხმაში:




— „შემოიარეთ...
შემდეგ კვირაში!"...

—:—

აჰა, ზაფხულიც მოდის ანთებით
და რა გაისმა პირველი მეხი,
ბიუროკრატმა გულში შანთებით
ახტა და დაჰკრა იატაკს ფეხი...
და ცეცხლად ცაში დაკლაკნილს ელვს
შესძახა რისხვით და თან მკაფიოთ:



— „გთხოვთ: მყუდროება
არ დაარღვიოთ!"...

—:—

ერთხელ, „რანდევუ"-ს წესთა
ბიუროკრატი, ბაღში თვის წყვილთა
ვით ყველი—რძეში, ისე სცურავდა,
რომ ბულბულის ხმა გულს ეცა ჰვილო
წამოხტა ზედ და განრისხებულმა
შესძახა მგოსანს გულ-ამომწყრალეთ:
— „საქმის დროს ხელი...
ნუ შეგვიშალეთ!"...

—:—

იყო ბულბულიც ამაყი მეტად,
მასაც ხომ მკერდში ესაფრა გული!
და მიახალა, რა ნახა თვისი
მან კარიერა გაფუჭებული:

— „ხელიც და ფეხიც შეგახმეს! შენი
არც ქება და არც ძაგება ვარგა!
ეგდე, იხოხე, ქვეწარმავალო!"...
გადააფურთხა და გადიკარგა...

ონისიმე.

# რავა დავილუპე

უი, დასწყევლოს ეშმაკმა ამ კომუნისტების თავი და ტანი! რომ რაცხა საშინელი არ მეიგონონ არ იქნება! აგერ ახლა გამეიგონეს რაცხა თეით-კრიტიკაო, თუ ჯანაბა იგენის თავს და ერთ ვაი უშველებელს გადამკიდეს კაცი! მაინც და რა მალაპარაკებდა მე ყურუმსახს, რომ გადმოვაგდე ენა ღლავის ბოლოსავით და ყორისფელი დაწერილებით მოუყევი შემს კესარიას! მე ვიფიქრე, ეს ხალხი ცოციალიზმს აშენებენ, იძახიან: „შენი დანაშაული ყორისფელი უნდა აღიაროვო, შენ თავს შენვე უნდა გაუკეთო კრიტიკაო, თუ გინდა, რომ ქვეყანა აშენდესო და ცოციალიზმი დამთავრდესო“. ბიჭო აგი ხალხი საქვეყნო საქმეს აშენებენ და მე რომ ჩემ თავს კრიტიკა არ გაუკეთო, ვაი, თუ ცოციალიზმის აშენება შეფერხდეს და საქვეყნო საქმის მოღალატე შევიქნე თქვა. მეც ავდექი, დავიწყე ჩემი თავის კრიტიკა და თუ რაიმე პატარა ძველი ცოდვები მქონდა, ყორისფელი ტოჩიტოჩ დაუკაკლე ჩემს კესარიას. არა, დიდი კი არაფერი ყოფილა, რაცხა ორიოდე საალიმენტო საქმე მქონდა დაწყებული და რაღაი თავის მხილების კამპანია გამოაცხადეს, მეც არ ჩამოვრჩი ამ საერთო კამპანიას და მოუყევი ჩემს ქალს წარსული ცოდვები და ჩემი თავი მე თითონ გევიკრიტიკე. მაინც და რომ დევიწყე სათავიდან სულ კეკალ-კეკალ დევედი ბოლომდე და დულაგე წინ ყოლისფერი ჩემს კესარიას. დედა, რავა ტკბილათ მისმენდა ჩემი კესარია. მისთანა თეინიერი ის მიდლემჩი არ ყოფილა. რომ ვუყობი და თანდათან ღრმათ მიედივარ, მართალი გითხრათ, შემრცხვა და ტირილი მომაწვა. დამახრჩო ცრემლებმა. ველარ დევიკავე თავი და სილნაღელი ვირივით ავყვირდი! დატრიალდა ჩემი კესარია და ხან თავზე გადამისვა ხელი, ხან ულაშები ამიკვრიხა ზევით, ხანქე ჩამპროშტა და დამამშვიდა კაცი. — „რა უყოთ მერეო, მაგისთანები მოუვა კაცსო, შენ იყავი კარგათ თვარა მაგი რაო!“ მეც რაღაი ასე კეთილად კი მომექცა, თელათ დევიწვი ქაცი სირცხვილით და რაც რამე ცოდვები მქონდა, ყოლისფერი დავალაგე და მძივივით ავაცვი ერთი-მეორეზ. რაცხა ერთხელ სიზმარში ერთ ხაბურზაკივით გარგვალებულ ქვრივს შევხვი ხელი და რაღაი პატიოსნებაზე და თვითკრიტიკაზე წევიდა საქმე, იგიც კი აღარ დამიმალია და ვუთხარი ჩემს კესარიას. რომ ჩამოვეფქვი ყორისფელი, მევიხადე ბოდიში ჩემი წარსული საქმეების და, შერიგების ნიშნათ, საქოცნელათ წოუწიე ტუჩი ჩემს კესარიას. ერთი შებზრიალდა, ერთი შეკვარწალდა და გერმანსკი ტახივით დაიწია უკან! მისთანას მიბღვერს, რომე, ესაა უნდა გადამყლაპოს თოხლო კვერცხივით თქვა. მეც შეშინებული ვუყურებ და აგი საკოცნელად გაწვდილი დრუნჩები ქე არ დამრჩა გაწვდილი მათხოვარის ხელივით!. რომ წამოავლო ჯოხს ხელი, მისთანა მიფსკვნა და მიფსკვნა, რომე კუდისრიკის ძვალი მინუთში დეიმსხვრა შაბივით. — „რავა, შენ საყვარლებში და ფრახებში დეიარებოდი და მე კი მატყუილებდიო!“. ვეხვეწები: „ქალო, დევიარებოდი, მარა მაპატიე; რაღაი მე თითონ უკეთებ ჩემს თავს კრიტიკას თქო“. მარა არ შეგჭამოს ჭირმა! იმდენი მირტყა, იმდენი მიბრახუნა, რომე ტყლიპი ჩამიქცია მუცელში. მერე, ერთი მაგრათ ჩამაფარა და გეიქცა. ისაა და ის. წევიდა და აღარ დაბრუნებულა. დამტოვა ასე მორეჯგვილი, წელი მე აღარ მივარგა და ზურგის ძვალი! ცოლი ცოლად დავკარგე და დავრჩი მარტოკა ეს პრუჟინებში მოშლილი კაცი! ახლა აღარ ვიცი; რა წყალს მივცე თავი! ვაი, ჩემი ცოდვა მიეცა იმას; ვინცხამ ეს თვითკრიტიკა მეიგონა და იგი დაწყობილი ოჯახი ამისვარა!

გოგია.

# „მისთვის იწვის, მისთვის კვდება“...

„ელექტრო-სტროი“-ს განაგებს არა მისი მმართველი ინჟინერი სტრელკოვი, არამედ ძემანქანე ქალი ლებედევსკაია, რომლის გადაუვალს სტრელკოვი ვერაფერს იზამს.“



„ელექტრო“-ს და „ტელა“-სა
შენ განაცვალებ ყველასა..



— შე სულელო, უნდა გიხაროდეს, რომ ვაჟი შეგძინა!.. შენ კი მოგიწყენია!

— იმიტომ, რომ როცა გაიზრდება ჩემსავით ხეტიალი დასჭირდება ადგილის საშოვნელად!.. ქალი კი იოლად მოეწყობოდა სამსახურში.

---

# მარინე და მაკრინე

**მარინე** — შუალამე მშვიდობით, მაკრინე! რავა მყავს შენი თავი, ქმარით, შვილით, მისახედავ-მოსახედავით?!.

**მაკრინე**—მშვიდობა მოგცა, დაიავ, ახალმა ღმერთმა! რა ვქნა, გულო, ვათრევ ამ გაჯალირებულ სულს. თქვენ თუ ბრძანდებით კარგათ, რძალი თუ მეიყვანე, ციცაი თუ გაათხოვე?..

**მარინე** — შენმა დამაწყევარმა არ ქნა მეტი სიკეთე, ბიჭია და დახირხიცობს ამ აძუნებულ დიაცებში. მარა კაიც დავაჯერო, საიშონება, დავო, ამ დროში სარძლო? ახლანდელი ციცეები დასამალავს არ მალავენ და პირის სახეს კი ფერად კრასკებით იფარავენ... ამას ვინ ჩიოდა, ციცაი რომ გადამერია და ჩემ დაუკითხავათ — დიესკვნა ვინცხას ძუაში თვარა..

**მაკრ.** დედავ, გულო, აია კაი, მომილოცავს სიძე, მარა ნუგეწყინება და რა წესით წაყოლია, რაცხა ახალმოდის ხასობიეი, რომაა, ორ სამთვიანი, თუ ხუცით დუუწერია ჯვარი?!

**მარ.** — უი, შავ, გადირიე? ახალ მოდაზე, რაცხა მარჩიაო, იქინეი მუუწერიან ხელი და იგიც ვინცხა ბალშევნიკ ჩალმასკომთან.

**მაკ.** — იგი კია ზორი! სოფლის ალმასკომზე, ნოქარზე და მეველეზე არ მიიცემა ქალი, ისე ასვრილია მათი საქმე და ქვეყნის პირში არიან, მარა რა გიეწყობა, ამ დროში ციცეები კიარა, ქმარიანები რას არ შობიან ჩუმათაი - ჩუმათაი, მათმა სულმა იწყვიტოს და ცხადითაი დღეს ამას წაყობიან, ხვალ იმას; იგი კიდო აფერი, მაშვინ ქე წუუნაბავენ თვალს და ემრე ბალანაი ალარ უნდებიან. რას შობიან რას არ იჩხიკინებენ აგი ისკრაპლენიაო, აგი აბორტიაო (აბოტდა იგინის თავი)..

**მარ.** — აბა რას ეჩივი, გულო, მარა მოდათ მევიდა და ჩემსას რა გააჭკუიანებდა.

**მაკრინე** — აბა რაი, ყოლიფერი დროის ბრალია და რა გვეთქმის, სხვაფერ თუ თავს გევიტანდეთ. იგი მითხარი, ხეფსი თუ გქონდა წროულს? ყაჭი თუ გყავს, სასიკეთო თუ უგავს. მაინც?!

**მარ.** — უი, გულო, მეტი არაა შენი მტერი! ამდენი ხანია ჩემოულობა გამოხინკილებულია, მარა ახალმა ღმერთმა სიკეთე მიცეს ჩემი ეპოს უმფროს, ერქომაიშვილი რომაა, პირში სულს გვიბრუნებს სიმინდით. შუუტყვია ჩვენ კულაკ მეზობლებს, კოოპერატივს დიელიაო, და აგვიწევენ, მარა დასიზმრია ჩვენ გიორგისაც, დაგვიჭვირთავს ურმებს და მოგვცემს დაწეულში. მაშვინ დაგვიწევენ აგენიც! კიდავ დაგვპირდა: ყაჭი ოღონდა თქვენ აკეთეთ და ფასი ნუ გენაღვლებიან: სულ აგიწევთ და აგიწევთო! მერე და იმისანაი შაქარსავით მოლაპარაკეა იი დალოცვილი, შაქარსავით დაბერდა მისი ყოლიფერი! მე თუ ბედი მქონებოდა, ჩემი ციცაი ამისანას წაყობოდა ვინცხას

**მაკ.** — მართალი ხარ, გულო, ისევ კოოპერატივი აგი რომ არ გაგვჩენოდა, დაგვძიძგნიდა ძაღლები. მარა თუ ორი ბობოლი ყაჭი გაგვიკეთეს, ღმერთო შენით, პაიები მაინც მოვასრულოთ... უხ. რა დროი შექნილა!.. ნახვამდის! .

**მარ.** — შაქრათ შენთან მუსაიფი, მშვიდობით მენახო.

შხანკოლა.

# ქიზიყური სცენა

**(სცენა წარმოადგენს ღარიბი გლეხის ქოხს, უცებ საბძლიდან გამოვარდება გლეხის ცოლი, მართა, და შევარდება ქოხში. ცოტა ხანს შემდეგ ხრიხლიდან ეზოში შემოვა მისი ქმარი გიგა).**

გიგა: დედაკაცო, გაიგე ახალი ამბავი? ავშენდით, რაღა გაგვიჭირდება, მოუგია... მოუგია იმ ღმერთძაღლ.., იმას....

**მართა:** შე მეგონა, მართლა ახალი რამე იცის მეთქი! შე გამოვაკარ და ვერ გავიგებდი? ჩემ ნაკეთებ საქმეს შენ მასწავლი?!

გიგა: რა ამბობს ეს ღმერთძაღლი?! (გიგა გაჯავრდება და სახრეს ამართავს) დედაკაცო? რას იჩემებ? მაი აი იცი, რომ ჩემი უნარია, ჩემი კაი ბიჭობის ბრალია"!

**მართა:** (ამ სიტყვების გაგონებაზე გაფითრდება) მართლა, ამობ თუ ტყუი კაცო? რამ გადაგრივა? შენ წინათ ეგენი არ იცოდი...

გიგა: შე გამჩენძაღლო, მე წინათ არა ვშრომობდი?! რამ გადარივა ეს აჯამი..

მართა: ვაიმე, ამ სირცხვილს შრომას ეძახის!.. კაცო, რა მოგივიდა, რათ შაიშალე, რათ მაგდებ სირცხვილში შე დასარისხავო?.. სადღა გამოვჩნდე სოფელში, როგორღა გავიდე...

გიგა: გელაპარაკები, ჩემი გაკეთებულია!

**მართა:** ჩუმათ, შე ჩემი ცოდვით სავსევ!..

**გიგა:** რის ჩუმათ, კაცო, იი ჩვენმა „ობოლიგაციამ" ფული მოიგო, ავშენდით, სიღარიბიდამ ამოვედით და შენ იძახი ჩუმათაო...

**მართა:** (წამოხტება გამხიარულებული), ო, გიშველა ღმერთმა, წელანვე ემაგრე იტყოდი, შე კაი კაცო, რას აუბი... აიქ საბძელში ჩვენ ვირს მუტრუკი მოუგია და შენ რო იძახი — „ჩემი უნარიაო", გული გამისკდა ქა, ე კაცმა ეხლა ვირებთან... დაიწყო მეთქი? შენ თურმე მაგაზე გილაპარაკნია და მე კი ვირზე მეგონა...

გიგა: ემაგრე იტყოდიო, დამავიწყდა რაკი, ეშმაკური სახელი არა ჰქვიან, „ობოლიგაცია" ძლივ მოვიგონე..

**მართა:** შე ცოდვილო რამ დაგავიწყა: ობოლი კაციაო და სუ სიობლეში და სიდუხჭირეში არა ხარ გაზრდილი, შენზე ობოლი კაცი მთელ ზემო -მა ჩხაანში ვინ არი, შენი სახელი რომ დაგავიწყდა?!..

**გ. ნაპერწკალი.**

# ასე იცის თბილმა ადგილმა



— ო, გამარჯობა შენი პავლე! ავად ხომ არ იყავი, კაცო! რა ძალიან გამოცვლილხარ?!

— უკაცრავად! მე პავლე კი არა, პეტრე მქვია!

— ერთი უყურე. სახელიც კი გამოუცვლია?!

## მესტვირული

ვანისათვის

საყვედურობენ კვინტაძეს.
ყურები ჩამოყარაო,
„ვილაცამ" დაუცაცხანა,
სოროში შეიპარაო;
ორჯერ იფიქროს კვინტაძემ.
შეშინებ - დაძაბუნება,
ან მისი სტვირის დამსხვრევა,
ან რომ შესცვლოდეს გუნება;
სულ სხვაა სტვირის სიჩუმე,
პოლიტიკისა მიზანი,
მგლისა და მელის ფერები
დღეს უფრო კარგად ვიცანი.
მაშ, აბა, დაალილინე;
შენ; შემო სტვირო; ქებულო;
ჩამოუაროთ ჩვენს ვანსა,
საქმე ვქნათ სადიდებულო.
აღმასკომიდან დავიწყოთ,
ისაა მამა თემისა,
ვენაცვალები მიზასა,
თანამდებობა შვენისა,
გეგმები ჩააწკაპუნა,
ათას ნაირი ფერისა;
მაგრამ მათ დაგვირგვინებას,
არ იქნა ვერვინ ელირსა.
ხიდის ბურჯები მოსთქვამენ,
ახალხო სახლი სტირისა,
გამხმარი ცრემლათ აგურს ყრის,
და საჯისიმო ყვირისა,.
გზები იხრჩვება ტალახში,
„პუნქტსაც" სჭირს თავის ჭირისა!..
ერთ წუთში დაამუშავა,
გეგმები ასი კვირისა!
კოოპერატივში შევიდეთ,
შევაქყიპინოთ სტვირია.
დაყვითლებულა ნოქრები,
ჩამოუშვიათ ცხვირია;
ზოგს ანგარიში ებნევა,
ზოგს დაუღია პირია.
ჯაფისგან დაქანცულებსა,
ყველას ექიმი სჭირია.
საექიმო პუნქტიც ვნახოთ,
საკმაო აქვს სიგრძე-განი,
ბიქტორს ვუთხრათ „გენაცვალე
ნუ მოგბეზრდა, ძმაო, ვანო!"
სამკითხველოც ხომ აქ არის,
ლამპარია ჩვენი თემის,
შიგ წვიმა კოკისპირული,
ჭერსა და იატაკს შვენის,
სურათებს აღარ აჩნია,
არც ცხვირი და არც ყური,
წაშლილა და წაფხიკილა,
წვიმისაგან ნაფხაკური,
(გაზეთები ხომ ისეა
როგორც ვანში თეთრი პური!).
შიგ რადიოც დამდგარია,
ვირთხები კონცერტს ისმენენ,
და თან სცურავენ ტივითა,
ეს რა არის რა მომხდარა.

სად დამჯდარა ჩვენი კიტა?!
ლამაზმა გოგომ ფანჯრიდან —
დაუძახა: „ქიტა ქიტა!".
კიტამაც გრძნობით გაუღიმა,
და ალერსით შემოჰყიტა,
ჰაეროვან კოცნა უძღვნა.
თან ტუჩები ჩააკვნიტა!
ინვალიდთა სავაჭროში,
წავიდეთ, სტვირო—მზისაა.
იქნება მოგვცენ ხათრიზა,
ცოტაოდენი ნისია,
ვისაც, რომ შნო აქვს ჭამისა,
მან ჭამოს: ჭამის ღირსია;
სახელათ „ინვალიდთაა!.
სახრავ - საჭმელათ სხვისია.
აბა სტვირო არ დაღალდე,
ახმატკბილდი ალილინდი,
სახელმწიფო დამზღვევ კასას,
ცქვიტათ სტოლზე დაუფრინდი,
ვლადიმერს არ ეწყინება
პატივსა გცემს ჩქარა მიდი.
მკვდარ ძროხას და ხბოა კამეჩად
ჰკითხე რამდენს მიითვლიდი?!.

კვინტაძე.

## ქიათურის გან-კავ-შირს

შენი ჭირიმე კავშირო,
რა მშვენიერი რამა ხარ
(მხოლოდ ერთს გისაყვედურებ!
რბილი რამ, თითქო „დამა" ხარ):
ისეთი ჩვილი გული გაქვს,
როგორც კომბოსტოს ფურცელი;
სხვა და სხვა საცოდაობას
გეტყობა, ვერ გაუძელი...
დაეძებ გაჭირვებულებს,
დადიხარ ტელესკოპითა;
გსურს მათზე შენი წყალობა
გადაათხი კობითა!
გსურს ყველას თავზე დაადგა
ჩრდილ-ბინდი შენის კალავეს;
გინდა ყველაფრის წევრობა.
არ აწყენინებ არავის.
ზოგიერთ თემთა შეფობა,
გავიგე, დაგიკისრია
და ადრე შეტყობინება
ყველასათვის ვერ მოგისწრია.
ახლა ითვლები: წევრებო,
რატომ არ გესმით მანდაო,
სამეფო თანხა არა გვაქვს
გადახდა დაგვიანდაო.
თანხათა რაოდენობა
თუმცა არც ისე დიდია,
მაგრამ ხომ გაგეგონება,
—ქამა ქონებას ჰკიდია. —
მეც ერთი შენი წევრი ვარ
ნაქები სიღარიბითა.
სხვას თუ წყალობას უშვრები
მე რად მომადგე ქლიბითა.
ჩემი სალათი შარვალზე
ვერ ფარავს ძაღლთ ნაკბილოსა,
რომელიც დაღად მაჩნია
„ადგილსა უადგილოსა"
გადმოიხედე ჩემსკენაც
ნახევრად გამაძლიერე,
თორემ მომიძნობს ეგ შენი
სურვილთა სიმეცნიერე!

ღარიბი.



— ახ, რომ იცოდე რა სეირი იყო!

— რა?

— აგარაკზე რომ მივდიოდი ვირით, ერთ ადგილს დაფეთდა ის საძ-ღლე და ალი ძირს დამაპირქვავა... თვითონ კი გაქცა...

— ჰმ! ვირი კი არა, დიდი ჭკვიანი ვინმე ყოფილა, დიდი გემოვნება ჰქონია!..

# პატარა ჯიხაიში

ტარტაროზო, თქვენს ჩანგლის წვერს
ბევრი მსხვერპლად შეუწირავს;
ბევრი თქვენს მიერ დაჭრილი
სასიკვდილოდ კვნესის, გმინავს.

—:—

და ამიტომ ჩემ სოფელშიც
მე სათქვენოს ვხედავ ლუკმას,
რომ დაასო ჩანგლის წვერი,
ამოიღო ღმერთმა, ნუ ქნას...

—:—

პირველ უნდა ვნახოთ ილო
და ვეწვიოთ ჩვენ მის დუქანს.
გახსნილი აქვს სახელოსნოთ,
სამიკიტნოს უფრო უგავს.

—:—

აქვს არაყი, ვაჭრობს ღვინით,—
ის კი კერავს იქვე ჩექმებს.
კარტს, ნარდს იქვე ათამაშებს,
უხერხება ყველა ეს მას.

—:—

და ოლიაც (მისი ცოლი)
იღებს „ტომბას", ბოჭავს ფულებს,
გამდიდრება კარზე ადგას.
თუ ღმერთი არ მოიძულებს...

—:—

სახელოსნო დუქანია,
რათ უნდაო მას პატენტი.
მოხერხებით მიდის ფონსა,
რომ მოგება ნახოს მეტი.
მაგრამ ბოლოს საიდგანღაც
თავს წაადგა მას აქციზი:
ხელწერილიც ჩამოართვეს,
თანაც დაშტრაფეს, როგორც ვიცი...
არ შეშინდა მაინც ილო,
თუმც დუქანი დაუკეტეს,
სახლში გახსნა სამიკიტნო,
ხერხს მიმართა მან უკეთესს.
მის ეზოში, მის ოთახში
როცა მზე და ცრიალია,
ქეიფი და ლხინი ისმის,
იქვე არღნის გრიალია.
გიორგისაც, მის მეზობელს,
ვეუბნები იყოს ფრთხილად;
ნუ წაბაძავს ილოს, თორემ
დაუჯდება მასაც ძვირად.

—

ხანი.

# ჭიათურაში

ერთხელ მხოლოთ, რაღაც „ხათად"
სასადილოთ შეველ იქა.
რადგან ვიგრძენ—სიმშილისგან
წინ მუცელი ჩაიზნიქა!..
შეველ, მაგრამ რა „პაროდის,
ძაღლი, გნებავთ, იქ არ იყო?
მურა შესავალ კარებთან.
ვით გამგე. გადმომდგარიყო.
კრძალვით გვერდი ავუარე,
თვალით ვზვერავ მყუდრო ბინას,
დავჯექ... მაგრამ ვაი. ამ დღეს:
მაგიდის ქვეშ ძაღლი ღრინავს!..
ავიძორწე ზევით ნელა,
ისე წყნარათ. ისე. რომ
ჩემი ძაღლს არ გაუგია
არც დაჯდომა. არც ადგომა.
კვლავ სხვა სუფრას მივაშურე
და კაკუნი ვიწყე ნელი.
მომირბენს. არც სადილის
დაირჩი ძალზედ მაილობელი
სისუფთავე?! ჰო ამ მხრით. ...
მათზე ცუდი არა ითქმის:
იატაკი სისუფთავით
თვით მაგიდას ჯობნის თითქმის
შეიიჩვიით თითქმის ყველა.
თუმც ასეთებს ..ტარტარო..
მაგრამ ძაღლებს ვით გადურჩე
სწორეთ არის ხათაბელა!..

შაკო.

# რადიო (ურმით)

მუხიანი 16 ივნისი. ადგილობრივ ბაზარზე ხმა გავრცელდა ბოროტი პირების მიერ. თითქოს მუხიანის ფოსტა-ტელეგრაფის გამგე, ხილის გაგზავნის დროს გამგზავნელებისაგან ღებულობს 10 კაპ თითო ცალ ამანათიდან თავის ჯიბის სასარგებლოთ; მიღებულია ზომები ამ პირების აღმოსაჩენად. ვინაიდან ამ სინამდვილის გამომჟღავნება სასტიკად იყო აკრძალული თვით ფოსტის გამგისაგან.

მუხიანი 16 ივნისი. ოფიციალური წყაროების მიხედვით სადგ. მუხიანის ქვს ხილის გასაგზავნი ნორმა მატარებელ №3-4-ზე 50 ფუთისა. მაგრამ, როგორც გვაუწყებენ, ეს ნორმა კერძო ვაჭრების მოთხოვნით გაზრდილა 200 ფუთამდე. აგრეთვე ვაჭრების მიერ მიღებულია ზომები, რათა სადგურის მწონავთან და საბარგო მოლარესთან შეთანხმებით, ეს ნორმა კიდევ გადიდებულ იქნას 500—600 ფუთამდე, რა თქმა უნდა, ნორმის სრული დაცვით!..

მუხიანი 14 ივნისი. (დაგვიანებულია რადიოს გაფუჭების გამო) დღეს მოხდა დიდი შეტაკება სადგ. მუხიანის უფროსსა და მწონავს შორის. შეტაკება გამოიწვია მწონავის არა სწორი ანგარიშის ჩვენებამ. შედეგი გამოურკვეველია.

ელ-დენ-ბეგ.

# ცივილიზაციის უტყუარი ნიშნები



[illegible] ([illegible]ვის ბელს):— მეჩერდი, წინ აღარ წახვიდე: ხომ ხედავ, იქ მარცხი მარცხს რომ მოსდევს?! სჩანს კულტურა მოდის, მაგრამ ფრთხილად: ქვეშ არ მოჰყვე!.

## სიტყვების ახსნასავით

მათემატიკა—მათემ ათი ქნა.
არითმეტიკა—ვინაც მეტი ქნა,
ბუჰგალტერია—„კასის“ მტერია.
იმას ეკითხა!
არითმეტიკა—ვინაც მეტი ქნა, იმას ეკითხა!
„კასა“—სალარო, რომ შინჯა თარო.
„კასირ“—მოლარე, რომ მოიპარო.
ზავი თუ პრედი—სპეტაკი მტრედი.
ზავი, ზამპრედი— დავიზამთრებდი.
მარა მიტიკა ამ „თვით-კრიტიკამ“!..
ტრესტი, სინდიკატი—იქცა სინდიკათ*)
გათავდა ფარა და დალევარა...
„მოიგო“ იმან, ვინც გაიპარა..
დასხლიტა სინდიკი, დარჩა „ფინდიკი“,
ხოლო ხინჩი კი,—ვინც გაისვარა!..

ჭაზირა.

*) ვერცხლის წყალი, რომელიც ადვილათ ილვრება, იპნევა.

2) „ფინდიკი“, ანუ ფონდიკი,— ფინდიდან წარმოსდგება და ნიშნავს ნივთიერ სიმდიდრეს.

3) ხინჩი ნაკლული, ნაკლები, დასჯილი, წაგებული. ახსნა ავტორისა.

ახსნა ავტორისა.

## პ ა ს უ ხ ი

### შვილის წერილზე

შვილო ტრისტანო, სალამი
და ნახვის ნატვრა ძლიერი,
შენ რომ ლექსუკა მოგვწერე
მთლად შეგვიცვალა იერი;
წელში გაგვტეხა ორივე
ცოლ-ქმარი შენი შემყურე,
ერთი წლით უმუშევრობა
ამდენხანს რომ წაიყურე.
ძლიერ მაკვირვებს, რომ იყავ
თითქოს უფროსი გამგეზე!
დღეს კი იმ გამგის გინებით
დორბლი გადგება ბაგეზე.
ისიც მაკვირვებს: „უნცროსმა“
„უფროსი“ გამოქექილი,
როგორ დაგფერთხა! ისე, რომ
აღარ დასჭირდა ვექილი?!
შენი დათხოვა მე ვსცანი
გამგისთვის ბრძოლის თაქტიკით,
მიტომაც არის, რომ კიდეც
დაუფერთხიხარ სასტიკათ;
მე არ მწყენია დათხოვა
და არც სირცხვილში შეყვანა,
როცა პორტფელი გეჭირა,
ფეხზე გეკიდა ქვეყანა.

ტრისტანი.

# ცნობათა მიღება



### გ. გაშოგბილა-პირელს

თქვენი ნაწარმოების პროლოგი საინტერესოა:

„შემდეგ დასხდენ სამივენი
და დაუწყეს თვალში მზერა:
ჩვენ ვიყავით მატყუარა?
და ხალხისთვის გაიზვერა?“ (მართალ-წერა თქვენია).

აქ კითხვითი ნიშანიც არ არის საჭირო, რადგან ისედაც ნათელია ყველაფერი, ვინაიდან საქმე ეხება მღვდელს, დიაკვანს და მნათეს. გაუგებარია მხოლოდ ასე უცებ რამ წაჰკიდა ისინი ერთმანეთს, როცა გასაყოფ-გასანაწილებელი არაფერი ეწყოთ წინ. ამზაკომ თუ კომსომოლისტკა ქალი გვერდში მოიკოტრიალა, მაგ. ყორნების მხრით ცემის ღირსი კი არ იყო, არამედ თავისებურ ქების. არც იმდენად ბნელა, რომ ეს ასე დაგიჯეროთ.

### ეშმაკის ფეხს

გეტყობათ, კაი ეშმაკის ფეხი ხართ, მაგრამ არც ჩვენ ვართ ნაკლები. თქვენ ასე ათავებთ თქვენს ნაწარმოებს:

**„იგენის წყენას რას ვეძებ, ჩემი განზრახვა თუ შესრულდება“-ო.**

ცხადით, თქვენი განზრახვა: თქვენ გინდოდათ, რომ ეს თქვენი წერილი დაგვებეჭდათ „ტარტაროზ“-ში, მაგრამ ნურას უკაცრავათ, თუ ამას ვერ გისრულებთ. ჩვენ სარედაქციო კალათის მეტი ხათრი გვაქვს, ვიდრე თქვენი.

ეშმაკის კერძი.

### ვ. სემისპირელი. მოსკოვი

თქვენ არა მარტო მოსკოვიდან იწყებთ, არამედ ადამის დროიდანაც. აბა, ვისთვისაა ახლა საინტერესო, რომ ქართველ ვაჭრებს ოდესმე სპირტი დაჰქონდათ მოსკოვში გასასყიდათ. არც ის გვჭირია დიდათ, თუ რას აკეთებს ამჟამად ეს „დაკარგული“ ხალხი იქ.

**„ზოგი ქართველს აქ მოსკოვში**
**არჩენს მხოლოთ რუსის ქალი.**
**შეგვარცხვინეს, „ტარტაროზო“.**
**და დაგვისხეს ცეცხლზე წყალი“-ო,**
ბრძანებთ.

ვაჭრების გინდ ყოფილ ვაჭრების პატრიოტიზმი ჩვენ არას დროს არ გვჭიროდა, ხელი რომ მოგვიწვდებოდეს, თქვენც გიაქიმებდით, ამ სენით დაავადებულს, თქვენი საქმეც თუ იმ ვაჭრებზე უფრო ხელიდან წასული ჯერ კიდევ არაა.

თუმცა სარედაქციო გოდორი მეტად არახელსაყრელ ინფორმაციას იძლევა თქვენ შესახებ.

კოჭი.

### უვავ-უორანს. (გამოჩინებულის თემი)

მიქელ კუტალაძის ქორწილი მხოლოდ იმითია შესანიშნავი, რომ საქორწილო ლხინში დახარჯულა სულ ერთი ტარანი. თქვენ ლექსთან შედარებით, ეს დიდი პროგრესია, ვინაიდან ნაბიჯი მაინც არის ეკონომიური რეჟიმისაკენ, რისი ნასახიც კი ვერ აღმოვაჩინეთ თქვენს ხუთ-გვერდიან პოემაში.

პო.

### კონსომოლას

**„საჩხერისა ბანკში**
**შეიპარა რაში“-ო, გვწერთ.**
**— რაში? ბანკში რაში?!..**

არც იმდენად „პიონერი“ ვართ, რომ ზოგ „კონსომოლა“-ს სისულელე ვერ გავარჩიოთ.

**ტარტაროზისძე.**

### უორანს (ნატანები)

**„ვინც ვაქე, ისა მიქია,**
**ეს არის ჩვენი წესია.**
**თუ ვინმე ავი გავწერე,**
**გახლავარ მუშა ჯიქია“-ო,** ასე იწყება თქვენი ლექსი. აქ, როგორც ხედავთ, დიდ ფორმალურ მიღწევასთან გვაქვს საქმე. თეორიაში ამას ეწოდება „რითმის აბრუნდიზაცია“, ანუ თქვენებურად, რომ ვსთქვათ, — „ლექსის კოვერკოტიზაცია“.

ახლა საჭიროა ცოტა შინაარსის „დაღრმავებიზაციაც“.

ურო

### ვ. პონჭკათელს

მივიღეთ თქვენი შარადა
არ გამოგვადგა არადა!..

---

## ქუთაისელი მღვდელი



**კოლია არსენიშვილი:—რაც მუცელში არ ჩამეტია,—ყველაფერი ჩუმად ჯიბეში ჩავიწყვე და წამოვიღე.**

# ... და უკუნ ყინულზე დაეცა ცხელი ცრემლი



ყინულოვან ზღვის ცხოველები: — მილიონ წლების განმავლობაში გვიცხოვრია ამ უდაბნოში.. ამიერიდან კი მშვიდობით, ტკბილო მოსვენებავ!..

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 28